ISSN 1987-5789

# ეკონომიკა და ბიზნესი

# ECONOMICS AND BUSINESS

# ЭКОНОМИКА И БИЗНЕС

# 2

ტომი ✧ Volume ✧ Том
IX
№2, 2016

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და
რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

Refereed and Reviewed International Scientific and Practical Journal
of the Faculty of Economics and Business,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Реферируемый и рецензируемый международный научно-практический журнал
факультета экономики и бизнеса Тбилисского государственного университета
им. Иванэ Джавахишвили

გამოდის 2008 წლის იანვრიდან ორ თვეში ერთხელ,
2015 წლიდან – კვარტალში ერთხელ

Published since January 2008 once in two months,
Since 2015- Quarterly

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ., №1,
თსუ მაღლივი კორპუსი, მე-13 სართ.,
ტელ. 230-36-68, 599-10-38-16; 599 24-77-47.
e-mail: ebf.journal@tsu.ge
lia_lugela@mail.ru

## სარედაქციო კოლეგია

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: რამაზ აბესაძე, იური ანანიაშვილი, თეიმურაზ ბერიძე, სიმონ გელაშვილი, რევაზ გველესიანი, **რევაზ გოგოხია** *(მთავარი რედაქტორი),* **თამაზ ზუბიაშვილი** *(პასუხისმგებელი მდივანი),* ნუგზარ თოდუა, ირაკლი კოვზანაძე, ქეთევან მარშავა, მურთაზ მაღრაძე, იაკობ მესხია, ელგუჯა მექვაბიშვილი, დავით ნარმანია, ვლადიმერ პაპავა *(საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი),* ავთანდილ სილაგაძე *(საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი),* დემურ სიჭინავა, მირიან ტუხაშვილი, გიორგი ღაღანიძე, თეიმურაზ შენგელია, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, ეთერ ხარაიშვილი.

## EDITORIAL BOARD

Doctors of Economic Sciences, Professors: Ramaz Abesadze, Iuri Ananiashvili, Teimuraz Beridze, George Ghaghanidze, Simon Gelashvili, Revaz Gvelesiani, **Revaz Gogokhia** *(Editor-in-Chief),* **Tamaz Zubiashvili** *(Executive Secretary),* Nugzar Todua, Irakli Kovzanadze, Ketevan Marshava, Murtaz Maghradze, Iakob Meskhia, Elguja Mekvabishvili, Davit Narmania, Vladimer Papava *(Academician of the National Academy of Sciences of Georgia),* Avtandil Silagadze *(Academician of the National Academy of Sciences of Georgia),* Demur Sichinava, Mirian Tukhashvili, Temur Shengelia, Nodar Khaduri, Elene Kharabadze, Eter Kharaishvili.

## РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Доктора экономических наук, профессора: Рамаз Абесадзе, Юрий Ананиашвили, Теймураз Беридзе, Георгий Гаганидзе, Симон Гелашвили, Реваз Гвелесиани, **Реваз Гогохия** *(главный редактор),* **Тамаз Зубиашвили** *(ответственный секретарь),* Нугзар Тодуа, Ираклий Ковзанадзе, Муртаз Маградзе, Кетеван Маршава, Элгуджа Меквабишвили, Якоб Месхия, Давид Нармания, Владимер Папава *(Академик Национальной Академии Наук Грузии),* Автандил Силагадзе *(Академик Национальной Академии Наук Грузии),* Демур Сичинава, Мириан Тухашвили, Темур Шенгелия, Нодар Хадури, Элене Харабадзе, Этер Хараишвили.

## სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები

ვოლფგანგ ვენგი – *ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი;* ოლეგ კარასევი – *ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის კათედრის გამგე, ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი;* გრაჟინა კარმოვსკა - *დასავლეთ პომერანიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ფინანსებისა და სისტემური ანალიზის კათედრა, პროფესორი (ქ. შჩეცინი, პოლონეთი);* იან მიხალეკი – *ვარშავის უნივერსიტეტის ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკ-ის დეკანი, ეკ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი;* დიმიტრი სოროკინი – *რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი;* ვიტალი ტამბოვცევი - *ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივრსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის ინსტიტუციური ანალიზის ლაბორატორიის გამგე, ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი;*
ტომას ჰალდმა – *ტარტუს უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.*

## FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD

Wolfgang Weng – *Berlin University, Professor;* Oleg Karasev – *Lomonosov Moscow State University, Chair of the Department of Statistics, Doctor of Economic Sciences, Professor;* Grazyna Karmowska, *Faculty of Economics, West Pomerania University of Technology in Szczecin, Professor (Poland);* Jan Mikhalek – *University of Warsaw, Dean of the Faculty of Economic sciences, Doctor of Economic Sciences, Professor;* Dmitry Sorokin – *Corresponding Member of the Russian Academy of Sciences, Doctor of Economic Sciences, Professor;* Vitaly Tambovtsev *- head of the Laboratory for Institutional Analysis of Economic Faculty of Lomonosow Moscow State University, Doctor of Economic Sciences, Professor;* Toomas Haldma – *Tartu University, Dean of the Faculty of Economics and Business Administration, Professor.*

## ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ

Вольфганг Венг – *профессор Берлинского Университета;* Олег Карасев – *зав. кафедрой статистики Московского Государственного Университета им. Ломоносова, д.э.н., профессор;* Гражина Кармовска, *д. э. н., Экономический фак. Технологического Университета Западного Померания, Шчецин (Польша);* Ян Михалек – *декан факультета экономических наук Варшавского Университета, д.э.н., профессор;* Дмитрий Сорокин – *член корреспондент Российской Академии Наук, д.э.н. профессор;* Виталий Тамбовцев –*Заведующий Лабораторией институционального анализа Экономического факультета Московского Государственного Университета им. Ломоносова, д. э. н., профессор;*Томас Халдма – *декан факультета экономики и администрирования бизнесса университета Тарту, профессор.*

# ს ა რ ჩ ე ვ ი

### ივანე ჯავახიშვილი – 140

*როინ მეტრეველი,* დიდი მეცნიერი, ღირსეული მამულიშვილი ................................9

### ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

*ელგუჯა მექვაბიშვილი,* გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური თეორიის „პროგნოსტიკული დისფუნქცია“: მითი თუ რეალობა? ........14
*აკაკი გაბელაია,* ლარის გაცვლითი კურსის დინამიკის სირთულის ანალიზი და პროგნოზირების პრაქტიკული გამოცდილება ........................................24
*ია ნაცვლიშვილი,* ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაციის ევროპული მოდელები და თანამედროვე გამოწვევები ........................................31
*გიორგი ზუნტური,* შრომითი მიგრაციის თავისებურებები და შედეგები თანამედროვე საქართველოში ........................................51

### მიკროეკონომიკა ✧ მაკროეკონომიკა ✧ ეკონომეტრიკა

*ლეილა ქადაგიშვილი,* მეწარმეობის განვითარება საქართველოში: ანალიზი, შეფასება, პერსპექტივები........................................66
*პაატა კოღუაშვილი,* ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში კორექტივების შეტანის აუცილებელობის შესახებ...... ..........................82
*თამარ ხაზელაშვილი,* მცირე ბიზნესის განვითარება – სიღარიბის დაძლევის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ........................................90

### მენეჯმენტი ✧ მარკეტინგი ✧ ტურიზმი

*გიორგი ღაღანიძე,* სტრატეგიულ მენეჯმენტში კონკურენტული უპირატესობის მდგრადი და ცვალებადი ფაქტორების როლის საკითხისათვის ...........................99
*მირონ ტუღუში, მაია ღვინჯილია,* არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმში გამოყენების მართვის სრულყოფისათვის .....................108
*ანა წულაია,* მარკეტინგული კომუნიკაცია და გლობალიზაცია ..............................123
*მანანა ხარხელი, ოთარ კიკვაძე,* საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა: მიღწევები და ნაკლოვანებები ........................................132
*თორნიკე ხოშტარია,* სტრატეგიული მართვის პროცესის კვლევის ძირითადი მიმდინარეობები ........................................145

### ფინანსური ეკონომიკა

*რატი აბულაძე, მაია ვეშაგური,* ციფრული ევოლუცია ფინანსურ სექტორში: ფინტექი ........................................161
*თენგიზ თაქთაქიშვილი,* აგრარული სექტორის სუბსიდირების შესაძლო შედეგები და მეურნეობებისა და ბაზრის საპასუხო ქცევა ........................................168

*ნატო კაკაშვილი,* გადაზღვევის დივერსიფიკაცია და ფუნქციები ...........................176

**სამეცნიერო გამოკვლევის შედეგები**

*ნინო ფარესაშვილი,* თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2015 წელს შესრულებული მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგების შესახებ(ინგლისურ ენაზე)..........................................................................183

სამეცნიერო კონფერენცია პოლონეთში ივ. ჯავახიშვილის თსუ-ის პროფესორთა მონაწილეობით ....................................................................................................202

**ჩვენი იუბილარები**

*ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ სილაგაძე, თეიმურაზ ბერიძე, იაკობ მესხია, ელგუჯა მექვაბიშვილი, ნუგზარ პაიჭაძე.* **პროფესორი რეზო გოგოხია – 80** ........204

# CONTENTS


**IVANE JAVAKHISHVILI – 140**

***Roin Metreveli.*** Great Sscientist, honorable patriot ………………………………………...........9

**ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY**

***Elguja Mekvabishvili.*** The Global Financial and Economic Crisis and the "Prognostic Dysfunction" of Economic Theory: Myth or Reality? …………………………………..........…14

***Akaki Gabelaia.*** Georgian Lari Exchange Rate Dynamics Complexity Analysis and Its Forecasting Practical Experience ……………………………………………………………..........24

***Ia Natsvlishvili.*** European Models of Farms' Diversification and Current Challenges ……............31

***George Bunturi.*** Labour Migration in Contemporary Georgia …………………………….............51

**MICROECONOMICS ✧ MACROECONOMICS ✧ ECONOMETRICS**

***Leila Kadagishvili.*** Assessment of the Contemporary Situation in Entrepreneurship in Georgia ....66

***Paata Koghuashvili.*** About the Necessity for Amendments in the Tea Plantations Rehabilitation State Program ………………………………………………………….....................82

***Tamar Khabelashvili.*** Development of Small Business – Significant Factor of Poverty Reduction ………………………..………………………..…………………………..............90

**MANAGEMENT ✧ MARKETING ✧ TOURISM**

***Giorgi Gaganidze.*** The Role of Sustainable and Temporary Factors of Competitive Advantage in the Strategic Management …………………………………………………........99

***Miron Tughushi, Maya Gvinjilia.*** For Improvement of the Management of the Use of Intangible Cultural Heritage in Tourism ………………………………………………......108

***Ann Tsulaia.*** Marketing Communication and Globalization ……………………………...........126

***Manana Kharkheli, Otar Kikvadze.*** State Procurement System in Georgia: Successes, Shortcomings ………………………………………………………………............132

***Tornike Khoshtaria.*** The Main Streams of Strategic Management Process Research ………......145

**FINANCIAL ECONOMICS**

***Rati Abuladze,* Maia Veshaguri.** Digital Evolution in the Financial Sector: Financial Technology (Fintech) ……………………………………………………………………….161

***Tengiz Taktakishvili.*** Possible Impacts of Subsidizing Agricultural Sector and Responsive Behavior of Agricultural Households and the Market ……………………………................168

***Kakashvili Nato.*** Diversification and Functions of Reinsurance …………………………........176

**SCIENTIFIC RESEARCH RESULTS**

***Nino Paresashvili.*** About the Results of the Targeted Scientific Research Works Performed in 2015 at the Faculty of Economics and Business, Tbilisi State University (in English)………. 183

Scientific Conference in Poland with the Participation of Professors from the Faculty of Economics and Business, Tbilisi State University ……………………………………....202

**OUR ANNIVERSARIANS**

***Vladimer Papava, Avtandil Silagadze, Teimuraz Beridze, Jacob Meskhia, Elguja Mekvabishvili, Nugzar Paichadze.*** Professor Revaz Gogokhia - 80..............................204

# С О Д Е Р Ж А Н И Е


**ИВАНЭ ДЖАВАХИШВИЛИ – 140**

Роин Метревели. Великий ученый, достойный сын отечества...............................................9

**ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА**

***Элгуджа Меквабишвили***. Глобальный финансово-экономический кризис и «прогностическая дисфункция» экономической теории: миф или реальность? ..................14

***Акакий Габелая.*** Анализ сложности динамики обменного курса Лари и практический опыт его прогнозирования ………………………………………………………….....24

***Ия Нацвлишвили.*** Европейские модели диверсификации фермерских хозяйств и современные вызовы .................................................................................................31

***Георгий Бунтури***. Трудовая миграция в современной Грузии ............................................51

**МИКРОЭКОНОМИКА ✧ МАКРОЭКОНОМИКА ✧ ЭКОНОМЕТРИКА**

***Лейла Кадагишвили.*** Оценка современного состояния предпринимательства в Грузии 66

***Паата Когуашвили.*** О необходимости корректива в Государственную программу по реабилитации чайных плантаций ..................................................................................82

***Тамар Хабелашвили***. Развитие малого бизнеса - важнейший фактор преодоления бедности ...............................................................................................................................90

**МЕНЕДЖМЕ0.1НТ ✧ МАРКЕТИНГ ✧ ТУРИЗМ**

**Георгий Гаганидзе.** К вопросу роли устойчивых и изменчивых факторов конкурентного преимущества в стратегическом менеджменте...............................................99

***Мирон Тугуши, Майя Гвинджилия.*** К совершенствованию управления использования нематериального культурного наследия в туризме ……………….....… 108

***Анна Цулая.*** Маркетинговая коммуникация и глобализация ……………………….......123

***Манана Хархели, Отар Киквадзе.*** Государственная система закупок в Грузии: успехи и недостатки ………………………………………………………………………...134

***Торнике Хоштария.*** Основные течения процесса исследований стратегического управления ..........................................................................................................................145

**ФИНАНСОВАЯ ЭКОНОМИКА**

***Рати Абуладзе, Майя Вешагури.*** Цифровая эволюция в финансовом секторе: финтек (Fintech) .........................................................................................................................161

***Тенгиз Тактакишвили.*** Возможные последствия субсидирования аграрного сектора и ответное поведение хозяйств и рынка ……………………………………….....168

***Какашвили Нато.*** Диверсификация и функции перестрахования ......................................176

**РЕЗУЛЬТАТЫ НАУЧНЫХ ИССЛЕДОВАНИЙ**

***Нино Паресашвили.*** О результатах целевых научно-исследовательских работ, выполненных в 2015 году на факультете экономики и бизнеса Тбилисского государственного университета (на английском языке) …………………......................183

Научная конференция в Польше с участием профессоров факультета экономики и бизнеса Тбилисского государственного университета ……….........................................202

**НАШИ ЮБИЛЯРЫ**

Владимер Папава, Автандил Силагадзе, Теймураз Беридзе, Якоб Месхия, Элгуджа Меквабишвили, Нугзар Пайчадзе. ***ПРОФЕССОРУ РЕВАЗ ГОГОХИЯ* - 80**.............................204

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 2, გვ. 9-13
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 2, pp. 9-13

# ივანე ჯავახიშვილი - 140
# IVANE JAVAKHISHVILI - 140

## დიდი მეცნიერი, ღირსეული მამულიშვილი

***როინ მეტრეველი***

*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი*

ას ორმოცი წელი შესრულდა ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან (1876-1940წწ.). ამ მანძილიდან ნათლად ჩანს ის მძიმე და რთული გზა, თავაუღებელი შრომისა და წარმატების გზა, მრავალ პრობლემასთან ერთად რომ გაიარა მეცნიერმა. სრულიად უნიკალური მოვლენაა ივანე ჯავახიშვილი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში. XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ცხოვრებაში გამოჩნდა პიროვნება, რომელმაც თავისი დიდი დაღი დაასვა ჟამთასვლას; ადამიანი, რომელმაც ჭეშმარიტი მამულიშვილობის მისაბაძი მაგალითი უჩვენა თანამედროვეებს, მაგალითი ღრმა მეცნიერული კვლევისა, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულისა, მოძმეთა პატივისცემისა.

ქართველი ერის ისტორია, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, ქართული სამართლის ისტორია, ქართული პალეოგრაფია, ისტორიული გეოგრაფიის, მეტროლოგიის, ნუმიზმატიკის, მუსიკის ისტორიის, სამშენებლო საქმის და საერთოდ მატერიალური კულტურის ისტორიის საკითხები – ეს პრობლემები დიდმა მეცნიერმა ცოდნის გარკვეულ ჩარჩოში მოაქცია.

მოქალაქე და მეცნიერი, რომლის დიდი მცდელობის შედეგია საქართველოში უპირველესი განათლების კერის – უნივერსიტეტის დაარსება და საქართველოს ისტორიის კვლევის, ქართული ისტორიოგრაფიის სრულიად ახალი ეტაპის დაწყება. ეს იყო ივანე ჯავახიშვილი, პიროვნება, რომელიც XX საუკუნის დასაწყისიდანვე თავდაუზოგავი მეცნიერული შრომითა და საზოგადოებრივი საქმიანობით მტკიცე ბურჯად შეეგება ილია ჭავჭავაძის მიერ დაწყებულ საქმეს ერის კულტურული ცხოვრების წინსვლისთვის.

XX საუკუნის დასაწყისში ილიას მძიმე ტვირთმა ივანე ჯავახიშვილის მხრებზე გადაინაცვლა.

XX საუკუნის დასაწყისში მთელი სიგრძე-სიგანით დადგა უნივერსიტეტის დაარსების საკითხი. ამ საქმის თაოსანი ივანე ჯავახიშვილი იყო. მან პრაქტიკულად შეიმუშავა ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების გეგმა. 1914 წელს მეფის მთავრობამ გამოსცა კანონი რუსეთის იმპერიაში არარუსულ ენაზე კერძო ხასიათის უმაღლესი სასწავლებლების დაარსების თაობაზე. ამან ხელ-ფეხი გაუხსნა ივანე ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრეების საქმიანობას უნივერსიტეტის დაარსებისათვის.

ფართო მუშაობა გაიშალა ქუთაისშიც. ქართველი საზოგადოება კმაყოფილებით შეხვდა უნივერსიტეტის დაარსების მცდელობას. გარდა მორალურისა, მატერიალურადაც უჭერდნენ მხარს ამ იდეის განსახორციელებლად. გარდა ქართველებისა, სხვა ერის წარმომადგენლებიც აცხადებდნენ თავის მხარდაჭერას. ქართული უნივერსიტეტისათვის პროფესორების შერჩევა და მოწვევა მიენდო ივანე ჯავახიშვილს, პეტრე მელიქიშვილსა და ანდრია რაზმაძეს. უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიის პირველი სხდომა 1918 წლის 13 იანვარს შედგა. აირჩიეს უნივერსიტეტის გამგეობა და ივანე ჯავახიშვილს მიმართეს თხოვნით, თავს ედო უნივერსიტეტის რექტორობა. ამ წინადადებაზე ივანე ჯავახიშვილმა კატეგორიული უარი განაცხადა და თავის მხრივ სხდომას მოუწოდა, რექტორად პეტრე მელიქიშვილი აერჩიათ, თანაც ასაბუთებდა, რომ იგი „**დიდად** ცნობილი მეცნიერია, როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ და მისი არჩევა დიდ პრესტიჟს შეუქმნის ჩვენს უნივერსიტეტსო". პროფესორთა კოლეგიამ მიიღო ეს წინადადება. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად ივანე ჯავახიშვილი აირჩიეს.

ქართული უნივერსიტეტი1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის მოხსენიების დღეს გაიხსნა. პირველი ლექცია ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა თემაზე: „ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო-საფილოსოფიო მწერლობაში".

1919 წლის 24 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილი არჩეულ იქნა უნივერსიტეტის რექტორად. ამ თანამდებობაზე იგი 1926 წლის 24 იანვრამდე მუშაობდა. ეს პერიოდი ივანე ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის შემდგომ კეთილდღეობას მოახმარა. ახალი ხელისუფლებისათვის, საბჭოთა წყობისათვის უნივერსიტეტი თავისი ავტონომიით და თვით ივანე ჯავახიშვილი მიუღებელი შეიქნა. 1925 წელს მთავრობამ იერიში მიიტანა უნივერსიტეტის ავტონომიაზე. დიდი მეცნიერი შეებრძოლა ამგვარ ქმედებას და ძვირადაც დაუჯდა. პრაქტიკულად გაუქმდა უნივარსიტეტის ავტონომია. 1926 წლიდან რექტორებს აღარ ირჩევდნენ, არამედ ზემდგომი ორგანოები ნიშნავდნენ. ასე გაგრძელდა 1992 წლამდე, ვიდრე არ აღდგა უნივერსიტეტის ავტონომია. 1926 წლის ივნისიდან ივანე ჯავახიშვილი გადააყენეს რექტორობიდან და პრაქტიკულად ჩამოაცილეს უნივერსიტეტს.

მაგრამ 1936 წელს ვითარება კარდინალურად შეიცვალა. არა მარტო შეწყდა ივანე ჯავახიშვილის კრიტიკა-დევნა, არამედ ცხოვრების ჩარხი მეცნიერისთვის სასიკეთოდ შემობრუნდა. დღეს ჩვენს ისტორიოგრაფიაში არის მცდე-

ლობა, და არც თუ უსაფუძვლოდ, იმის მტკიცებისა, რომ დიდი მეცნიერისადმი ყურადღება ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა, საკავშირო ჟურნალის «Вестник древней истории"-ის დამფუძნებელმა და მისმა პირველმა რედაქტორმა ალექსანდრე სვანიძემ გამოიჩინა. სწორედ მისი ინფორმაციით შექმნილი ვითარების შესახებ და სათანადო რეკომენდაციით იოსებ სტალინთან (იგი სტალინის ცოლის ძმა იყო) ივანე ჯავახიშვილი მთელი სისრულით დაუბრუნდა ჩვეულ სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცხოვრებას. მალე დაინიშნა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიმკი-ს) სწავლულ კონსულტანტად, არჩეულ იქნა საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად, საბჭოთა კავშირის მეციერებათა აკადემიის აკადემიკოსად, განაგებდა საქართველოს მუზეუმის ისტორიის განყოფილებას, უშუალოდ ხელმძღვანელობდა „ვეფხისტყაოსნის" 750 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენის მოწყობას, დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით.

ივანე ჯავახიშვილს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან, ივანე სიამოვნებით გამოეხმაურა საზოგადოების საგამომცემლო რედაქციის წინადადებას სახელმძღვანელოების შედგენისა და მათი გამოცემის თაობაზე: ორი სახელმძღვანელო ენათმეცნიერებაში, ერთი ზოგადი ენათმეცნიერების, მეორე – ქართული ენათმეცნიერებისა. ავტორებად რეკომენდაციას უწევდა იოსებ ყიფშიძესა და აკაკი შანიძეს. ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ საჭირო იყო ძველი აღმოსავლეთის ისტორიის შექმნა. ამ წიგნის სასურველ ავტორად ივანე ჯავახიშვილი მიხეილ წერეთელს ასახელებდა: ასევე საჭიროდ მიაჩნდა გზამკვლევის ტიპის საცნობარო ლიტერატურის გამოცემა.

ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, რომელიც 1907 წელს შეიქმნა ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით. ივანე ჯავახიშვილი აქტიურად ჩაება საზოგადოების მუშაობაში. იგი 1921 წლიდან, ექვთიმე თაყაიშვილის ემიგრაციაში წასვლის შემდეგ, სათავეში ჩაუდგა ამ საზოგადოებას და ათი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა მას. ჭეშმარიტად არსებითი ხასიათის იყო ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებები კონსერვატორიის მოწყობის შესახებ . მეცნიერმა თავისი დიდი მზრუნველობა ქართული მუსიკალური განათლებისადმი პრაქტიკული წინადადებებით გამოხატა, რომელთაც არსებითი როლი შეასრულეს კონსერვატორიის შემდგომ საქმიანობაში.

ივანე ჯავახიშვილი აქტიურად მონაწილეობდა „ქართული ენციკლოპედიის" შექმნაში გასული საუკუნის 30-იან წლებში. სამწუხაროდ, ენციკლოპედია მაშინ ვერ გამოიცა. შემორჩენილი საარქივო მასალა ნათლად გვიჩვენებს ივანე ჯავახიშვილის როლს ენციკლოპედიის გამოცემის საქმეში. ივანე ჯავახიშვილი გასაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა სამუზეუმო საქმიანობას. მეცნიერის დასაბუთებული მოთხოვნით მუზეუმში შეიქმნა ისტორიის განყოფი-

ლება, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ივანე ჯავახიშვილი განაგებდა. „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა ივანე ჯავახიშვილის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით მოეწყო. ივანე ჯავახიშვილი უდიდეს ყურადღებას აქცევდა ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შესწავლის საკითხს. აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ „ქართული ხელოვნების საკითხებიც, ქართული ხელოვნების წარსულის შესწავლაც და მისი მომავალი ბედი ივანე ჯავახიშვილისათვის ისევე ძვირფასნი და ახლონი იყვნენ, როგორც ქართული კულტურის სხვა საკითხებიც“. ივანე ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ძველი საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვან მხატვრულ შემოქმედებას (პლასტიკური ხელოვნების დარგებს – არქიტექტურას, სკულპტურას, ოქრომჭედლობას და სხვ.) და მას ქართველი ხალხის მაღალი კულტურის, დამოუკიდებლობისა და ძლიერების მაჩვენებლად აღიარებდა. 1914 წლისათვის მეცნიერს მზად ჰქონია „ქართული ხელოვნების ისტორია“, რომლის ერთი ნაწილი დაიბეჭდა სათაურით: „Термины исскусств и главнейшие сведения о памятниках искусства и материальной культури в древнегрузинской литературе“. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი ქართული კულტურის ძეგლების დაცვის საქმეში. მონუმენტურ მხატვრობასთან ერთად ივანე ჯავახიშვილი უდიდეს ყურადღებას აქცევდა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებს და თავად იღებდა მნიშველოვან ზომებს ხუროთმოძღვრების დაცვა-შენახვის უზრუნველყოფისათვის. 1946 წელს, მეცნიერის გარდაცვალების შემდგომ, გამოიცა მისი მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევა „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის (მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში)“. ესაა ფუნდამენტური გამოკვლევა საცხოვრებელ ნაგებობათა სახეებისა, მათი სახელწოდებების, წარმოშობისა და განვითარებისა. ივანე ჯავახიშვილის გიგანტური შრომის ნაყოფია ... ქართველი ერის ისტორია, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, ქართული სამართლის ისტორია, ისტორიული გეოგრაფია, მეტროლოგიის, ნუმიზმატიკის, მუსიკის ისტორიის, წყაროთმცოდნეობის, სომხური საისტორიო მწერლობის, სამშენებლო საქმისა და საერთოდ მატერიალური კულტურის ისტორიის საკითხები – აი, არასრული ნუსხა იმ პრობლემებისა, რომლებიც დიდმა მეცნიერმა ცოდნის ჩარჩოში მოაქცია და მისცა საზოგადოებას.

განუყრელადაა ივანე ჯავახიშვილის სახელთან დაკავშირებული ქართული მუსიკის ისტორიის შესწავლა-განვითარება. ფასეულია ივანე ჯავახიშვილის დასკვნა, რომ მრავალხმიანობა ქართული მუსიკის შინაგანი განვითარების ნაყოფია.

ივანე ჯავახიშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა კულტურის მოღვაწეებთან: ზაქარია ფალიაშვილთან და დავით კაკაბაძესთან. გამორჩეული იყო მისი ურთიერთობა ნიკო მართან. მეტად მნიშნელოვანი იყო ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის ერთობლივი მოგზაურობა სინას მთაზე ქართული ხელნაწერების

მოკვლევისა და და შესწავლის მიზნით (1902 წლის აპრილ-სექტემბერი). ნიკო მარი გულწრფელი კმაყოფილებით წერდა – „ჯავახიშვილი მუშაობაში ძალიან ბეჯითი და ამტანი აღმოჩნდაო".

ივანე ჯავახიშვილი დიდად აფასებდა და ხელს უწყობდა თავისი მოწაფეების – თამარ ლომოურის, სიმონ ჯანაშიას, სიმონ ყაუხჩიშვილის, ნიკო ბერძენიშვილისა და სხვათა საქმიანობას.

დიდი მეცნიერი ცხოვრებაში სრულიად უპრეტენზიო იყო და განსაკუთრებული თავმდაბლობით გამოირჩეოდა.

1940 წლის 18 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის მოხსენების მოსასმენად ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ მოიყარა თავი. პრობლემა მნიშვნელოვანი იყო: „ფილოლოგიური მეცნიერების მიზნები და ქართული ლიტერატურის ძეგლები". დანიშნულ დროს ივანე ჯავახიშვილმა მოხსენება დაიწყო. რამდენიმე წუთში აქ, კათედრასთან, მოხსენების კითხვისას შეწყდა დიდი მეცნიერის მაჯისცემა – გარდაიცვალა ივანე ჯავახიშვილი, გადაიცვალა თავისი მეცნიერული და მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულების დროს. პარიზში მყოფმა მიხეილ წერეთელმა ასეთი სიტყვები წარმოთქვა გარდაცვლილი მეცნიერის მიმართ: „განისვენე, ძვირფასო და დიდო ივანე, საუკუნოდ იმ ქართველთა შორის, რომლებიც შენსავით არიან შემკულნი ღვაწლისა და წამების გვირგვინით. შენი ადგილი დიდ ილიასთან არის, რომელმაც შენზედ ადრე მიიღო ჯილდოდ დიდი ღვაწლის იგივე გვირგვინი".

დღეს ხმამაღლა შეიძლება ვთქვათ, რომ დიდმა მეცნიერმა, მამულიშვილმა და საზოგადო მოღვაწემ – ივანე ჯავახიშვილმა „აღასრულა თვისი ვალი".

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 2, გვ. 14-23
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 2, pp. 14-23



# გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური თეორიის „პროგნოსტიკული დისფუნქცია“: მითი თუ რეალობა?

*ელგუჯა მექვაბიშვილი*

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,*
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის პროფესორი*
*emekvabe@yahoo.com*

სტატიაში განხილულია გლობალიზაციის ეპოქაში ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების პროგნოზირების თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები. გადმოცემულია ორი ურთიერთსაპირისპირო მოსაზრება აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით. პირველის თანახმად, ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების პროგნოზირება და პრევენცია ეკონომიკური თეორიის ფუნქციაა, რომლის შესრულება მან ვერ მოახერხა, რის გამოც მართებულია მსჯელობა ეკონომიკური თეორიის „პროგნოსტიკურ დისფუნქციაზე“. ეკონომისტთა მეორე ჯგუფის აზრით, კრიზისების პროგნოზირება არ წარმოადგენს ეკონომიკური თეორიის ამოცანას და, შესაბამისად, მის „პროგნოსტიკურ დისფუნქციაზე“ მსჯელობა საფუძველს მოკლებულია. მომავლის შესახებ ზუსტი ცოდნის მიღების შეუძლებლობის ზოგადფილოსოფიური პრინციპიდან გამომდინარე, სტატიაში დასაბუთებულია ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების ზუსტი („წერტილოვანი“) პროგნოზირების შეუძლებლობა. ამასთანავე, ე.წ. „კალიბრირების“ საფუძველზე გამოყოფილია „პროგნოზირების დერეფნები“, რომელშიც ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების წარმოქმნის ყველაზე მაღალი ალბათობა არსებობს.

**საკვანძო სიტყვები:** გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი; ეკონომიკური მეცნიერების პროგნოსტიკური დისფუნქცია; რეპრეზენტატიული აგენტი; ეკონომიკური სისტემის საერთო წონასწორობა; წერტილოვანი პროგნოზირება; პროგნოზირების დერეფნები; კალიბრირება.

# ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების პროგნოზირების ევრისტიკული პოტენციალი

გლობალიზაციის ეპოქაში მომრავლებული ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების ფონზე, სულ უფრო მეტ აქტუალურობას იძენს მათი მიზეზების, განვითარების შინაგანი ლოგიკის, მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების, ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების პროგნოზირებისა და პრევენციის შესაძლებლობის, პოსტკრიზისული ეკონომიკური განვითარების მიმართულების და სხვ. საკითხები. ამ ფართო სპექტრიდან ჩვენ ძირითადად კრიზისების პროგნოზირების ანალიზზე შევჩერდებით, რომელიც ამჟამად ეკონომისტთა შორის ყველაზე მწვავე დისკუსიის საგანია. არსებული მოსაზრებებიდან რამდენიმე მიმართულების გამოყოფაა შესაძლებელი. მეცნიერთა ერთი ჯგუფის აზრით, ეკონომიკური და ფინანსური კრიზისების პროგნოზირება ეკონომიკური მეცნიერების, პირველ რიგში, ეკონომიკური თეორიის და მაკროეკონომიკის პირდაპირი მოვალეობაა, რომელსაც მათ თავი ვერ გაართვეს, რაც ეკონომიკური მეცნიერების კრიზისზეც მეტყველებს. ცნობილი პოლონელი ეკონომისტი გჟ. კოლოდკო წერს: „ეკონომიკურმა თეორიამ ვერ მოახერხა გლობალური კრიზისის შინაგანი მიზეზების შესწავლა და მისი პროგნოზირება“ {1, გვ. 61}. მსგავსი მოსაზრებაა ჩამოყალიბებული გერმანელი ეკონომისტების ა. კირმანის, დ. კოლანდერის, გ. ფემერის და სხვათა კოლექტიურ სტატიაში – „ფინანსური კრიზისი და თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ჩავარდნები“, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ეკონომიკური მეცნიერების წინაშე დგას სამი ამოცანა: ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების შესწავლა, განზოგადება და პროგნოზირება. თუკი ის თავს ვერართმევს რომელიმე მათგანს, ეს ნიშნავს, რომ ვერ ასრულებს თავის მოვალეობას {2, გვ. 78}. მსგავს მოსაზრებას გამოთქვამს ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ა. სენი: „გიგანტური კრიზისის წინასწარმეტყველება და „ცუდად დაკემსილი“ ეკონომიკური სამყაროს ახსნა ეკონომიკური მეცნიერების წარმომადგენლებმა ვერ მოახერხეს“. {3, გვ 17}. ეკონომიკის დარგში კიდევ ერთი ნობელიანტი, აშშ ეკონომისტთა ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი რ. შილერი ვრცელ ბლოგ-პოსტს უძღვნის ეკონომისტების მიერ გლობალური ფინანსური კრიზისის პროგნოზირების პრობლემას და წერს: „2007-2008 წლების გლობალური ფინანსური კრიზისისა და ღრმა რეცესიის შემდეგ ეკონომიკური პროფესიის კრიტიკა გაძლიერდა... სულ უფრო ხშირად გაისმის კითხვა – თუკი ეკონომისტებმა ვერ შეძლეს ადამიანთა კეთილდღეობაზე დიდი ზეგავლენის მქონე ასეთი მოვლენის წინასწარი განჭვრეტა, მაშინ რა სარგებელია მათგან?“ {4}. შილერი იმასაც დასძენს, რომ მსგავსი რამ პირველად არ მომხდარა. პირიქით „ყოველთვის, როცა გასულ საუკუნეში კრიზისი მწიფდებოდა, ეკონომისტებს შორის ფართო კონსესუსი სუფევდა, რომ არავითარი კრიზისი არ იქნება“.

პროფ. ჯ. სტიგლიცი ხშირად მცჯელობს კრიზისში მყოფ მაკროეკონომიკურ თეორიაზე.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე, კეთდება ორი დასკვნა: ა) „ფინანსურ კრიზისთან ერთად ჩვენ ვხედავთ ეკონომიკური თეორიის სისტემურ კრიზისს" {2, გვ 10}, ბ) "თუ თეორიას საყოველთაობაზე გააჩნია პრეტენზია, მაგრამ ამავე დროს ვერ წყვეტს კრიტიკულად მნიშნელოვან ამოცანას (კრიზისების პროგნოზირება კი ზუსტად ამ კატეგორიას განეკუთვნება – ე.მ.), მას „ემუქრება" ან პარადიგმის გადახედვა, ან მწვავე კონკურენცია ალტერნატიული სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის მხრიდან {5, გვ. 9}.

ბოლო ოთხი ათეული წლის განმავლობაში ეკონომიკური მეცნიერება უკვე მეორედ აღმოჩნდა ასეთ რთულ მდგომარეობაში: პირველად 1970-იანი წლების დასაყისში, როდესაც ეკონომისტებს შორის ჩამოყალიბდა მოსაზრება ეკონომიკური მეცნიერების, კერძოდ, მაკროეკონომიკის კრიზისის შესახებ {6, გვ. 873}. ამ სიტუაციას წინ უძღოდა საკმაოდ ხაგრძლივი, თითქმის 40-წლიანი პერიოდი, რომელსაც „მაკროეკონომიკის ოქროს ხანად" მოიხსენიებენ. იგი დაკავშირებული იყო კეინზის თეორიის მათემატიკურ ინტერპრეტაციასთან, ანუ „დიდი მაკროეკონომიკური მოდელების განვითარებასთან" {6. გვ 859}, რომელშიც იგულისხმება ჯ. ჰიქსისა და ა. ჰანსენის IS-LM მოდელები (1940-იანი წლების დასაწყისი), რ. ჰაროდის (1939), ე. დომარის (1946), რ. სოლოუს (1956) ეკონომიკური ზრდის მოდელები. 1970-იანი და 1980-იანი წლების მწვავე ეკონომიკურმა კრიზისებმა დიდი დარტყმა მიაყენა კეინზიანურ მოდელებს და მასთან ერთად მთლიანად მაკროეკონომიკურ თეორიას, საგრძნობლად შეასუსტა მათი პრესტიჟი.

ეკონომისტთა მეორე ჯგუფი სრულიად განსხვავებულ მოსაზრებას ანვითარებს და მიიჩნევს, რომ ეკონომიკური კრიზისის პროგნოზირება პრინციპულად შეუძლებელია. ასეთი მოსაზრება გააჩნია, მაგალითად, ცნობილ ამერიკელ მაკროეკონომისტს, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორს გრ. მენქიუს, რომელიც აღნიშნავს, რომ „ეკონომიკური რყევები სულაც არ არის რეგულარული და შეუძლებელია მათი თუნდაც მიახლოებითი სიზუსტით წინასწარმეტყველება" {7, გვ. 704}. სხვა ადგილას იგი კიდევ ერთხელ აფიქსირებს ამ პოზიციას: „ეკონომიკური პროგნოზირება უზუსტოა... რეცესიები და დეპრესიები გაუთვალისწინებლად ხდება. ერთადერთი, რაც პოლიტიკოსებს შეუძლიათ, უკვე მომხდარ ცვლილებებზე რეაგირებაა" {7, გვ. 757}. გრ. მენქიუს ამ მოსაზრებას ეთანხმება სხვა ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი, რაციონალური მოლოდინის თეორიის ფუძემდებელი პროფ. რ. ლუკასი, რომელიც მიიჩნევს, რომ „ეკონომიკური მეცნიერება გვეუბნება: მსგავსი მოვლენის პროგნოზირება შეუძლებელია" {8}. რუსი ეკონომისტი ი. იაკოვეცი ასევე კატეგორიულია ეკონომიკური კრიზისების პროგნოზირების საკითხთან მიმართებით და წერს: „კრიზისების წინასწარი განჭვრეტა შეუძლებელია" {9, გვ. 34}.

ეკონომიკური კრიზისების პროგნოზირების პრინციპული შეუძლებლობის თეზისიდან გამომდინარე, კეთდება ორი დასკვნა: პირველი, თანამედროვე

ეკონომიკური თეორია მიზნად არ ისახავს კრიზისების პროგნოზირებას, ვინაიდან ეს უნაყოფო საქმეა {10, გვ. 146}. მეორე, ეკონომისტთა დადანაშაულება იმაში, რომ მათ ვერ შეძლეს გლობალური ფინანსური კრიზისის პროგნოზირება რეალურ საფუძველს მოკლებულია[1].

მსოფლიოში აღიარებული მეცნიერების მოსაზრებათა მკვეთრი დაპირისპირების გათვალისწინებით, ჩვენ საკმაოდ რთულად მიგვაჩნია კრიზისების პროგნოზირების პრობლემაზე საკუთარი პოზიციის დაფიქსირება. თუმცა შევეცდებით პასუხები გავცეთ შემდეგ მნიშვნელოვან კითხვებს: რა თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებსა და პრაქტიკულ გარემოებებს ემყარება ეკონომიკური კრიზისების პროგნოზირების პრინციპულად შეუძლებლობის თეზისი? არის თუ არა რეალურად შესაძლებელი კრიზისების პროგნოზირება? თუკი არის, რა სახით და რა მასშტაბით? რა როლი აკისრია პროგნოზირებაში ეკონომეტრიკულ მოდელებს?

ეკონომიკური კრიზისების პროგნოზირების შეუძლებლობის თეზისი მთლიანად გამომდინარეობს მსოფლიო ეკონომიკური აზრის იმ მეინსტრიმული მიმართულებიდან, რომელიც კრიზისს ეკონომიკური განვითარების შემთხვევით მოვლენად მიიჩნევს და, აქედან გამომდინარე, მის კვლევას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს. ეს პოზიცია მკვეთრადაა გამოხატული ცნობილ ამერიკელ მეცნიერ პ. კრუგმანთან. დიდი ბრიტანეთის დედოფლის ელიზაბეტ II-ის შეკითხვაზე – რატომ ვერ შეძლო ეკონომიკურმა მეცნიერებამ გლობალური ფინანსური კრიზისის პორგნოზირება, პ. კრუგმანმა უპასუხა, რომ ამ მეცნიერებაში უკანასკნელ პერიოდამდე გაბატონებული პოზიციის თანახმად, პრინციპულად გამოირიცხებოდა ასეთი კრიზისის წარმოშობის შესაძლებლობა. შესაბამისად, მისი მიზეზების და პროგნოზირების სხვადასხვა ასპექტის კვლევა უნაყოფო საქმიანობად იყო მიჩნეული. {12}. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გაბატონებულ პოზიციაზე დიდი ხნის მანძილზე თავად კრუგმანიც იდგა, როცა წერდა, რომ ეკონომიკის არასტაბილურობა ნორმალური მოვლენაა, რის გამოც მკვლევართა ყურადღება ამჟამად უნდა ფოკუსირდეს ეკონომიკური ზრდის საკითხებზე {13, გვ. 24}. სხვა ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი, ფედ-ის ყოფილი თავჯდომარე, პროფესორი ბ. ბერნანკე თითქმის იმავე დროს აღნიშნავდა: „თანამედ-

1 აღნიშნული პოზიცია მკვეთრადაა გამოხატული ცნობილი ამერიკელი მეცნიერის, ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის თ. სარჯენტის მიერ. იგი წერს, რომ მსგავსი ბრალდებები ეკონომისტთა მიმართ მეტყველებს ან „მბრალდებელთა აშკარა უცოდინარობაზე, ან თანამედროვე მაკროეკონომიკური შესწავლის საგნის მათი მხრიდან შეგნებულ დამახინჯებაზე" {11}. მსგავსი „ბრალდებებისაგან" ეკონომისტებს იცავს ჩვენ მიერ ხსენებული რ. შილერიც. იგი წერს „ჩვენ ხომ ბრალს არ ვდებთ ექიმებს იმაში, რომ მათ ვერ შეძლეს ჩვენი ავადმყოფობების წინასწარი განჭვრეტა და კმაყოფილი ვართ იმით, რომ დახმარება გაგვიწიეს ავადმყოფობისას". ამის მსგავსად, „ეკონომისტთა უმრავლესობას არ შეუძლია კრიზისების წინასწარმეტყველება, თუმცა, შეუძლია კრიზისში მყოფი ეკონომიკის მკურნალობა" {4}

როვე თეორია და პოლიტიკა დღის წესრიგიდან ხსნის საქმიანი ციკლის პრობლემებს“ {14}. პროფ. რ. ლუკასის აზრით, „ეკონომიკური კრიზისები, როგორც წარსულის მოვლენა, ისტორიას ჩაბარდა“ {15, გვ. 13}.

ეკონომიკური კრიზისების პრობლემისადმი ასეთი თვალსაჩინო მეცნიერი ეკონომისტების გადაჭარბებულად ოპტიმისტური დამოკიდებულება, ჩვენი აზრით, ორი გარემოებით იყო განპირობებული – აშშ-სა და მსოფლიო ეკონომიკაში იმ დროს შექმნილი პოზიტიური ტენდენციებით და მეინსტრიმული თეორიულ-ეკონომიკური მიმართულების შინაარსით. 1990-იანი წლებიდან დაწყებული 2000-იანი წლების დასაწყისამდე პერიოდი, აშშ-ის ეკონომიკაში გამოირჩეოდა რეცესიის გარეშე ზრდით. ამ პერიოდში, ეკონომიკური ზრდის საშუალოწლიური ტემპი 3,2 %-ს, ხოლო ინფლაციისა და უმუშევრობის მაჩვენებლები 1,3 %-ს და 4,2 %-ს შეადგენდა, რაც ყველაზე საუკეთესო შედეგი იყო ბოლო ათწლეულების განმავლობაში {7, გვ. 782}. აშშ-ის ეკონომიკის სტაბილურობა და შედარებით მაღალი ტემპით ზრდა განაპირობებდა მთლიანად მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პოზიტიურ ტენდენციებს. კერძოდ: 1993-2005 წლებში მსოფლიო მშპ-ის ზრდის საშუალოწლიური ტემპი (3,9%) აღემატებოდა 1973-1993 წლების ტემპს (3,0%), თუმცა ჩამორჩებოდა 1950-1970 წლების მაჩვენებელს (4,9%). ბუნებრივია, რომ ზემოაღნიშნული ეკონომისტებში აჩენდა ოპტიმისტურ განწყობას შემდგომშიაც ეკონომიკის უკრიზისო განვითარების შესაძლებლობის შესახებ და ადუნებდა მათ ყურადღებას ეკონომიკური კრიზისის ფენომენის მიმართ. 2007-2008 წლების გლობალურმა ფინანსურმა ეკონომიკურმა კრიზისმა მწვავე დარტყმა მიაყენა მსგავს ოპტიმიზმს.

მეინსტრიმული ნეოკლასიკური თეორიის თანახმად, საბაზრო ურთიერთობის მთავარი სუბიექტია ე.წ. „რეპრეზენტატული“ (წარმომადგენლობითი) აგენტი, რომელსაც apriori რაციონალური ქცევა ახასიათებს, რასაც აგენტის ინფორმირებულობის მაღალი ხარისხი განსაზღვრავს, როგორც არსებული, ასევე მოსალოდნელი რისკების მიმართ. ნეოკლასიკოსები მიიჩნევდნენ, რომ რეპრეზენტატულ აგენტს დროულად შეუძლია გაატაროს ღონისძიებები არსებული რისკების გასანეიტრალებლად და მომავალი რისკების თავიდან ასაცილებლად. ამ თეორიულ კონსტრუქციაში ეკონომიკა წარმოგვიდგება განკერძოებული (ატომისტური) და რაციონალური ქცევის მქონე სუბიექტების ერთობლიობად, რომლებიც სრულყოფილ საბაზრო გარემოში ახორციელებენ საკუთარი მიზნობრივი ფუნქციის ოპტიმიზირებას: მწარმოებლები (გამყიდველები) იღებენ მაქსიმალურ მოგებას რეალიზებული საქონლიდან და მომსახურებიდან, მომხმარებლები (მყიდველები) კი ნახულობენ მაქსიმალურ სარგებელს. ამგვარად, საბაზრო სისტემაში ყველა კმაყოფილია საკუთარი მდგომარეობით და არ არსებობს ამ „საბაზრო იდილიის“ დარღვევის რაიმე ენდოგენური მიზეზი. ეკონომიკის „სიმყუდროვის“ დარღვევა შესაძლებელია მხოლოდ ეგზოგენური ფაქტორების ზემოქმედებით, თუმცა სისტემას შესწევს თვითრეგულირების უნარი, რის გამოც წონასწორობიდან გადახრა ხანმოკლეა, ხოლო საწყის

(წონასწორულ) მდგომარეობაში დაბრუნება დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს[1]. მოცემულ თეორიულ კონსტრუქციაში ეკონომიკური სისტემის წონასწორობა სისტემის არსებობის წესია, წონასწორობიდან გამოსვლა კი შემთხვევითობა. აქედან გამომდინარე კეთდება დასკვნა, რომ შემთხვევითობის (ციკლური რყევის, კრიზისის) წინააღმდეგ ბრძოლა, მისი პროგნოზირება და პრევენცია პრინციპულად შეუძლებელია.

ერთი შეხედვითაც კი აშკარაა კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის უკრიზისო განვითარების თეორიული კონსტრუქციის, ანუ „ეფექტიანი ბაზრების ჰიპოთეზის" (რ. ლუკასი) ხელოვნურობა, აბსტრაქტულობა და რეალურ სინამდვილესთან შეუსაბამობა. „რეპრეზენტატიული აგენტის" სტერილურობა სინამდვილეში გამორიცხულია. პირიქით, მასზე მრავალი ისტორიული, სოციალური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური და სხვა ფაქტორი ახდენს ზემოქმედებას. ამასთანავე, ეკონომიკურ სისტემაში მუდმივად მიმდინარე ცვლილებები, რომელთა შორის, პირველ რიგში, ფინანსური სექტორის ჰიპერტროფირებული ზრდა შეიძლება დასახელდეს, ძირეულად ცვლის საბაზრო ურთიერთობის ამ მთავარი აქტორის ბუნებას. რაციონალური ქცევის მქონე რეპრეზენტატიული აგენტის ადგილს რეალურ სინამდვილეში ირაციონალური სუბიექტი იკავებს, რომლის მოქმედება განსაზღვრულია ლოგიკით – „ხვალ საქმე უკეთესად იქნება, ვიდრე არის დღეს ან იყო გუშინ". მოგების მიღების სურვილი ამ სუბიექტებში იმდენად გამძაფრებულია, რომ ხშირ შემთხვევაში ბინდავს მათ რაციონალურ წარმოდგენებს და ბაზრის რაციონალურობა მისი ირაციონალურობით იცვლება. ბაზრებზე გადაჭარბებულ ოპტიმიზმს, როგორც წესი, გადაჭარბებული პესიმიზმი მოსდევს, ეკონომიკური სისტემის კრიზისი, რეცესია, ზოგჯერ კი ღრმა დეპრესიაც რეგულარულად მეორდება.

## ეკონომიკური მოდელების როლი ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების პროგნოზირებაში

გლობალურმა ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა საგრძნობლად გაამწვავა ერთ დროს მინელებული დისკუსია ეკონომეტრიკული მოდელების, როგორც კრიზისების პროგნოზირების ინსტრუმენტის გამოყენების ეფექტიანობის შესახებ. როგორც უკვე აღინიშნა, მათი ინტენსიური გამოყენება 1940-იანი წლებიდან დაიწყო და ისინი კეინზიანური თეორიის პოსტულატებს ემყარებოდა. 1970-80-იანი წლების მიჯნაზე ეს მოდელები კრიტიკის ქარცეცხლში გაეხვა, თუმცა ამ პერიოდში მაკროეკონომიკულ მოდელებზე ზოგადად კი არ ითქვა უარი, არამედ შეიცვალა მათი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი – მოხდა კეინზიანურ თეორიაზე დამყარებული მოდელებიდან ნეოკლასიკურ თეორიებზე დამყარებულ მოდელებზე გადასვლა. სწორედ ამ კონტექსტით უნ-

1 „ეფექტიანი ბაზრების ჰიპოთეზიდან გადახვევა ძალიან უმნიშვნელოა" - აღნიშნავს პროფ. რ. ლუკასი {15, გვ. 12}

და იქნეს წარმოდგენილი დინამიკური სტოქასტური საერთო წონასწორობის (Dynamic Stochastic General Equilibrium – DSGE) მოდელების „ოჯახი" და მისი მთავარი ელემენტი – რეალური ბიზნეს-ციკლის (Real Business Cycle RBC) მოდელები[1]. ამ მოდელებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეკონომიკური თეორიასა და სამეურნეო პრაქტიკაში, თუმცა შესაძლებელია მათი რამდენიმე ნაკლოვანი მხარის გამოყოფა. ერთ-ერთი მეთოდოლოგიური ხასიათის ნაკლოვანება ის არის, რომ ამ მოდელებში ნებაყოფლობით ითქვა უარი საქმიანი კონიუნქტურის პროგნოზირებაზე. ასევე ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ RBC მოდელები წონასწორობის მომენტს წინა პლანზე წამოსწევენ ძალიან ძლიერი შოკური ფაქტორების მოქმედების შემთხვევაშიაც კი. სინამდვილეში სხვადასხვა შოკი არსებით ზეგავლენას ახდენს ეკონომიკის ფუნქციონირებაზე, იწვევს წონასწორობის მდგომარეობიდან მნიშნელოვან და ხანგრძლივ გადახრას. პროფ. ო. ბლანშარი DSGE და RBC მოდელების ნაკლოვანებად მიიჩნევს ციკლის გენერირების მოდელში ფინანსური სექტორის როლის არასაკმარის ასახვას {16, გვ. 184}. მსოფლიო ეკონომიკაში ბოლო 20-25 წლის მანძილზე განვითარებულმა მოვლენებმა, განსაკუთრებით გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა მთლიანად დაადასტურა ამ მეცნიერის შეხედულების სისწორე. აშკარაა, რომ ფინანსური მექანიზმების როლის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ეკონომიკური კრიზისების წარმოშობისა და განვითარების ლოგიკის სრულფასოვანი გაგება. ფინანსური სექტორი, რა თქმა უნდა დამოკიდებულია რეალურ, ანუ „ფიზიკურ ეკონომიკაზე" (ლ. ლაროში), მაგრამ ამავე დროს დანაზოგებისა და რისკების გადანაწილების გზით გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს ბიზნეს-პროცესების ეფექტიანობაზე.

უნდა შევნიშნოთ, რომ რეალური ბიზნესციკლების მოდელის კრიტიკა არახალია. ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა რ. სოლოუმ, აშშ-ის კონგრესის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომიტეტის სხდომაზე გამოსვლისას, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა DSGE მოდელების მთელი კლასი და განაცხადა, რომ „ციკლის განვითარების თანამეროვე ეტაპზე მათემატიკური მეთოდები არ იძლევა მათი (იგულისხმება RBC მოდელების ე.მ.) უფრო მეტად რეალისტური საფუძვლების შექმნის შესაძლებლობას {16, გვ. 149}.

ეკონომიკური კრიზისების პროგნოზირების საკითხში მეტი გარკვეულობის შესატანად და ჩვენი პოზიციის დასაფიქსირებლად სამეცნიერო ბრუნვაში შემოგვაქვს „წერტილოვანი პროგნოზირებისა" და „პროგნოზირების დერეფნების" ცნებები. შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ ეკონომიკური კრიზისების წერტილოვანი პროგნოზირება პრინციპულად შეუძლებელია, რასაც ჩვენ ვასაბუთებთ

1 RBC მოდელების პირველი ვარიანტი ჩამოაყალიბეს ამერიკელმა ეკონომისტებმა ე. პრესკოტმა და ფ. კუდლანდმა 1982 წელს ერთობლივად გამოქვეყნებულ სტატიაში "Time to Build and Agregate Fluctuations" – „ფლუქტუაციების აგებისა და აგრეგირების დრო". ამ მოდელის შემქმნელებს 2004 წელს ნობელის პრემია მიენიჭათ ეკონომიკის დარგში მიღწეული განსაკუთრებული წარმატებისათვის.

ზოგადფილოსოფიური მიდგომის საფუძველზე, რომლის თანახმადაც მომავლის შესახებ ზუსტი ცოდნის მიღება შეუძლებელია. ამერიკელი ეკონომისტი ფ. ნაიტი წერდა ამის შესახებ: „ცოდნის პრობლემა განპირობებულია მომავლის წარსულისაგან განსხვავებით, მაშინ, როცა ამ პრობლემის გადაწყვეტა დამოკიდებულია მათ შორის მსგავსებაზე" {17, გვ. 297}. ნაიტის მოძღვრების ერთ-ერთი საკვანძო ცნებაა განუსაზღვრელობა (Uncertainty), რომელსაც იგი წინააღმდეგობრივი ბუნების მატარებელ ფენომენად განიხილავს: ერთი მხრივ, განუსაზღვრელობა იწვევს შეცდომებს და მათგან გამომდინარე პრობლემებს, მეორე მხრივ კი მას სტაგნაციური მდგომარეობიდან გამოჰყავს საზოგადოება, რასაც ნაიტის აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მაშასადამე, ნაიტისათვის განუსაზღვრელობა დინამიური წონასწორობის აუცილებელი პირობაა და, აქედან გამომდინარე, იგი აკრიტიკებს როგორც წონასწორულ მოდელებს, ასევე მართვაში კონსტრუქტივისტულ მიდგომებს.

გერმანელი ნეოლიბერალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი ლ. ფონ მიზესი წერდა: „ფილოსოფოსმა უნდა აღიაროს, რომ არ არსებობს წესი, რომლის საშუალებითაც ***მოკვდავი ადამიანი გარკვეულ ცოდნას მიიღებს მომავლის შესახებ*** (ხაზგასმა ჩვენია – ე.მ.)" {18, გვ. 279}. სხვა ნაშრომში მიზესი კვლავ უბრუნდება მომავლის განჭვრეტის შეუძლებლობის თეზისს და დასძენს: „ფაქტია, რომ მოქმედი ადამიანისთვის მომავალი დაფარულია. ასე რომ არ ყოფილიყო, იგი არ დადგებოდა არჩევანის წინაშე და არ იმოქმედებდა" {19, გვ. 101}.

ზემოთ აღწერილი ფილოსოფიური მიდგომის ეკონომიკაზე ფოკუსირების შედეგად ამერიკელი ეკონომისტი ჰ. მინსკი აკეთებს დასკვნას: „კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკა არსებობს ისტორიულ დროში, რომელშიც წარსული მოცემულია და შეუძლებელია მისი შეცვლა, ***მომავალი კი გაურკვეველია და შეუცნობადი"*** (ხაზგასმა ჩვენია – ე.მ) {20, გვ. 58}.

* * *

ეკონომიკური კრიზისის „წერტილოვანი" (ზუსტი) პროგნოზირების შესაძლებლობის მტკიცება არ ნიშნავს კრიზისის პროგნოზირების ზოგადად უარყოფას. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების „სტაციონალური რეჟიმების" განსაზღვრა, რაც გულისხმობს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში იმ შედარებით ერთგვაროვანი პერიოდის გამოყოფას, რომლებსაც დინამიკის მსგავსი მახასიათებლები გააჩნია. ეკონომიკური დინამიკის, კერძოდ, ნ. კონდრატიევის დიდი ციკლების („დიდი ტალღების") გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია შემოვსაზღვროთ ე.წ. პროგნოზირების დერეფნები, რომელთა ფარგლებში ეკონომიკის ვოლატილობის ხარისხი განსაკუთრებით მაღალია. ნ. კონდრატიევის თანახმად, კონიუნქტურის მეხუთე გლობალური ციკლის დაღმავალი ფაზა 2018-2020 წლებში დამთავრდება და შემდეგ დაიწყება მეექვსე ციკლის აღმავალი ფაზა, რომელიც დაახლოებით 2050 წლამდე

გასტანს. დაღმავალ და აღმავალ ფაზებს შორის შესაძლებელია გარდამავალი პერიოდის გამოყოფა, რომელიც დაახლოებით 5-6 წელიწადი გაგრძელდება. როგორც მსოფლიო ეკონომიკის ისტორია გვიჩვენებს, ასეთი გარდამავალი პერიოდი პოლიტიკურ-ეკონომიკური დაძაბულობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ 2018 წლიდან 2020-2022 წლებამდე პერიოდში ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის წარმოშობის შედარებით მაღალი ალბათობა არსებობს. ამასთანავე, ვფიქრობთ, რომ მისი სიმწვავე და სიღრმე ნაკლები იქნება 2007-2009 წლების კრიზისთან შედარებით. ამის მიზეზად მივიჩნევთ, ჯერ ერთი, გლობალური ეკონომიკის ზრდის შედარებით დაბალ ტემპს და მეორე, ზესახელმწიფო (გლობალურ) დონეზე ეკონომიკის რეგულირების მექანიზმების განვითარებას.

ეკონომიკური კრიზისების პროგნოზირებაში ახალი პოსტულატების გამოყოფას, ჩვენი აზრით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბაზრო ეკონომიკის რეგულირების, ციკლის კრიზისული ფაზის წინასწარი განჭვრეტის და საზოგადოების კრიზისებისადმი მომზადების, ასევე დამდგარი კრიზისებიდან ნაკლები დანახარჯებით გამოსვლის თვალსაზრისით.

## ლიტერატურა:


1. Колодко Гж. Неолиберализм и мировой экономический кризис – Вопросыэкономики,2010, №3.
2. Кирман А., Коландер Д,. Феммер Г., Хаасс А.,Годберг Н. и др. – Финансовый кризис и провалы современной экономической науки-Вопросы экономики, 2010, №6.
3. Sen A. Capitalism Beyond the Crisis- New York Review of Books. Vol. 56, №5,2009.
4. შილერ ირ. რა სარგებელია ეკონომისტებისგან? http://www.projectsyndicate.org/commentary/are-economists-good-byrobert-j-shiller-2015-01//
5. Блауг М. Методология экономической науки или как экономисты объясняют- Вопросы экономики, 2004, №4.
6. ბლანშარი ო. მაკროეკონომიკა, მე-5 გამოცემა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.
7. მენქიუ გრ. ეკონომიკისპრინციპები. თბ., დიოგენე, 2008.
8. ukas R, In Defence of Dismal Sience – The Economist, 2009, August 6.www.economist.com//noodle1416654005
9. Яковец Ю. Экономические кризисы: неизбежная реальность-Экономические стратегии. 2004.
10. Клепач А., Куранов Г.О циклических волнах в развитии экономики США и России. Вопросы экономики, 2013, №4.
11. Interview with Thomas Sargent. Sept. 10. 2010.www.minneapolisfed.org/publications_papers/pub_display.cfm?id=4526
12. Krugman P. How Did Economists Get it So Wrong? Paul Krugman, Sept.2009. www.nytimes.com/2009/09/06/magazine/06economic=t.html?=o

13. Кругман П. Возвращение Великой Депрессии. Мировой кризис глазами нобелевского лауреата.
14. Bernanke B. The Great Moderation. Remarks at the Meetings Themselves, Newsweek, 2008, www.newsweek.com/id/177447
15. Lucas R. Macroeconomic Priorities, American Economic review, 2004, Vol 93,N1
16. მექვაბიშვილი ე. თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები, თბ; 2012.
17. Найт Ф. Риск, неопределённость , прибыль , М:Дело 2003.
18. Мизес Л. Теория и история: интерпретация социально- экономической эволюции. Челябинск, 2007.
19. Мизес Л. Человеческая деятельность. Трактат по экономической теории.М. Экономика, 2000.
20. Minsky H. John Maynard Keynes. N. Y. Columbia University, Press, 1975.

# The Global Financial and Economic Crisis and the "Prognostic Dysfunction" of Economic Theory: Myth or Reality?

***Elguja Mekvabishvili***

*Doctor of Economic Sciences, Professor*
*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*
*emekvabe@yahoo.com*

The article examines the theoretical and methodological aspects of forecasting financial and economic crises in the era of globalization. There is set out two contradictory opinions about the noted problem. According to the first, the forecasting of financial and economic crises and the prevention is the function of economic theory, whose performance has failed, that is why it is appropriate to discuss the "prognostic dysfunction" of economic theory. In the opinion of the other group of economists, to predict the crisis is not the task of economic theory and, therefore, the discussion about "prognostic dysfunction" is baseless. Proceeding from the general philosophical principle of impossibility to get accurate knowledge about the future, the article substantiates the impossibility of accurate ("point") forecast of financial and economic crisis. At the same time, on the basis of the so-called "calibration" there are separated "forecasting corridors," in which there is the highest probability of the generation of financial and economic crises

**Keywords:** Global financial and economic crisis, prognostic dysfunction of economic science, representative agent, the general economic equilibrium, point forecast, forecasting corridors, calibration.
**JEL Codes:** G01, F41, G15, G18

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 2, გვ. 24-30
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 2, pp. 24-30

# ლარის გაცვლითი კურსის დინამიკის სირთულის ანალიზი და პროგნოზირების პრაქტიკული გამოცდილება

***აკაკი გაბელაია***

*ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი,*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის*
*მოწვეული ასოცირებული პროფესორი*
*agabelaia@mail.ru*

ლარის დოლარზე გაცვლითი კურსის სირთულის ანალიზისა და პროგნოზირებისათვის, ჩატარებულია ამ მაჩვენებლის დინამიკის შინაგანი სირთულის ანალიზი თვეების ჭრილით. კერძოდ, ნაპოვნია ჰარსტის ექსპონენტა. თავის მხრივ, აქედან გამომდინარე განსაზღვრულია პროცესის „ფრაქტალური განზომილება“, რაც მის მეტისმეტად დიდ დანაწევრებულობაზე („ფრაქტალურობაზე“) მეტყველებს. გაანალიზებულია ამ მაჩვენებლის პროგნოზირების ავტორისეული გამოცდილება და მისი სიზუსტე.

**საკვანძო სიტყვები:** გაცვლითი კურსი; დინამიკის სირთულის ანალიზი; პროგნოზირება; ჰარსტის ექსპონენტა.

## საკითხის დასმა

როგორც ცნობილია, გაცვლითი კურსის პროგნოზირება, მისი ძალზე დიდი სირთულის გამო, ხშირად შეუძლებლადაც მიიჩნევა. ამასთან დაკავშირებით შევისწავლეთ მისი შესაბამისი დროითი მწკრივის ე.წ. შინაგანი სირთულის ანალიზის პრობლემა. კერძოდ, განვიხილეთ დოლარის ლარზე გაცვლითი კურსის დინამიკა (თვეების ჭრილით) 2003 წლის იანვრიდან, 2016 წლის თებერვლის ჩათვლით და შევეცადოთ მისი სირთულის შესწავლას, დროითი მწკრივების ანალიზის თანამედროვე მეთოდების გამოყენების ბაზაზე. ასევე, განვიხილეთ ამ მაჩვენებლის პროგნოზირების შესაძლებლობები.

## გაცვლითი კურსის დინამიკის შინაგანი სირთულის ანალიზი და პროგნოზირების პრობლემა

უპირველეს ყოვლისა ავაგოთ დოლარის ლარზე გაცვლითი კურსის დინამიკის გრაფიკი და ვიპოვოთ, ავტოკორელაციისა და კერძო კორელაციების ფუნქციები (იხ. ნახ. 1 და ცხრილი 1).

ნახ. 1. დოლარის ლარზე გაცვლითი კურსის დინამიკა (თვეების ჭრილით) [2003.01, 2016.02] პერიოდისათვის




როგორც ამ სიდიდის კორელაციებიდან ჩანს, პროცესი შემთხვევითი არ არის და ხასიათდება „გრძელვადიანი კორელაციებით“ [1, გვ. 67]. მხოლოდ მე-9 რიგის ავტოლორელაციაა „სუსტი“ ჩედდოკის სკალის მიხედვით [4, გვ. 28].

ამ მაჩვენებლის დინამიკის შინაგანი სირთულის შესწავლის მიზნით, ჩავატარეთ ე.წ. **მასშტაბირებული რანგების ანალიზი,** ანუ ვიპოვეთ **ჰარსტის** ექსპონენტა (ხარისხი) [1, გვ. 66]. ამისათვის საჭირო მონაცემები ნაჩვენებია ცხრილში 2, სადაც, $X - \overline{X}$ აღნიშნავს დროითი მწკრივის დევიაციას (გადახრას მისივე საშუალოდან), V(k) – ამ გადახრების ე.წ. ინტეგრირებულ, კუმულატიურ მნიშვნელობებს k სიგრძის პერიოდისათვის, R(**k**) – V(k) დროითი მწკრივის გაბნევის დიაპაზონს (k სიგრძის პერიოდისათვის), S(k) – შესაბამის სტანდარტულ გადახრას, log(R/S) კი – R(**k**)/V(k) ფარდობის ნატურალურ ლოგარითმს.

დოლარის ლარზე გაცვლითი კურსის ავტოკორელაციისა
და კერძო კორელაციების ფუნქციები

ცხრილი. 1

<table>
<tr><td colspan="7">Date: 03/03/16 Time: 04:45</td></tr>
<tr><td colspan="7">Sample: 2013M01 2016M02</td></tr>
<tr><td colspan="7">Included observations: 38</td></tr>
<tr><th>Autocorrelation</th><th>Partial Correlation</th><th></th><th>AC</th><th>PAC</th><th>Q-Stat</th><th>Prob</th></tr>
<tr><td>.|******* </td><td>.|******* </td><td>1</td><td>0.933</td><td>0.933</td><td>35.792</td><td>0.000</td></tr>
<tr><td>.|******|</td><td>.*| . |</td><td>2</td><td>0.854</td><td>-0.131</td><td>66.611</td><td>0.000</td></tr>
<tr><td>.|******|</td><td>.| . |</td><td>3</td><td>0.778</td><td>-0.013</td><td>92.898</td><td>0.000</td></tr>
<tr><td>.|***** |</td><td>.*| . |</td><td>4</td><td>0.692</td><td>-0.123</td><td>114.31</td><td>0.000</td></tr>
<tr><td>.|**** |</td><td>.| . |</td><td>5</td><td>0.603</td><td>-0.061</td><td>131.07</td><td>0.000</td></tr>
<tr><td>.|**** |</td><td>.| . |</td><td>6</td><td>0.514</td><td>-0.058</td><td>143.62</td><td>0.000</td></tr>
<tr><td>.|*** |</td><td>.| . |</td><td>7</td><td>0.427</td><td>-0.039</td><td>152.55</td><td>0.000</td></tr>
<tr><td>.|** |</td><td>.| . |</td><td>8</td><td>0.349</td><td>0.012</td><td>158.72</td><td>0.000</td></tr>
<tr><td>.|** |</td><td>.| . |</td><td>9</td><td>0.273</td><td>-0.050</td><td>162.63</td><td>0.000</td></tr>
<tr><td>.|*. |</td><td>.*| . |</td><td>10</td><td>0.184</td><td>-0.170</td><td>164.46</td><td>0.000</td></tr>
<tr><td>.|*. |</td><td>.*| . |</td><td>11</td><td>0.092</td><td>-0.088</td><td>164.94</td><td>0.000</td></tr>
<tr><td>.| . |</td><td>.| . |</td><td>12</td><td>0.014</td><td>0.017</td><td>164.95</td><td>0.000</td></tr>
<tr><td>.| . |</td><td>.| . |</td><td>13</td><td>-0.059</td><td>-0.030</td><td>165.16</td><td>0.000</td></tr>
<tr><td>.*| . |</td><td>.| . |</td><td>14</td><td>-0.120</td><td>0.018</td><td>166.08</td><td>0.000</td></tr>
<tr><td>.*| . |</td><td>.|*. |</td><td>15</td><td>-0.156</td><td>0.124</td><td>167.69</td><td>0.000</td></tr>
<tr><td>.*| . |</td><td>.*| . |</td><td>16</td><td>-0.190</td><td>-0.071</td><td>170.17</td><td>0.000</td></tr>
</table>

დაბოლოს, ნაპოვნია დამოკიდებულება log(R/S)-სა და LOG(@TREND/2)-s შორის, რასაც გრაფიკულად აქვს ნახ. 2-ზე ნაჩვენები სახე, რაოდენობრივად კი ასე აღიწერება:

LOGRS = 0.130296*LOG(@TREND/2).

სადაც LOGRS Lაღნიშნავს log(R/S)-ს, ხოლო @TREND – ხელოვნურ ტრენდულ ცვლადს.

დოლარის ლარზე გაცვლითი კურსის ჰარსტის ექსპონენტას
პოვნისთვის საჭირო მონაცემები

ცხრილი 2

| | $-ის კურსი (X) | $X - \bar{X}$ | V(k) | R(**k**) | S(k) | R(k)/S(k) | log(R/S) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ianv–13 | 1.6574 | -0.2831 | -0.2831 | - | - | - | - |
| Teb–13 | 1.6537 | -0.2868 | -0.5699 | 0.2868 | 0.20279636 | 1.41421356 | 0.150515 |
| mar–13 | 1.6577 | -0.2828 | -0.8527 | 0.5696 | 0.28479971 | 1.99998356 | 0.30102643 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| apr–13 | 1.6508 | -0.2897 | -1.1424 | 0.8593 | 0.36931501 | 2.32671858 | 0.36674386 |
| mais–13 | 1.6411 | -0.2994 | -1.4418 | 1.1587 | 0.45695467 | 2.53567703 | 0.40409394 |
| ivn–13 | 1.6509 | -0.2896 | -1.7314 | 1.4483 | 0.54239055 | 2.67019187 | 0.42654247 |
| ivl-13 | 1.6540 | -0.2865 | -2.0179 | 1.7348 | 0.62621095 | 2.77028726 | 0.44252481 |
| agv–13 | 1.6615 | -0.2790 | -2.2969 | 2.0138 | 0.70780098 | 2.84512402 | 0.4541012 |
| seqt–13 | 1.6644 | -0.2761 | -2.5730 | 2.2899 | 0.78783344 | 2.90655213 | 0.46337812 |
| oqt–13 | 1.6707 | -0.2698 | -2.8428 | 2.5597 | 0.86607616 | 2.95548642 | 0.47062897 |
| noem–13 | 1.6920 | -0.2485 | -3.0913 | 2.8082 | 0.94023285 | 2.98667897 | 0.47518854 |
| dek–13 | 1.7363 | -0.2042 | -3.2955 | 3.0124 | 1.00615802 | 2.99393434 | 0.47624227 |
| ianv–14 | 1.7819 | -0.1586 | -3.4541 | 3.1710 | 1.06168883 | 2.9867211 | 0.47519467 |
| Teb–14 | 1.7495 | -0.1910 | -3.6451 | 3.3620 | 1.1140982 | 3.01765659 | 0.47966982 |
| mar–14 | 1.7477 | -0.1928 | -3.8379 | 3.5548 | 1.16473045 | 3.052005 | 0.48458524 |
| apr–14 | 1.7709 | -0.1696 | -4.0075 | 3.7244 | 1.21210699 | 3.07263349 | 0.48751076 |
| mais–14 | 1.7719 | -0.1686 | -4.1761 | 3.8930 | 1.25719044 | 3.09655385 | 0.49087864 |
| ivn–14 | 1.7691 | -0.1714 | -4.3475 | 4.0644 | 1.30094281 | 3.12416137 | 0.49473346 |
| ivl–14 | 1.7418 | -0.1987 | -4.5462 | 4.2631 | 1.3459511 | 3.16731614 | 0.50069141 |
| agv–14 | 1.7360 | -0.2045 | -4.7506 | 4.4676 | 1.39250193 | 3.20828998 | 0.50627361 |
| seqt–14 | 1.7524 | -0.1881 | -4.9387 | 4.6556 | 1.43918104 | 3.23492823 | 0.50986465 |
| oqt–14 | 1.7544 | -0.1861 | -5.1248 | 4.8417 | 1.4859049 | 3.25844859 | 0.51301087 |
| noem–14 | 1.8368 | -0.1037 | -5.2285 | 4.9454 | 1.52731139 | 3.23800512 | 0.51027753 |
| dek–14 | 1.8636 | -0.0769 | -5.3054 | 5.0223 | 1.56296088 | 3.21334943 | 0.50695796 |
| ianv–15 | 2.0557 | 0.1152 | -5.1902 | 5.0223 | 1.58374206 | 3.17118525 | 0.50122161 |
| Teb–15 | 2.1654 | 0.2249 | -4.9653 | 5.0223 | 1.58872481 | 3.16123941 | 0.49985739 |
| mar–15 | 2.2275 | 0.2870 | -4.6783 | 5.0223 | 1.5804732 | 3.17774415 | 0.50211893 |
| apr–15 | 2.3093 | 0.3688 | -4.3095 | 5.0223 | 1.56158766 | 3.21617518 | 0.5073397 |
| mais–15 | 2.3112 | 0.3707 | -3.9388 | 5.0223 | 1.53695391 | 3.26772289 | 0.51424522 |
| ivn–15 | 2.2483 | 0.3078 | -3.6310 | 5.0223 | 1.5108141 | 3.3242604 | 0.52169504 |
| ivl–15 | 2.2792 | 0.3387 | -3.2923 | 5.0223 | 1.48556359 | 3.3807637 | 0.52901482 |
| agv–15 | 2.3465 | 0.4060 | -2.8863 | 5.0223 | 1.46426276 | 3.42994414 | 0.53528705 |
| seqt–15 | 2.3816 | 0.4411 | -2.4452 | 5.0223 | 1.45050218 | 3.46248323 | 0.53938768 |
| oqt–15 | 2.3980 | 0.4575 | -1.9877 | 5.0223 | 1.44757903 | 3.46947516 | 0.54026378 |
| noem–15 | 2.4051 | 0.4646 | -1.5231 | 5.0223 | 1.45806072 | 3.44453384 | 0.53713046 |
| dek–15 | 2.3949 | 0.4544 | -1.0687 | 5.0223 | 1.48305396 | 3.38648466 | 0.52974911 |
| ianv–16 | 2.4719 | 0.5314 | -0.5373 | 5.0223 | 1.52671021 | 3.2896482 | 0.51714946 |
| Teb–16 | 2.4778 | 0.5373 | 0.0000 | 5.3054 | 1.58943585 | 3.33793708 | 0.52347815 |

ამასთან, როგორც შესაბამისი გაანგარიშებებიდან ჩანს, თუმცა ამ რეგრესიის პარამეტრები საიმედოობით არ გამოირჩევა, კოეფიციენტის t-სტატისტიკა ძალზე მაღალია (47.6-ის ტოლი).

ნახ. 2. დამოკიდებულება log(R/S)-სა და **N**-ს შორის,
სადაც **N**-ით აღნიშნულია ῧLOG(@TREND/2




როგორც მიღებული შედეგებიდან ჩანს, თუმცა log(R/S) და log(**N/2**)-s შორის დამოკიდებულება წრფივი ნამდვილად არაა, მისი ჰარსტის ექსპონენტა (ცხადია, გარკვეული მიახლოებით) H=0,13-ს. აქედან გამომდინარე (ცხადია, ისევ მიახლოებით), ვღებულობთ, რომ პროცესის „ფრაქტალური განზომილება“ D=E+1-H=1+1-0.13=1.87, რაც საკმარისად დიდია და პროცესის ნაკლებად გლუვობასა და მეტისმეტად დიდ დანაწევრებულობაზე (`ფრაქტალურობაზე~) მეტყველებს.

გარდა ამისა, ჰარსტის ექსპონენტას მიღებული მნიშვნელობიდან გამომდინარე [1, გვ. 72] უნდა ჩავთვალოთ, რომ პროცესი `ანტიპერსისტენტულ~ ხასიათს ატარებს (ე.ი მას ახასიათებს გამოვლენილი ტენდენციის საწინააღმდეგოთი შეცვლა, მომდევნო დროითი შუალედისათვის) და რომ მისი საუკეთესო პროგნოზი წინა პერიოდისათვის გამოთვლილი საშუალო მნიშვნელობა იქნება.

## გაცვლითი კურსის პროგნოზირების პრაქტიკული გამოცდილება

რაც შეეხება ლარის გაცვლითი კურსის პროგნოზირების პრაქტიკას, ამ საკითხებთან ავტორს უშუალო შეხება ჰქონდა 1997-2004 წლებში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტში მუშაობისას.

ლარის გაცვლითი კურსის პროგნოზირების პრობლემა ჩვენს მიერ განხილული იყო ნაშრომებში [2, გვ. 65-68; 3, გვ. 186-193].

კერძოდ, [3]-ში გაკეთებული პროგნოზული შეფასებები ემყარებოდა ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს, თვეების ჭრილით, 2013 წლის იანვრიდან 2015 წლის ნოემბრამდე და შემუშავებულ მოდელებს შორის იყო ARMA-ს ტიპის მოდელიც, რომელიც ასე გამოიყურება:

DGK = 0 + [AR(1)=1.01197191169,MA(1)=0.456054498919,BACKCAST=2013M02, ESTSMPL=”2013M02 2015M11”] ,

სადაც DGK აღნიშნავს დოლარის ლარზე გაცვლითი კურსს, AR(1) წარმოადგენს პირველი რიგის ავტორეგრესიულ წევრს, ხოლო MA(1)=$u_{t-1}$ – პირველი რიგის მცოცავი საშუალოს ტიპის წევრს, სადაც $u_{t-1}$, მოცემული განტოლების ცდომილებაა (ნაშთითი წევრია, წინა პერიოდისათვის).

უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მოდელის დეტერმინაციის კოეფიციენტი 0,98-ის ტოლი იყო, კოეფიციენტთა t-**სტატისტიკები**, შესაბამისად, 202,3-სა და 2.8-ის ტოლი, ხოლო დარბინ-უოტსონის სტატისტიკა 1.9-ს უდრიდა. რაც მოდელის საკმაოდ მაღალ სიზუსტეზე მეტყველებს.

ვნახოთ, თუ როგორ შესრულდა ამ მოდელის ბაზაზე მიღებული პროგნოზული შეფასებები მას შემდეგ გასულ სამთვიან პერიოდში (როგორც ცნობილია, ასეთი მოდელების პროგნოზირების ჰორიზონტი საკმაოდ მცირეა). შესაბამისი მონაცემები მოცემულია ცხრილში 3.

გაცვლითი კურსის პროგნოზული და
ფაქტობრივი მნიშვნელობები

ცხრილი 3

| პერიოდი | $-ის ფაქტობრივი გაცვლითი კურსი | პროგნოზუ-ლი შეფასებები ARMA-ს ტიპის მოდელის ბაზაზე | პროგნო-ზის გადახრა ფაქტობ-რივისგან |
|---|---|---|---|
| 12.15 | 2.395 | 2.426 | 0. 031 |
| 01.16 | 2.472 | 2.455 | -0.017 |
| 02.16 | 2.478 | 2.485 | 0.007 |

როგორც ვხედავთ, ამ პერიოდში პროგნოზის მაქსიმალური ცდომილება 3.1 თეთრის ტოლია, საშუალო ცდომილება კი – 0,7 თეთრის ტოლი, რაც ცხადია, საკმარისად მაღალ სიზუსტედ უნდა ჩაითვალოს.

## ლიტერატურა:

1. მაჭარაშვილი თ., ჭელიძე თ. სირთულე ბუნების სტრუქტურასა და დინამიკაში (ფრაქტალები, ქაოსი და დროითი სერიების არაწრფივი ანალიზი). თბილისი, `გეოპრინტი~, 2000.
2. გაბელაია ა შეიძლება თუ არა გაცვლითი კურსის პროგნოზირება? ჟურნ. `გადასახადები~, 2000, # 6, მაისი.
3. გაბელაია ა., გაბელაია ლ. ლარის გაცვლითი კურსის პროგნოზირების პრობლემა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები, მართვის ავტომატიზებული სისტემები, თბილისი, 2015, .# 2(20).
4. კიკვაძე ტ., ბერიძე თ. ეკონომეტრიკის საფუძვლები. თბილისი, 2011.

## Georgian Lari Exchange Rate Dynamics Complexity Analysis and Its Forecasting Practical Experience

***Akaki Gabelaia***

*Doctor of Mathematical and Physical Sciences, Associate Professor*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

*agabelaia@mail.ru*

It is known that recently dynamics of an exchange rate and its forecasting problem is actual not only for the Georgian economy. Moreover, forecasting of exchange rate, in view of its complexity, often is considered impossible.

In this work there are considered problems of the analysis and forecasting of dynamics of an exchange rate Georgian Lari for Dollar. The analysis of internal complexity of this indicator in a monthly section is carried out. In particular, it's Hurt's exponent is found. From here, in return, the fractal dimension of process confirming the high level of it's fractality is defined. From this, the conclusion that process has "antipersistent" character (i.e. it is characterized by change of the revealed pas tendency opposite in the next period) and that the best projection can becomes average value of the previous period serves. Author's experience of forecasting of this indicator and the analysis of it's accuracy is provided.

**Keywords:** Exchange rate, complexity analysis of dynamics, forecasting, Hurst exponent.
**JEL Codes:** F30, F31, G15, G17

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 2, გვ. 31-50
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 2, pp. 31-50

# ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაციის ევროპული მოდელები და თანამედროვე გამოწვევები

*ია ნაცვლიშვილი*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის ასოცირებული პროფესორი*
**ia.natsvlishvili@tsu.ge**

საქართველოში აგრარული პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრისა და ფერმერული მეურნეობებისთვის პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციების შეთავაზებისთვის მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის საუკეთესო პრაქტიკის მქონე ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და გაზიარება. სტატიაში კაბინეტური კვლევის (ე.წ. სამაგიდო კვლევის) მეთოდის გამოყენებით განხილულია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და აგრარული პოლიტიკის უახლესი ტენდენციები მსოფლიოში, გაანალიზებულია ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაციის ევროპული მოდელები და წარმოჩენილია მათი თავისებურებები, ყურადღება გამახვილებულია ევროკავშირში საოჯახო ფერმერული მეურნეობების შესაძლებლობებსა და შეზღუდვებზე. დასაბუთებულია, რომ ევროკავშირში საოჯახო ფერმერული მეურნეობები მიჩნეულია სოფლის მეურნეობის ევროპული მოდელის საკვანძო ელემენტად, რომელსაც მრავალფეროვანი წვლილი შეაქვს ევროკავშირსა და, კერძოდ, მისი სასოფლო ტერიტორიების ეკონომიკაში (რურალურ ეკონომიკაში). ევროპაში ფერმერული მეურნეობების დაახლოებით 97% საოჯახო ფერმერული მეურნეობებია. ევროკავშირი თავისი აგრარული პოლიტიკით კვლავ აგრძელებს ხელი შეუწყოს მდგრადი და კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის წახალისებას.

**საკვანძო სიტყვები:** ფერმერული მეურნეობა; საოჯახო ფერმერული მეურნეობა; დივერსიფიკაცია; აგრარული პოლიტიკა.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაციის ძირითადი გამოწვევების იდენტიფიცირებისათვის მიზანშეწონილია ევროკავშირისა და, უფრო ზოგადად, მსოფლიო მასშტაბით სასოფლო-სამეურ-

ნეო წარმოებისა და, საეთოდ, აგრარული პოლიტიკის უახლესი ტენდენციების, ფერმერული მეურნეობის დივერსიფიკაციის მნიშვნელობისა და მოდელების მიმოხილვა, ევროკავშირში საოჯახო ფერმერული მეურნეობების შესაძლებლობებისა და შეზღუდვების გაანალიზება. ეს საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ აგრარული პოლიტიკის პრიორიტეტები და აგრობიზნესის სექტორში ბიზნეს-სუბიექტებისათვის პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, საუკეთესო პრაქტიკის მქონე ქვეყნების გამოცდილებას გავეცნოთ.

## სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და აგრარული პოლიტიკის უახლესი ტენდენციების მიმოხილვა

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან (FAO) ერთად, ერთობლივად მომზადებული ნაშრომი [9] „სოფლის მეურნეობის პერსპექტივა 2015“ გვთავაზობს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო საქონლის, ბიოსაწვავისა და თევზჭერის პროგნოზს 2024 წლისთვის. პროგნოზი მოიცავს არა მხოლოდ OECD-ს წევრ ქვეყნებს, არამედ FAO-ს წევრ ქვეყნებსაც, რომელთაგანაც აღსანიშნავია ბრაზილია, რუსეთის ფედერაცია, ინდოეთი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და სამხრეთ აფრიკა. პროგნოზის მიხედვით, მომდევნო ათი წლის განმავლობაში მოსალოდნელია რეალური ფასების შემცირება ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე. მოთხოვნის ზრდის შენელებული ტემპის პარალელურად, ადგილი ექნება გამოშვების მოცულობის ზრდას, რაც გამოწვეული იქნება მწარმოებლურობის ზრდით და რესურსების დაბალი ფასებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს შესაბამისობაშია გრძელვადიან საერთო რეცესიის ტენდენციასთან, საპროგნოზო ფასები დარჩება უფრო მაღალ დონეზე, ვიდრე ის ფასები, რომელთაც გამოიწვიეს 2007-08 წლებში ფასების მკვეთრი ვარდნა. მოთხოვნა გაპირობებული იქნება მსოფლიო ეკონომიკის ნელი აღდგენით და მოსახლეობის ერთ სულზე ძირითადი სასოფლო-სამეურნეო საქონლის მოხმარების ზრდით, რომელიც ბევრ განვითარებად ქვეყანაში მიაღწევს გაჯერების დონეს. მოთხოვნაში მთავარი ცვლილებები შეინიშნება განვითარებად ქვეყნებში, სადაც ადგილი აქვს ურბანიზაციას, მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის ზრდას, სურსათზე მოთხოვნის ზრდას. ამ ქვეყნებში გრძელდება მოსახლეობის ზრდა, თუმცა, ზრდის ტემპი კლებადია. მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის ზრდამ გამოიწვია მომხმარებლის კვების რაციონის მრავალფეროვნების ზრდა და ნახშირწყლების შემცველ პროდუქტებთან ერთად, მისი გამდიდრება ცხოველური ცილებით. ამ მიზეზით, სავარაუდოდ, მოიმატებს ხორცისა და რძის პროდუქტების ფასები მარცვლეულის ფასებთან შედარებით. მარცვლეულ კულტურებს შორის პირუტყვის საკვებად გამოყენებული კულტურების ფასები, სავარაუდოდ, გაიზრდება მოსახლეობის ძირითად საკვებად გამოყენებულ მარცვლეულის ფა-

სებთან შედარებით. ეს სტრუქტურული ტენდენციები, გარკვეულწილად, შესაძლოა, შეიცვალოს სპეციფიკური ფაქტორების (მაგალითად, მოთხოვნა სიმინდისგან წარმოებულ ეთანოლზე) გათვალისწინებით. ნავთობის დაბალი ფასები არის ფასების შემცირებაზე ზეწოლის წყარო, ძირითადად, ენერგიის და სასუქის ხარჯების შემცირების მიმართულებით მათი გავლენის გამო. უფრო მეტიც, ნავთობის საპროგნოზო დაბალი ფასების შედეგად, პირველი თაობის ბიოსაწვავის წარმოება საერთოდ არ არის მომგებიანი დამატებითი წახალისების გარეშე. არ არის მოსალოდნელი განხორციელდეს ისეთი პოლიტიკა, რომელიც გამოიწვევს აშშ-ში და ევროკავშირში ბიოსაწვავის წარმოების მნიშვნელოვან ზრდას. მეორე მხრივ, ბრაზილიაში, სავარაუდოდ, მოსალოდნელია შაქრით წარმოებული ეთანოლის წარმოების ზრდა საწვავის ნარევის სავალდებულო კოეფიციენტისა და საგადასახადო სტიმულების გზით. ასევე, მოსალოდნელია ინდონეზიაში ბიოდიზელის წარმოების აქტიური წახალისება.

აზიაში, ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდა ძირითადად განაპირობებული იქნება მოსავლიანობის გადიდებით. პროგნოზის მიხედვით, [9] სამხრეთ ამერიკაში ადგილი ექნება, როგორც მოსავლიანობის ამაღლებას, ასევე დამატებით სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების ათვისებასაც. წარმოების ყველაზე უფრო მოკრძალებულ ზრდას ადგილი ექნება აფრიკაში. თუმცა, შემდგომმა ინვესტიციებმა შესაძლოა მნიშვნელოვნად გაზარდოს მოსავლიანობაც და წარმოების მოცულობაც. პროგნოზის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო საქონლის ექსპორტირება განხორციელდება შედარებით უფრო მცირე რაოდენობის ქვეყნებიდან, ხოლო იმპორტი კიდევ უფრო დიდი რაოდენობის ქვეყნებში განხორციელდება. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო საქონლის მიმწოდებელი ქვეყნების რიცხვის შემცირება და მათი მნიშვნელობის ზრდა გლობალური ბაზრის მომარაგებაში ზრდის საბაზრო რისკებს. მათ შორის ისეთ რისკებს, რომლებიც უკავშირდება ბუნებრივ კატასტროფებსა და ვაჭრობის შემაფერხებელ ზომებს. შაბოლოოო ანგარიშით, სავარაუდოდ, ვაჭრობა გაიზრდება უფრო ნელა, ვიდრე წინა ათწლეულის განმავლობაში, მაგრამ შეინარჩუნებს სტაბილურ წილს გლობალურ წარმოებასა და მოხმარებასთან შედარებით. ზემოთ აღწერილი წინასწარი მონაცემები ასახავს მსოფლიოო აგრარულ ბაზრებზე მოთხოვნისა და მიწოდების ფუნდამენტურ პირობებს. თუმცა, პერსპექტივაში ვითარება დაკავშირებულია სხვადასხვა გაურკვევლობებთან, რომელთაგანაც ზოგიერთი შესწავლილია სტოქასტიკური ანალიზის საშუალებით. თუ მოსავლიანობის, ნავთობის ფასებისა და ეკონომიკური ზრდის ისტორიული ცვლილებების პროგნოზებს გავითვალისწინებთ, მაშინ საერთაშორისო ბაზარზე მომდევნო ათი წლის განმავლობაში, მინიმუმ ერთი მძიმე შოკის მაღალი ალბათობა, არსებობს.

OECD-ს აგრარული პოლიტიკის მონიტორინგისა და შეფასების 2015 წლის ანგარიში [10] მიმოიხილავს აგრარულ პოლიტიკას OECD-ს წევრ ქვეყნებსა და რიგ განვითარებად ეკონომიკებში, რომლებიც მნიშვნელოვანი მოთამაშეები

არიან მსოფლიო ბაზარზე. ასეთი 49 ქვეყნის წილად მოდის მსოფლიო მასშტაბით სოფლის მეურნეობაში შექმნილი დამატებული ღირებულების დაახლოებით 88%. ამ ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა ასახავს იმ განსხვავებულ როლებს, რომელსაც სოფლის მეურნეობა ასრულებს მათ ეკონომიკებში. მიუხედავად ქვეყნებს შორის სტრუქტურული განსხვავებებისა, მათ ახასიათებთ აგრარული პოლიტიკის საერთო მიზნები: სოფლის მეურნეობის და, უფრო ზოგადად, სასოფლო დასახლებების (რურალური რეგიონების) ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა, საკვები პროდუქტების წარმოების გრძელვადიანი ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფა, საკმარისი და მაღალი კვებითი ღირებულების საკვების წარმოება, რათა დაკმაყოფილდეს მზარდი მსოფლიო მოსახლეობის მოთხოვნა აგრარულ პროდუქტებზე. აგრარული პოლიტიკის სხვადასხვა მიდგომა ამ საერთო მიზნებს განსხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

OECD-ს მიერ გამოყენებული ერთ-ერთი მაჩვენებლის – მწარმოებელთა მხარდაჭერის შეფასების (PSE) მიხედვით, ერთობლივად, ამ ქვეყნებში 2012-14 წლებში სოფლის მეურნეობაში მეწარმეებს გადაეცათ წლიურად საშუალოდ 601 მლრდ (450 მლრდ ევრო). ამ ქვეყნებმა დამატებით დახარჯეს 135 მლრდ აშშ დოლარი (103 მლრდ ევრო) ზოგადი მომსახურებისთვის, რომელიც სექტორის საერთო ფუნქციონირებას უწყობს ხელს. OECD-ს ქვეყნებსა და განვითარებადი ეკონომიკების ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო სექტორში მწარმოებლების მხარდაჭერის საშუალო დონეები დროთა განმავლობაში ერთმანეთს უახლოვდება: 1990-იანი წლებიდან, საშუალოდ, განვითარებადი ეკონომიკების ქვეყნები მათი სოფლის მეურნეობის დაბეგვრიდან გადავიდნენ სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვან მხარდაჭერაზე. OECD-ს ქვეყნებში კი, ამგვარი მხარდაჭერის ისტორიულად ძალიან მაღალი დონის მიუხედავად, იგი საშუალოდ შემცირდა. ბოლო წლების განმავლობაში რამდენიმე დიდმა განვითარებადი ეკონომიკის ქვეყანამ მიაღწია OECD-ს ქვეყნებში სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის საშუალო დონეს. 2014 წელს განხილულ 49 ქვეყანაში ფერმერთა მთლიანი ფულადი შემოსავლების 18% მომდინარეობდა ფერმერთა მხარდამჭერი საჯარო პოლიტიკიდან.

OECD-ს ქვეყნებში, საერთო ანგარიშით, მიმდინარეობს თანდათანობით გადასვლა საბაზრო ფასის მხარდაჭერისა და რესურსების სუბსიდირების პოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებიდან ისეთ პოლიტიკაზე, რომელიც პირდაპირ არ ახდენს გავლენას ფერმერული მეურნეობის საწარმოო გადაწყვეტილებებზე. თუმცა, პოლიტიკის ასეთი ცვლილება შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობს ისეთ ქვეყნებში, რომელთათვისაც დამახასიათებელია სოფლის მეურნეობის დაცვისა და მხარდაჭერის მაღალი დონე. გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა ისეთი გრძელვადიანი პოლიტიკის პრიორიტეტების მიმართულებით, როგორიცაა გარემოსდაცვითი მდგრადობა, ინოვაცია და რისკის მენეჯმენტი. ამ მიმართულებით უფრო დიდი ძალისხმევაა საჭირო. ამავე დროს ზოგიერთი

განვითარებადი ქვეყნები მოძრაობენ საპირისპირო მიმართულებით და ნერგავენ ფასისა და წარმოების მხარდამჭერი პოლიტიკის ღონისძიებებს. გამოკვლეულ 49 ქვეყანაში ფერმერთათვის გაწეული დახმარების 67% პირდაპირ უკავშირდებოდა ფასის, გამოშვების მოცულობის ან რესურსების გამოყენების მხარდაჭერას [10].

## ფერმერული მეურნეობის დივერსიფიკაციის მნიშვნელობა და მოდელები

დივერსიფიკაციის განსაზღვრება დისკუსიისა და განხილვის საგანია მეცნიერთა ფართო წრისთვის. მკვლევარები იყენებენ სხვადასხვა მეთოდოლოგიურ მიდგომას ამ ტერმინის არსის განსზღვრისას. მაგალითად, ჰ. ჩაპლინი თავის ნაშრომში ტერმინის მნიშვნელობის ახსნას იწყებს ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონის განმარტებით და განაგრძობს მიმოხილვას სხვადასხვა მეცნიერის შრომების მიხედვით. როგორც ჰ. ჩაპლინი აღნიშნავს, ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონში დივერსიფიკაცია განმარტებულია შემდეგნაირად – „მრავალი განსხვავებული საგნების, მომსახურების და ა.შ. წარმოება, ხშირად როგორც კონკრეტულ პროდუქტზე მოთხოვნის დაცემის ეფექტისგან დამცავი საშუალება“ [1].

სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან მიმართებით დივერსიფიკაცია შესაძლებელია ოთხი სტადიისგან შედგარ პროცესად განვიხილოთ. საწყის სტადიაზე დივერსიფიკაცია ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების დონეზე, ხდება მონოკულტურის შეცვლა. მეორე სტადიაზე ფერმერულ მეურნეობას აქვს ერთზე მეტი სახეობის წარმოება, შეუძლია აწარმოოს და გაყიდოს მოსავალი წელიწადის სხვადასხვა დროს. მომდევნო ეტაპზე დიფერსიფიკაცია გაგებულია, როგორც შერეული სასოფლო-სამეურნეო წარმოება. საბოლოოდ, დივერსიფიკაციად განიხილება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მიღმა განხორციელებული საქმიანობა. ბოლოო სტადიაზე დივერსიფიკაციად მიიჩნევა არასტანდარტულობა [1] ტრადიციულ ფერმერულ საოჯახო მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებით. იგი მოიცავს ფერმერული მეურნეობის რესურსების გამოყენებას არა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის. ასეთი საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს ფერმერული მეურნეობის შიგნით გადამუშავებას, არა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და სერვისების მიწოდებას ფერმერული მეურნეობისათვის და ა.შ. დიფერსიფიკაციის ასეთი გაგება შეესაბამება ეკონომიკურ ლიტერატურაში დამკვიდრებულ დივერსიფიკაციის კონცეფციას, რომლის თანახმადაც დივესიფიკაცია წარმოადგენს წარმოების ფაქტორების ჭარბი სიმძლავრეების გამოყენების სტრატეგიას. წარმოების ფაქტორების ჭარბი სიმძლავრეები იწვევს საბაზრო ჩავარდას. თუ არ არსებობს აგრარული წარმოების ჭარბი ფაქტორების, მაგალითად მიწის, ან კაპიტალის ბაზრები, მაშინ მათი გამოყენე-

ბით პროდუქციის/მომსახურების შექმნა შესაძლებელია ფერმერული მეურნეობის შიგნით არა სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მეშვეობით.

ეს განსაკუთრებით საინტერესო შესაძლოა იყოს ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებისთვის (CEEC), სადაც კაპიტალისა და მიწის ბაზრები კვლავ განვითარების პროცესშია. ფერმერული საოჯახო მეურნეობის შრომითი რესურსები ზოგჯერ დივერსიფიკაციის პროცესში ჩართულად არ განიხილება. მაგალითად, ბრიტანეთის სოფლის მეურნეობის, სათევზე მეურნეობის და სურსათის სამინისტროს (MAFF) მიერ 1989 წელს ჩატარებულ დივერსიფიკაციის კვლევაში დივერსიფიკაციაში არ შედიოდა სამუშაო ძალის დასაქმება, სამაგიეროდ, შედიოდა საკონტრაქტო გარიგებები. ასე რომ, ბრიტანეთში დივერსიფიკაცია წარმოდგენილია ვიწრო კონცეფციის სახით და შემოისაზღვრება ფერმერულ მეურნეობაზე ორიენტირებული საქმიანობით. დივერსიფიკაციის ასეთი გაგება ბრიტანეთში გაპირობებული იყო პოლიტიკის პრიორიტეტებით, რომელიც უგულვებელყოფდა მცირე ფერმერულ მეურნეობათა პირობებს და ყურადღებას ამახვილებდა დიდ ფერმერულ მეურნეობებზე. მსხვილ ფერმერულ მეურნეობებისთვის ჭარბ საწარმოო ფაქტორებს წარმოადგენდა მიწა და კაპიტალი, მაშინ როცა მცირე ფერმერული მეურნეობებისთვის ყველაზე ხშირად ჭარბ საწამოო ფაქტორს სწორედ შრომა წარმაოდგენს. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გამოკითხვის შედეგები მოწმობს, რომ ფერმის გარეთ დასაქმება საოჯახო ფერმერულ მეურნეობათა არა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართვის ყველაზე უფრო ხშირად გავრცელებული საქმიანობაა.

საოჯახო ფერმერულ მეურნეობათა არა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის აღწერის მიზნით დივერსიფიკაციის ცნებასთან ერთად, სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია ისეთი ტერმინები, როგორიცაა მრავალფუნქციური (პლურალური) საქმიანობა (pluriactivity) და ფერმერული საქმიანობა არასრული დატვირთვით (part-time farming). ხშირად ეს ტერმინები ურთიერთშემცვლელებად გამოიყენება [1].

ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაციის არსის განსხვავებული გაგება და ცნების სხვადასხვაგვარი დეფინიცია გვხვდება სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურასა თუ სამთავრობო სტურქტურების ოფიციალურ დოკუმენტებში. **ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაცია, ზოგადად, წარმოადგენს ფერმერულ მეურნეობათა მიერ ტრადიციულ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან ერთად ახალი დამატებითი ფულადი შემოსავლების მომტანი საქმიანობის წამოწყებას ან ასეთი საქმიანობით ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო-საქმიანობის შეცვლას.** არსებობს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დივერსიფიკაციის შეფასების (გაზომვის) სხვადასხვა მიდგომა. მაგალითად, ერთ-ერთია ე.წ. მაქსიმალური პროპორციის ინდექსი – მთავარი საქმიანობის წილი ფერმერული მეურნეობის საერთო საქმიანობაში[11]. განვითარებად ქვეყნებში დივერსიფიკაციის ცნებაში ძირითადად იგულისხმება ერთი აგრარული პროდუქტის მეორეთი შენაცვლება, სასოფლო-სამეურნეო საქმია-

ნობით დაკავებულ მეურნეობათა რიცხვის ზრდა ან ერთი ფერმერული მეურნეობის მიერ საქმიანობის სახეობების რიცხვის გაზრდა. განვითარებულ ქვეყნებში დიფერსიფიკაციის ცნება ხშირად გულისხმობს ფერმერულ მეურნეობებში ისეთი საქმიანობის განხორციელებას, რომელიც არ შეიცავს აგრარულ წარმოებას. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის ბუნების დაცვის, სურსათისა და სასოფლო (რურალურ) საქმეთა დეპარტამენტი (DEFRA) დივერსიფიკაციას განსაზღვრავს შემდეგნაირად – „კომერციული სარგებლის მისაღებად ფერმერული მეურნეობის რესურსების სამეწარმეო გამოყენება არასასოფლო-სამეურნეო წარმოების მიზნით“. ასეთი განსაზღვრების საფუძველზე, დიდ ბრიტანეთში 2003 წელს ფერმერულ მეურნეობათა 56% დიფერსიფიცირებული იყო. დივერსიფიცირებულ საქმიანობათა უდიდეს წილს წარმოადგენდა ფერმერულ მეურნეობათა შენობების გაქირავება არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, ფერმერულ მეურნეობათა 9% ჩართული იყო გადამამუშავებელ საქმიანობასა და საცალო ვაჭრობაში, 3% სასტუმრო და სარესტორნო მომსახურებაში, ხოლო 7%-სპორტულ სერვისებსა და რეკრეაციულ საქმიანობაში. ზოგიერთ შემთხვევაში დივერსიფიკაცია განისაზღვრება უფრო ფართო გაგებით და მოიცავს ახალი მარკეტინგული შესაძლებლობების შექმნას. ზოგადად, სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონტექსტით, დივერსიფიკაცია შესაძლებელია განხილულ იქნეს, როგორც ფერმერულ მეურნეობათა ზოგიერთი საწარმოო რესურსის გადანაწილება სხვა სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისთვის, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში იგი განიხილება, როგორც ფერმერული მეურნეობების მიერ რესურსების გადანაწილება არა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, მაგალითად, სარესტორნო მომსახურებასა და საცალო ვაჭრობაში.

ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაციის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე მოქმედ ფაქტორთა შორის აღსანიშნავია [11]: რისკის შემცირება, დემოგრაფიული ცვლილებები, მომხმარებელთა ცვალებად მოთხოვნასა თუ სამთავრობო პოლიტიკის ცვლილებაზე რეაგირება, კლიმატის ცვლილების შედეგად საქმიანობის დივერსიფიკაცია, გარე შოკებზე რეაგირება, საექსპორტო პოტენციალის ცვლილებები და ა.შ. აგრარულ მეურნეობის დივერსიფიკაციაზე მოქმედი ფაქტორების, საფრთხეებისა და შესაძლებლობების მიმოხილვას გვთავაზობენ ბიზნეს-სუბიექტებისათვის პრაქტიკული რეკომენდაციების გაწევის მიზნით სხვადასხვა ქვეყნის ოფიციალური სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურების მიერ შექმნილი სხვადახვა სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურაც.

დივერსიფიკაციაზე მოქმედი ფაქტორებიდან აღსანიშნავია:

• **ცვალებადი სამომხმარებლო მოთხოვნა.** მსოფლიო მასშტაბით განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდა ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა. ამ ქვეყნების მოსახლეობის შემოსავლების ზრდას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა მოხმარების სტრუქტურაზე. ადამიანები შედარებით ღარიბული კვებითი რა-

ციონიდან გადადიან უფრო მრავალფეროვან – ცხოველური პროდუქტებით (კვერცხი, ხორცი, რძის პროდუქტები), ხილით და ბოსტნეულით მდიდარ კვებით რაციონზე. დინამიკურად მოქმედ ფერმერულ მეურნეობებს შეუძლიათ დივერსიფიცირება მოახდინონ ამ შესაძლებლობების გამოყენების მიზნით;

• **მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება.** განვითარებად ქვეყნებში სწრაფ ურბანიზაციას (რომელიც, მეორე მხრივ, შესაძლებელია საფრთხეც იყოს დივერსიფიკაციისთვის) აქვს მნიშვნელოვანი გავლენა მოხმარების სტრუქტურაზე. სულ უფრო მცირე რაოდენობის ფერმერებს უხდებათ სულ უფრო დიდი რაოდენობის მომხმარებლებისთვის პროდუქციის მიწოდება. ფერმერებს მოუწევთ სულ უფრო მზარდი რაოდენობის მომხმარებელთა დაკმაყოფილება. ეს პროცესი შესაძლებელია პირდაპირ სულაც არ ითვალისწინებდეს საქმიანობის დივერსიფიკაციას, მაგრამ აუცილებლად მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების ადაპტირებას;

• **დამატებითი ღირებულების შექმნა.** დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მოსახლეობისთვის დამახასიათებელია კვების პროდუქტებზე სპეციფიკური სამომხმარებლო მოთხოვნის სტრუქტურა, რომელიც სულ უფრო ფართოდ ვრცელდება განვითარებად ქვეყნებშიც. მისი არსი შემდეგია: მომხმარებელი სულ უფრო ნაკლებ დროს უთმობს საკვების მომზადებას, სულ უფრო მეტს მოითხოვს მზა საკვებს და შრომის დამზოგავ შეფუთვას საკვები პროდუქტებისთვის. ეს ტენდენცია შესაძლებლობას აძლევს ფერმერებს დივერსიფიკაცია მოახდინონ დამატებითი ღირებულების შექმნით, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც სუპერმარკეტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საცალო ვაჭრობაში;

• **ბაზრის შესაძლებლობების ცვალებადობა.** ფერმერებისა და ბაზრის დამაკავშირებელი არხების მაკონტროლებელი სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილებამ შესაძლებელია წარმოშვას დივერსიფიკაციის ახალი შესაძლებლობები;

• **კვების გაუმჯობესება.** განვითარებად ქვეყნებში ტრადიციული ძირითადი საკვები პროდუქტის მონოკულტურიდან შედარებით მრავალფეროვან საკვებზე გადასვლას შეუძლია წარმოშვას დივერსიფიკაციის ახალი შესაძლებლობები ფერმერებისათვის.

დივერსიფიკაციის პროცესის შემაფერხებელ ფაქტორთა (საფრთხებს) შორის აღსანიშნავია:

• **ურბანიზაცია.** განვითარებად ქვეყნებში სწრაფი ურბანიზაცია, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოადგენს შესაძლებლობას დივერსიფიკაციისთვის, მეორე მხრივ, შესაძლოა, ქმნიდეს საფრთხეებს. ქალაქების ზრდა იწვევს მიწის ფასის ზრდას, რაც აიძულებს ფერმერებს ეძებონ ქალაქების მახლობლად მდებარე მეურნეობებიდან უფრო მაღალი შემოსავლების მიღების გზები მეურნეობათა დივერსიფიკაციის საშუალებით. ხშირად, ეს ვითარება და გასაღების ბაზრებთან სიახლოვე, ურბანულ ადგილებთან ახლოს მდებარე ფერმერებს უბიძგებს საკუთარი მეურნეობის დივერსიფიცირებას მაღალი ღირებულების აგრარული პროდუქტების წარმოებაში;

• **რისკი.** ფერმერები კლიმატური პირობების ცვალებადობისა და ფასების მერყეობის მაღალი რისკების წინაშე დგანან. ორივე ამ რისკის საპასუხოდ დივერსიფიკაცია არის ლოგიკური საპასუხო ქმედება. ფერმერისთვის დივერსიფიცირებული პორტფელი უზრუნველყოფს რისკის შემცირებას ფერმერისთვის არახელსაყრელი კლიმატური პირობების და ფასების შემთხვევაში. ხშირად ფერმერები სწორედ დივერსიფიკაციის საპირისპიროდ იქცევან, რაც ზრდის რისკებს;

• **გარე საფრთხეები.** ექსპორტზე დამოკიდებული ფერმერები დგანან დამატებითი რისკების წინაშეც. კერძოდ, შესაძლოა პირობები მათ მიერ წარმოებული აგრარული პროდუქტების ბაზარზე შეიცვალოს არა სამომხმარებლო მოთხოვნის ცვლილების გამო, არამედ სამთავრობო პოლიტიკის ცვლილების (მაგ. საიმპორტო კვოტების გაუქმება) გამო.

• **შიგა პოლიტიკით გამოწვეული საფრთხეები.** სასოფლო-სამეურნეო წარმოება ზოგჯერ ხორციელდება მთავრობის მხრიდან სუბსიდიებით წახალისების შედეგად, რის გარეშეც თავისთავად ამგვარი წარმოება არამომგებიანი იქნებოდა. ამგვარი სუბსიდიების შემცირება ან საერთოდ გაუქმება, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფერმერებზე და მათ აძლევს დივერსიფიკაციის ან, ზოგიერთ შემთხვევაში, სუბსიდიებამდელ საქმიანობაზე დაბრუნების მძლავრ სტიმულებს;

• **კლიმატური პირობების ცვლილებით გამოწვეული საფრთხეები.** კლიმატის ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს სოფლის მეურნეობის კულტურების მოსაყვანად საჭირო ტემპერატურის და სეზონის ხანგრძლივობის ცვლილება, ასევე, ცვლილებები მეურნეობისთვის საჭირო წყლით მომარაგებაში. ეს ვითარება აიძულებს ფერმერებს მოახდინონ მეურნეობის დივერსიფიკაცია.

ჩრდილოეთ ირლანდიის ბიზნეს-რჩევებისა და გზამკვლევის ოფიციალური ონლაინ არხის მასალების მიხედვით [7], ფერმერული მეურნეობის დივერსიფიკაციად მიიჩნევა ტრადიციული ფერმერული მეურნეობის ფარგლებს გარეთ გასვლა ახალი დამატებითი ფულადი შემოსავლების მომტანი საქმიანობის წამოწყებით. უმრავლეს შემთხვევაში ფერმერული მეურნეობის დივერსიფიკაცია მოიცავს ტრადიციული ფერმერული საქმიანობიდან მის გადასვლას არა სასოფლო-სამეურნეო პროექტების განხორციელებაზე. ჩრდილოეთ ირლანდიაში ფერმერულ მეურნეობათა 10% დივერსიფიცირებულია. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მათ შორის ყველაზე უფრო წარმატებულები ირჩევდნენ დივერსიფიკაციის იმ ფორმას, რომელსაც თითქმის დაწყებისთანავე მოჰქონდა სტაბილური შემოსავალი. დივერსიფიკაციის პროცესის დასაწყებად მრავალი ფერმერი მხედველობაში იღებს შემდეგ გარემოებებს: გამოუყენებელი რესურსები, დაუკმაყოფილებელი ადგილობრივი მოთხოვნა, ფერმერის ცოდნა და უნარები, ფერმერის ინტერესთა სფერო. ტრადიციული ფერმერული მეურნეობის დივერსიფიკაციის და მისი სოფლის საწარმოდ გადაქცევის უპირატესობები მრავალგვარია: შემოსავლების ზრდა და უკეთესი ცხოვრების პირობები, ცვლილებებისადმი შეგუებადობა და ახალი შესაძლებლობებების ძიება, დაცულობა

და ფინანსური შემოსავლების სტაბილურობა, ტრადიციული ფერმერული საქმიანობის გაგრძელება და მის დასაფინანსებლად დამატებითი შემოსავლების მიღება, ახალი უნარებისა და ბიზნეს- კონტაქტების გაფართოება.

## ევროკავშის ქვეყნებში საოჯახო ფერმერული მეურნეობების შესაძლებლობები და შეზღუდვები

ევროპარლამენტის საშინაო პოლიტიკის გენერალური დირექტორატის პოლიტიკის დეპარტემენტის დავალებით შესრულებულ ერთ-ერთ ნაშრომში მკვლევარები განიხილავენ საოჯახო ფერმერული მეურნეობის განსაზღვრებას, გამოწვევებსა და მომავალ პერსპექტივებს ევროკავშირში [2]. ზოგიერთი გამოწვევა, მაგალითად, ბაზრის ცვალებადობა, კლიმატის ცვლილებები საერთოა ევროკავშირში ყველანაირი სტრუქტურის ფერმერული მეურნეობისთვის. ზოგიერთი გამოწვევა სპეციფიკურია მხოლოდ საოჯახო ფერმერული მეურნეობისათვის: მცირე ზომა, სურსათის მიწოდების ჯაჭვის ფარგლებში მოლაპარაკების პროცესში ძალაუფლების უქონლობა, ფერმერული მეურნეობის თაობათაშორისი მემკვიდრეობითობა. ევროკავშირში არსებობს არასაოჯახო და მსხვილი საოჯახო ფერმერული მეურნეობების როლის გაზრდის ტენდენცია. ამის მიუხედავად, საოჯახო ფერმერული მეურნეობა, ხშირად, პლურალური საქმიანობით ან/და დივერსიფიცირებული საოჯახო მეურნეობის სახით, პროგნოზის მიხედვით, უახლოეს მომავალში კვლავ დომინანტური იქნება ევროკავშირში არსებულ ფერმერულ მეურნეობათა სტრუქტურაში. ღონისძიებებს როგორც ევროკავშირის, ასევე ეროვნული პოლიტიკის დონეზე შეუძლია დახმარების გაწევა უფრო მდგრადი და მოქნილი საოჯახო ფერმერული მეურნეობების სექტორისათვის. საოჯახო ფერმერულ მეურნეობას ევროკავშიორში ეწევა მსხვილი, მცირე და ძალიან მცირე (ნახევრად „საარსებო საშუალებათა მწარმოებელ“ან ე.წ. „ცხოვრების სტილის მქონე“ semi-subsistence, or “lifestyle”)) ფერმერული მეურნეობები, რომლებსაც მართავენ აგრარულ მეურნეობაში მთლიანად ან არასრული დროით (part-time) დაკავებული ფერმერები. შემოსავლის მომტან სხვა საქმიანობასთან ერთად ზოგიერთი დაკავებულია სოფლის მეურნეობით და დამოკიდებულია შემოსავლის დივერსიფიცირებულ წყაროებზე.

ლუქსემბურგში, 1997 წლის დეკემბერში, ევროპული საბჭოს მიერ საოჯახო ფერმერული მეურნეობები მიჩნეულ იქნა სოფლის მეურნეობის ევროპული მოდელის საკვანძო ელემენტად. ეს მოდელი უნდა მოიცავდეს წარმოების სხვადასხვა ტიპის ერთობლიობას. საოჯახო ფერმერული მეურნეობის განსაზღვრებები და მნიშვნელობა, საოჯახო ფერმერული მეურნეობა ან „საოჯახო ფერმერი“ შესაძლებელია განისაზღვროს სხვადასხვანაირად როგორც ევროკავშირში, ასევე მსოფლიოში. დეფინიცია შესაძლებელია ეფუძნებოდეს ფერმერულ მეურნეობაში სამუშაო ძალის წილს, საკუთრებასა და კონტროლს (თაობათაშორისი მემკვიდრეობითობა), იურიდიულ

სტატუსს (ერთპიროვნული მფლობელი) ან ბიზნესის რისკის საკუთარ თავზე აღებას [2]. 2010 წელს ერთპიროვნულ მფლობელობაში მყოფი (სოლე-ჰოლდერ) საოჯახო ფერმერული მეურნეობები შეადგენდა ევროკავშირის საერთო ფერმერულ მეურნეობათა 85%-ს, მთლიანად გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო მიწების - გსსმ (UAA) - 68%-ს და მთლიანი სტანდარტული გამოშვების-სგ (SO)- 71%-ს. თუმცა, მათი მნიშვნელობა განსხვავებულია ევროკავშირის ქვეყნების მიხედვით. არა საოჯახო ფერმერული მეურნეობები იყენებდნენ გსსმ-ს ნახევარზე მეტს ჩეხეთის რესპუბლიკაში, სლოვაკეთში, ბულგარეთში, საფრანგეთში, ესტონეთში და აწარმოებდნენ სგ-ს ოთხ-მეხუთედს ჩეხეთის რესპუბლიკასა და სლოვაკეთში. ერთპიროვნულ მფლობელობის ფერმერული მეურნეობები გსსმ-ს მიხედვით ძირითადად 5 ჰა-ზე ნაკლებია ევროკავშირის სამხრეთის 15 ქვეყანასა და ახალი წევრების 13 ქვეყანაში. ასეთი ტიპის ფერმერული საოჯახო მეურნეობები უფრო მეტად არათანაბრადაა განაწილებული ზომის მიხედვით (გსსმ-ს მიხედვით 100 ჰა-ზე მეტი) ევროკავშირის ჩრდილოეთის 15 ქვეყანაში. საოჯახო ფერმერული მეურნეობები ევროპაში უმეტესად სულაც არ არის „გლეხური" მეურნეობები.

საოჯახო სამუშაო ძალა წარმოადგენს მთავარ ფაქტორს საოჯახო ფერმერული მეურნეობის მოქნილობისა და ელასტიკურობისთვის. მისი წილი ფერმერული მეურნეობის მთლიან სამუშაო ძალაში დამოკიდებულია ფერმერული მეურნეობის ზომაზე, მემცენარეობასა და მეცხოველეობას შორის არჩევანზე, არის თუ არა ფერმერული მეურნეობა ორგანული თუ ჩვეულებრივი მეურნეობა. საოჯახო ფერმერული მეურნეობები ხშირად სოფლის მეურნეობაში არასრულად დაკავებული, პლურალური საქმიანობის და/ან დივერსიფიცირებული ფერმერული მეურნეობებია. ამდაგვარად, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა შინამეურნეობათა მთლიან შემოსავალში დიდად განსხვავებულია და იცვლება შემოსავლის ერთადერთი წყაროდან მთლიან შემოსავალში უმნიშვნელო მცირე კომპონენტამდე. საოჯახო ფერმერულ მეურნეობებს მრავალფეროვანი წვლილი შეაქვთ ევროკავშირსა და მის სასოფლო ტერიტორიების ეკონომიკაში. ისინი არიან სასურსათო უსაფრთხოების მთავარი კონტრიბუტორები, უზრუნველყოფენ რა მაღალხარისხოვანი და მრავალფეროვანი პროდუქციის უწყვეტად მიწოდებას. ისინი აძლიერებენ სასოფლო დასახლებების ეკონომიკას (rural economy) და აქვთ გრძელვადიანი ბუნებისდაცვითი თვალსაზრისით მიწის მოვლის ინტერესი. არასაოჯახო ფერმერულ მეურნეობებსაც შეაქვთ თავისი წვლილი ამ მიმართულებებით, მაგრამ საოჯახო ფერმერულ მეურნეობათა აბსოლუტურად დიდი რიცხვის და მათი მცირე ზომის გამო, ხშირად საოჯახო ფერმერულ მეურნეობათა წვლილი უფრო შესამჩნევია.

ევროკავშირში საოჯახო ფერმერულ მეურნეობათა გამოწვევებს შორის ზოგიერთი გამოწვევა სპეციფიკურია მხოლოდ საოჯახო ფერმერული მეურნეობისათვის, ზოგიერთი კი საერთოდ დამახასიათებელია ყველა ფერმერული მე-

ურნეობებისათვის: მცირე ზომა, საწარმოო ფაქტორებზე (ძირითადად, მიწა და კაპიტალი) წვდომის შეზღუდულობა, სურსათის მიწოდების ჯაჭვის ფარგლებში მოლაპარაკების ძალაუფლების უქონლობა, ფერმერული მეურნეობის თაობათაშორისი მემკვიდრეობითობა, კონკურენცია არა მხოლოდ ეფექტიანობისა და მასშტაბის მიხედვით, არამედ ინოვაციებსა და მეწარმეობაში, კლიმატის ცვლილებები, ახალი ტექნოლოგიების (მაგ. გენეტიკური ინჟინერიის მიღწევების) დანერგვა.

საოჯახო ფერმერულ მეურნეობებისთვის საჭიროა ერთმანეთთან თანამშრომლობა საწამოო ორგანიზაციების სხვადასხვა ფორმის, მაგალითად, კოოპერატივების მეშვეობით, რათა ისარგებლონ მასშტაბის ეკონომიის უპირატესობით და მოიპოვონ ძალაუფლება მოლაპარაკებების პროცესში ბაზრებსა და სურსათის მიწოდების ჯაჭვში, თუმცა, ევროკავშირის ბევრ ახალ წევ-სახელმწიფოში შეიმჩნეოდა კოოპერაციისადმი ძლიერი წინააღმდეგობა და ადგილი ჰქონდა კოოპერატივების გაკოტრების შემთხვევებს. ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობისა და გარემოსდაცვითი მდგრადი მენეჯმენტი წარმოშობს საოჯახო ფერმერული მეურნეობებისათვის კომპლექსურ გამოწვევას. ზოგჯერ მცირე საოჯახო მეურნეობებს არ შეუძლიათ მენეჯმენტის ხარჯების გაწევა, ხშირად განიცდიან ინფორმაციის, ცოდნისა და უნარების ნაკლებობას, რომელიც საჭიროა თანამედროვე გარემოსდაცვითი მდგრადი მენეჯმენტისათვის. საოჯახო ფერმერული მეურნეობების რამდენიმე გამოწვევა ტერიტორიული განლაგებიდან გამომდინარეობს, მაგალითად, ბაზრებიდან შორს მდებარე მთიანი რეგიონები ან ნაკლებად განვითარებული რეგიონები დასაქმების მწირი შესაძლებლობებით.

ევროკავშირში ფერმერულ მეურნეობების თანამედროვე გამოწვევების განსახილველად ყურადღება უნდა გამახვილდეს კვლავ ევროკავშირში საოჯახო ფერმერულ მეურნეობათა მომავლის პერსპეტივებსა და გამოწვევებზე, რადგანაც ფერმერულ მეურნეობათა აბსოლუტურ უმრავლესობას სწორედ რომ საოჯახო ფერმერული მეურნეობები წარმოადგენს. განსხვავებით არასაოჯახო ფერმერულ მეურნეობათა სექტორისაგან, საოჯახო ფერმერულ მეურნეობებათა სექტორში მომავალი ცვლილებების მთავარი მამოძრავებელი ეკონომიკური ძალა იქნება ფერმერულ მეურნეობათა შემოსავლებსა და ეკონომიკის სხვა დანარჩენ სექტორებში შინამეურნეობათა შემოსავალთა განსხვავება. ტექნოლოგიური პროგრესი და სტრუქტურული ცვლილებები დააბალანსებს ზოგიერთი, მაგრამ არა ყველა, საოჯახო ფერმერულ მეურნეობათა ეფექტიანობის ნაკლოვანებებს_[2].

მცირე საოჯახო ფერმერულ მეურნეობათა გაქრობისა და მსხვილ საოჯახო ფერმერულ მეურნეობათა ზრდის პროცესი არათანაბრი იქნება ევროკავშირის ტერიტორიაზე. იგი დამოკიდებული იქნება ადგილობრივ ეკონომიკურ და ბიოფიზიკურ პირობებზე. უფრო მეტად განვითარებულ სასოფლო ტერიტორიებზე შედარებით მეტი დასაქმების შესაძლებლობებით საოჯახო ფერმერული მეურნეობების ფუნქციონირება შესაძლებელია შენარჩუნებულ იქნეს

პლურალური საქმიანობით და დივერსიფიკაციით. ევროკავშირის ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში ადგილობრივი მიწის ბაზრის რეგულაციები კვლავაც გააგრძელებენ მოიჯარე ფერმერებისა და ადგილობრივი მიწის მესაკუთრეების დაცვას, გააკონტროლობენ ან აკრძალავენ ე.წ. `მიწის ხელში ჩაგდებას~- მიწის მსხვილმასშტაბიან შენაძენებს, რაც ზღუდავს მომავალში საოჯახო ფერმერულ მეურნეობების ზრდისათვის ხელმისაწვდომი მიწის ფართობებს.

ევროკავშირის დონეზე ერთიანი აგრარული პოლიტიკის (Common Agricultural Policy, CAP) ინსტრუმენტები, განსაკუთრებით კი მისი ე.წ. პირველი მდგენელი (Pillar 1), არ შეიძლება გაანალიზდეს საოჯახო და არასაოჯახო ფერმერული მეურნეობების ჭრილით, არამედ უნდა განხილულ იქნეს მსხვილი და მცირე ფერმერული მეურნეობების ჭრილით. სწორედ მცირე ფერმერული მეურნეობების უდიდესი ნაწილი არის საოჯახო მეურნეობების ფარგლებში. რამდენადაც პირველი მდგენელის შესაბამისად განხორციელებული ტრანსფერები წარმოადგენს შემოსავლის შედარებით უფრო მეტად გარანტირებულ ნაკადს, იგი ხელს უწყობს კრედიტზე ხელმისაწვდომობას. საჭიროა მცირე საოჯახო ფერმერული მეურნეობების მხარდაჭერის სქემების განხორციელება [2]. როგორც ევროპარლამენტის სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების კომიტეტის (COMAGRI) 2013 წლის 14 ოქტომბრის ანგარიშში- `მცირე აგრარული ჰოლდინგების მომავლის შესახებ~ (მომხსენებელი Czesław Adam Siekierski) აღნიშნულია, მცირე საოჯახო ფერმერული მეურნეობები წარმოადგენს ევროპის სასოფლო დასახლებების არსებით ნაწილს. ისინი აწარმოებენ მრავალ საზოგადოებრივ საქონელს, ხელს უწყობენ ლანდშაფტის მრავალფეროვნების დაცვას, ხშირად წარმოადგენენ მილიონობით ადამიანის საარსებო წყაროს, ასაზრდოებენ სოფლად მრავალსაუკუნოვან სახალხო ტრადიციებსა და წესჩვეულებებს. ხშირად,Bოჯახების მრავალი თაობა ეწევა ასეთ მცირე საოჯახო ფერმერულ მეურნეობას [4]. Yამიტომ ევროკავშირის ფონდებისა და წევრი სახელმწიფოების მხრიდან საჭიროა ქმედითი ღონისძიებები მცირე და საოჯახო ფერმერული მეურნეობების ინტერესების მხარდასაჭერად.

## დივერსიფიკაციის შესაძლებლობები და საზღვრები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია არის ერთერთი ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს მცირე ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაციის ხელშეწყობას, ქმნის და ავრცელებს საინფორამციო მასალას ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაციის შესაძლებლობების შესახებ. სოფლის მეურნეობის დივერსიფიკაციის შესაძლებლობების იდენტიფიცირებასა და ფერმერული მეურნეობებისათვის რჩევებისა თუ პრაქტიკული რეკომენდაციების უსასყიდლოდ გასაწევად, ევროკავშირში არსებობს მრავალი ოფიციალური სამთავრობო სტრუქტურული ერთეული და ნაირგვარი არასამთავრობო ორგანიზაცია. მაგალითად, დიდი

ბრიტანეთის მთავრობის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია ფერმერული ბიზნესის დივერსიფიკაციის გზამკვლევი, რომელიც ფერმერული მეურნეობებს მრავალ პრაქტიკულ რჩევას სთავაზობს [3]. დივერსიფიკაციის შესაძლებლობები კონკრეტული ფერმერული მეურნეობისათვის შესაძლოა იყოს საკუთარ ფერმაში არა აგრარული ბიზნეს-საქმიანობის წამოწყება შემდეგი მიმართულებებით:

• ტურისტული განთავსების ადგილები, მაგალითად, საოჯახო სასტუმროები;

• საცალო ვაჭრობა და კვების ობიექტები, მაგალითად, ფერმის მაღაზია და კაფე;

• სოფლის ტურიზმი, მაგალითად, ფერმის ღირსშესანიშნაობები და ატრაქციონები;

• ფერმის ზოგიერთი ნაგებობების სხვა დანიშნულებით გამოყენება, მაგალითად, საოფისედ;

• არა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, მაგალითად ტკბილეულის და ლუდის, დამზადება და გაყიდვა;

• სასოფლო რეწვისა და ხელოსნობის ტრენინგების შეთავაზება და სტიმულირება;

• დამატებული ღირებულების შექმნა, მაგალითად, შებოლილი სასურსათო პროდუქტების, ყველის და ნაყინის დამზადება;

• ენერგო ბაზარი, მაგალითად ხის საწვავის პროექტები.

დივერსიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას ფერმერმა უნდა გაითვალისწინოს მნიშვნელოვანი გარემოება: არსებულ საქმიანობასთან შედარებით, ახალი საქმიანობა მოუტანს თუ არა უფრო მაღალ შემოსავალს იგივე ან უფრო ნაკლები რისკის პირობებში. ფერმერული მეურნეობისთვის ახალი საქმიანობის დაწყების ტექნიკური შესაძლებლობა სულაც არ ნიშნავს, რომ მსგავსი დივერსიფიკაცია სასურველია მათ ხელთ არსებული რესურსების პირობებში. გასათვალისწინებელია ისიც, არსებობს თუ არა ახალი საქმიანობით წარმოებული პროდუქტებისთვის გასაღების ბაზრები.

ევროპარლამენტის საშინაო პოლიტიკის გენერალური დირექტორატის პოლიტიკის დეპარტამენტის დავალებით შესრულებულ ერთ-ერთ ნაშრომში, ავტორები აანალიზებენ ევროკავშირში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მხარდამჭერი პოლიტიკის სხვადასხვა ინსტრუმენტის შესაძლებლობებსა და შეზღუდვებს. მათი დასკვნით [6]: ერთიანი აგრარული პოლიტიკის პირველი ინსტრუმენტის ე.წ პირველი მდგენელის მეშვეობით, უაღრესად მნიშვნელოვანი მოცულობის ტრანსფერები განხორციელდა საოჯახო ფერმერული მეურნეობების მხარდასაჭერად, რამაც უზრუნველყო მრავალი საოჯახო ფერმერული მეურნეობის გადარჩენა და მათი ბიზნესში დარჩენა. თუმცა, უფრო მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელსაც მოიცავს CAP-ის მეორე ინსტრუმენტი ე. წ. მეორე მდგენელი, ევროკავშირში ფერმერული საოჯახო მეურნეობების სპეციფიკური

გამოწვევების დასაძლევად იყო და არის უფრო შედეგიანი. ევროპის ფერმერული მეურნეობების 97% საოჯახო ფერმერული მეურნეობებია, რომლებიც მოიცავს მსხვილ და მცირე, სრული და არასრული დატვირთვით მომუშავე ფერმერულ მეურნეობებს. მათთვის დამახასიათებელი გამოწვევები განსხვავებულია წევრი სახელმწიფოების, ფერმერული მეურნეობის ზომისა თუ სტრუქტურის მიხედვით. შესაბამისად, მთლიანად ევროკავშირის დონეზე ერთიანი პოლიტიკის შემუშავება საკმაოდ რთულია.

მიუხედავად იმისა, რომ საოჯახო ფერმერული მეურნეობები ევროპული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ცენტრალური ღერძია, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში იყო და კვლავაც არის მხარდაჭერილი CAP-ის მეშვეობით, მაინც არსებობს მრავალი შიგა თუ გარე ფაქტორი, რომელიც წარმოადგენს საფრთხეს მათთვის. CAP-ის პირველი ინსტრუმენტის ე.წ პირველი მდგენელის მეშვეობით განხორციელებული ტრანსფერები ხშირად გაკრიტიკებულია, რადგან მიჩნეულია, რომ იგი უპირტესობას ანიჭებს მსხვილ და პროდუქტიულ ფერმერულ მეურნეობებს, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, მსხვილი ფერმერული მეურნეობაც საოჯახო მეურნეობაა. CAP-ის პირველი ინსტრუმენტის მეშვეობით განხორციელებული ტრანსფერები მიწის ფართობის ოდენობაზე დაფუძნებული ტრანსფერებია. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ იგი იწვევს მიწის ფასის ზრდას. ამის შედეგად კი მცირდება საოჯახო მეურნეობებისათვის და აგრარულ სექტორში სხვა დამწყებთათვის მიწაზე ხელმისაწვდომობა. CAP-ის მეორე ინსტრუმენტი ე.წ. მეორე მდგენელი იყო და არის უფრო შედეგიანი ევროკავშირში ფერმერული საოჯახო მეურნეობების სპეციფიკური გამოწვევების დასაძლევად. მისი მეშვეობით ხორციელდება სასოფლო ტერიტორიებზე დასაქმებისა და ეკონომიკური აქტივობის სტიმულირება, რაც ხელს უწყობს მრავალი საოჯახო ფერმერული მეურნეობის დივერსიფიკაციას და პლურალური აქტივობების განხორციელებას. CAP-ის მეორე ინსტრუმენტის სქემებს აქვს დამხმარე ხასიათი, რაც განაპირობებს იმას, რომ საოჯახო ფერმერულ მეურნეობაზე მათი საბოლოო გავლენა დამოკიდებულია წევრი სახელმწიფოების დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

CAP-ის ინსტრუმენტები 2014-2020 წლებისათვის ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მხარდაჭერის შედარებით უფრო ეფექტიანი სქემების განხორციელებას. ევროკავშირში „მცირე ფერმერთა სქემა“ [6] შესაძლებლობას მისცემს ბევრ მცირე ფერმერს, ისარგებლოს CAP-ის შესაძლებლობებით. ეს განსაკუთრებით მისაღები იქნება წევრი სახელმწიფოებისათვის. თუმცა კვლავ დისკუსიის საგნად რჩება მცირე ფერმერული მეურნეობის განსაზღვრა და მხარდაჭერის სქემით სარგებლობის უფლების კრიტერიუმები. ასევე, რძეზე კვოტების გაუქმება გამოიწვევს სექტორში მაღალი რენტის ელიმინაციას და საშუალებას მისცემს ფერმერებს გახდნენ უფრო ბაზარზე ორიენტირებულები. ახალი CAP-ის ე.წ. მეორე ინსტრუმენტი – მეორე მდგენელი განსაკუთრებულ ფოკუსირებას ახდენს საოჯახო ფერმერული მეურნეობებისათვის ცოდნისა და

ინოვაციების ტრანსფერზე. ეს საშუალებას მისცემს საოჯახო ფერმერულ მეურნეობებს სწრაფად დანერგონ ახალი ცოდნა, მეცნიერების უახლესი მიღწევები, ახალი ტექნოლოგიები საკუთარ ფერმებში და შედეგად, მიიღონ ეკონომიკური სარგებელი. გარდა ამისა, ევროკავშირის სასოფლო ტერიტორიების განვითარების პროგრამით დამწყებ ახალგაზრდა ფერმერთა დახმარება მნიშვნელოვნად გაძლიერებულია, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი დაკავშირებულია CAP-ის პირველი ინსტრუმენტის ფარგლებში გათვალისწინებულ თანხებთან. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მიმდინარე პროგრამა არ ითვალისწინებს თანხებს პენსიაზე ადრე გასვლის სქემებთან დაკავშირებით. კვლევამ აჩვენა, რომ ფერმერული მეურნეობის თაობათა შორის წარმატებული გადაცემა დიდად არის დამოკიდებული დაგეგმვაზე, დროზე, ურთიერთნდობასა და ორივე თაობის მიერ გადაცემის პროცესის საერთო გაგებაზე. ერთი თაობიდან მეორე თაობისთვის გადაცემის ხელშეწყობისთვის ეფექტიანი იარაღი შესაძებელია აღმოჩნდეს მემკვიდრეობის გადაცემის დაგეგმვის სპეციალისტის რჩევები და დახმარება ისეთი ალტერნატიული ბიზნეს-მოდელების შემუშავებისთვის, რომლებიც საშუალებას მისცემს ორ თაობას „გაინაწილონ“ მართვის პასუხისმგებლობა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 2014 წლის საოჯახო ფერმერულ მეურნეობათა საერთაშორისო წლად გამოცხადებასთან დაკავშირებით, ევროპული კომისიის კომისრის კიოლოშის მისასალმებელ სიტყვაში [5] აღნიშნულია, რომ „საოჯახო ფერმერული მეურნეობები ის საფუძველია, რასაც დაეფუძნა ევროპის ერთიანი აგრარული პოლიტიკა. ის რჩება ევროპული სოფლის მეურნეობის ცენტრში როგორც კონკურენტუნარიანობის, ზრდის და დასაქმების, დინამიკური და მდგრადი სასოფლო ტერიტორიების ეკონომიკის მძლავრი გენერატორები... ევროპაში ფერმერული მეურნეობების (ჰოლდინგების) 95%-ზე მეტი საოჯახო ფერმერული მეურნეობებია. თავისი მრავალფეროვნებით ისინი ერთდროულად აწარმოებენ კერძო და საზოგადოებრივ საქონელს: ისინი უზრუნველყოფენ ჯანსაღი სურსათის წარმოებას და, ასევე, ქმნიან სამუშაო ადგილებს, ინახავენ სასოფლო ცხოვრების წესს და სასოფლო თემებს, ბუნებრივ რესურსებს და ბიომრავალფეროვნებას. ევროკავშირი, თავისი ახალი ერთიანი აგრარული პოლიტიკით გააგრძელებს ხელი შეუწყოს მდგრადი და კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის წახალისებას, განითარებას და გაძლიერებას. გულითადად მივესალმები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 2014 წლის საოჯახო ფერმერული წარმოების საერთაშორისო წლის დაწყებას და მის მიზანს, ხელი შეუწყოს და გააძლიეროს **სოციალურად ღირებულ, ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიან და გარემოსდაცვის თვალსაზრისით მდგრად მოდელს“.**

აღსანიშნავია, რომ დებატებში მკვლევარები და პოლიტიკოსები ხშირად საოჯახო ფერმერული მეურნეობების ცნებაში სხვადასხვა მნიშვნელობას მოიაზრებენ. ზოგჯერ საოჯახო ფერმერულ მეურნეობად მოიაზრებენ მცირე ფერ-

მერულ მეურნეობებს, რომლებიც წარმოადგენს მთლიანი ფერმერული მეურნეობების დაახლოებით სამ მეოთხედს, მაგრამ მოიცავს მთლიანი სასოფლო-სამეურნეო მიწების მხოლოდ ორ მეხუთედს. ბუნდოვანი რჩება, გულისხმობს თუ არა ევროკავშირის აგრარული პოლიტიკის ინსტრუმენტები სწორედ მათ მხარდაჭერას. სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირება და წევრი სახელმწიფოების დონეზე პოლიტიკის ადაპტირება შესაძლებელი ხდება. ზოგიერთ მკვლევართა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების თვალსაზრისით, ევროკავშირის აგრარულმა სექტორმა ბოლო ათწლეულებში განიცადა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ტრანსფორმაცია. მცირე ზომის საოჯახო ფერმერული მეურნეობებიდან იგი მოძრაობდა მსხვილ, კაპიტალინტენსიურ, სრულად მექანიზებულ, სპეციალიზებულ და ინდუსტრიალიზებულ ფერმერული მეურნეობის მიმართულებით. კორპორაციული აგრარული ბიზნესი აღმავლობას განიცდიდა მაშინ, როცა მცირე და საშუალო ზომის აგრარული კომპანიები ბაზრიდან გადიოდნენ.

2010 წლის მონაცემებით [8], ევროკავშირში საშუალოდ 14,2 ჰა-ს მიწის ფართობის მქონე დაახლოებით 12 მლნ ფერმერული მეურნეობა/ჰოლდინგი არსებოდა. მათი უდიდესი ნაწილი წარმოადგენდა საოჯახო ფერმერულ მეურნეობებს, რომლებიც ფუნქციონირებდა როგორც ოჯახური მმართველობის მქონე ბიზნესები და ფერმერული მეურნეობა მემკვიდრეობით გადაეცემოდა თაობიდან თაობას. საოჯახო ფერმერული მეურნეობის მნიშვნელობის ერთ-ერთი ინდიკატორია ის ფაქტი, რომ 2010 წელს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა დაახლოებით სამი მეოთხედი (77.8 %) იყო საოჯახო ფერმერული მეურნეობის მფლობელი ან მისი ოჯახის წევრი. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად ირლანდიასა და პოლონეთში მათი წილი შეადგენდა 90%-ზე მეტს. მხოლოდ მცირე რაოდენობით ცალკეულ ქვეყნებში, მაგალითად საფრანგეთში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, სლოვაკეთში სამუშაო ძალაში უმრავლესობას შეადგენდნენ არა ოჯახის წევრი დასაქმებულები. მსხვილი კორპორაციული ფერმერული მეურნეობები ძირითადად ფუნქციონირებდა დაქირავებული შრომის გამოყენებით მეცხოველეობაში, ყოფილი სახელმწიფო და კოლექტიური მეურნეობების გარდაქმნის შედეგად შექმნილ საწარმოებში ძირითადად ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომლებსაც მანამდე ჰქონდათ ცენტრალიზებული გეგმიანი ეკონომიკა. თუმცა, ცალკეული მცირე რაოდენობის წევრი სახელმწიფოების გამოკლებით, მსხვილი კოპროპაციული ფერმერული მეურნეობები მოიცავს დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო მიწების და აგრარული წარმოების შედარებით მცირე წილს.

ევროკავშირის მასშტაბით განსხვავებული ზომის საოჯახო ფერმერული მეურნეობები ფუნქციონირებს [8]. 2010 წლის მონაცემებით, ერთი მხრივ, არსებობდა ძალიან მცირე (მიწის 2 ჰა-ზე ნაკლები ფართობით) ფერმერული მეურნეობების დიდი რაოდენობა (5,7 მლნ ანუ ფერმერულ მეურნეობათა / ჰოლდინგების დაახლოებით ნახევარი), რომლებიც ამუშავებდა მთლიანი სა-

სოფლო-სამეურნეო მიწის მცირე (2.5%) ნაწილს. მეორე მხრივ, არსებობდა ძალიან მსხვილი (მიწის 100 ჰა ფართობით) ფერმერული მეურნეობების მცირე რაოდენობა (მთლიან ფერმერულ მეურნეობათა/ჰოლდინგების 2.7% ), რომლებიც ამუშავებდა ევროკავშირის 28 წევრ სახელმწიფოში სასოფლო-სამეურნეო მიწის ნახევარს (50.2%). გაუგებრობა გამოწვეულია იმით, რომ ცალკეულ კვლევებსა და პოლიტიკურ დებატებში საოჯახო ფერმერული მეურნეობების ცნება გამოყენებულია მცირე ფერმერული მეურნეობის სინონიმად და არ არის გათვალისწინებული ფერმერული მეურნეობის ლეგალური სტატუსი. მონაცემები მოწმობს, რომ თითქმის ყველა მცირე ფერმერული მეურნეობა არის საოჯახო მეურნეობა, მაგრამ ყველა საოჯახო ფერმერული მეურნეობა არ არის მცირე ფერმერული მეურნეობა.

## დასკვნა

ქართული სოფლისა და აგრარული წარმოების შემდგომი განვითარების მიზნით ევროკავშირის ქვეყნებში ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაციის საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების კონტქესტით. ევროკავშირი ENPARD-ის (ევროპის სამეზობლოო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის) და CIB-ის (ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარება) პროექტების განხორციელებით საქართველოში ფერმერული მეურნეობების წახალისებასა და სოფლად დასაქმების გაუმჯობესებას, მაღალხარისხიანი აგრარული პროდუქციის წარმოებასა და ევროპულ ბაზარზე გატანას ასტიმულირებს. ევროკავშირის მსგავსად, საქართველოშიც სოფლის მეურნეობის ქართული მოდელის საკვანძო ელემენტად უნდა განვიხილოთ საოჯახო ფერმერული მეურნეობები, რომლებიც, ხშირად, სოფლის მეურნეობაში არასრულად დაკავებული, პლურალური საქმიანობის განმახორციელებელი დივერსიფიცირებული ფერმერული მეურნეობებია.

## ლიტერატურა:

1. Chaplin Hannah, Agricultural Diversification: a Review of Methodological Approaches and Empirical Evidence.; in working package 4, working paper 2., November/2000. [on-line]. Available at www.ilr.uni-bonn.de/agpo/rsrch/idara/farm/wyewp2.doc
2. Davidova Sophia., Thomson Keneth., (2014) *Family Farming in Europe: Challenges and Prospects, In-Depth Analysis.* Directorate-General For Internal Policies., Policy Department B: Structural and Cohesion Policies, Agricultural and Rural Development.; [on-line] available at http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/note/join/2014/529047/IPOL-AGRI_NT(2014)529047_EN.pdf

3. Department for Environment, Food & Rural Affairs.,Diversifying farming businesses (7 Sept. 2012)., [on-line] available at https://www.gov.uk/guidance/diversifying-farming-businesses
4. European Parliament. Committee on Agriculture and Rural Development. Draft Report on the future of small agricultural holdings (2013/2096(INI)) Rapporteur: Czesław Adam Siekierski. ; 14.10.2013. [on-line] available at (http://www.europarl.europa.eu/meetdocs/2009_2014/documents/agri/pr/941/941772/941772en.pdf)
5. European Commission., Agriculture and Rural Development., (22/11/2013) Commissioner Cioloş welcomes launching of the UN's International Year of Family Farming 2014 [on-line].; available at http://ec.europa.eu/agriculture/newsroom/147_en.htm Last update: 22/04/2015
6. Hennessy Teagasc, Dr. Thia., (2014) CAP 2014-2020 Tools To Enhance Family Farming: Opportunities and Limits, In-Depth Analysis. Directorate-General For Internal Policies., Policy Department B: Structural and Cohesion Policies, Agricultural and Rural Development.; [on-line] available at http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/note/join/2014/529051/IPOL-AGRI_NT(2014)529051_EN.pdf
7. Invest Northern Ireland., Increase Your Farm Income: Diversification., [on-line] available at https://www.nibusinessinfo.co.uk/content/increase-your-farm-income-diversification
8. Matthews Alan, (2013 ) *Family Farming And The Role of Policy In The EU.,* [on-line] available at http://capreform.eu/family-farming-and-the-role-of-policy-in-the-eu/
9. OECD-FAO Agricultural Outlook 2015 .; [on-line] available at http://www.oecd-ilibrary.org/sites/ce0cb4bb-en/index.html?contentType=%2fns%2fSummary&itemId=%2fcontent%2fsummary%2fce0cb4bb-en&mimeType=text%2fhtml&containerItemId=%2fcontent%2fserial%2f19991142&accessItemIds
10. OECD. Agricultural Policy Monitoring and Evaluation 2015. [on-line]. Available at http://www.oecd-ilibrary.org/sites/ea5b74c8-en/index.html?contentType=%2fns%2fSummary&itemId=%2fcontent%2fsummary%2fea5b74c8-en&mimeType=text%2fhtml&containerItemId=%2fcontent%2fserial%2f22217371&accessItemIds=%2fcontent%2fserial%2f19991169%2c%2fcontent%2fserial%2f20743068%2c
11. Wikipedia., Agricultural diversification.; [on-line]. Available at https://en.wikipedia.org/wiki/Agricultural_diversification

# European Models of Farms' Diversification and Current Challenges

***Ia Natsvlishvili***
*Associate Professor*
*Faculty of Economics and Business*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*ia.natsvlishvili@tsu.ge*

Investigation of experience of different countries with best agricultural practice plays a significant role in identification of agricultural policy priorities in Georgia and in making practical recommendations for farmers. The given article discusses current tendencies of agriculture and agricultural policy, using desk-research method; there are analyzed peculiarities of the European models of farm's diversification, opportunities and limits of family farms in the European Union are highlighted. The article argues that in the European Union family farms are considered as a key element of the European model of agriculture. Family farms make multifarious contribution to the European Union and to its rural economy. In Europe, around 97% of farms are family farms. The European Union through its agricultural policy continues to stimulate sustainable and competitive agriculture. Family farms, often as diversified and pluriactive farms should be considered as the key element of the Georgian model of agriculture.

**Keywords:** Farm, Family Farm, Diversification, Agricultural Policy
**JEL Codes:** Q10, Q12, Q18

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 2, გვ. 51-65
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 2, pp. 51-65

# შრომითი მიგრაციის თავისებურებები და შედეგები თანამედროვე საქართველოში

*გიორგი ბუნტური*

*საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის დასაქმების ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი*
*gbunturi@yahoo.com*

საქართველო მიგრაციის მაღალი ინტენსივობის მქონე ქვეყანაა. ინტენსიურია როგორც ემიგრაციული, ისე იმიგრაციული პროცესები, როგორც გარე, ისე შიგა მიგრაცია. მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხებზე ქართველი მეცნიერების (პროფესორები მირიან ტუხაშვილი, ნათია ჭელიძე, თამაზ ზუბიაშვილი, ციური ანთაძე, თამარ ზურაბიშვილი და სხვ.) პერმანენტული მუშაობის მიუხედავად, არის მთელი რიგი თემები, რომელთა შემდგომი შესწავლა, პრობლემების იდენტიფიკაცია და მათი გადაჭრის გზების დასახვა აქტუალურ ამოცანად რჩება. მათ შორისაა შრომითი მიგრაციის თავისებურებების კვლევა, განმაპირობებელი ფაქტორებისა და სოციალურ-ეკონომიკური შედეგების შეფასება, რეგულირების მექანიზმის შემუშავება, ეფექტიანობის გაზრდის გზების ძიება და ა.შ. წინამდებარე სტატიაში განხილულია საქართველოში შრომითი მიგრაციის ტენდენციები, თავისებურებები, ძირითადი შედეგები, რეგულირების საჭიროებები, მიგრაციული პოლიტიკის სრულყოფის მიმართულებები. ავტორი გვათავაზობს რეკომენდაციებს საქართველოში შრომითი მიგრაციის მართვისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** მიგრაცია; შრომითი მიგრაცია; შრომითი ემიგრაცია; შრომითი იმიგრაცია; მიგრაციული სალდო; შრომითი ემიგრაციის ეტაპები; შრომითი ემიგრაციის შედეგები; ფულადი გზავნილები; ქალთა შრომითი მიგრაცია; შიგა მიგრაცია; მიგრაციის რეგულირება; მიგრაციული პოლიტიკა.

## შრომითი მიგრაციის ინტენსივობა და თავისებურებები

საქართველოს მოსახლეობა, XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე, აქტიურად არის ჩართული როგორც საერთაშორისო, ასევე შიგა მიგრაციაში.

ზუსტი სტატისტიკური მონაცემები საქართველოდან გასული მიგრანტების რაოდენობის შესახებ, სამწუხაროდ, არ არსებობს, თუმცა მოსახლეობის საყოველთაო აღწერების შედეგებზე დაყრდნობით, შესაძლებელია ემიგრაციის მასშტაბების დადგენა. კერძოდ, 1989 წლის აღწერით, საქართველოს მოსახლეობა 5 მლნ 401 ათასი კაცი იყო, 2014 წლის აღწერის მონაცემებით კი იგი 3 მლნ 714 ათასამდე შემცირდა [1][1]. ანუ 1989-2014 წლებში მოსახლეობის პირდაპირმა კლებამ 1 მლნ 687 ათასი კაცი შეადგინა [2, გვ. 34; 1]. აღნიშნულ წლებში მოსახლეობის ბუნებრივი მატების გათვალისწინებით (225 ათასი კაცი), საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 1 მლნ 912 ათასი კაცით შემცირდა. ეს ფაქტობრივად საქართველოს მოსახლეობის მექანიკური კლების, ანუ მიგრაციული სალდოს მაჩვენებელია.

როგორც ცნობილია, მიგრაციული სალდო არის სხვაობა შემოსულებსა და გასულებს შორის და ასახავს მიგრაციის გავლენით მოსახლეობის რაოდენობის ცვლილებას. მიგრაციის ინტენსივობისა და მიგრაციული ნაკადებისის მოცულობის დასახასიათებლად, სალდოს გარდა, მნიშვნელოვანია ქვეყანაში შემოსულებისა და გასულების რაოდენობის ცვლილება. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში არსებითად გაიზარდა საქართველოში შემოსულებისა და გასულების რიცხვი: 2000 წელს ეს ციფრები შესაბამისად 0,2 და 1,5 ათას კაცს შეადგენდა, 2014 წელს კი – 82,2 და 88,7 ათას კაცამდე გაიზარდა [2, გვ. 45; 1]. ამის მიზეზი ქვეყანაში დროებითი ვიზიტორების (საქმიანი ვიზიტორები, ტურისტები) რაოდენობის მკვეთრი მატებაა. ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი პარამეტრებია, მაგრამ მოსახლეობის რაოდენობის ცვლილების თვალსაზრისით უმთავრესი მაინც მიგრაციული სალდოა. ამ მაჩვენებლის მიხედვით კი საქართველო უპირატესად ემიგრაციულ ქვეყნად რჩება (იხ. დიაგრამა 1).

საქართველოდან მოსახლეობის ემიგრირების განმაპირობებელი ფაქტორები და მიზნები მრავალფეროვანია, მაგრამ ძირითადი მიზანი საზღვარგარეთ დასაქმების სურვილია (ექსპერტული შეფასებით, საქართველოდან ემიგრირებულთა სულ ცოტა 60-65% შრომითი ემიგრანტია). ამიტომ საქართველოდან ემიგრაცია ძირითადად საერთაშორისო შრომით ემიგრაციასთან ასოცირდება.

---

1 საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის წინასწარი მონაცემებით, მოსახლეობის რაოდენობა 3 მლნ 729,6 ათასი კაცი იყო, 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ეს ციფრი დაზუსტდა და 3 მლნ 713,7 ათასი კაცით განისაზღვრა.

დიაგრამა 1. საქართველოს მოსახლეობის მიგრაციული სალდო, 2000-2015 წწ. [1]




| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მიგრაციული სალდო | -35,2 | -32,6 | -27,8 | -27,5 | 5,5 | 76,3 | -12,1 | -20,7 | -10,2 | 34,2 | 18,1 | 20,2 | -21,5 | -2,6 | -6,5 | -3,4 |

შრომითი ემიგრაციის მასშტაბებზე სპეციალური სტატისტიკა საქართველოში არ არსებობს. მკვლევარების მიერ კი რადიკალურად განსხვავებული ციფრები სახელდება – 120 ათასიდან 2 მლნ კაცამდე. ამის მიუხედავად ცნობილია, რომ შრომითი მიგრაცია საქართველოსთვის ძალზე აქტუალური და მრავალასპექტიანი პრობლემაა. საქართველოში ფაქტობრივად არ დარჩენილა არც ერთი კუთხე, მუნიციპალიტეტი, მოსახლეობის არც ერთი ჯგუფი, რომელსაც შრომითი მიგრაცია ამა თუ იმ სახით არ შეეხო.

შრომითი ემიგრაციის პროცესებში საქართველო აქტიურად XX საუკუნის 90-ანი წლებიდან ჩაერთო, როცა ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების გამო, მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა სამშობლო დატოვა და საარსებო წყაროს საძებნად უცხო (პირველ რიგში მეზობელ) ქვეყნებს მიაშურა. დროთა განმავლობაში ფართოვდებოდა გეოგრაფიული არეალი, იცვლებოდა მიგრაციული ნაკადების ინტენსივობა და მიგრაციულ პროცესებში მონაწილეთა სოციალურ-დემოგრაფიული შემადგენლობა, თუმცა საკითხის აქტუალურობა არ შემცირებულა და, როგორც ტენდენციები გვიჩვენებს, იგი მომავალშიც აქტუალური იქნება.

***საქართველოდან შრომითმა ემიგრაციამ რამდენიმე, თვისებრივად განსხვავებული, ეტაპი განვლო:***

• პირველი ეტაპი მოიცავს 1990-2002 წლებს, როცა შრომითი ემიგრაციის ძირითადი ნაკადები მიმართული იყო რუსეთის, თურქეთისა და ცენტრალური ევროპის (ძირითადად გერმანია, ავსტრია, ესპანეთი) ქვეყნებისაკენ. მიგრაციულ ნაკადებში დომინირებდა შედარებით ახალგაზრდა ასაკის მამაკაცები

საქართველოს დიდი ქალაქებიდან (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი) და სამცხე-ჯავახეთიდან.

• მეორე ეტაპი მოიცავს 2003-2012 წლებს, როცა მნიშვნელოვნად გააქტიურდა შრომითი მიგრაცია ჯერ საბერძნეთის, შემდეგ კი – იტალიის მიმართულებით, არსებითად შეიცვალა საქართველოდან ემიგრირებულთა სოციალურ-დემოგრაფიული შემადგენლობა და მიგრანტებს შორის გაიზარდა საქართველოს რეგიონებიდან სამუშაოდ წასული საშუალო და უფროსი ასაკის ქალების წილი.

• 2013 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება ახალი ეტაპი, რომლის დამახასიათებელი ტენდენციებია საქართველოში შრომითი ემიგრანტების ნებაყოფლობით თუ იძულებით დაბრუნების გააქტიურება. ეს უკანასკნელი უკავშირდება ძირითად მიმღებ ქვეყნებში ეკონომიკური მდგომარეობისა და დასაქმების პირობების გაუარესებას, ასევე ევროკავშირის ქვეყნების მხრიდან მიგრაციული პოლიტიკის გამკაცრებას.

## შრომითი ემიგრაციის შედეგები

საქართველოდან შრომითი ემიგრაციის შედეგების შეფასება, პირველ რიგში, იწყება ფულად გზავნილებზე და მათ ხარჯზე საქართველოში დარჩენილი ოჯახის წევრების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მსჯელობით. უდაოდ, უმნიშვნელოვანესია შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების გავლენა საქართველოში სიღარიბის შემცირებისა და სავალუტო რესურსების შევსების, ასევე მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობის გაზრდისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიმართულებებით. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2000-2015 წლებში ფულადი გზავნილების სახით 12 მლრდ აშშ დოლარზე მეტი გადმოირიცხა [3]. და ეს მხოლოდ ოფიციალური საფინანსო არხებით (მსოფლიო ბანკის შეფასებით, ფულადი გზავნილების დაახლოებით 40% არაოფიციალურია [4]). აქედან რამდენია შრომითი მიგრანტების გზავნილები, რთული განსასაზღვრია, თუმცა, ექსპერტთა შეფასებებით, ფულადი გზავნილების დაახლოებით 90% სწორედ შრომითი მიგრანტების ფულადი გადმორიცხვებია. ასეთი მოცულობის ფულადი მასა, რა თქმა უნდა, დიდ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. რომ არა ეს გზავნილები, საქართველოში სიღარიბის მაჩვენებელი 20-25%-ით მაღალი იქნებოდა. 2014 წლის მდგომარეობით, ფულადი გზავნილების წილმა საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) 8,7 % შეადგინა [3; 5], რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.[1] აღსანიშნავია ისიც, რომ ფულადი გზავნილების

1 **შედარებისთვის:** მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2008 წლის მდგომარეობით, მიგრანტების ფულადმა გზავნილებმა ყველა განვითარებადი ქვეყნის მშპ-ის 2% და დაბალშემოსავლიანი ქვეყნების მშპ-ის 6% შეადგინა [6, გვ. 7]. პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის ეს მაჩვენებელი 25%-ია; მსოფლიოში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ტაჯიკეთის (49%) და ყირგიზეთის (31%) რესპუბლიკებს აქვთ [7, გვ. 3].

მოცულობა საქართველოში შემოსული გრანტებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობას აღემატება [3; 8].

ფულადი გზავნილების გეოგრაფია, გარკვეულწილად, შრომითი მიგრანტების ტერიტორიულ განაწილებასაც ასახავს. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, გადმორიცხვების მოცულობის მიხედვით, საქართველოსთვის ძირითადი რეციპიენტი ქვეყნებია: რუსეთი, საბერძნეთი, იტალია, აშშ, თურქეთი, ესპანეთი, გერმანია, უკრაინა, ისრაელი, გაერთიანებული სამეფო (იხ. დიაგრამა 2). მართალია, ეს თანმიმდევრობა წლების მიხედვით გარკვეულწილად იცვლება, მაგრამ აღნიშნული ათეული დომინირებს ბოლო 15 წლის მანძილზე.




**დიაგრამა 2. საქართველოში ფულადი გზავნილების დინამიკა 2000-2015 წლებში, ძირითადი პარტნიორი ქვეყნების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი) [3]**

ფულადი გზავნილების გამოყენების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა მიგრანტთა ოჯახის წევრების სამომხმარებლო საჭიროებებზე იხარჯება (კვება, ჩაცმა, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და ა.შ.). მხოლოდ მცირე ნაწილი ხმარდება განათლებას და კიდევ უფრო მცირე – ინვესტირებას შემოსავლის წყაროს გასაჩენად (მცირე და საშუალო ბიზნესში ინვესტირება) [9; 10]. საქართველოში არ არსებობს მიგრანტთა ფულადი გზავნილების საინვესტიციო პოტენციალის გამოყენების მასტიმულირებელი პოლიტიკა და მექანიზმები (საინვესტიციო ფონდები, საფონდო ბირჟა, ფასიანი ქაღალდების ბაზარი და სხვ.). არადა, გზავნილების დიდი მოცულობიდან გამომდინარე, მათი თუნდაც ნაწილის წარმართვა ინვესტიციებზე, მომგებიანი იქნება როგორც სახელმწიფოსათვის, ასევე მიგრანტთა ოჯახებისთვის უფრო მეტი, სტაბილური და გრძელვადიანი შემოსავლების მისაღებად. მართალია, მიგ-

რანტთა აქ დარჩენილი ოჯახის წევრების მიერ გზავნილების ხარჯზე შეძენილი სამომხმარებლო საქონელი და ქონება, განათლებასა თუ ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები პოზიტიურ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე (ე.წ. „ეფექტის მულტიფიკაცია“ – multiplying effect), მაგრამ ეს ეფექტი ბევრად უფრო მეტი იქნება, თუკი ფულადი გზავნილები გამოყენებული იქნება ბიზნესში ინვესტირებისათვის, რაც საქართველოს რეალობაში თითქმის არ ხდება [10, გვ. 102-105]. ამასთან, ფულადი გზავნილების მნიშვნელობის შეფასებისას, სპეციალისტები მიუთითებენ შემდეგ საფრთხეზე: ფულად გზავნილებზე ქვეყნის ეკონომიკის დიდი დამოკიდებულება შეიძლება ე.წ. „ეკონომიკური შოკის“ საფრთხის შემცველი იყოს [7, ვვ. 4-5]. ამის ნათელი დადასტურებაა საქართველოში 2014-2015 წლებში რუსეთიდან, საბერძნეთიდან და იტალიიდან ემიგრანტთა ფულადი გზავნილების მკვეთრი შემცირების გამო გამოწვეული სავალუტო დეფიციტი მისი თანმდევი ნეგატიური შედეგებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ ***ემიგრანტთა ფულადი გზავნილების მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთ მათი გამგზავრებისათვის აღებული ვალების დასაფარავად გამოიყენება.*** კვლევების მიხედვით, საქართველოდან შრომითი ემიგრანტების ნახევარზე მეტი საზღვარგარეთ წასასვლელად ან ვალს იღებს, ან ჰყიდის ქონებას [11, გვ. 99]. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით დიდი რისკის შემცველია, ვინაიდან წარუმატებელი ემიგრაციის შემთხვევაში სამშობლოში დაბრუნებისას მიგრანტს და მის ოჯახს უკიდურესად რთულ პირობებში აყენებს. ასეთ ადამიანთა სტატისტიკა, სამწუხაროდ, არ არსებობს, თუმცა პრაქტიკა მოწმობს, რომ მათი რიცხვი არცთუ მცირეა და ისინი ემატებიან „უსახლკაროთა“ კატეგორიას, რომელიც საქართველოში მზარდი ტენდენციით ხასიათდება. ყურადსაღებია ის მომენტიც, რომ ხშირ შემთხვევაში ემიგრანტები მთელ გამომუშავებულ თანხას უგზავნიან საქართველოში დარჩენილ ოჯახის წევრებს და ვერ ახერხებენ მინიმალურად აუცილებელი დანაზოგის გაკეთებას, დაბრუნების შემდეგ კი უსახსრობის გამო უმწეო მდგომარეობაში არიან.

საქართველოსთვის უმუშევრობა კვლავ რჩება ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევად და სწორედ ***დაუსაქმებლობაა ქვეყნიდან სამუშაო ძალის გადინების მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი.*** შრომითმა ემიგრაციამ მნიშვნელოვნად შეამცირა ჭარბი სამუშაო ძალის მიწოდება ადგილობრივ შრომის ბაზარზე და შეარბილა უმუშევრობის თანმდევი ნეგატიური შედეგები. რომ არა შრომითი მიგრაცია, საქართველოში უმუშევრობის დონე კიდევ უფრო მაღალი იქნებოდა. უფრო მეტიც, ბოლო ათწლეულში შრომით ემიგრაციულ პროცესებში მოსახლეობის ის კატეგორია ჩაერთო, რომელიც მანამდე ეკონომიკურად არააქტიურებს მიეკუთვნებოდა (მაგალითად, საშუალო და უფროსი ასაკის ქალები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში). ამით მოხდა გამოუყენებელი შრომითი პოტენციალის აქტივიზაცია.

***ქვეყნიდან სამუშაო ძალის ნაწილის გასვლით გარკვეულწილად შემცირდა რაოდენობრივი დისბალანსი მასზე მოთხოვნასა და მიწო-***

***დებას შორის,*** თუმცა კვალიფიციური სამუშაო ძალის გადინება, როგორც წესი, ხელს უწყობს სტრუქტურული და ხარისხობრივი დისბალანსის ზრდას. სანდო სტატისტიკა საქართველოდან კვალიფიციური სპეციალისტების გადინების შესახებ, სამწუხაროდ, არ არსებობს, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის ***საქართველოში სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული სტრუქტურული და ხარისხობრივი დისბალანსის ძირითადი მიზეზი უფრო განათლების სფეროში არსებული ხარვეზებია (მოსამზადებელი სპეციალობების შრომის ბაზარზე ორიენტაციის დაბალი დონე, მომზადების დაბალი ხარისხი), ვიდრე შრომითი ემიგრაცია [12].***

ზოგადად, შრომითი ემიგრაცის ანალიზისას სპეციალისტები აქცენტს ე.წ. „ტვინების გადინების" პრობლემაზეც აკეთებენ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრობლემა შედარებით ნაკლებად აქტუალურია საქართველოსთვის, ვინაიდან „ტვინების გადინება", როგორც წესი, უკავშირდება ორგანიზებულ, ლეგალურ შრომით მიგრაციას. სხვადასხვა მიზეზის გამო, საქართველოდან შრომითი ემიგრაცია უმეტესწილად არალეგალურია და მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის გადინების შემთხვევაშიც, მათი მხოლოდ მცირე ნაწილი თუ ახერხებს საზღვარგარეთ თავისი პროფესიით მუშაობას. ამასთან, ქართული დიასპორის ფსიქო-სოციალური თავისებურება, რაც გამოიხატება „**სამშობლოსთან მიჯაჭვულობის**" მაღალი ხარისხით, სასურველ ფონს ქმნის იმისთვის, რომ შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში, ეს „ტვინები" საქართველოსთვისაც აქტიურად იქნება გამოყენებული.[1]

სხვა სიკეთე, რასაც შრომით მიგრაციასთან აკავშირებენ, არის *უცხოეთში მიღებული ინოვაციური ცოდნისა და სამუშაო გამოცდილების იმპორტი სამშობლოში დაბრუნებისას.* მსჯელობაა შრომითი ემიგრანტების მიერ საზღვარგარეთ მუშაობისას პროფესიული კომპეტენციების ამაღლებასა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ამ კომპეტენციების გამოყენებაზე. აღსანიშნავია, რომ საქართველომ ამ თვალსაზრისით დიდი სარგებელი ვერ ნახა. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა (IOM, ILO, DRC, GIZ, ETF და სხვ.) და ცალკეული მკვლევარების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების მიხედვით, ჩვენი თანამემამულეების აბსოლუტური უმრავლესობა საზღვარგარეთ არალეგალურად და დაბალკვალიფიციურ სამუშაოებზეა დასაქმებული, რასაც უმეტეს შემთხვევაში შედეგად მოჰყვა პროფესიული დეკვალიფიკაცია [13]. გარდა ამისა, ისინიც კი, ვინც საზღვარგარეთ მუშაობისას შეიძინეს გარკვეული პროფესიული ცოდნა და გამოცდილება, თვლიან, რომ დაბრუნების შემდეგ დასაქმებისათვის ეს ცოდნა და გამოცდილება არ გამოადგათ. მაგალითად, ევროპის განათლების ფონდის (ETF) მიერ 2012 წელს ჩატარებული კვლევის შედეგებით, გამოკითხული დაბრუნებული მიგრანტების 58,4% თვლის, რომ საზღვარგარეთ მიღებული სამუშაო გამოცდილება მას არ წაადგება საქართველოში დასაქმებისთვის [13, გვ 19].

1 ამის ბევრი კონკრეტული მაგალითი გვაქვს მეცნიერების, მედიცინის, კულტურის და სხვა სფეროებში.

დამაფიქრებელია და სპეციალურ კვლევას საჭიროებს ***შრომითი მიგრაციის დემოგრაფიული და სოციალური შედეგები.*** კვლევები ადასტურებს მიგრაციის ნეგატიურ გავლენას ქორწინების, განქორწინებისა და შობადობის მაჩვენებლებზე. ეს უკავშირდება ფერტილური ასაკის მოსახლეობის ჩართულობას ტერიტორიულ გადაადგილებაში. შრომით ემიგრაციაში დაოჯახებული ქალების ინტენსიურად ჩართვამ გარკვეულწილად ახალი ნეგატიური შედეგები წამოწია წინ. საკუთარ ოჯახს – მეუღლესა და შვილებთან – ხანგრძლივმა განშორებამ ხელი შეუწყო ოჯახის წევრებთან გაუცხოებას, ფსიქოლოგიური და ფსიქიკური პრობლემების გამწვავებას (შვილების მიმართ „დანაშაულის" გრძნობა, არარეალიზებულობის განცდა, მომავლის შიში და სხვ.), განქორწინების ზრდას. ცალკე აღსანიშნავია ემიგრანტი ქალებისადმი აქ დარჩენილი ოჯახის წევრების დამოკიდებულება (შვილების „მიტოვებაში დადანაშაულება", ან ოჯახის მხრიდან ეკონომიკური იძულება – ე.წ. „ოჯახური ტრეფიკინგი"), ოჯახის წევრთა ეკონომიკური აქტიურობის შემცირება და „სხვის კმაყოფაზე ყოფნის" სინდრომის გაძლიერება, რასაც, თავის მხრივ, ბევრი ნეგატიური შედეგი ახლავს როგორც პიროვნების, ასევე მთლიანად საზოგადოებისათვის (მაგალითად, გადახრილი სოციალური ქცევების – ლოთობა, ნარკომანია, კრიმინალი – გაძლიერება). ეს სინდრომი საქართველოსთვის ძალზედ აქტუალური და დიდი სოციალურ-ეკონომიკური საფრთხის მატარებელია.

*ქალთა შრომითი მიგრაცია* თანამედროვე ათასწლეულის დამახასიათებელი და მზარდი მოვლენაა. ქალები საზღვარგარეთ მიდიან თავისი ოჯახების ეკონომიკურად გადასარჩენად, შვილების აღზრდისა და სწავლისათვის საჭირო თანხების მოსაპოვებლად. ისინი უარს ამბობენ რა საკუთარ კარიერაზე, წლების მანძილზე ასრულებენ არაკვალიფიციურ სამუშაოებს, განიცდიან პროფესიულ დეკვალიფიკაციას, ხდება მათი ადამიანური, სოციალური და ინტელექტუალური კაპიტალის გაუფასურება. იმის გამო, რომ ისინი ძირითადად არალეგალურად მუშაობენ შინამოსამსახურეებად, მომვლელებად და ძიძებად, მთლიანად არიან დამოკიდებულნი დამსაქმებელზე, რის გამოც, არც თუ იშვიათად, შევიწროების, დისკრიმინაციისა და ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან [14].

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ქალები სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც არანაკლებ პრობლემებს აწყდებიან ოჯახსა და საზოგადოებში სრულფასოვანი რეინტეგრაციის თვალსაზრისით. არცთუ იშვიათად, საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ ქალებს ხვდებათ მეუღლე ახალ ოჯახთან ერთად, პრობლემები აქვთ უკვე გაზრდილ შვილებთან ურთიერთობისას. დაბრუნებული ქალების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ ახერხებს ოჯახთან სრულფასოვან რეინტეგრაციას, იმ ფსიქოლოგიური ტრამვის დაძლევას, რაც დაკავშირებულია საკუთარ მეუღლესა და შვილებთან, სხვა ახლობლებთან ხანგრძლივ განშორებასთან,

ფასეულობათა სისტემის შეცვლასთან. ყოველივე ეს მათი უკუმიგრირების მთავარი მიზეზი ხდება. მსგავსი პრობლემები არც მამაკაცი მიგრანტებისთვისაა უცხო. ამიტომ შრომით მიგრანტებთან მიმართებით აქტუალურია მათი ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის მხარდაჭერა.

შრომითი მიგრანტებისთვის პრობლემატურია ხანგრძლივი მიგრაციისა და საზღვარგარეთ არაკვალიფიციურ და დაბალკვალიფიციურ სამუშაოებზე დასაქმების შედეგად ადრე შეძენილი პროფესიული ცოდნისა და უნარების დაკარგვა და დასაქმების პერსპექტივების კიდევ უფრო შეზღუდვა. მათ იპყრობთ დაბნეულობა და მომავლის შიში, რაც შეიძლება გადაიზარდოს სტრესში, დეპრესიასა და ნევროზში. ეს კი ჯაჭვურად ასისახება არა მარტო დაბრუნებული მიგრანტის ჯანმრთელობაზე, არამედ ოჯახის წევრთა განწყობებსა და დამოკიდებულებებზე. გამოსავალია დაკარგული კვალიფიკაციის აღდგენა /განახლება ან ახალი, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიის შესწავლა, სამუშაოს ძებნის უნარების განვითარება, გარკვეული კატეგორიისათვის კი – მცირე ბიზნესის დაწყება/განახლების მხარდაჭერა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში რამდენიმე წელია ევროკავშირის დაფინანსებით ხორციელდება საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის მხარდამჭერი პროგრამები (AVVR, TIG, MFM და სხვ.) [12; 15]. საქართველოს ხელისუფლებამაც 2015 წელს, პირველად საქართველოს ისტორიაში, დაიწყო „დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამის“ განხორციელება და ამ მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან 400 ათასი ლარი გამოყო. პროგრამა ითვალისწინებს საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის მხარდაჭერის მრავალფეროვანი ღონისძიების განხორციელებას (სამედიცინო, მ.შ. ფსიქოლოგიური დახმარება, დასაქმებისთვის პროფესიული სწავლების დაფინანსება, ანაზღაურებადი სტაჟირება, შემოსავლის წყაროს გასაჩენად მცირე ბიზნესის დაწყება/განახლებისთვის გრანტის გაცემა და სხვ.). დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტი 600 000 ლარამდე გაიზარდა [16]. დახმარების ძირითადი მიმართულებებია: სოციალური პროექტების (მცირე ბიზნესი, საარსებო წყაროს გაჩენა) დაფინანსება, სამედიცინო მომსახურების, საცხოვრისით დროებითი უზრუნველყოფის დაფინანსება, ასევე იურიდიული და საინფორმაციო მომსახურება. იმედია, ეს თანხები ეფექტიანად იქნება გამოყენებული და უზრუნველყოფილი იქნება დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის რეალური მხარდაჭერა. ამას ხელს შეუწყობს დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის მხარდაჭერის ღონისძიებების მონიტორინგი და აქამდე განხორციელებული თუ მიმდინარე პროექტების ეფექტიანობის შეფასება.

## შრომითი მიგრაციის რეგულირება

საერთაშორისო ტენდენციებისა და პროცესების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ვერ გახდება იზოლირებული ქვეყანა და აქტიურად იქნება ჩართული გლობალურ, მათ შორის, შრომით მიგრაციულ პროცესებში. მით უფრო, რომ უახლოეს და საშუალოვადიან პერსპექტივაში, სამუშაო ძალის აღწარმოებისა და ეკონომიკური განვითარების ტემპების ანალიზიდან გამომდინარე, საქართველოსთვის უმუშევრობა კვლავ იქნება ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევა, რაც, თავის მხრივ, ინტენსიურ შრომით ემიგრაციას განაპირობებს. შედარებით მაღალი შემოსავლისა და ცხოვრების უკეთესი პირობების მქონე ქვეყნებისაკენ ბუნებრივი ლტოლვა ასტიმულირებს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის საზღვარგარეთ წასვლას. ეს ობიექტური რეალობაა და მხოლოდ „სამშობლოში დარჩენისა" თუ „სამშობლოში დაბრუნების" მოწოდებით, ვერ მოხდება ემიგრაციის შემცირება. ამიტომ, განვითარების თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს ხელისუფლებისა და საზოგადოების საზრუნავი უნდა იყოს როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარება და დასაქმების შესაძლებლობების გაფართოება, სამუშაო ძალის ფასის გაზრდით ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, ისე მიგრაციული პროცესების ოპტიმალურად მართვა იმის გათვალისწინებით, რომ მიგრაციიდან მეტი სარგებელი მიიღოს პროცესში მონაწილე ყველა მხარემ. ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ საქართველო მონახავს თავის ადგილს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, თუ ხელისუფლება შექმნის სასურველ პირობებს ადგილობრივი მოსახლეობის შრომითი და ინტელექტუალური პოტენციალის განვითარება/გამოყენებისათვის, თუ იზრუნებს შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის გააქტიურებისათვის და ხელს შეუწყობს სამუშაო ძალის დროებით ლეგალურ, ცირკულარულ მიგრაციას.

ყოველივე ზემოაღნიშნული ***საერთაშორისო შრომითი მიგრაციის სფეროში მიზანმიმართული და ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების საჭიროებას*** განაპირობებს. განვითარების მოცემულ ეტაპზე, პირველ რიგში, აუცილებელია:

- შრომითი მიგრაციის რეგულირებისა და სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობისათვის მასტიმულირებელი საკანონმდებლო ბაზის შექმნა/სრულყოფა;
- სამუშაო ძალის ემიგრაცია-იმიგრაციის მართვისათვის საჭირო ორგანიზაციული სისტემისა და ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, შესაბამისი კვალიფიკაციის ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა;
- ქვეყნის შიგა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე მიმდინარე და მოსალოდნელი ტენდენციების შეფასებისა და პროგნოზირებისათვის სათანადო საინფორმაციო-ანალიტიკური სისტემის ჩამოყალიბება;

- სამუშაო ძალის ცირკულარული (დროებითი, ლეგალური) მიგრაციის სფეროში მიზნმიმართული და ეფექტიანი სტრატეგიის შემუშავება/განხორციელება.

ცალკე მიმართულებაა ***მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლება არალეგალური მიგრაციის საფრთხეებისა და საზღვარგარეთ ლეგალურად დასაქმების შესაძლებლობების შესახებ.*** უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ***განათლების სისტემის (პროფესიული, უმაღლესი) შრომის ბაiაkiე ორიენტაციის გაძლიერება და საერთაშორისო სტანდარტების ადექვატური განათლების ხარისხის უზრუნველყოფა.*** საქართველომ უნდა შეძლოს მოსახლეობის შრომითი პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება, ადამიანური კაპიტალის გაზრდა/განვითარება სწორედ განათლების ხარისხის გაუმჯობესების გზით. ეს აუცილებელია არა მარტო ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისთვის, არამედ ჭარბი ადამიანური რესურსების საერთაშორისო შრომით მიგრაციაში ლეგალურად ჩასართავადაც. ევროკავშირისა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარე დემოგრაფიული და სოციალური პროცესები, საერთაშორისო შრომის ბაiakiე კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე არსებული და მოსალოდნელი მოთხოვნა, სასურველ ფონს ქმნის სამუშაო ძალის ცირკულარული მიგრაციისთვის. ამ ფონის ეფექტიანად გამოიყენება საქართველოს ერთ-ერთი რეალური შესაძლებლობა და აქტუალური ამოცანაა. საქართველოს სამუშაო ძალის პროფესიული კვალიფიკაცია საინტერესო უნდა იყოს პოტენციური პარტნიორი ქვეყნების შრომის ბაზრებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოდან შრომითი ემიგრაცია ისევ ძირითადად არალეგალური იქნება თანმდევი რისკებითა და დიდი დანაკარგებით.

სულ უფრო მეტ აქტუალურობას იძენს საქართველოში *შრომითი იმიგრაციის* რეგულირების საჭიროება. ამ სფეროში საქართველოს ამჟამად სრულიად ლიბერალური პოლიტიკა აქვს: ქვეყანაში უცხოური სამუშაო ძალის შემოყვანისათვის არ არის საჭირო არანაირი ნებართვა, არ ხდება საქართველოში დასაქმებული უცხოელების აღრიცხვა და მათი საქმიანობის მონიტორინგი. ეს კი საკმაოდ დიდი რისკების შემცველია და ნეგატიურად აისახება დასაქმების სფეროში არსებულ, ისედაც მძიმე სიტუაციაზე.

საქართველოში 2015 წლამდე საერთოდ არ არსებობდა შრომითი მიგრაციის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა. 2015 წლის 1 აპრილს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა *კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“,* რომლითაც დადგინდა გარკვეული რეგულაციები შრომით მიგრაციასთან მიმართებაში. კერძოდ, კანონი ადგენს საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომითმოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი იურიდიული და ფიზიკური პირების ვალდებულებებს, შრომითი მოწყობისა და შრომით მოწყობაში დახმარების შესახებ ხელშეკრულებებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, შრომით ემიგრანტსა და უცხოელ დამსაქმებელს შორის საქართველოში დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობებს, კა-

ნონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საფუძვლებს და ჯარიმების ოდენობას. uეk-uეkობით, ***საკანონმდებლო რეგულირების მიღმა დარჩა შრომითი იმიგრაციის პროცესები,*** მაგრამ იმედია, მიმდინარე და მოსალოდნელი ტენდენციები უბიძგებს საქართველოს ხელისუფლებას შექმნას შრომითი იმიგრაციის რეგულირების სამართლებრივი და ინსტიტუციური მე0ანიiმები.

შრომითი მიგრაციის რეგულირების თვალსაზრისით, არანაკლებ საინტერესოა ***შიგა შრომითი მიგრაცია.*** სამწუხაროდ, ამ სფეროში რაიმე სტატისტიკა ან მასშტაბური კვლევა არ არსებობს და მხოლოდ ცალკეულ კვლევებზე [17; 18], ასევე ქვეყნის რეგიონებში მოსახლეობის რაოდენობის ცვლილების ტენდენციებზე დაყრდნობით შეიძლება ვისაუბროთ შიდა შრომითი მიგრაციის ძირითად მახასიათებლებზე. საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეებს შორის მკვეთრი განსხვავება, სოფლად და პატარა 0ალა0ებში არასასოფლო-სამეურნეო სფეროებში დასაქმების შესაძლებლობების მკვეთრი შეზღუდულობა, შემოსავლების სიმცირე უბიძგებს ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას (პირველ რიგში, ახალგაზრდობას) ქალაქებში (ძირითადად დიდ ქალაქებში) შრომითი მიგრირებისკენ. ამასთან, საგანგაშოა ის, რომ შრომითი მიგრაცია ხშირად მთელი ოჯახით გადასახლების ფორმით ხორციელდება. შედეგად ვღებულობთ დაცლილ სოფლებს, ჩამკვდარ მცირე და საშუალო ზომის ქალაქებს, ე.წ. „დეპრესიულ რეგიონებს“[1]. ამ არასასურველი ტენდენციების შემცირება/შერბილებისათვის აუცილებელია მიზანმიმართული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რომლის მთავარი მიზანი რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობაა. ამ თვალსაზრისით პირველი ნაბიჯია „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი მიღება (2015 წლის 16 ივლისს), რომლითაც დადგენილია გარკვეული სოციალური შეღავათები მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებლებისათვის და აქ მომუშავე გარკვეული კატეგორიის პერსონალისათვის (ექიმები, ექთნები, პედაგოგები), ასევე საგადასახადო შეღავათები მათალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე საწარმოებისათვის. სავარაუდოა, რომ ეს უკანასკნელი გარკვეულწილად გაზრდის მაღალმთაინ რეგიონებში ინვესტირებით მეწარმეთა დაინტერესებას და ამ რეგიონებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, რაც სოფლად მცხოვრებთათვის დასაქმებისა და ადგილზე დამკვიდრების ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს. შიგა მიგრაციული პროცესების რეგულირებისათვის, რა თქმა უნდა, მხოლოდ ეს საკანონმდებლო ინიციატივა არ კმარა და აუცილებელია საქართველოში ასე უხვად არსებული „დეპრესიული რეგიონების“ [19] ეკონომიკური და სოციალური განვითარების მხარდამჭერი (და არა სოციალურ შეღავათებზე დაფუძნებული) პროექტების ინიცირება და განხორციელება. მსგავსი პროექტები უნდა

1 დეპრესიული რეგიონები – ეკონომიკურად და სოციალურად ჩამორჩენილი რეგიონები.

ითვალისწინებდეს რეგიონების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს, მათი სოციალური მიმზიდველობის გაზრდას შესაბამისი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებით და ადგილობრივი სამუშაო ძალის პროფესიული კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. ეს უკანასკნელი ქვეყნისა და მისი რეგიონების საინვესტიციო მიმზიდველობის უმნიშვნელოვანესი დეტერმინანტია. პოტენციურ ინვესტორებთან თანამშრომლობით შესაძლებელია ურთიერთსარგებლიანობის პრინციპზე დაფუძნებული მრავალმხრივი ეფექტის მიღება, მით უფრო, რომ საქართველოში დაგეგმილი და პერსპექტიული მასშტაბური საინვესტიციო პროექტების დიდი ნაწილი სწორედ რეგიონებში ხორციელდება. გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე რეგიონების მდგრადი და უწყვეტი განვითარების საჭიროება და ეს უნდა ასისახოს რეგიონების განვითარების რეალურ სტრატეგიასა და კონკრეტულ სამოქმედო გეგმებში.

* * *

ამრიგად, თანამედროვე საქართველოსთვის შრომით მიგრაციას (საერთაშორისო, შიგა) უდიდესი ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული მნიშვნელობა აქვს. შრომითი მიგრაციული პროცესების თვითდინებაზე მიშვება ქვეყნისათვის დიდი რისკების შემცველია. შესაბამისად, აუცილებელია ამ პროცესების სიღრმისეული კვლევა და რეგულირების ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავება. იგი მოითხოვს მიზანმიმართული საკანონმდებლო, ეკონომიკური და სოციალური ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ქვეყნის შრომითი პოტენციალის განვითარება და რაციონალური გამოყენება, დასაქმების სფეროში არსებული პრობლემების შერბილება, ცირკულარული მიგრაციის მხარდაჭერა და მისი ეფექტიანობის გაზრდა.

## ლიტერატურა:


1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://geostat.ge/?action=page&p_id=472&lang=geo
2. სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სტატისტიკური წელიწდეული, თბილისი, 2002.
3. საქართველოს ეროვნული ბანკი. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304
4. World Bank. Migration and Development Brief. November 8, 2010
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo
6. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC). საერთაშორისო ფულადი გზავნილების როლი საქართველოს ეკონომიკაში. დეკემბერი, 2011.
7. დევიდ საა. გერმანიის ეკონომიკური გუნდი – საქართველო. რუსეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების შესაძლო შემცირების მაკროეკონომიკური შედეგები. სექტემბერი, 2014.
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. http://geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo

9. ნათია ჭელიძე, მირიან ტუხაშვილი. საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაციის ფაქტორები და სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. კრებული: მიგრაციული პროცესები პოსტსაბჭოთა საქართველოში. თბილისი, 2003.
10. თამარ ზურაბიშვილი. „შრომითი ემიგრაცია დაბა თიანეთიდან: ემიგრაციული ქსელების განვითარება“ დისერტაცია სოციოლოგიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2007.
11. მირიან ტუხაშვილი. საქართველოს სამრეწველო ქალაქებში დაბრუნებული ემიგრანტები და მათი ეკონომიკური რეინტეგრაციის პრობლემები. თსუ. მიგრაციის კვლევის ცენტრი. კრებული: მიგრაცია – 5. თბილისი, 2011.
12. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM). 2007-2012 წლებში საქართველოს შრომის ბაზრის კვლევების ანგარიშები. http://iom.ge/1/publications
13. ETF. Migration and skills in Armenia and Georgia. Comparativ Report. 2012.
14. ПЕСКОВА Д.Р., АБРЕУ БАСТОС О.П. ПРИЧИНЫ, РИСКИ И ПОСЛЕДСТВИЯ РАСПРОСТРАНЕНИЯ ЖЕНСКОЙ ТРУДОВОЙ МИГРАЦИИ: ИССЛЕДОВАНИЕ НА РЕГИОНАЛЬНОМ УРОВНЕ. УФА, 2014.
15. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „მეტი თანამშრომლობა დაცული საზღვრებისა და უსაფრთხო მიგრაციის მხარდასაჭერად“. www.informedmigration.ge
16. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. http://mra.gov.ge/geo/static/8769
17. ირინა ბადურაშვილი, მამუკა ნადარეიშვილი. ემიგრაციისა და სოფელ-ქალაქს შორის მიგრაციის გავლენა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. რეზიუმე. საქართველო, აპრილი, 2012 .
18. მირიან ტუხაშვილი. აუცილებელია საქართველოს შრომის ბაზრისა და მიგრაციის კომპლექსური შესწავლა. შრომების კრებული „მიგრაცია“, ტომი 2, თბილისი, 2008.
19. ზურაბ თეთრუაშვილი, მაია თეთრუაშვილი-ქარდავა. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფინანსურ-ეკონომიკური ფაქტორები და მისი რეგულირების მექანიზმები საბაზრო ურთიერთობის ფორმირების პირობებში. თბილისი, 2006.

# Labour Migration in Contemporary Georgia

***George Bunturi***

*Chief Specialist, Employment Assessment Division,*
*Department of Labour and Employment Policy,*
*Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia*
*gbunturi@yahoo.com*

Georgia is a country of high migration intensity. Since 1990$^{th}$s Georgian population has been actively involved in international labour migration processes.

Labour emigration from Georgia went through several qualitatively different stages:

● The first stage includes years 1990 – 2002, when main flows of labour emigration were directed to Russia, Turkey and Central European countries (mainly Germany, Austria, Spain). Migration flows consisted predominantly from relatively young men from big cities of Georgia (Tbilisi, Rustavi, Kutaisi, Batumi) and from Samtskhe-Javakheti.

● The second stage was the period 2003 – 2012. In these years labour migration became very intense first to Greece and then to Italy. Socio-demographic composition of migrants was changed significantly; number of middle-aged and elderly women from Georgian regions travelling for work purposes was increased among migrants.

● New stage began in 2013 and it has been continuing up to now. This stage is characterized by the tendency of voluntary and forced return of labour emigrants to Georgia. The latter is related to worsened economic situation and employment conditions in recipient countries as well as migration policy in EU countries becoming stricter.

Internal labour migration is also very topical issue for modern Georgia with its negative results (outflows from villages and small towns, increasing of so called “depressive regions”). Despite large scales of labour migration, actually it is not being regulated in Georgia. There is no appropriate legislative base and information and organizational system need for managing the process.

**Keywords:** Migration, labour migration, labour emigration, labour immigration, net migration, phases of labour emigration, impact of labour emigration, migration policy.
**JEL Codes:** F22, J21, J61, R23

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 2, გვ. 66-81
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 2, pp. 66-81

## მიკროეკონომიკა ✧ მაკროეკონომიკა ✧ ეკონომეტრიკა
## MICROECONOMICS ✧ MACROECONOMICS ✧ ECONOMETRICS

# მეწარმეობის განვითარება საქართველოში: ანალიზი, შეფასება, პერსპექტივები

*ლეილა ქადაგიშვილი*

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი*

უკანასკნელ წლებში საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებით შემუშავებულ საპროგრამო დოკუმენტებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია რეალური სექტორის დაჩქარებულ განვითარებაზე. მათ შორის პრიორიტეტული ადგილი განეკუთვნება მრეწველობას, სოფლის მეურნეობას და ტურისტულ ბიზნესს. ნაშრომში სამეცნიერო ლიტერატურის, სამთავრობო და არასამთავრობო, ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებსა და სტატისტიკურ მასალებზე დაყრდნობით, გაანალიზებულია მეწარმეობის ზემოაღნიშნულ პრიორიტეტულ დარგებში არსებული თანამედროვე მდგომარეობა, გამოვლენილია უკანასკნელ წლებში განხორციელებული რეფორმების ძლიერი და სუსტი მხარეები, შეფასებულია მათ წინაშე მდგარი ძირითადი გამოწვევები, მოცემულია მათი დაძლევის კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები.

**საკვანძო სიტყვები:** მეწარმეობა; რეფორმა; მრეწველობა; სოფლის მეურნეობა; ტურიზმი.
**JEl Codes:** L 26, L38, L52, Q16, Z32

მეწარმეობის ცნება სამეცნიერო ლიტერატურაში ეკონომისტ-კლასიკოსთა მიერ შემოღებულ იქნა XVII–XVIII საუკუნეების მიჯნაზე. მისი არსის განმარტების მრავალი ვარიანტი არსებობს [1,გვ.191], თუმცა, ჩვენი აზრით, ყველაზე სრულყოფილად და მოკლედ იგი მოცემულია ამერიკელი მეცნიერების რობერტ ხიზრიჩის და მაიკლ პიტერსის ნაშრომში [2, გვ.20]. მათი აზრით, მეწარ-

მეობა არის ღირებულების მქონე რაიმე ახლის შექმნის პროცესი, რომელიც მოითხოვს დროს და ენერგიას, თავის თავზე ფინანსური, მორალური და სოციალური პასუხისმგებლობის აღებას, პროცესი, რომელსაც მოაქვს ფულადი შემოსავალი და პირადი კმაყოფილება. "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით, მეწარმეობას მიეკუთვნება მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით დამოუკიდებლად და ორგანიზებულად. „აღნიშნული კანონის და სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების საფუძველზე, ქვეყანაში ნელა, მაგრამ მაინც ჩამოყალიბდა სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები. მეწარმეობის ამ ფორმების ჩამოყალიბებით საქართველოში, ფაქტობრივად, შეიქმნა მეწარმეობის ახალი ტიპი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საბაზრო სისტემისათვის დამახასიათებელი შერეული ეკონომიკის ფორმირებას" [3, გვ.182]. მაგრამ, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაფუძნებული პირველი წლები განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა. გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესს საქართველოში თან ახლდა მწვავე სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები, რის გამოც ქვეყნის განვითარების პროცესი არაპროგნოზირებადი გახდა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში შექმნილმა პოლიტიკურმა უწესრიგობამ, ეთნიკურმა კონფლიქტებმა, უპასუხისმგებლო მმართველობამ, ქვეყანაში ქაოსი და ანარქია გამოიწვია [4, გვ.3]. შემდგომ ეტაპებზე განხორციელებული რეფორმებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით, მდგომარეობა თანდათანობით სტაბილურდება და სამეწარმეო საქმიანობაც, მეტ-ნაკლებად, ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

## არსებული მდგომარეობის ანალიზი

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი საქართველოში რეფორმების მრავალფეროვნებით ხასიათდება. თუმცა, მისი სოციალურ ეკონომიკური შედეგები არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. მკვლევართა გარკვეული ნაწილის აზრით, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი დასრულებულია, თუმცა, ისიც აშკარაა, რომ საქართველოში შექმნილი საბაზრო ეკონომიკა, სამწუხაროდ, შორსაა დასავლური და, კერძოდ ევროპული სტანდარტებისგან [5, გვ.40]. საქართველოში გარდამავალი პერიოდის რეფორმები, პოლონეთის, ჩეხეთის, სლოვაკეთის და ბალტიისპირეთის ქვეყნებისგან განსხვავებით, ჩიხში მოექცა და ამით ასეულობით მილიონი დოლარის დასავლური დახმარებებიც უნაყოფო აღმოჩნდა [6, გვ.275]. ვერ მოხერხდა ვერც ტრანსფორმაციის პერიოდის დასრულება და ვერც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების იმ დონის გადალახვა, რაც არსებობდა ქვეყანაში საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლოო, უკრიზისო – 1989 წლისათვის. მიუხედავად სხვადასხვა დროს და სხვადასხვა დოზით არსებული წმინდა და ლოკალური ეკონომიკური

წარმატებებისა, არც ერთ სოციალურ სფეროში საქართველოს არ გადაულახავს კომუნისტური რეჟიმის მაჩვენებლები [7, გვ.140].

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე გამოყოფენ ეკონომიკური რეფორმების სამ ეტაპს. პირველი სასტარტო ეტაპი (1991-1994წწ.), გამოუცდელობის, უცოდინრობისა და სხვა მრავალი ნეგატიური ობიექტური ფაქტორის გავლენის გამო, წარუმატებელი აღმოჩნდა; რეფორმების მეორე ეტაპზე (1995-2002წწ.) შეიქმნა ბიზნესის განვითარებისათვის შედარებით ხელსაყრელი პოლიტიკური, მაკროეკონომიკური და სამართლებრივი გარემო, თუმცა, ამ ეტაპზე იყო შენელებისა და ჩავარდნების პერიოდიც. რეფორმების მესამე ეტაპზე (2003-2012წწ.), რომელსაც თან ახლდა ფსევდორეფორმებიც, მნიშვნელოვან ეკონომიკურ წინსვლასთან იყო სერიოზული კანონდარღვევები საკუთრებისა და ადამიანის უფლებებების ხელყოფის კუთხით [8, გვ.50]. მართალია, ეკონომიკურ რეფორმებს ახლდა სერიოზული ნაკლოვანებანი, მაგრამ ერთი რამ მაინც უდავოა, „საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლების დამკვიდრებისა და კორუფციისა და დანაშაულის შემცირების სფეროში. გატარდა სისტემური ცვლილებები კორუფციის აღმოფხვრის, ბიუროკრატიის შემცირების, საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით" [9].

საქართველოში საპარლამენტო არჩევნების შემდეგ 2012 წელს მოსულმა მთავრობამ, 2020 წლამდე პერიოდის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია დაამტკიცა. ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიზნები და მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მიდგომები.ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მიზანია ინკლუზიური, ანუ საყოველთაო ეკონომიკური ზრდის საფუძველზე საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად სამთავრობო სტრატეგიის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად დაისახა სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის სრულ რეალიზაციას და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას [10]. მეწარმეობის ხელშემწყობი ეფექტიანი სისტემის დანერგვით შესაძლებელია ქვეყნის წინაშე მდგარი მრავალი პრობლემის (სუსტი საინოვაციო პოტენციალი, დაბალი კონკურენტუნარიანობა, მაღალი უმუშევრობა, ახალი სამუშაო ადგილების ნაკლებობა, მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონე) გადაჭრა.

უკანასკნელ წლებში საქართველოს სამეწარმეო სექტორი ზრდის ტენდენციით გამოირჩევა. 2014 წელს საქართველოში დარეგისტრირებული იყო 553359 საწარმო, ანუ 18,0%-ით, მეტი ვიდრე 2012 წელს. 2014 წელს სამეწარმეო სექტორის ბრუნვამ 50064,7 მლნ ლარს გადააჭარბა, რაც 19%-ით აღემატება 2012 წლის ანალოგიურ მონაცემებს. ამასთან, საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულებამ 26068,6 მლნ ლარს გადააჭარბა, რაც

12%-ით მეტია 2012 წლის მაჩვენებელზე. მნიშვნელოვანია, რომ 2014 წელს 2012 წელთან შედარებით, სამეწარმეო სექტორში 57,7 ათასი ადამიანით, ანუ 10%-ით მეტი დასაქმდა [11]. მიუხედავად გარკვეული მიღწევებისა, მოსახლეობის ცხოვრების დონე კვლავ სერიოზულ პრობლემად დარჩა. თუმცა, ბოლო სამ წელიწადში სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესების კუთხით გატარებულმა სამთავრობო გადაწყვეტილებების პრაქტიკულმა რეალიზაციამ უნდა უზრუნველყოს კერძო სამეწარმეო სექტორის განვითარება და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება.

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და სამუშაო ადგილების შექმნაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს მცირე და საშუალო საწარმოები. ოფიციალურად დეკლარირებული მონაცემებით, 2014 წელს მცირე და საშუალო ბიზნესის მთლიანმა ბრუნვამ 9038,6 მლნ ლარი შეადგინა, რაც 26%-ით აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს. ამასთან, პროდუქციის მთლიანმა გამოშვებამ 5166,8 ლარს გადააჭარბა, რაც 26%-ით მეტია 2012 წლის მაჩვენებელზე. ამავე პერიოდში, მცირე და საშუალო ბიზნესში 30,3 ათასით მეტი ადამიანი დასაქმდა (მაჩვენებელი 13%-ით გაიზარდა, ე.ი სულ 259,4 ათასი ადამიანია დასაქმებული), ვიდრე ეს იყო 2012 წელს. მცირე ბიზნესის ყველაზე მეტი რაოდენობა (20,7%) დაკავებულია ვაჭრობითა და სარემონტო სამუშაოებით, სადაც ბიზნესის დაწყება შედარებით ადვილია, რადგან არ მოითხოვს დიდ ინვესტიციებს და მაღალკვალიფიციურ მუშახელს.Mმიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესს მაღალი სოციალური ფუნქცია აკისრია, ეს სფერო ჯერჯერობით განუვითარებელია და არ უწყობს ხელს ეკონომიკის ზრდას. 2014 წელს მცირე და საშუალო ბიზნესის მთლიანმა ბრუნვამ ბიზნესსექტორის მთლიანი ბრუნვის 18% შეადგინა, პროდუქციის მთლიანმა გამოშვებამ – ბიზნესსექტორის პროდუქციის – 19,8%, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობამ – მთლიანად სამეწარმეო სექტორში დასაქმებულთა – 43,8% [11].

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება თანდათანობით იკრებს ძალას და უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ მიმართულებით მთავრობის მიერ განხორციელებული ბოლოდროინდელი რეფორმები გარკვეულ პოზიტიურ შედეგებს გამოიღებს.

## მეწარმეობა რეალურ სექტორში

ქვეყნის ეკონომიკის განვითარება შეუძლებელია მისი რეალური სექტორის, განსაკუთრებით მრეწველობის დარგის განვითარების გარეშე. მრეწველობის სექტორს ამჟამად საქართველოს ეკონომიკაში ძალზე მოკრძალებული წილი (2014 წლის მშპ-ის 16,9%) აქვს. 2014 წელს საქართველოს მრეწველობის ბრუნვამ 9000 მლნ ლარს მიაღწია, რაც 16%-ით აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს. ამასთან, მრეწველობის დარგის პროდუქციის ღირებულებამ 8201,5 მლნ ლარი შეადგინა, რაც 12%-ით მეტია 2012 წლის მაჩვენებელზე. ამავე

პერიოდის მონაცემებით, მრეწველობაში 1725 ადამიანით მეტი დასაქმდა (მაჩვენებელი 1,1%-ით გაიზარდა, ე. ი. დასაქმებულთა რაოდენობამ სულ 116568-ს მიაღწია), 2012 წლის მონაცემებით დასაქმებული იყო 114843 პირი. მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობამ მთლიანად ბიზნესსექტორში დასაქმებულთა 19,6% შეადგინა. ამ სექტორის დინამიკას ძირითადად დამამუშავებელი მრეწველობა განაპირობებდა. დამამუშავებელ მრეწველობაზე მოდიოდა სამრეწველო წარმოების 80% (6611,7 მლნ ლარი), რაც 18%-ით მეტია 2012 წლის მაჩვენებელზე [11]. 2012 წელთან შედარებით დამამუშავებელი მრეწველობის მატება ძირითადად განაპირობა საკვები პროდუქტების და თამბაქოს წარმოების (27%-ით) და მეტალურგიული მრეწველობის და ლითონის მზა ნაწარმის (6%-ით) ზრდამ, რაც გამოწვეული იყო ფეროშენადნობებზე, ლითონის მზა ნაკეთობებსა და კვების პროდუქტებზე როგორც საგარეო, ისე საშინაო მოთხოვნის ზრდით. საქართველოს უმსხვილეს საექსპორტო სასაქონლო სტრუქტურაში ფეროშენადნობებს მეორე ადგილი (ქვეყნის ექსპორტის 10%) უკავია, ასევე მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ხილ-ბოსტნეულის კონსერვებისა და წვენების ექსპორტში.

ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილებაზე სამრეწველო პროდუქციის 14,4% (1058,7 მლნ ლარი) მოდიოდა, რაც 8,9%-ით აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს.Aამ სექტორის ზრდა განაპირობა ელექტროენერგიის წარმოების 14%-ით ზრდამ [11]. საქართველო, ჰიდროენერგორესურსების სიმძლავრით, ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა მსოფლიოში და უმდიდრესია პოსტსაბჭოურ რესპუბლიკებს შორის. ჰიდროელექტროენერგიის გამომუშავებით ქვეყანას შეუძლია იქცეს მსხვილ ექსპორტიორად მეზობელ თურქეთში.

სამთომოპოვებით მრეწველობაზე სამრეწველო პროდუქციის 4,9% (402,2 მლნ ლარი) მოდიოდა, რაც 10%-ით მეტია 2012 წლის მაჩვენებელზე. ამ სექტორის ზრდა განაპირობა ნედლი ნავთობისა და ბუნებრივი აირის 24%-ით და ლითონის მადნების მოპოვების 22%-ით ზრდამ, რაც გამოწვეული იყო ნედლ ნავთობსა და ლითონის მადნებზე როგორც საგარეო, ისე საშინაო მოთხოვნის ზრდით. 2015 წელს, საქართველოს უმსხვილეს საექსპორტო სასაქონლო სტრუქტურაში, სპილენძის მადნებსა და კონცენტრატებს პირველი ადგილი (ქვეყნის ექსპორტის 12,3%) უკავია.

2014 წელს დამამუშავებელ მრეწველობაში ყველაზე მეტი წილი (48%) საკვების, სასმელის და თამბაქოს წარმოებაზე მოდიოდა, მას მეტალურგია და ლითონის მზა ნაწარმი მოსდევს (17%), მომდევნო პოზიციები, 12%-იანი წილით, არალითონური მინერალური ნაკეთობების წარმოებას და 8%-იანი წილით, ქიმიური მრეწველობის პროდუქციას ეკავა. ისეთი დარგების გავლენა, როგორიცაა ქსოვილებისა და ფეხსაცმლის წარმოება, მინიმალურია. ტექსტილისა და ტექსტილის ნაწარმის, ტყავისა და ტყავის ნაწარმის და ფეხსაცმლის

წარმოებამ 117 მლნ ლარი (1,6%) შეადგინა [11]. რაც შეეხება მსუბუქ მრეწველობას, იგი ფაქტობრივად გაჩერებულია. ამ დარგის განვითარებისათვის საქართველოს განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები გააჩნია. ქვეყანაში არსებობს აბრეშუმის პარკის, მატყლის და ტყავის ნედლეულის წარმოების დიდი გამოცდილება და პოტენციალი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მრეწველობას გააჩნია გამოუყენებელი ბუნებრივი რესურსების დიდი პოტენციალი, რომელთა შორის მნიშვნელოვანია ტყის რესურსები. ტყის საერთო ფართობი 2005,6 ათასი ჰა-ია, მერქნის მარაგი 451700,12 ათას მ3-ს შეადგენს. მერქნის ამ მარაგიდან გადამუშავებისათვის ხელმისაწვდომია მისი 38-40% [12]. როგორც შიგა, ასევე საგარეო ბაზრებზე არსებობს მოთხოვნა სამრეწველო მერქანზე. მნიშვნელოვანია საქართველოში მოპოვებული მერქანი ადგილზე გადამუშავდეს და საბოლოო პროდუქტიც აქვე შეიქმნას. მერქნის წარმოებასთან ერთად შესაძლებელია ტყის არამერქნული რესურსების წარმოება და გადამუშავება. არამერქნული პროდუქტების წარმოება პოტენციურად უმნიშვნელოვანესი საექსპორტო დარგია, რაც ქვეყანას დიდი მოცულობის სავალუტო შემოსავლებს მოუტანს და უზრუნველყოფს მოსახლეობის დასაქმების ზრდასა და სოციალური პირობების გაუმჯობესებას. ამ პროდუქტების უმსხვილესი ბაზარი ევროკავშირია. ტყის არამერქნულ რესურსებზე ყოველწლიურად მზარდი საერთაშორისო მოთხოვნილებისა და საქართველოში არსებული ამ სახის პროდუქტების უზარმაზარი პოტენციალის მიუხედავად, ეს დარგი სრულიად განუვითარებელია და განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.

საქართველო წყლის რესურსებით ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა, თანაც სასმელი წყლის მწვავე დეფიციტის მქონე ქვეყნების შუაგულში მდებარეობს და მას შეუძლია მაღალხარისხოვანი ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიული წარმოებისა და მზა პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე ექსპორტიორი ქვეყანა გახდეს. “მინერალური წყლების გამოყენება შესაძლებელია მედიკამენტებისა და პარფიუმერული ნაწარმის, კერძოდ საპნების, შამპუნების, გელების, საცხების, სუნამოების და სხვ. დასამზადებლად, რაც საქართველოში ძირითადად იმპორტირებულია. სათანადო კვლევების განხორციელების შედეგად ამ მიმართულების წარმოების განვითარების დიდი შესაძლებლობებია საქართველოში [13, გვ.128].

საქართველოს სამთომოპოვებითი და მეტალურგიული მრეწველობის განვითარებისათვის სასარგებლო წიაღისეულის მნიშვნელოვანი რეზერვები აქვს. პრიორიტეტულ ნედლეულად რჩება ჭიათურის მანგანუმი. საქართველოში არსებობს მსოფლიო მნიშვნელობის იშვიათი ლითონებისა და ელემენტების (სპილენძის, ოქროს, ვერცხლის, ბარიუმის, დარიშხანის, ტყვიის, თუთიის, გოგირდის, თიხის, ანდეზიტის, კალციტების, ანთიმონიუმის) საბადოები, რომელთა ათვისება ფერადი მეტალურგიის და ქიმიური მრეწველობის განვითარებას შეუწყობს ხელს [14].

საქართველოს ხელსაყრელი სანედლეულო ბაზა აქვს საშენ მასალათა მრეწველობის განვითარებისათვის. ქვეყანაში მოიპოვება ინერტული და მოსაპირკეთებელი მასალა, ბუნებრივი ქვის ბლოკები, კირქვა (ცემენტის საწარმოებლად), კვარცის ქვიშები, ცეცხლგამძლე თიხა, დიატომიტი, აქატი; არსებობს პერლიტების საბადო (ფარავნის), რომელიც წარმატებით გამოიყენება კვების მრეწველობაში, საშენ მასალათა მრეწველობაში და სხვ. დიდია მასზე საექსპორტო მოთხოვნილებაც [12].

როგორც ანალიზიდან ირკვევა, მრეწველობის განვითარებისთვის ქვეყანას ბუნებრივი რესურსების მნიშვნელოვანი რეზერვები მოეპოვება. მათი ამოქმედება ხელს შეუწყობს მეწარმეობის განვითარებას, დასაქმების დონის ზრდას და შესაბამისად, სიღარიბის აღმოფხვრას და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

მეწარმეობის განვითარების ფართო არეალი არსებობს რეალური სექტორის ისეთ წამყვან დარგში, როგორიცაა სოფლის მეურნეობა. საქართველო ევროპის და აზიის გასაყარზე – კავკასიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. განსხვავებული რელიეფი სხვადასხვა მიკროკლიმატს ქმნის. საქართველოში ჩამოყალიბებულია სუბტროპიკული კლიმატური სარტყლის თითქმის ყველა ტიპი [12]. გეოგრაფიული თავისებურება, გეოპოლიტიკური მდებარეობა, რბილი კლიმატი, ნოყიერი ნიადაგი, ბუნებრივი რესურსების სიუხვე ქვეყანაში, ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას.

საბჭოთა პერიოდში საქართველოს აგრარულმა სექტორმა საკუთარი ნიშა „წარმატებულად იპოვა“, რადგან იგი კლიმატური პირობებით მკვეთრად განსხვავდებოდა ყველა დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკისგან და, შესაბამისად, სოფლის მეურნეობის ისეთ სექტორებს ავითარებდა, რომლის წარმოებაშიც მას კონკურენტი პრაქტიკულად არ ჰყავდა [15, გვ.549]. იგი ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს ამარაგებდა სუბტროპიკული კულტურების ნაყოფით, ხილით, ბოსტნეულით, კვების პროდუქტებით. “საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობების არსებობის მიუხედავად, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, დარგის განვითარების ტემპი საგრძნობლად ჩამორჩებოდა ეკონომიკის სხვა სექტორების განვითარების ტემპს” [16, გვ.11]. 2012 წლამდე სოფლის მეურნეობის სექტორი მთავრობას პრაქტიკულად მიტოვებული ჰქონდა, რასაც ხსნიდა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობის იდეოლოგიით [17, გვ.11]. მაგრამ, ქვეყნის სასურსათო და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სოფლის მეურნეობის სოციალური მნიშვნელობა, მისი ბუნებრივ პირობებსა და სხვა გარე ფაქტორებზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხი, განაპირობებს ამ სექტორში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის აუცილებლობას [18, გვ.494]. 2013_2014, წლებში მთავრობის ძალისხმევით და კერძო სექტორის, ასევე, დონორი ორგანიზაციების აქტიური თანამშრომლობის შედეგად, შეინიშნება გარკვეული პოზიტიური ტენდენციები წარმოების ზრდის, საექსპორტო ბაზრების გაფართოების

და სოფლის მეურნეობის სექტორში ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით [19]. 2013 წელს საქართველოს ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობას გამოეყო 227,4 მლნ ლარი (სახელმწიფო ბიუჯეტის 2,8%), 2014 წელს – 263,5 მლნ ლარი (2,9%), 2015 წელს – 292,9 მლნ ლარი (3,1%). აქედან უდიდესი ნაწილი (82,5%) სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პროგრამაზე დაიხარჯა, სურსათის უვნებლობასა და მცენარეთა დაცვაზე – 9%, მევენახეობა, მეღვინეობის განვითარებაზე – 7,9%. 2014 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბრუნვამ 249,1 მლნ ლარს გადააჭარბა, რაც 26%-ით აღემატება 2012 წლის მონაცემებს. ამასთან, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვებამ 3583,2 მლნ ლარს გადააჭარბა, რაც 18%-ით მეტია 2012 წლის მაჩვენებელზე. 2014 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავების შედეგად შეიქმნა 4,5 მლრდ ლარის ღირებულების პროდუქცია. აგრობიზნესის სექტორში პროდუქციის მთლიანი გამოშვება 10%-ით აღემატება 2013 წლის მონაცემებს, რაც ძირითადად გამოწვეულია გადამამუშავებელი სექტორის ზრდით, სადაც ზრდის მაჩვენებელი 13,8%-ია. ამავე პერიოდის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის სექტორში 2855 ადამიანით მეტი დასაქმდა (ზრდა 35%-ია), 2012 წელთან შედარებით. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა საშუალოთვიურმა ანაზღაურებამ 500,0 ლარი შეადგინა, რაც 18%-ით აღემატება 2012 წლის მაჩვენებლს. 2014 წელს, სოფლის მეურნეობის სექტორში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) მნიშვნელოვნად გაიზარდა წინა წლებთან შედარებით. 2014 წელს ამ სექტორში განხორციელდა 19,1 მლნ დოლარის პუი რაც წინა წლის მაჩვენებელს 61%-ით აღემატება. 2014 წელს, 2012 წელთან შედარებით, გაიზარდა ყურძნის, კაკლის, თხილის, რძის, კვერცხის და ხორცის წარმოება, შემცირდა ხორბლის, კარტოფილის, ციტრუსისა და ჩაის წარმოება. 2014 წელს, სოფლის მეურნეობის სექტორს მშპ-ში მოკრძალებული წილი (9,2%) აქვს, თუმცა 0,6%-ით აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს [11, 19].

2014 წელს, 2012 წელთან შედარებით, აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი გაიზარდა 6,7%-ით. 2014 წელს, საქართველოდან ექსპორტირებულია 825,9 მლნ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია. აღნიშნულ პერიოდში ქვეყნის მთლიან ექსპორტში აგროსასურსათო პროდუქციის წილი 29%-ს შეადგენს. ექსპორტირებული პროდუქტებიდან ძირითადია: თხილი (22%), ღვინო (22%), მინერალური და მტკნარი წყლები (17%), სპირტიანი სამელები (12%), მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (4%), უალკოჰოლო გაზიანი სასმელები (3%) და სხვ. ამავე პერიოდში აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი გაიზარდა 1,1%-ით. იმავე წლის მონაცემებით, საქართველოში იმპორტირებულია 1,3 მლრდ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია. უარყოფითმა სავაჭო ბალანსმა შეადგინა 4,741 მლნ დოლარი და სავაჭრო ბრუნვის 57%. ქვეყნის მთლიან იმპორტში აგროსასურსათო პროდუქციის წილი შეადგენს 15,2%-ს, ძირითადად იმპორტირებულია: ხორბალი (12%), თამბაქო (9%), შინაური ფრინველის ხორცი (6%), შაქარი, სპირტიანი სასმელები, მცენა-

რეული ზეთი, თევზი და სხვ. 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, უარყოფითი სავაჭრო სალდო შემცირდა 7,3%-ით, ხოლო 2012 წელთან შედარებით, 37%-ით [19]. როგორც ანალიზმა ცხადყო საქართველოს კვების პროდუქტების ბაზარი გაჯერებულია იმპორტირებული პროდუქციით. ქვეყანაში დიდი რაოდენობით შემოაქვთ ისეთი პროდუქტები, რომელთა წარმოების ხელსაყრელი პირობები აქაცაა.

საქართველოში სასურსათო უსაფრთხოება დიდ რისკთანაა დაკავშირებული. გაეროს რეზოლუციის შესაბამისად, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება რისკის ქვეშ დგება, თუ მოხმარებული პროდუქტის 20%-ზე მეტი იმპორტირებულია. საქართველოში ეს მაჩვენებელი შეადგენს 70-80%-ს [20, გვ.85]. ამ რისკის შესამცირებლად საჭიროა ისეთი ბიზნესგარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების ზრდას და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას. საქართველოს შეუძლია არა მხოლოდ საკუთარი მოსახლეობის დაკმაყოფილება სურსათით, არამედ მისი ექსპორტიც საერთაშორისო ბაზარზე.Gგეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობა, ევროკავშირთან გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (DCFTA) და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან გაფორმებული (EFTA) შეთანხმება ჩვენს ქვეყანას შესაძლებლობას აძლევს სავაჭრო ურთიერთობები გააღრმაოს ევროპის ქვეყნებთან და ხელი შეუწყოს სამეწარმეო სუბიექტების ევროპის ბაზრებზე დამკვიდრებას.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების დიდი პოტენციალი არსებობს ტურიზმის სფეროში. საქართველო უნიკალური ტურისტული ქვეყანაა. მისი მდიდარი ბუნებრივი და კულტურული რესურსები უჩვეულო მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, საქართველოში ტურისტების რაოდენობამ მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, გაცილებით სწრაფად იმატა. სტატისტიკური მონაცემებით, 2014 წელს ქვეყანას ესტუმრა 5 515,559 ვიზიტიორი, რაც 24%-ით აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს. 2015 წელს ვიზიტიორების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა და 5 897,685 შეადგინა. შიგა და საერთაშორისო ტურიზმი დიდ როლს ასრულებს საქართველოს ეკონომიკაში. 2014 წელს საერთაშორისო შემოსვლების უმეტესი წილი – 88% (4,863,165) მეზობელი ქვეყნებიდან განხორციელდა, მხოლოდ 12% (652,394) შემოვიდა სხვა ქვეყნებიდან. წლის ლიდერი თურქეთია – 1442,695 საერთაშორისო ვიზიტით. ვიზიტების რაოდენობის ზრდით კი პირველ ადგილს აზერბაიჯანი იკავებს. ევროკავშირის ქვეყნებიდან ვიზიტების რაოდენობამ 2014 წელს 232 558 შეადგინა. ევროპელი მოგზაურების წილი მთლიან რაოდენობაში 4%-ია, ხოლო ზრდა წინა წელთან შედარებით – 11%. უცხოელი ვიზიტიორების დანახარჯები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს საგადამხდელო ბალანსზე. საქართველოს სერვისის ექსპორტის შემოსავლიდან, დაახლოებით 59%, ტურიზმზე მოდის. საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები გამორჩე-

ულია ზრდის ტენდენციით. 2014 წელს უცხოური ტურიზმიდან შემოსავალი საქართველოში 1,79 მლრდ დოლარს შეადგენდა, ხოლო საქართველოს მოქალაქეების დანახარჯებმა უცხოურ ტურიზმზე 0.30 მლრდ დოლარი შეადგინა. შედეგად, უცხოური ტურიზმის ბალანსი საქართველოში 1.49 მლრდ დოლარია (ზრდა 4%). 2014 წლის მეოთხე კვარტალში ტურიზმთან ასოცირებული სამუშაო ადგილების რაოდენობამ 195,1 ათასს მიაღწია. ყველაზე დიდი წილი (60%) დასაქმებულია ტრანსპორტის სექტორში, სასტუმროებსა და რესტორნებში (13%). 2014 წელს ტურიზმში დასაქმების კონტრიბუცია მთლიან დასაქმებაში შეადგენდა 11%-ს. მშპ-ში ტურიზმის წილია 6%, რაც აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს. საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების 3,3% მოგზაურობებსა და ტურიზმზე მოდის. საქართველოში 1000 განთავსების ერთეულია, რომელიც თითქმის 35 000 საწოლს აერთიანებს [11, 21, 22]. თუმცა, სასტუმროს ნომერზე საშუალო მოთხოვნა არსებულ მიწოდებას აჭარბებს და ეს მაჩვენებლები, რა თქმა უნდა, არასაკმარისია.

საქართველო რამდენიმე საერთაშორისო რეიტინგის მქონე ქვეყნების ათეულშია, როგორც მოგზაურობისთვის ყველაზე უსაფრთხო. წარმატებები იყო საერთაშორისო ურთიერთობებშიც. ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ტურისტულ გამოფენა-ბაზრობაზე. „დაინერგა კომუნიკაციის თანამედროვე უახლესი ტექნოლოგიები, გაიზარდა ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე, ფართოდ გავრცელდა ინტერნეტი როგორც ბიზნესის, ასევე საზოგადოებრივი საქმიანობის სხვა სფეროებში, რამაც, ერთი მხრივ, გაამარტივა სამეწარმეო საქმიანობა და მეორე მხრივ, მსოფლიოს მიეცა საშუალება გაეცნოს საქართველოს კულტურას, ისტორიას და გეოგრაფიას" [23, გვ.113]. თბილისში, ბათუმში, ბაკურიანში, ბორჯომში, ანაკლიაში, ბაზალეთში და სხვაგან მსოფლიოში ცნობილი სამშენებლო ბრენდების მიერ საერთაშორისო კლასის სასტუმროები აშენდა, რამაც, საბოლოო ანგარიშით, შექმნა ტურისტული ბიზნესის განვითარების პირობები. 2015 წლის მაისში საქართველომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის „EBRD"-ის ბიზნესფორუმს უმასპინძლა. ამავე წლის ივლისში თბილისმა უმასპინძლა ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს. ტურიზმის განვითარების მიმართულებით მომავალშიც უნდა გაგრძელდეს მუშაობა, როგორც ახალი ბაზრების აღმოჩენის, ასევე არსებულ ბაზრებზე მეტი ადამიანის დაინტერესებისა და მოზიდვის კუთხით, რაც ხელს შეუწყობს დამატებითი უცხოური ვალუტის შემოდინებას. ტურიზმის განვითარება ზეგავლენას მოახდენს ტურიზმთან დაკავშირებული სხვა დარგების – სასტუმრო მეურნეობის, სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, სატრანსპორტო და სატელეკომუნიკაციო მეურნეობის, განათლების (ტურიზმთან დაკავშირებული კადრების მომზადება) განვითარებაზე. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას და მათი შემოსავლების ზრდას. რაც სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

## მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკა

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ეტაპზე სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია მეწარმეობის განვითარება [5, 7, 8, 9, 18]. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ სახელმწიფო ბაზრის უმნიშვნელოვანესი მოთამაშეა, რომელიც პასუხისმგებელია როგორც მეწარმეთა, ასევე საზოგადოების სხვა ფენების ინტერესების განხორციელებაზე. მეწარმეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი სამეწარმეო გარემოს შექმნა და კერძო სექტორის განვითარება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, კერძო სექტორი 10-დან 9 სამუშაო ადგილს ქმნის. კერძო სექტორის განვითარების მიზნით ქვეყნის ხელისუფლების მიერ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. შეიქმნა მეწარმეობის განვითარების სააგენტო, დაიწყო ახალი სამთავრობო პროგრამის – „აწარმოე საქართველოში" განხორციელება, რომლის მთავარი მიზანია მეწარმეობის განვითარება, ახალი საწარმოების მშენებლობა, არსებული საწარმოების გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის და საექსპორტო პოტენციალის ზრდა [21]. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, პროგრამას – „აწარმოე საქართველოში", ახალი კომპონენტი დაემატა, რომელიც რეგიონებში მიკრო და მცირე მეწარმეობის განვითარებას გულისხმობს. შეიქმნა აგრეთვე საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, რომლის მთავარი ფუნქციებია ინოვაციების და ცოდნის კომერციალიზაციის ხელშეწყობა და ინოვაციური მეწარმეობის, მათ შორის, *სტარტ*-ების ხელშეწყობა. 2015 წლის ივლისში ევროკავშირმა დაამტკიცა 6 მლნ ევროიანი ტრანშის პირველი გადარიცხვა – "ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცისა და მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის" საბიუჯეტო პროგრამის ფარგლებში. ეს თანხა წარმოადგენს პირველ გადარიცხვას, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული 45 მლნ ევროიანი „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცისა და მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის" პროგრამის საბიუჯეტო დახმარების კომპონენტის ფარგლებში. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამა მკაფიო მაჩვენებელია ევროკავშირის მზადყოფნისა, მხარი დაუჭიროს საქართველოში „ასოცირების შესახებ ხელშეკრულებისა" და „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის" განხორციელებას და ამავდროულად ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის, როგორც მდგრადი ეკონომიკური განვითარების და ინკლუზიური ზრდის საფუძველს.

საქართველოში ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ, ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის განვითარება გახდა. გაიზარდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სამელიორაციო სამუშაოებს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენასა და მის გამოყენებას, მცირემიწიანი ფერმერების დახმარების პროგრამის განხორციელებას. საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი – „სასოფლო-სამეურნეო

კოოპერატივის შესახებ“, შეიქმნა ა(ა)იპ „პროექტების მართვის სააგენტო“, მისი საქმიანობის შედეგად და საბანკო სექტორის დახმარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მეურნეობის დაფინანსება. ჩამოყალიბდა სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“, რომლის მიზანია სოფლის მეურნეობისა და სურსათის წარმოების განვითარების, მცენარეთა და ცხოველთა აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნების ხელშეწყობა [16].

მეწარმეობის სფეროში 2015 წელს განხორციელებულ სარეფორმო ღონისძიებებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარების ეროვნული სტრატეგიის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს დარგის ხედვას 2025 წლამდე. სტრატეგია მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებს, როგორიცაა ტურისტული მარკეტინგი, ტურისტული პროდუქტები, ტურიზმის პოლიტიკა, ინფრასტრუქტურა და სხვ. სტრატეგია დინამიკური დოკუმენტია და მისი გადახედვა პერიოდულად მოხდება.

მეწარმეობის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია მუშაკთა პროფესიული ცოდნის დონის ამაღლება [7; 9; 16; 13]. საქართველოში სამეწარმეო განათლების ხელმისაწვდომობის დაბალი დონეა.ქვეყანას ესაჭიროება უფრო მაღალი კვალიფიკაციის მქონე მუშაკები, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობის თანამედროვე გამოწვევებს უპასუხებენ. საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში ხაზგასმულია რომ სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ადამიანთა რესურსების განსაკუთრებით ახალგაზრდების შესაძლებლობების ამაღლებაზე. თანამედროვე შრომის ბაზარი მოითხოვს მაღალი კვალიფიკაციის აკადემიური და ტექნიკური სამუშაო ძალის მომზადებას. „აღსანიშნავია, რომ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს დებულებით (2014 წლის 19 თებერვალი) მისი მთავარი მიზანია დამხმარე მექნიზმების შემოღება, რომელიც დამწყებ ბიზნესმენებს და საწარმოებს გაუადვილებს წვდომას ინფორმაციაზე, ფინანსებსა და განათლებაზე და ხელს შეუწყობს მათში მაღალი სამეწარმეო კულტურის ჩამოყალიბებას“ [21]. გარდა ამისა, დაიგეგმა 26 ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების გახსნა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, რათა გაიზარდოს პროფესიული განათლების გეოგრაფიული არეალი და, შესაბამისად, მასზე ხელმისაწვდომობა [22]. მიუხედავად ამ ნაბიჯებისა, საქართველოს საგანმანათლებლო და განსაკუთრებით პროფესიული განათლების სისტემები საჭიროებს უწყვეტ რეფორმირებას და საფუძვლიან განვითარებას, ვინაიდან არც უმაღლესი სასწავლებლების და არც პროფესიული განვითარების პროგრამებში „მეწარმეობის“ პროგრამული მოდელი არ არსებობს. სამეწარმეო აზროვნების განვითარება კი მხოლოდ ფრაგმენტული ამოცანების გადაწყვეტით და სამეწარმეო განათლების სისტემატიზაციის გარეშე ეფექტიან შედეგს ვერ უზრუნველყოფს .ეს უკანასკნელი კი გულისხმობს სწავლების ყველა საფეხურს – ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი, „სიცოცხლის მანძილზე სწავლება“ [24, გვ.69], რაც განათლების სისტემის შრომის ბაზართან, დამსაქ-

მებლებსა და დასაქმებულებთან უფრო მჭიდრო კავშირსა და თანამშრომლობას უზრუნველყოფს.

## რეკომენდაციები მეწარმეობის განვითარების დაჩქარებისათვის

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე მეწარმეობამ რთული და წინააღმდეგობრივი გზა გამოიარა. ქვეყანაში შექმნილმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სამართლებრივმა გარემომ ვერ უზრუნველყო ბიზნესის სწრაფი განვითარება, თუმცა, მთლიანობაში მაინც ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა.

უკანასკნელ წლებში მეწარმეობის განვითარების კუთხით განხორციელებულ სარეფორმო ღონისძიებებიდან მთავარია სამუშაო ძალის დასაქმების, რეალური სექტორის დაჩქარებული განვითარების, მოსახლეობის სოციალური დაცვისა და ქვეყნის ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის გაღრმავების, ბიზნესის მაკროეკონომიკური და ინფრასტრუქტურული გარემოს გაუმჯობესების, გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის, აგრარული სექტორის სწრაფი განვითარების, მიწისა და ტყის რესურსების დაცვისა და რაციონალურად ათვისების, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფის, ტურისტული ბიზნესის პრიორიტეტული განვითარების, უახლესი ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევების პრაქტიკაში დანერგვის მიმართულებით ხელისუფლების მიერ გადადგმული კონკრეტულ ნაბიჯები.

ამასთან, მეწარმეობის განვითარებისათვის მომავალში გასატარებელ ღონიძიებებს შორის, თავისი აქტუალურობით გამოვყოფთ შემდეგს:

• ეკონომიკის ლიბერალიზაციის პროცესის შემდგომი გაღრმავება, მეწარმეობის წახალისება საგადასახადო მექანიზმის, საბიუჯეტო სუბსიდირების, სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების და სხვა ფინანსური და ორგანიზაციული ბერკეტების გამოყენებით;

• ხელსაყრელი სამართლებრივი, მაკროეკონომიკური, ინვესტიციური, ტექნოლოგიური და ინფრასტრუქტურული გარემოს შექმნის პროცესის გაგრძელება;

• ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავება და დანერგვა;

• მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით მსოფლიო პრაქტიკაში აპრობირებული ფონდების (ფინანსური, სადაზღვევო, სარისკო-ვენჩურული ფონდები, ლიზინგური კომპანიები და ა.შ.) გამოყენება;

• სამრეწველო დანიშნულებით ბუნებრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენება ბუნებრივი ეკოსისტემების შენარჩუნებასთან ერთად;

• დამამუშავებელი მრეწველობის განვითარება;

• ეროვნული კვების პროდუქტების წარმოება და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებაზე რისკების შემცირება;

• ფერმერული მეურნეობის გამსხვილებისათვის ხელშეწყობა (კოოპერირების განვითარება);

• სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობის გაზრდა;

• თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება ფერმერებისათვის;

• ქვეყნის ცნობადობის ამაღლება და ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარება;

• საქართველოში საერთაშორისო მოგზაურობის გამარტივება;

• სახელმწიფო პოლიტიკის გაუმჯობესება ბიზნესის, უნივერსიტეტების და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების ერთმანეთთან დაკავშირებისათვის.

ამ ღონიძიებების განხორციელება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სამეწარმეო საქმიანობის განვითარებაში, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში.

## ლიტერატურა:


1. Beugelsdijk S. Entrepreneurial culture, regional innovativeness and economic growth, ჟურნ. Springer-Verlag, Published online: 12 January 2007.
2. ხიზრიჩი რ. პიტერსი მ. მეწარმეობა ანუ როგორ დავიწყოთ საკუთარი საქმე და მივაღწიოთ წარმატებებს, ქუთაისი, 1994.
3. ასათიანი რ. XX საუკუნის მსოფლიო ეკონომიკის კონცეპტუალური ანალიზი და საქართველოს ეკონომიკური პორტრეტი, თბ., 2015.
4. ec.europa.eu/social/BlobServlet?docId=6886&langId=ka ვებგვერდი ბოლოს ნანახია 29.03.2016.
5. პაპავა ვლ., თ. თაფლაძის და ა. გეგეშიძის მონაწილეობით საქართველოს ეკონომიკა, რეფორმები და ფსევდორეფორმები, თბ., 2015.
6. კვარაცხელია მ. ილია ჭავაჭავაძე და თანამედროვეობა, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომები 11, თბ., 2013.
7. ჯიბუტი მ. საქართველოს თანამედროვე სოციალური და ეკონომიკური გამოწვევები და მათი დაძლევის სანიმუშო პროგრამის მონახაზი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომები 11, თბ., 2013.
8. მესხია ი. საქართველოში მიდინარე ეკონომიკური რეფორმები: ანალიზი, გამოწვევები, Pპროგნოზები, ჟურნ. "ეკონომიკა და ბიზნესი", თბ., 2015, # 2.
9. http://www.ge.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/GE_UNDP_MDG_Report_Georgia_2014.geo.pdf vebgverdi bolos nanaxia 29.03.2016.
10. www.mof.ge/common/get_doc.aspx?doc_id=10644 ვებგვერდი ბოლოს ნანახია 29.03.2016.
11. http://www.geostat.ge/
12. http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/agriculture/Garemo_2014.pdf. ვებგვერდი ბოლოს ნანახია 29.03.2016.

13. გაგნიძე ი. სამეწარმეო უნივერსიტეტი _ განათლებისა და მეცნიერების ეფექტიანი პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი რგოლი, ჟურნ. "ეკონომიკა და ბიზნესი", თბ., 2015, #4.
14. http://eprints.iliauni.edu.ge/usr/share/eprints3/data/3498/1/A.O.CENN%20Project.pdf
15. ხადური ნ. საქართველოს სოფლის მეურნეობის როლი მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევაში, I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, "სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები", შრომების კრებული, თსუ, თბ., 2012.
16. www.moa.gov.ge/Download/Files/91 ვებგვერდი ბოლოს ნანახია 25.03 2016.
17. http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/virtual_library/cooperation_sectors/georgia_assesment_final_ka.pdf ვებგვერდი ბოლოს ნანახია 25.03 2016.
18. შაბურიშვილი შ. აგრარული სექტორის დაზღვევის უცხოური გამოცდილება და საქართველო, I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, "სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები, შრომების კრებული", თსუ, თბ., 2012.
19. http://www.moa.gov.ge/Ge/Public/Reports ვებგვერდი ბოლოს ნანახია 25.03 2016
20. ჭითანავა ნ. საქართველოს სოფლის მეურნეობა, ტრანსფორმაცია, პრობლემები, პერსპექტივები, თბ., 2015.
21. http://www.economy.ge/ ვებგვერდი ბოლოს ნანახია 25.03 2016.
22. http://gov.ge/files/381_43285_728272_1215-1.pdf ვებგვერდი ბოლოს ნანახია 25.03 2016.
23. Kadagishvili L, Economic integration and the new challenges of Georgia, Zeszyty Naukowe, Uniwersytetu Przyrodniczo-Humanistycznego w Siedlcach, Nr 107, Seria: Administracja I Zarządzanie, Siedlce (34) 2015.
24. ე. ლეკაშვილი, სამეწარმეო აზროვნება და მისი განვითარების პრობლემები საქართველოში, ჟ. "ეკონომიკა და ბიზნესი", თბ., 2014, #6.


## Assessment of the Contemporary Situation in Entrepreneurship in Georgia


***Leila Kadagishvili***

*Doctor of Economics, Assistant Professor*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*leila.kadagishvili@tsu.ge*



In recent years, the Georgian government's efforts are directed to the development of priority sectors of entrepreneurship, such as industry, agriculture and tourism. Based on the scientific literature, governmental and non-governmental, national and international organizations report and statistical materials the given work analyzes and assesses the strong and weak sides of the development of the above noted fields of entrepreneurship. The contents of the article are structured as follows: initially there is an assessment of the last 20 years of the

reforms carried out in Georgia and noted that, despite the positive steps taken towards this direction, the country failed to reduce poverty and raise living standards. Further, it is analyzed the situation of entrepreneurial activities in Georgia in 2012-2014 and made a conclusion that despite the positive trends, the business environment at the current stage in the country can not provide the rapid pace of development of the national economy. The article also discusses the basic approaches and forms of state support of entrepreneurship and highlights the important role to be fulfilled by the improvement of entrepreneurial environment and the increase of entrepreneurs' education level. On the basis of the conclusions made at the end of the article there are formulated relevant proposals and recommendations.

**Keywords:** Entrepreneurship, reform, industry, agriculture, tourism.
**JEL Codes:** L26, L38, L52, Q16, Z32

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 2, გვ. 82-89
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 2, pp. 82-89

# ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში კორექტივების შეტანის აუცილებლობის შესახებ

*პაატა კოღუაშვილი*

*საქართველოს ს/მ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი*

სტატიაში განხილულია მეჩაიეობის დარგში შექმნილი პრობლემები, გაანალიზებულია მეჩაიეობის დარგის განვითარების სახელმწიფო პროგრამა, წარმოჩენილია მისი ნაკლოვანი მხარეები და შემოთავაზებულია შესაბამისი წინადადებები. ნაშრომში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მეჩაიეობა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო, სადაც ჯერ კიდევ XX საუკუნის 80-იანწლებში დასაქმებული იყო 180 ათასამდე კომლი. ბოლო ათწლეულებში ჩაის პლანტაციების ფართობი კატასტროფულად შემცირდა და დარგი სრული განადგურების საშიშროების წინაშე დადგა.

სტატიაში ხაზგასმულია, რომ სახელმწიფო პროგრამის მოლოდინები არ გამართლდა პროგრამაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის მიუღებელი ნორმების ჩადების გამო. ავტორის აზრით, აგრარულ სექტორში კოოპერაციისა და ახლებურად გააზრებული აგროსამრეწველო ინტეგრაციის ინტენსიური განვითარების ხელშეწყობა სახელმწიფო რეფორმების მნიშვნელოვანი მიმართულებაა და ამ კუთხით ადეკვატური ღონისძიებების გატარებისა და წარმატებული ეკონომიკის ქვეყნების მდიდარი გამოცდილების გაზიარებისაგან თავის შეკავება სერიოზულ პრობლემებს შექმნის.

**საკვანძო სიტყვები:** ჩაი; სახელმწიფო პროგრამა; რეაბილიტაცია; კოოპერატივი; ინტეგრაცია; რეფორმა.

მეჩაიეობა ქართული ეკონომიკის წამყვანი დარგი იყო, სადაც ჯერ კიდევ XX საუკუნის 80-იან წლებში დასაქმებული იყო 180 ათასამდე კომლი. მიუხედავად სახელმწიფოს მიერ ამ დარგში განხორციელებული არაერთი პროგრა-

მისა, ბოლო 25 წლის განმავლობაში ჩაის პლანტაციების ფართობი (68 ათასი ჰა) ინტენსიურად მცირდებოდა და საბოლოოდ დარგი სრული განადგურების საშიშროების წინაშე დადგა. ამის მიზეზს, ერთი მხრივ – სახელმწიფო ქონების, კერძოდ გადამმუშავებელი საწარმოების პრივატიზაციის წარმართვის დროს დაშვებული სერიოზული შეცდომები, ხოლო მეორე მხრივ, მეჩაიეობის დარგის განვითარების არასწორად დაგეგმილი სახელმწიფო თუ არასამთავრობო სექ-ტორის პროგრამები წარმოადგენს. კერძოდ, არ განხორციელდა ჩაის ფოთ-ლის წარმოებისა და გადამუშავების ინტეგრირებული, ერთიანი საწარმოო ციკ-ლის ხელშეწყობის სისტემური პროგრამები, რაც შესაძლებელი იყო მხოლოდ ჩაის ფოთლის წარმოებაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობის და კოოპერატივის ფარგლებში გადამმუშავებელ საწარმოსთან ინტეგრირების, ანუ ვერტიკალური ინტეგრაციის ხელშეწყობის გზით. აღნიშნულ სახელმწიფო პროგრამებში არაერთი ათეული მლნ ლარი დაიხარჯა ჩაის გადამმუშავებელი საწარმოების ხელშეწყობაზე, როცა ცალკე, საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ხდებოდა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის დაფინანსება. სწორედ ასეთი გაუაზრებელი, არასისტემური პოლიტიკის შედეგია, რომ არ განხორ-ციელდა მეჩაიეობის დარგის ეფექტიანი ორგანიზაციული მოწყობა, რომელიც უპირატესად ორიენტირებული იქნებოდა დარგში დასაქმებული ათიათასობით ადამიანის ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დაკმაყოფილებაზე და მხოლოდ ამ გზით აღნიშნულ პროექტებს შეექმნებოდა მდგრადი სიცოცხლისუ-ნარიანობისა და ინტენსიური განვითარების საფუძვლები. შედეგად მივიღეთ უკ-ვალოდ და უშედეგოდ გამქრალი ათეულობით მლნ ლარი და საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებული 57 ათასი ჰა ჩაის პლანტაციიდან შემოგვრჩა მხოლოდ 8,0 ათასი ჰა.

დღეს, როდესაც ქვეყანაში ინტენსიურად მიმდინარეობს სასოფლო-სამე-ურნეო კოოპერატივების შექმნის პროცესი, მეჩაიეობის დარგის განვითარების სახელმწიფო პროგრამის დაწყება იყო იმედის მომცემი, რომ ბოლოსდაბო-ლოს გატარდებოდა რეფორმისტული პოლიტიკა და აგროსამრეწველო ინ-ტეგრაციისა და კოოპერირების ფორმების გამოყენებით მოხდებოდა მეჩაიეო-ბის დარგის რაციონალური ორგანიზაციული მოწყობა. სამწუხაროდ, უნდა ით-ქვას, რომ ამ მხრივ მოლოდინი არ გამართლდა, პროგრამაში სასოფლო-სა-მეურნეო კოოპერატივებისთვის მიუღებელი ნორმების ჩადების გამო, კერძოდ:

1. მუხლი 3, პუნქტი 5-ის მიხედვით, „სარეაბილიტაციო სამუშაოების თა-ნადაფინანსება განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოებს შე-ასრულებს სააგენტოს მიერ წინასწარ შერჩეული რეაბილიტაციის განმახორცი-ელებელი კომპანიებიდან ერთ-ერთი“. სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების შემთხვევაში მიზანშეწონილი და აუცილებელიც კი იყო, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები შეესრულებინათ თვით კოოპერატივებს, რასაც ისინი განახორციელებდნენ მხოლოდ საკუთარი მეპაიეების შრომითი რესურ-სის გამოყენებით, ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე, რაც დაზოგავდა პროგ-

რამით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან სახელმწიფო თანხებს. მით უმეტეს, რომ ხშირ შემთხვევაში (განსაკუთრებით ფერდობებზე განლაგებული ჩაის პლანტაციების პირობებში) ეს სამუშაოები შესასრულებელია მცირე მექანიზაციით და ხელით. გაწეულ სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებაზე განხორციელდებოდა მონიტორინგი „პროექტების მართვის სააგენტოს" მხრიდან, ხოლო სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს" მხრიდან მათ მიმართ ისედაც ხორციელდება მონიტორინგი. კოოპერატივების ამ უაღრესად მნიშვნელოვანი რესურსის არდანახვა (შეგნებულად თუ შეუგნებლად) და გამოუყენებლობა წარმოადგენს სახელმწიფო ფულადი რესურსების არარაციონალური განკარგვის წინაპირობას. გარდა ამისა, პლანტაციების რეაბილიტაციის მიზნით ცალკე კომპანიის შერჩევა და მათზე ამ სამუშაოს დაკისრება, ნაკლებად ეფექტიანი იქნება, რადგან ისინი გადაიხდიან დღგ-ს, საშემოსავლო და მოგების გადასახადებს, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო დაფინანსების (2500 ლარი 1 ჰა-ზე) სულ მცირე – მეოთხედი – გადასახადებს მოხმარდება. მართალია, ეს თანხა სახელმწიფო ბიუჯეტში აისახება, მაგრამ კოოპერატივების შემთხვევაში შესაძლებელი იყო ის სრულად მიმართულიყო უშუალოდ სარეაბილიტაციო ღონისძიებებზე, რომლის ღირებულება რეალურად 2-3-ჯერ აღემატება სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ თანხებს.

2. მუხლი 5, პუნქტი 2, ა) ქვეპუნქტის თანახმად, „კოოპერატივს უნდა ჰქონდეს საკმარისი ფულადი სახსრები (საკუთარი ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციის შემთხვევაში სარეაბილიტაციო სამუშაოების არანაკლებ 20% და პროგრამის ფარგლებში იჯარის უფლებით მისაღები სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციის შემთხვევაში – არანაკლებ 10%) სარეაბილიტაციო სამუშაოების საკუთარი თანამონაწილეობის დასაფინანსებლად, რაც დადასტურებული უნდა იყოს ამონაწერით/ცნობით ბანკიდან ანგარიშზე თანხის არსებობის შესახებ".

კოოპერატივის თანამონაწილეობის შესაბამისი თანხის არსებობის ბანკის ამონაწერით დადასტურება პრობლემატურია, რადგან კოოპერატივები პრაქტიკულად *სტარტაპ*-ის მდგომარეობაშია და მათი აბსოლუტური უმრავლესობა განიცდის ფინანსური რესურსების მწვავე დეფიციტს. პროგრამით გაუთვალისწინებელი სარეაბილიტაციო ღონისძიებებისათვის საჭირო ფინანსური სახსრების მობილიზება-მოძიებასთან ერთად, პროგრამით გათვალისწინებული მინიმუმ 5 ჰა ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციაში თანამონაწილეობისთვის მათ დამატებით სჭირდებათ 2500 ლარი. აღნიშნული თანხა კოოპერატივების უმრავლესობას არ გააჩნია, ხოლო კომერციული ბანკები ამ მიზნით არ გასცემენ სესხებს, თუნდაც იმ მოტივით, რომ რეაბილიტაციის პროცესი მოიცავს 2-3-წლიან პერიოდს, რომლის განმავლობაში კოოპერატივები გადახდისუუნაროა.

3. გაუგებარია, რატომ არ შეიძლება პროგრამაში მიიღოს მონაწილეობა კოპერატივმა, რომლის წევრებს საკუთრებაში აქვთ 5 ჰა-ზე ნაკლები ფართობის პლანტაცია, ან რატომ არ აქვს პროგრამაში მონაწილეობის უფლება

კოოპერატივს, რომელსაც სახელმწიფოსგან აღებული აქვს ჩაის პლანტაციები ხანგრძლივვადიან სარგებლობაში.

4. ჩაის პლანტაციის რეაბილიტაცია არ ნიშნავს ერთჯერადი სამუშაოების ჩატარებას. იგი რამდენიმე წლისგან შედგება და მომდევნო წლების მანძილზე დიდი ხარჯების გაწევას ითვალისწინებს. ამიტომ, პროგრამაში მსჯელობა უნდა იყოს არა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციაზე, არამედ რეაბილიტაციისთვის საწყისი სამუშაოების ჩატარებაზე.

5. ვინც დასავლეთ საქართველოში მეცხოველეობის გაძღოლის წესებს იცნობს, დაგვეთანხმება, რომ შემოღობვის გარეშე პლანტაციის რეაბილიტაცია, ფულის წყალში გადაყრის ტოლფასია.

6. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ მიიღებს მონაწილეობას აღნიშნულ პროგრამაში იმის გამო, რომ მათ თავისი კოოპერატივის ფარგლებში არა აქვთ დაგეგმილი გადამმუშავებელი საწარმოს მოწყობა, რადგან ამას ისინი გეგმავენ სხვა კოოპერატივებთან ერთად რესურსების გაერთიანებით, მეორე დონის კოოპერატივის ფარგლებში, მასშტაბური წარმადობის საწარმოს შექმნის გზით, რაც წარმოების კონცენტრაციისა და სახელმწიფო სახსრების რაციონალური განკარგვის თვალსაზრისით უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე პროგრამაში მონაწილე ყველა კოოპერატივის მიერ ცალ-ცალკე გადამმუშავებელი საწარმოების შექმნა.

ჩამოთვლილი მიზეზებიდან გამომდინარე აშკარაა, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების უმრავლესობა ვერ მიიღებს მონაწილეობას ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში. მაშასადამე, ადრე განხორციელებული პროგრამების მსგავსად, ეს პროგრამაც გათვლილია დიდი ფართობების მქონე ინდივიდებზე და შპს-ებზე, რომლებიც მხოლოდ დაქირავებული შრომის გამოყენებაზეა ორიენტირებული.

კოოპერაციული პროცესის მნიშვნელობის არასათანადო შეფასებიდან და ხშირ შემთხვევაში იგნორირებიდან გამომდინარე, უკვე აღარ არის გასაკვირი შესაბამისი სამთავრობო უწყებების აქტიური მხარდაჭერა მეჩაიეობის დარგში ჩინური კომპანიების შემოყვანის თაობაზე, რაც გულისხმობს მათზე სარგებლობის უფლებით ათასობით ჰექტარი ჩაის პლანტაციის გადაცემას, ჩინელი მუშახელის შემოყვანას, მათ დასახლებას დასავლეთ საქართველოს ჩაის პლანტაციების გავრცელების ტერიტორიებზე და მათთვის საცხოვრებელი შენობების აშენებას.

ინვესტიციები სოფლის მეურნეობის დარგში ძალიან დიდ სიფრთხილეს და სიღრმისეულ გაანალიზებას მოითხოვს, რაშიც, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება და მზაობა განსახორციელებელი პროექტების მიმართ. მეჩაიეობის დარგში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები შეიქმნა სწორედ იმ მიზნით, რომ მოსახლეობამ მოახდინოს ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია, მაღალხარისხიანი ჩაის ფოთლის წარმოება, გადამუშავება და ამ გზით შეიქმნას შემოსავლების ზრდისა

და ადგილებზე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივა. მარტო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ამ მიზნით უკვე შექმნილია 19 ჩაის ფოთლის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი.გაუგებარი და ყოველგვარ რაციონალურ აზრს მოკლებულია, თუ რატომ არ შეიძლება,ქვეყნის ერთერთი შემოსავლიანი დარგის მართვის სადავეების უცხოურ კომპანიებზე გადაცემისა და უცხო ტომის ადამიანების ჩამოსახლების ნაცვლად, ბოლოსდაბოლოს ხელისუფლება ენდოს საკუთარ მოსახლეობას, რომლის გარკვეული ნაწილი იძულებულია მეზობელ ქვეყნებში წავიდეს ჩაის ფოთლის საკრეფად, როცა გააზრებული, უშუალოდ პირველადი პროდუქციის მწარმოებელ ადამიანებზე გათვლილი პროგრამების განხორციელების შემთხვევაში არსებობს საკუთარ ქვეყანაში მათი შემოსავლების ზრდისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეალური პერპექტივა.

საბოლოოდ ისევ მივდივართ მთავარ პრობლემასთან, რომ აგრარული სექტორის დაფინანსება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია რიგ კონკრეტულ საკითხზე, რომელთა შორის ყველაზე მთავარია დაფინანსების მიმღები სუბიექტის სწორად განსაზღვრა, რაც უზრუნველყოფს ფინანსური და ორგანიზაციული რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ეფექტიან მართვას.

წარმატებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა სახელმწიფო ხელშეწყობისა და დაფინანსების პრიორიტეტულ მიმართულებად კოოპერაციულ საწყისებზე ფუნქციონირებადი ორგანიზაციების ხელშეწყობა მიიჩნიეს, რადგან მხოლოდ კოოპერირების საშუალებით არის შესაძლებელი ორი საწყისის გაერთიანება: საკუთრების, რომელიც აძლევს მის მფლობელს არჩევანის თავისუფლებას და მასშტაბური წარმოების, რომელიც განაპირობებს ერთს მხრივ – ტექნიკურ და ეკომომიკურ უპირატესობას და მეორეს მხრივ – ავტორიტეტსა და წონას სასაქონლო და საფინანსო ბაზრებზე.

საქართველოს აგრარული სექტორის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, რაც ძირითადად დაკავშირებულია 750000-მდე მცირემიწიანი გლეხის მცირემასშტაბიან სამეურნეო საქმიანობასთან, მხოლოდ კოოპერაციული, ანუ ეკონომიკური და სოციალური სოლიდარობის სისტემის ხელშეწყობით არის შესაძლებელი რეგიონებში სიღარიბის დაძლევისა და ჯანსაღი საშუალო ფენის ჩამოყალიბების რთული პროცესის განხორციელება. კოოპერირების გარეშე მცირე ფერმერული მეურნეობების არსებობა შესაძლებელია მხოლოდ დაბალ ტექნოლოგიურ დონეზე, რაც ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს მათ სამეწარმეო განვითარებას.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და გადამმუშავებელი საწარმოს მდგრადი დაბალანსირებული განვითარების საფუძველს მათი ურთიერთინტეგრაცია წარმოადგენს. კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის პრინციპებზე დამყარებული მოდელი გახდება საფუძველი პირველადი პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი

ციკლის შექმნისა, სადაც პროდუქციის ღირებულება ყოველ სამეურნეო საფეხურზე იზრდება და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში ჩართული მოსახლეობა მიიღებს მნიშვნელოვნად გაზრდილ შემოსავლებს საბოლოო პროდუქციის რეალიზაციიდან. მეურნეობრიობის ეს ფორმა, ერთი მხრივ, საფუძველს უქმნის შემდგომ ეტაპზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციის უფრო მაღალი (მეორე, მესამე) დონის მქონე კოოპერაციული ფირმების შექმნას, ხოლო მეორე მხრივ – ქმნის აგრარულ საწარმოთა დაფინანსებაში ახალი, ეფექტიანი ელემენტების შეტანის მოტივაციას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ დღევანდელ ეტაპზე აგროსამრეწველო ინტეგრაციის ეფექტიანი მოდელის შექმნისას, უაღრესად მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვა. ამ კუთხით, სხვადასხვა ორგანიზაციულ ფორმებს შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. დღეს ხდება პირიქით, „შეღავათიანი აგროკრედიტისა" და სხვა სახელმწიფო პროგრამების მხარდაჭერით სოფლის მეურნეობის განვითარებაზე დახარჯულია 1 მლრდ ლარზე მეტი, საიდანაც კაპიტალური ინვესტირების კუთხით არ დაფინანსებულა არც ერთი კოოპერატივი, საგარანტიო უზრუნველყოფის არქონის და კომერციული ბანკებისთვის მიუღებელი სხვა პირობების გამო. ამ პროგრამებით გათვალისწინებული თანხები იხარჯება შპს-ების და სხვა, უპირატესად მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ორიენტირებული კომპანიების დასაფინანსებლად, რაც მათი ეკონომიკური საქმიანობის გავრცელების არეალში სპობს კოოპერატივების განვითარების პერსპექტივას თუნდაც იმიტომ, რომ უკვე დაფინანსებულ პროექტს, მისი გავრცელების არეალში კოოპერატივის სახით კონკურენტს არ გაუჩენს არც სახელმწიფო პროგრამა და მით უმეტეს, არც კომერციული ბანკი.

საერთოდ კი რჩება შთაბეჭდილება, რომ პროგრამა შედგენილია პროგრამისთვის და არა რეალურად საქმის კეთებისათვის, ამიტომაცაა, რომ თითქმის არც ერთ მუნიციპალიტეტში პროგრამის განხორციელებისათვის პრაქტიკული საქმიანობა არ დაწყებულა, სამაგიეროდ, განახლდა პლანტაციების გადაწვის პროცესი, რომელიც დადგენილების გამოსვლამდე დროებით შეჩერებული იყო. პროგრამის ხარვეზებისა და მასში მონაწილეობის დაბალი ინტერესის გამო, წლევანდელი წელი უკვე დაკარგულია, რადგანაც ჩაის ბუჩქის შპალერული და მით უმეტეს ნახევრად მძიმე და მძიმე გასხვლა უნდა დასრულებულიყო აპრილის დადგომამდე. ესეც რომ არა, ამ პროგრამის განმახორციელებელი სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო აღიარებს, რომ ჩაის არსებული პლანტაციების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა. არ ვიცით რამდენი ჰა-ა დღეისათვის შემორჩენილი და რამდენი ექვემდებარება რეაბილიტაციას. პროგრამაში არაფერია ნათქვამი ახალი პლანტციების გაშენებაზე, რაც „ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციისა და გაშენების" პროგრამის შინაარსს გაუგებარს ხდის.

აღნიშნული საკითხის სისტემური გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ სფეროში, მათ შორის მეჩაიეობის დარგში მეურნეობრიობისათვის საჭირო პირობების შექმნას, ძლიერი კოოპერაციული გაერთიანებების ჩამოყალიბებას, მოსახლეობის აქტივობის გაძლიერებას, სამეურნეო საქმიანობაში მათ მასობრივ ჩართულობას, აღწარმოების მასშტაბების გადიდებას და კონკურენტული გარემოს ფორმირებას, რაც, საბოლოო ანგარიშით, შექმნის მყარ გარანტიებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის. საკითხი ეხება აგრარულ სექტორში მრავალმხრივი და კომპლექსური ხასიათის მქონე ახალი საინვესტიციო პოლიტიკის გატარებას, რაც უზრუნველყოფს მისი ყველა ფუნქციის ბალანსს და იძლევა საწარმოთა ფუნქციონირების ოპტიმალურთან მიახლოების ყველაზე კარგ საშუალებას.

**დასასრულ,** არასაკმარისი გაცნობიერება იმისა, რომ აგრარულ სექტორში კოოპერაციისა და ახლებურად გააზრებული აგროსამრეწველო ინტეგრაციის ინტენსიური განვითარების ხელშეწყობა სახელმწიფო რეფორმებისა და გარდაქმნების ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა და თავის შეკავება ამ კუთხით ადეკვატური ღონისძიებების გატარებისა და წარმატებული ეკონომიკის ქვეყნების მდიდარი გამოცდილების გაზიარებისაგან, ქმნის სერიოზულ პრობლემებს, რაც ნეგატიურად აისახება მთავრობის მიერ გატარებული მასშტაბური ღონისძიებების ეფექტიანობასა და დაგეგმილ სისტემურ-სინერგიულ ეფექტზე. ასეთი მიდგომა ყოვლად გაუმართლებელია როგორც დარგის ეფექტიანი ორგანიზაციული მოწყობის, ასევე, სახელმწიფო რესურსების რაციონალური განკარგვის თვალსაზრისით.

## About the Necessity for Amendments in the Tea Plantations Rehabilitation State Program

***Paata Koghuashvili***

*The real member of Georgian Academy of Agricultural Sciences*

The article deals with the problems in the field of tea-growing; it is analyzed and showed state tea-growing program, its shortcomings and proposes appropriate suggestions. The paper emphasizes that tea-growing is one of the leading sectors of the economy where in the 80-ies of the last century there were employed 180 thousand households. In recent decades, the tea plantation area has decreased dramatically and the industry faced a danger of total destruction.

The author emphasizes that the program expectations are not implemented, due to the norms established in the program of agricultural cooperatives. It has been developed an opinion that the agricultural sector cooperation and promotion of intensive development of agricultural integration is the important direction of the state reform and in this case, refraining from taking adequate measures and sharing rich experience of the countries having successful economies will cause serious problems.

**Keywords:** tea, the state program, rehabilitation, co-operative, integration, reform

JEL Codes: R10, R11, R19

*ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 2, გვ. 90-98*
*ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 2, pp. 90-98*

# მცირე ბიზნესის განვითარება – სიღარიბის დაძლევის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი

*თამარ ხაბელაშვილი*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის დოქტორანტი*

სტატიაში განხილულია მცირე ბიზნესის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობაში, ხაზგასმულია, რომ ყველა ქვეყანამ მოსახლეობის მასობრივი დასაქმება და სიღარიბის დაძლევა, მნიშვნელოვანწილად, მცირე ბიზნესის განვითარებით შეძლო.

სტატიაში გაანალიზებულია 2009-2014 წლებში საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების მდგომარეობა, რის, შედეგადაც აღმოჩნდა, რომ მთლიან შიდა პროდუქტში, საქონელბრუნვასა და დასაქმებაში მცირე ბიზნესის ხვედრითი წილი გაცილებით მცირეა, ვიდრე საზღვარგარეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში.

აღნიშნულია ისიც, რომ 2014-2015 წლებში საქართველოს მთავრობამ უკვე გადადგა გარკვეული ნაბიჯები მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისათვის და სახსრებიც გამოყო მის დასაფინანსებლად, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. სტატიაში ჩამოყალიბებულია ადეკვატური რეკომენდაციები.

**საკვანძო სიტყვები:** მცირე ბიზნესი, მცირე მეწარმე, პრიორიტეტი, სიღარიბის დაძლევა, ბიზნესგარემო.

## მცირე ბიზნესის ადგილი მეწარმეობაში

ბიზნესის სახეობათა შორის განსაკუთრებულად გამორჩეული ადგილი უჭირავს მცირე ბიზნესს, იგი მცირე საწარმოთა ერთობლიობაა.

მცირე ბიზნესი მრავალგანზომილებიანი ცნებაა. ის, როგორც წესი, შეზღუდული მასშტაბით ხორციელდება და, უპირატესად, ინდივიდთა ან მეწარმეთა მცირე ჯგუფების სამეწარმეო საქმიანობას ემყარება.

მცირე ზომის მიუხედავად, მცირე ბიზნესს დიდი, მეტად მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვა აქვს. ჰარვარდის (აშშ) უნივერსიტეტის მცირე მეწარმეობის განვითარების ცენტრის დირექტორის უ. უაიტის აზრით, მცირე ბიზნესის მიზან-დანიშნულება საზოგადოებრივი სარგებლიანობით გამოიხატება, რაც მოსახლეობისთვის საქონლის წარმოება-მიწოდებაში, ადამიანების სამუშაოთი უზრუნველყოფასა და წმინდა მოგების მიღებაში აისახება [1, გვ. 20-21]. ქართველი მკვლევარი ო. შურღაია ამ ჩამონათვალს ამატებს საზოგადოების სოციალური წონასწორობისა და სტაბილური განვითარების ხელშეწყობას, მეურნეობის დარგების და სექტორების ურთიერთდაბალანსებულ განვითარებას, მსხვილ ბიზნესთან თანამშრომლობით რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენებას, მსხვილ და საშუალო ბიზნესისთვის საწარმოებლად არამომგებიან, მაგრამ საზოგადოებისთვის აუცილებელი პროდუქციით ბაზრის გაჯერებას, კონკურენტული ბიზნესგარემოს ჰარმონიზაციას და სხვა [2, გვ. 84].

ამ ჩამონათვალს თუ დავუმატებთ ბევრი სხვა მეცნიერის შეხედულებასაც, რომ მცირე ბიზნესის განვითარებით მცირდება მოსახლეობის მიგრაცია საზღვარგარეთ, უმჯობესდება ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა, ჩამოყალიბდება მოსახლეობის საშუალო ფენა და გაიზრდება მოსახლეობის შემოსავალი და ა. შ. და ა. შ., მაშინ აშკარაა, რომ საქართველოს აქვს სიღარიბის დაძლევის შესაძლებლობა, რომელსაც ჯერ-ჯერობით ვერ იყენებს.

ბიზნესის კეთების დაწყების სიმარტივით მსოფლიო ბანკის ანგარიშში – „ბიზნესის კეთება-2014", საქართველომ 189 ქვეყანას შორის მე-8 პოზიცია დაიკავა [3]. ეს კარგია, მაგრამ მარტივ დაწყებას, რომ უმეტეს შემთხვევაში, გაგრძელება აღარა აქვს, ესეც ხომ სინამდვილეა. ხუთი წელია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური არ აქვეყნებს მოქმედ საწარმოთა რიცხვს, ქვეყნდება მხოლოდ დარეგისტრირებულთა რიცხვი. ამ ინფორმაციით რეგისტრაცია მართლაც იზრდება, მაგრამ მთავარია მათი ამუშავება, რაც სამწუხაროდ, დარეგისტრირებული საწარმოთა მხოლოდ 1-2%-ის ფარგლებშია. ბევრი ფირმა, სხვადასხვა მიზეზის გამო, არსებობის პირველსავე წელს გადის ბაზრიდან. ბიზნესის წინაშე არსებულ სირთულეებს შორის სახელდება ფინანსებზე წვდომის სირთულე, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, მუდმივად ცვალებადი საგადასახადო რეგულაციები. მართალია, საქართველოში გადასახადის განაკვეთები ძალიან მაღალი არ არის, მაგრამ მეწარმეებს მაინც დიდი დანახარჯები აქვთ. ჩვენ მეზობელ ქვეყნებში – აზერბაიჯანსა და სომხეთში ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის და წყლის ტარიფები გაცილებით დაბალია, ვიდრე ჩვენთან [4, გვ. 271].

წინა წლებთან შედარებით, მცირე ბიზნესის განვითარების ხელშესაწყობად, მსოფლიო ბანკის რჩევით, საქართველოს მთავრობამ 2014-2015 წლებში გარკვეული ღონისძიებები გაატარა. მაგალითად, ამუშავდა სახელმწიფო პროგრამა – "აწარმოე საქართველოში" და დაიწყო შემოსული და გამარჯვებული პროექტების შეღავათიანი თანადაფინანსება – 10%-ით 24 თვის განმავ-

ლობაში, გირაოს თანადაფინანსება – 50%-ის მოცულობით 54 თვის განმავლობაში, ლიზინგის საგანზე დარიცხული პროცენტის თანადაფინანსება – 24 თვის განმავლობაში, შეიქმნა მეწარმეობის განვითარების სააგენტო, რომელიც მცირე და მიკრო მეწარმეებს უწევს საკონსულტაციო მომსახურებას და სხვა [5].

ეს ყველაფერი ნიშნავს, რომ საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების "ყინული" დაიძრა, რაც იძლევა იმის იმედს, რომ ქვეყნის მთავრობა კიდევ უფრო გააძლიერებს მცირე ბიზნესის მხარდაჭერას.

## მცირე ბიზნესის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური არა მარტო მოქმედ საწარმოთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციას არ აქვეყნებს, არამედ არ აქვეყნებს რეგისტრირებულ საწარმოთა საერთო რაოდენობაში მცირე, საშუალო და მსხვილ საწარმოთა რიცხვსაც. ქვეყნდება მხოლოდ მათი რაოდენობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით, მათ შორის, ინდივიდუალურ საწარმოთა რიცხვი. არ ვიქნებით სწორი თუ ჩავთვლით, რომ მცირე (მ. შ. მიკრო) საწარმო მხოლოდ ინდივიდუალური საწარმოა. მცირეში შეიძლება მოხვდეს სხვა ტიპის საწარმოც, მაგალითად, კოოპერატივი, მაგრამ ეს "შეიძლება" შესაძლებლობაა და მეტი არაფერი.

სხვა გამოსავლის უქონლობის გამო, მცირე საწარმოებში ჩავთვალეთ მხოლოდ სტატისტიკის სამსახურის ინფორმაცია ინდივიდუალურ საწარმოთა რაოდენობის შესახებ და მთელი გამოკვლევა მასზე დავაფუძნეთ.[1] ასეთი ვარაუდით, 2014 წელს საქართველოში რეგისტრირებული ყოფილა 393353 მცირე საწარმო, ანუ მთელ რეგისტრირებულ საწარმოთა საერთო რაოდენობის 71% (იხ. ცხრილი). 2009 წელთან შედარებით, რეგისტრირებულ მცირე საწარმოთა რაოდენობა საქართველოში, 195984 ერთეულით, ანუ 99.4%-ით არის გაზრდილი. თუმცა, მათი ხვედრითი წონა საწარმოთა მთლიან რაოდენობაში შემცირებულია _ ნაცვლად 2009 წლის 72.2%-ისა, 2014 წელს კი დაიკავეს 71%-მდე. ეს მაშინ, როცა დროს საზღვარგარეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მცირე საწარმოთა წილი საწარმოთა მთლიან რაოდენობაში 90%-ზე მეტია [6, გვ. 87]. მცირე (და საშუალო) საწარმოთა სწორედ ასეთი მასა აძლევს აშშ-ს საშუალებას, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მისი მთლიანი შიგა პროდუქტის 50-70%-ს ეს საწარმოები ქმნიან [7, გვ. 236].

არადამაკმაყოფილებელია მცირე საწარმოებში პროდუქციის ბრუნვის მაჩვენებელიც. 2014 წელს საქართველოს მცირე საწარმოებში შეიქმნა 2677.8 მლნ ლარის პროდუქცია და მომსახურება. ეს იყო სამეწარმეო სექტორში გამოშვებული პროდუქციის და გაწეული მომსახურების მხოლოდ 10.3%. თით-

1 გაანგარიშებულია ჩვენ მიერ საქართველოს 2010-2015 წლების სტატისტიკური პუბლიკაციების - "მეწარმეობა საქართველოში" მონაცემების საფუძველზე.

ქმის ამდენივე (9.5%) აწარმოეს საშუალო სიდიდის საწარმოებმა. ასე რომ, საქართველოში 2014 წელს მცირე და საშუალო საწარმოების მონაწილეობა მშპ-ის შექმნაში მხოლოდ 19.8%-ს შეადგენდა (იხ. ცხრილი). ეს მაშინ, როცა იგივე მაჩვენებელი "ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში 60%-ია, ხოლო მეზობელ სომხეთში 42%" [8, გვ. 231].

მისანიშნებელია ისიც, რომ საქართველოს მცირე საწარმოებში პროდუქციის გამოშვების და მომსახურების გაწევის მოცულობა 2009-2014 წლებში 3-ჯერ და მეტად არის გაზრდილი. ეს მაჩვენებელი დამაიმედებელია და თუ ასე გაგრძელდა მომავალ 5 წელიწადშიც, ევროპის ქვეყნებს არა, მაგრამ მეზობელ ქვეყნების დონეს მაინც მივუახლოვდებით.

პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციაში 2014 წელს მცირე ბიზნესმა 9.3% დაიკავა, ხოლო დასაქმებაში 28.5%. ორივე მაჩვენებელი 2009 წელთნ (9.3 და 22.2% შესაბამისად) შედარებით გაუმჯობესებულია, მაგრამ, ეს ყველაფერი ამ სფეროს განვითარებაში რადიკალურ გარღვევას არ ნიშნავს. საქართველოს კი სწორედ რადიკალური გარღვევა სჭირდება. ევროპაში მცირე ბიზნესს ჯერ კიდევ 2004 წელს რეალიზაციის მოცულობაში 42.3% ეკავა, დასაქმებაში კი 52% [9, გვ. 40]. ჩვენ მათ დღესაც კი ჩამოვრჩებით შესაბამისად 33 და 25.5 პროცენტული პუნქტით. როგორც მოსახლეობის, ასევე, საქართველოს მთავრობის ძალისხმევით უნდა გავზარდოთ არა მხოლოდ რეგისტრირებულ, არამედ მომუშავე მცირე საწარმოთა რიცხვი, შევუქმნათ მათ ეფექტიან, სტაბილურ და გრძელვადიან პერსპექტივაზე ორიენტირებული პირობები. ეს არის ქვეყნის სიღარიბიდან გამოსვლის ერთადერთი გზა.

## პრიორიტეტები მცირე ბიზნესში და მოსაზრებები მათი განვითარების შესახებ

მცირე ბიზნესის განვითარების მახასიათებლები სხვადასხვა ქვეყანაში არაერთგვაროვანია, მაგრამ განვითარების საწყისები თითქმის ყველა ქვეყანაში, ერთნაირია. მცირე ბიზნესი ვითარდებოდა კრიზისულ პერიოდში და აღმავლობასაც სწორედ მაშინ განიცდიდა. ორივე შემთხვევაში მას ყოველთვის სახელმწიფო არეგულირებდა – მცირდებოდა გადასახადის განაკვეთები, ბანკებიდან გაიცემოდა დაბალპროცენტიანი, ანდა საერთოდ სესხები, მცირე საწარმოებს ამოქმედების პირველ წლებში ეძლეოდათ "საგადასახადო არდადეგები" და ა. შ. სახელმწიფოს მხრიდან ასეთი მხარდაჭერით მცირე ბიზნესი კარგად განვითარდა გერმანიაში, იაპონიაში, აშშ-ში და სხვა ქვეყნებში. გერმანიაში მთავრობის მხრიდან სწორად გათვლილმა პოლიტიკამ ომის შემდგომ პერიოდში სულ რამდენიმე წლის მანძილზე მკვეთრად შეამცირა უმუშევრობა [10, გვ. 593]. ეს, მხატვრულად რომ ვთქვათ, "გაკაფული" გზა კარგად გამოიყენეს "აზიის ვეფხვებად" წოდებულმა ქვეყნებმა – სინგაპურმა, სამხრეთ კორეამ, ჰონკონგმა და სხვებმა, ხოლო შემდეგ, სულ რაღაც 25 წლის წინ ჩვენნაირად

ცხრილი

მეწარმოების ფორმების განვითარების მაჩვენებლები საქართველოში

| # | | ზომის ერთეული | 2009 | | 2011 | | 2012 | | 2013 | | 2014 | | 2014 წ. % | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | რაოდენობა | ხვ. წონა, % | რაოდენობა | ხვ. წონა, % | რაოდენობა | ხვ. წონა, % | რაოდენობა | ხვ. წონა, % | რაოდენობა | ხვ. წონა, % | 2009 წელთან შედარებით | წინა წელთან შედარებით |
| 1 | რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა, სულ – | ერთეული | 273397 | 100.0 | 370900 | 100.0 | 552692 | 100.0 | 593239 | 100.0 | 553359 | 100.0 | 202.4 | 93.3 |
| 2 | მათ შორის მცირე საწარმოთა რაოდენობა | ერთეული | 197369 | 72.2 | 269381 | 72.6 | 427110 | 77.1 | 448878 | 75.7 | 393353 | 71.0 | 199.3 | 87.6 |
| 3 | გამოშვებული პროდუქცია, სულ – | მლნ ლარი | 11003.1 | 100.0 | 19239.9 | 100.0 | 23096 | 100.0 | 23553.6 | 100.0 | 26068.6 | 100.0 | 236.9 | 110.7 |
| 4 | მათ შორის მცირე საწარმოებში გამოშვებული პროდუქცია | მლნ ლარი | 881.3 | 8.0 | 1706.9 | 8.9 | 2353.3 | 10.2 | 2280.3 | 9.7 | 2677.8 | 10.3 | 303.8 | 117.4 |
| 5 | რეალიზაციის მოცულობა, სულ – | მლნ ლარი | 20302.2 | 100.0 | 36726.2 | 100.0 | 42048.0 | 100.0 | 44327.9 | 100.0 | 50064.7 | 100.0 | 246.5 | 112.9 |
| 6 | მათ შორის მცირე საწარმოების რეალიზაცია | მლნ ლარი | 1464.1 | 7.2 | 3451.6 | 9.4 | 3905.3 | 9.3 | 3792.1 | 8.6 | 4660.6 | 9.3 | 318.3 | 122.9 |
| 7 | დასაქმება სამეწარმეო სექტორში, სულ | კაცი | 387463 | 100.0 | 503236 | 100.0 | 534397 | 100.0 | 550885 | 100.0 | 592147 | 100.0 | 152.8 | 107.4 |
| 8 | მათ შორის მცირე საწარმოებში | კაცი | 86086 | 22.2 | 126651 | 25.2 | 155396 | 29.1 | 138348 | 25.1 | 168480 | 28.5 | 196.0 | 121.7 |

გაანგარიშებულია ჩვენ მიერ საქართველოს 2010-2015 წლების სტატისტიკური პუბლიკაციების - “მეწარმეობა საქართველოში”, მონაცემების საფუძველზე.

სოციალისტური ბანაკიდან გამოსულმა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა – უნგრეთმა, ჩეხეთმა, პოლონეთმა და სხვებმა.

ისმება კითხვა: რა შინაგანი მუხტი აქვს მცირე ბიზნესს ისეთი, რომელიც ასე უხვად კვებავს ქვეყნების აღმასვლას და მოიძებნება კი ეს მუხტი საქართველოში? ეს მუხტი არის მცირე ბიზნესის მეშვეობით ადამიანთა მეწარმეობრივი ნიჭის და უნარის გამოვლენა. სწორედ ეს უკანასკნელი – შემოქმედებითი ძიება, ახალი იდეები, ლოგიკური აზროვნება, ინიციატივა და ა. შ., რაც მთლიანობაში მეწარმეობრივ უნარს შეადგენს, არის ის ფენომენი, რომლის ამოქმედების გარეშე ქვეყნის ეკონომიკური ზრდა შეუძლებელია. საყოველთაო აღიარებით, ქართველი ერი მძლავრი, შემოქმედებითი უნარით დაჯილდოებული ერია. ქართველს ახასიათებს ნიჭიერება, შემართება, ინიციატივა, პირველობისკენ ლტოლვა, ანუ ყველაფერი ის, რაც მეწარმეს სჭირდება. ამიტომაც მტკიცედ გვჯერა, რომ თუ ქართულ ბიზნესს მიეცემა განვითარების შესაბამისი პირობები, იგი კოლოსალურ შედეგებს მოუტანს საქართველოს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაგვიანებით, მაგრამ მცირე ბიზნესისთვის პირობების შექმნა, საქართველოს მთავრობამ 2014 წელს დაიწყო. შეიქმნა მეწარმეობის განვითარების სააგენტო და დაიწყო პროგრამის – "აწარმოე საქართველოში", დაფინანსება. ძალაშია და მუშაობს "იაფი კრედიტის" პროგრამაც. მაგრამ ყველა ამ სიახლეს სრულყოფა და დახვეწა სჭირდება. ბიზნესმენებს მათ მიმართ ბევრი შენიშვნა აქვთ – ძვირი უჯდებათ კონკურსში წარსადგენი ბიზნესგეგმის შედგენა, ბანკი, მართლაც იაფი (ბიზნესმენი იხდის მხოლოდ 2%-ს, დანარჩენს სახელმწიფო) კრედიტის გასაცემად, გარანტად ითხოვს სესხთან შედარებით 3-4-ჯერ მეტი ღირებულების ქონებას, რომლის 50%-ის თანადაფინანსებას სახელმწიფო ახდენს, მაგრამ დამწყებ მცირე მეწარმეებს ის დარჩენილი 50%-იც არა აქვთ და მრავალი სხვა.

მისასალმებელია საქართველოს მთავრობის პოლიტიკა, რომელიც გაჟღერებულია საქართველოს კანონში "მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" (16/VII – 2015 წელი, #4036-რს), მოსახლეობის სოფელში დაბრუნების ხელშესაწყობად საზღვრისპირა რაიონებში სოფლების აღდგენა-გაშენების შესახებ. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ბიზნესმენებსაც და მოსახლეობასაც გარკვეული კითხვის ნიშნები უჩნდებათ. მაგალითად, იმის განცხადება, რომ საზღვრისპირა სოფლებში პენსიონერები დავასახლოთ და მათ ამისთვის სახელმწიფო პენსიაზე 20% დავუმატოთ, რა თქმა უნდა, არაფრის მომცემია. იქ ახალგაზრდები უნდა დავასახლოთ, ამასთან "...კარგი იქნებოდა აგვეშენებინა მათთვის სახლები, მიგვეცა შინამეურნეობისთვის საჭირო პირობები, პირუტყვი, ფრინველი და ა. შ. ამავე სოფლებში შეგვექმნა მცირე გადამამუშავებელი საწარმოები გარკვეული შეღავათებით გადასახადებთან მიმართებაში" [11, გვ. 32].

საქართველოს საზღვრები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მთებზე გადის. იქ სოფლების გაშენება ან დაცლილ სოფლებში მოსახლეობის დაბრუნება ცარიელი ენთუზიაზმით და პატრიოტიზმით და თუნდაც, ოჯახისთვის ახლადდა-

ბადებულ პირველ და მეორე ბავშვზე ერთი წლის განმავლობაში ყოველ თვე ას-ასი ლარის, ხოლო მესამე და ყოველ შემდეგ ბავშვზე ორას-ორასი ლარის გაცემით, ვეღარ მოხდება. არც ის სტიმულებია ქმედითი, რომლებსაც ამ კანონით საქართველოს მთავრობა სთავაზობს ექიმებს, ექთნებს და მასწავლებლებს (ექიმებს – ორმაგი პენსია, მასწავლებლებს – 35%-იანი წანამატი და ა. შ.). ამ საქმის დასაგვირგვინებლად დიდი სტიმულებია საჭირო. ერთჯერადი, თუნდაც მნიშვნელოვანი (2000-3000 ლარი) დახმარებაც არ იქნება ეფექტის მომცემი. ჩვენი აზრით, საჭიროა, ამ სოფლების გაშენებამდე ვიფიქროთ იმაზე, თუ რა რესურსი არსებობს, რომ იქ ჩასული მოსახლეობა დავასაქმოთ. საქართველოში სანედლეულო რესურსები ძირითადად ადგილობრივი მნიშვნელობისაა, ანუ იმდენი, რამდენიც მცირე (ან საუკეთესო შემთხვევაში საშუალო) სიმძლავრის საწარმოთა მოწყობისთვის არის საკმარისი [12, გვ. 44]. აი, ამ საკითხზე უნდა იზრუნოს მთავრობამ და ან თვითონ მოაწყოს ასეთი საწარმოები და იქ ჩასული მოსახლეობა დაასაქმოს, ანდა მათ აამუშავებინოს ისინი მცირე მეწარმეთა სტატუსით. მეტიც, ეს უნდა გაკეთდეს არა მხოლოდ საზღვრისპირა რაიონებში, არამედ საქართველოს ყველა რაიონსა და სოფელში და ადგილობრივ მოსახლეობას მიეცეს დასაქმების შესაძლებლობა. ეს და მხოლოდ ეს გადაარჩენს საქართველოს სოფლებს მოსახლეობისგან დაცლისგან და გამოიყვანს მათ უკიდურესი გაჭირვებიდან.

მცირე საწარმოთა გაშლა-განვითარებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ადგილობრივი მართვის ორგანოებმა. ისინი აღწერენ რა რაიონში ასამოქმედებლად არსებულ რესურსებს, მათ იქიდან უნდა გამოჰყონ პრიორიტეტები, შესთავაზონ მათი ამუშავება ადგილობრივ მცხოვრებლებს სათანადო მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური და საკონსულტაციო თანადგომით და თან დაუდონ ხელშეკრულება პროდუქციას (თუ მომსახურების) სახელმწიფო შესყიდვაზე. სახელმწიფო შესყიდვა მათთვის იქნება საქმიანობის სტაბილურობის გარანტი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ბიზნესში.

ყველა იმ ღონისძიებასთან ერთად, რაც საქართველოს მთავრობამ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის განახორციელა 2015 წელს, აუცილებელია, ყველა ახლადგახსნილ მცირე საწარმო გაათავისუფლოს ყველანაირი გადასახადისგან, ანუ მისცეს მათ 2-3-წლიანი "საგადასახადო არდადეგები", შემდეგ კი დაბეგროს სხვა საწარმოთა მსგავსად. ეს ღონისძიება, მართალია, საწყის წლებში შეამცირებს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს, მაგრამ ასეთ პირობებში მცირე საწარმოთა რაოდენობა სწრაფად გაიზრდება და ორ-სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ, გადასახადის გადამხდელთა რაოდენობის, ანუ საგადასახადო ბაზის გაზრდით, ბიუჯეტიც ორმაგად ამოიღებს ე. წ. დანაკარგს.

## დასკვნა

გამოკვლევამ საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა შემდეგი დასკვნები:

- მცირე ბიზნესის წილი საქართველოში 2014 წელს შეადგენს: რეგისტრირებულ საწარმოთა მთლიან რაოდენობაში – 71%-ს, პროდუქციის გამოშვებაში 10%-ს, საქონელბრუნვაში – 9,3%-ს, დასაქმებაში – 28,5%-ს. ამ მაჩვენებლებით საქართველო მკვეთრად ჩამორჩება მსოფლიოს მრავალ ქვეყანას;
- საქართველოში მცირე საწარმოთა რეგისტრაცია რაოდენობრივად იზრდება, ამოქმედებულ საწარმოთა რიცხვი კი კლებულობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში არსებული ბიზნესგარემო არ არის მათთვის მასტიმულირებელი;
- 2014 წლის მონაცემებით საქართველოში მცირე ბიზნესის წილი მშპ-ში მცირეა, ვიდრე მეზობელ ქვეყნებში (მაგალითად, სომხეთში) და კიდევ უფრო მცირე, ვიდრე ევროპაში;
- 2014-2015 წლებში საქართველოს მთავრობის მიერ მცირე მეწარმეობის განსავითარებლად ამუშავებულმა პროგრამებმა შთამბეჭდავი შედეგი ვერ გამოიღო. მართალია, 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, მცირე მეწარმეობის ბრუნვაც გაიზარდა და პროდუქციის გამოშვებაც, მაგრამ ზრდის ეს ტემპი არ არის დამაკმაყოფილებელი;
- მცირე ბიზნესის განსავითარებლად საქართველოში აუცილებელია ყოველ ახლადგახსნილ მცირე საწარმოს მიეცეს 2-3-წლიანი „საგადასახადო არდადეგები“, ასევე, პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის კვოტები და სხვა.

## ლიტერატურა:


1. Ален Луис, Как преуспеть в малом бизнесе, пер. с англ., М., 1999.
2. შურღაია ო., მცირე ბიზნესის საფუძვლები, თბ., 2010.
3. ბიზნესის კეთება 2014 (www.economy.ge).../reitingebi/ reitingebi_geo/DB_2014_geo.pdf.PDF file)
4. ოსაძე ლ., სოსანიძე მ., ცეცხლაძე ს., მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თავისებურებები საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული, თბ., 2014.
5. სახელმწიფო პროგრამის – “აწარმოე საქართველოში” 2015 წლის შედეგები (გაზეთ “ბანკები და ფინანსების” დამატება, 21 დეკემბერი, 2015).
6. ღუდუშაური ზ., ბალიაშვილი ე. და სხვები. მეწარმეობა, მცირე მეწარმეობა: თეორია და პრაქტიკა, თბ., 2004.

7. კაკულია ე., მდინარაძე ქ., ბიზნესგარემოს ფორმირების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში (მცირე და საშუალო ბიზნესისთვის), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2014.
8. ერქომაიშვილი გ., მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული, თბ., 2014.
9. ღუდუშაური ზ., შოშიტაიშვილი თ., მცირე ბიზნესის საბაზრო ძალაუფლება საქართველოში, ჟურნ. "ბიზნესი და კანონმდებლობა", #3 (თებერვალი), 2005.
10. ამყოლაძე ი., მცირე ბიზნესის განვითარების რეგიონული თავისებურებები, სმედსი, შრომების კრებული, ტ. 5, 2000.
11. ქარჩავა ლ., ბიზნესგარემო საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები, ჟურნ. "ახალი ეკონომისტი", #4, 2012.
12. ქადაგიშვილი ლ., ინდმეწარმეთა "ბუმი" თუ უმუშევრობის სტიმულირება? ჟურნ. "ბიზნესი და კანონმდებლობა", #11-12 (დეკემბერი), 2004.

## Development of Small Business – Significant Factor of Poverty Reduction

***Tamar Khabelashvili***

*Doctoral student*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

The following article considers the role and importance of small business in State economy growth. It highlights that each state, which managed to reach the mass employment and overcame poverty, achieved it through the development of small business.

The article shows an analyze of small business development in Georgia between 2009-2014, a conclusion, that in comparison with developed foreign States, Georgia is significantly behind by the share of small business in gross domestic product, commodity turnover and employment.

The article also highlights, that in 2014-2015 the Georgian government has already undertaken some measures and allocated some subsidies to finance the development of small and medium production, however it is insufficient.

The article provides adequate recommendations.

**Keywords:** Small business, small manufacturer, priority, poverty, business environment

**JEL Codes:** M20, M21, I31, I32

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 2, გვ. 99-107
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 2, pp. 99-107



# სტრატეგიულ მენეჯმენტში კონკურენტული უპირატესობის მდგრადი და ცვალებადი ფაქტორების როლის საკითხისათვის

*გიორგი ღაღანიძე*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თსუ-ის პროფესორი*

წინამდებარე სტატიის თემა ავტორის კვლევის ობიექტია უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში. სტატიაში განხილულია კონკურენტული უპირატესობის ფორმირების მნიშვნელოვანი ასპექტები თანამედროვე ეტაპზე, ასევე, კონკურენტული უპირატესობის ფორმირების მდგრადი და ცვალებადი ფაქტორები.

საკვანძო სიტყვები: კონკურენტუნარიანობა; კონკურენტუნარიანობის მდგრადი და ცვალებადი ფაქტორები; კონკურენტული უპირატესობის მოდელები; სიტუაციური კონკურენტუნარიანობა.

## კონკურენტული უპირატესობის განსაზღვრა

გლობალურმა ეკონომიკამ მკვეთრად გაამძაფრა კონკურენტული ბრძოლა, იმარჯვებს ის ფირმა, რომელიც კონკურენტულ უპირატესობაზე დაყრდნობით ახდენს ეფექტიანი სტრატეგიების ფორმულირებასა და განხორციელებას. ცხადია, სტრატეგია არსებობს იმდენად, რამდენადაც არსებობს კონკურენტული უპირატესობა. როგორ განვმარტოთ კონკურენტული უპირატესობა? კონკურენტული უპირატესობის ცნებამ, ერთი მხრივ, სრულად უნდა ასახოს არსებული მდგომარეობა ბაზარზე, მეორე მხრივ კი უნდა აჩვენოს განვითარების შესაძლო სცენარები. ერთ-ერთ ასეთ განმარტებას მიეკუთვნება შუმპეტერის ცნობილი განმარტება: კომპანიის უნარი განახორციელოს სხვადასხვა კონკურენტული ქმედება, რათა მოიპოვოს და შეინარჩუნოს უპირატესობა [1]. აქცენტი გადატანილია დინამიკურ გარემოზე, ვინაიდან მხოლოდ ასეთი გარემოა ბიზნესის განვითარების ერთადერთი შესაძლო ფორმა. გარემოს დინამიკურო-

ბა იწვევს ფაქტორთა მდგრადობის დარღვევას და ამდენად აუცილებელია გავარკვიოთ კონკურენტული უპირატესობის მდგრადი და ცვალებადი ფაქტორების თანადობა.

ცხადია, კონკურენტული უპირატესობის მდგრადობა ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე ფაქტორია. ამდენად, გასაგებია მკვლევარების მცდელობა მოეცათ კონკურენტული უპირატესობის ადვილად გაზომვადი განმარტების ფორმულირება. ამ მიმართულებით რამდენიმე საინტერესო მიგნება არსებობს. განვიხილოთ კონკურენტული უპირატესობის საკამაოდ გავრცელებული განმარტება – კომპანიის მდგომარეობა, როდესაც მას შეუძლია მიიღოს უფრო მაღალი ეკონომიკური რენტა, ვიდრე დარგში არსებულმა საშუალო კონკურენტმა. ასეთი პრაგმატული განმარტებები მკვლევარებს აძლევს საშუალებას უფრო დეტალურად გამოიკვლიონ კონკურენტული უპირატესობის სხვადასხვა ასპექტი, განახორციელონ რაოდენობრივი შეფასებები. ცხადია, ძალიან მნიშვნელოვანია კონკურენტული უპირატესობის სხვადასხვა ასპექტის (მდგრადი, ცვალებადი) გამოკვეთა, ამ მხრივ ძალიან საინტერესოა შემდეგი მოსაზრება: კონკურენტული უპირატესობა შეიძლება დაეფუძნოს და იყოს მდგრადი დროის განმავლობაში, თუ ხდება ორგანიზაციულ ინტერესთა დამთხვევა კომპანიაში. ორგანიზაციული ინტერესების დამთხვევა გულისხმობს ორგანიზაციის წევრების მოტივირებას, რომ იქცეოდნენ ისე როგორც ამას მოითხოვს ორგანიზაციის ინტერესები [2]. ჩვენი ამოცანაა ავხსნათ რამდენად რეალისტურია დღევანდელ გლობალურ გარემოში კონკურენტული უპირატესობის მდგრადი ფაქტორების მოქმედება, იმის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაციული ინტერესები კომპანიაში ემთხვევა. შევეცადოთ და ეს საკითხი უფრო დეტალურად განვიხილოთ.

ნებისმიერი მოვლენის დასაბუთება შესაძლებელია, თუ არსებობს რაოდენობრივი გაზომვებით დადასტურებული რეზულტატები. უამრავი კვლევა მიეძღვნა კონკურენტუნარიანობის მდგრადი და ცვალებადი ფაქტორების გამოვლენისა და მნიშვნელობის დადგენის საკითხებს. საინტერესოა, რომ ბევრი კვლევა იყო ორიენტირებული ადვილად გაზომვადი ფაქტორების გამოვლენაზე. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მკვლევარების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურეს, რომ ფინანსური დაბრუნებადობის მაღალი ცვალებადობის გამო, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს კონკურენტუნარიანობის დროებითი ფაქტორები [3]. დროებითი ფაქტორების გამოყენება სტრატეგიების შესაქმნელად სულ უფრო ხშირად ხდება საყოველთაოდ აღიარებული პრაქტიკა. განვიხილოთ კონკურენტული უპირატესობის აღმწერი მოდელები და რამდენად შესაძლებელია მათი მეშვეობით კონკურენტული უპირატესობის მდგრადი და ცვალებადი ფაქტორების გამიჯვნა.

კონკურენტული უპირატესობის თანამედროვე, ყველაზე პოპულარული მოდელები შეიქმნა 25-30 წლის წინ და ისინი უკვე ვეღარ აღწერენ თანამედროვე ეკონომიკის პირობებში კონკურენტული უპირატესობის მიღწევისა და შენარჩუნების მექანიზმებს. სტრატეგიულ მენეჯმენტში კონკურენტული უპირა-

ტესობის საკითხი მიჩნეულია ცენტრალურ საკითხად. ამდენად, თუ აღარ არსებობს კონკურენტული უპირატესობის მდგრადი ფაქტორები, მაშინ რა რჩება სტრატეგიული მენეჯმენტის ველში, იცვლება თუ არა საერთოდ მიდგომები და ვუბრუნდებით თუ არა ისევ საკითხს: არსებობს თუ არა კავშირი კონკურენტულ უპირატესობასა და წარმატებას შორის?

კონკურენტული უპირატესობის ცნობილი მოდელები, პორტერის ხუთი ძალის მოდელი და ორგანიზაციის განხილვა რესურსების თვალსაზრისით, საკმაოდ კარგად აღწერდა კონკურენტულ უპირატესობას იმ დაშვების პირობებში, რომ გარემო სტაბილურია. გარემოს სტაბილურობა მოიაზრებოდა, როგორც არსებული მოცემულობა, ანუ გარემოში ცვლილებები მიმდინარეობდა, მაგრამ მათი განჭვრეტა და შესაბამისი შედეგების დადგომა საკმაოდ მაღალი ალბათობით კარგად გაზომვადი იყო. სწორედ გარემოს არასტაბილურობამ, ანუ ცვლილებების სიჩქარის მკვეთრმა ზრდამ გამოიწვია ის, რასაც ამჟამად ყოველდღიურად აწყდებიან ორგანიზაციები – გაზრდილი კონკურენტული ბრძოლა. კონკურენტული ბრძოლა გამწვავდა, როგორც ახალი მოთამაშეების ბაზარზე შემოსვლით, ასევე არსებული მოთამაშეების მიერ სწრაფი რეაგირებით სხვებისკონკურენტულ ქმედებაზე. დარგობრივი სტაბილურობის შემცირების ერთ-ერთი მაჩვენებელია დარგის ლიდერების ხშირი ცვლა.

შევეცადოთ და უფრო ღრმად განვიხილოთ ეს ორი ურთიერთდაკავშირებული საკითხი. თანამედროვე საკომუნიკაციო და სატრანსპორტო ტექნოლოგიებმა მკვეთრად გაამარტივა ახალი მოთამაშეების ბაზრებზე შესვლის საკითხი. სატარიფო და არა- სატარიფო ბარიერები უძლური აღმოჩნდა შეაჩეროს ახალი მწარმოებლების მხრიდან პროდუქციისა და მომსახურების მიწოდება. ამდენად, ბაზარზე ახალი მოთამაშეების შესვლა გადაიქცა საყოველთაოდ აღიარებულ პრაქტიკად. მოქნილმა საწარმოო ტექნოლოგიებმა, პირველ რიგში, ძალიან პირობითი გახადა დარგებს შორის საზღვრები და ამდენად ასევე შეუწყო ხელი სხვა დარგებიდან ახალი მოთამაშეების შემოსვლას. დარგებში შესვლის ბარიერების შესუსტების საკითხი უკვე დიდი ხანია განიხილება სხვადასხვა მკვლევარის მიერ, როგორც უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელმაც განაპირობა დარგების სტაბილურობის შემცირება და როგორც შედეგი იწვევს კონკურენტუნარიანობის ცვალებადი ფაქტორების როლის გაზრდას. დარგში შესვლის ბარიერების შესუსტება უკავშირდება ბოლო პერიოდში გატარებულ ლიბერალურ ეკონომიკურ პოლიტიკას, როდესაც ნაციონალური მთავრობები უარს ამბობენ ადგილობრივი მწარმოებლების დაცვაზე და ასევე ხელს უწყობენ ადგილობრივ მწარმოებლებს შორის კონკურენციის ზრდას. ამ ასპექტით ასევე ძალიან მნიშვნელოვანია საგარეო ვაჭრობის მოცულობის მუდმივი ზრდა.

დარგების მიერ სტაბილურობის დაკარგვა ასევე უკავშირდება სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს, რაც განაპირობებს სრულიად ახალი რესურსებისა და ტექნოლოგიების შექმნას და მასზე დაფუძნებით, ახალი პროდუქციისა და მომსახურების წარდგენას. თუ ვივარაუდებთ, რომ დარგების სტაბილურობის

შემცირება საყოველთაო მოვლენაა და ამდენად სამომავლოდ მოხდება კიდევ უფრო სწრაფად ახალი პროდუქციისა და ტექნოლოგიების შექმნა, მაშინ რა ინ-სტრუმენტები რჩება სტრატეგიების ფორმირებისათვის? – ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შევეცდებით მოგვიანებით.

ასევე მკვეთრად გამძაფრდა კონკურენცია უკვე არსებულ მოთამაშეებს შორის, კერძოდ, კონკურენცია გახდა უფრო აგრესიული, ხოლო კონკურენტთა საპასუხო რეაქცია ხორციელდება უფრო სწრაფად, ვიდრე ადრე. ამ ფაქტო-რებმა დაადასტურა "წითელი დედოფლის კონკურენციის ფენომენის არსებობა, როდესაც მეტოქეების ქმედება ახდენს რეზულტატზე გავლენას და მოითხოვს თქვენგან ახალ ქმედებას, რათა შეინარჩუნოთ არსებული მდგომარეობაო [4]. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დარგის ლიდერების ცვლილების სიჩქარე უფრო მაღალია ვიდრე ადრე (20-25 წლის წინ). ეს წარმოაჩენს სრულიად ახალ რე-ალობას, რაც შემდეგია: კონკურენტული უპირატესობის მდგრადი ფაქტორები ჩანაცვლდა კონკურენტული უპირატესობის ცვალებადი ფაქტორებით. ცვალე-ბადი მიანიშნებს, პირველ რიგში, დროით ინტერვალებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს განხილული აქვს კონკურენტული უპირატესობის სტრატეგიული და ტაქტიკური ფაქტორები, მოცემული აქვს მათი კლასიფიცირების შესაძლებ-ლობა[5]. რეალურად სტრატეგიული ფაქტორები შეიძლება განვიხილოთ, რო-გორც მდგრადი, ხოლო ტაქტიკური ფაქტორები, როგორც ცვალებადი ფაქტო-რები.

## კონკურენტული უპირატესობის მდგრადი და ცვალებადი ფაქტორების აღწერა კონკურენტული უპირატესობის მოდელების მიხედვით

როგორც უკვე აღინიშნა, მდგრადი ფაქტორების როლი მცირდება. პირ-ველ რიგში დარგების დინამიკურობის ზრდის გამო. დინამიკურობის ზრდა წარმოადგენს, ერთი მხრივ, დარგში ახალი პროდუქციის შექმნისა და განა-წილების ახალი სისტემების ფორმირების გამარტივებულ მექანიზმებს, ხოლო მეორე მხრივ, ერთი დარგიდან მეორე დარგში გადასვლის გამარტივებულ შე-საძლებლობებს. სტარტეგიული მენეჯმენტის მოდელები, რომლებიც აღწერდა დარგებს, ეფუძნებოდა მეტ-ნაკლები ზომით დარგის სტაბილურობის მექანიზმს. პორტერის ხუთი ძალის მოდელი განსაზღვრავდა კონკურენტულ უპირატესო-ბას, როგორც დარგის არჩევას, დარგში პოზიციონირებას. ორივე ეს არჩევა-ნი ეყრდნობოდა ინდუსტრიულ ეკონომიკსს, შესაბამისად, ფირმები ეძებდნენ დარგებს, სადაც შესვლის ბარიერი მაღალია, მომწოდებლები და მყიდველები სუსტები არიან, შემცვლელების გამოყენების საფრთხე დაბალია, ხოლო მე-ტოქეობა – შეზღუდული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ დარგში მაღალი იყო შესვლის ბარიერები, ისინი ინარჩუნებდნენ სტაბილურობას დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში. პრაქტიკაში სტაბილურობის შემცირება გამოიწვია

სწორედ ასეთი შესვლის ბარიერების მოხსნამ. აქვე უნდა გავაკეთოთ ერთი მნიშვნელოვანი შენიშვნა – დარგებს შორის საზღვრების მოშლა მკვეთრად ართულებს დარგში მიმდინარე პროცესების შეფასებას. თუ ერთი დარგიდან მეორეში გადასვლა საკმაოდ მარტივია, მაშინ როგორ შევაფასოთ მეტოქეობა ან მომწოდებლების და მყიდველების ძალა? ცხადია, რომ ამ მოდელის პრაქტიკული გამოყენების ფასეულობა შემცირებულია.

ასევე, უნდა განვიხილოთ კონკურენტული უპირატესობის მოპოვების რესურსული მოდელის თანამედრვე ასპექტები, თუ ორგანიზაცია კონკურენტულ უპირატესობას აგებდა გარკვეული რესურსების ფლობაზე, ეს უპირატესობა აღარაა სტაბილური და მდგრადი. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ფირმის დონეზე მდგრადი კონკურენტული უპირატესობა, რომელიც ეფუძნება რესურსებს, ვეღარ მიიღწევა, ვინაიდან თანამედროვე ბაზრები გახდა უაღრესად დინამიკური [6]. ერთი მხრივ, გაიზარდა რესურსებზე წვდომა ყველა მოთამაშის მხრიდან, მეორე მხრივ, გაჩნდა შემცვლელები და სრულიად ახალი ტიპის რესურსები. კონკურენტული უპირატესობის რესურსებზე დაფუძნებული შეხედულება განიხილავდა ფირმებს, როგორც გარკვეული რესურსების მქონე ორგანიზაციას. სწორედ ის, თუ რა რესურსებს ფლობთ, გაძლევდათ გარკვეულ კონკურენტულ უპირატესობას. ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ უნდა განვიხილოთ შემდეგი დაშვებები: ა) დარგში არსებული ფირმები ჰეტეროგენულები არიან რესურსების ფლობის (კონტროლის) თვალსაზრისით; ბ) რესურსების განაწილება, მათზე წვდომა ან მათი მობილურობა დარგში, არაა სრულყოფილი. ამ დაშვებიდან გამომდინარეობს, რომ რესურსული ბაზრები არაა სრულყოფილი ბაზრები და ამდენად ფირმა, რომელმაც ხელში ჩაიგდო ფასეული, უნიკალური, იშვიათი, შეუცვლელი რესურსები აგებს კონკურენტულ უპირატესობას ამ ფაქტზე. აუცილებელია ერთი მნიშვნელოვანი მოვლენის შესწავლა, კერძოდ კი რა ხდება მაშინ, როცა რესურსული ბაზრების სრულყოფილება იზრდება ან როცა ხდება რესურსების ცვლილება ინოვაციების ან მეტოქეობის გამძაფრების ფონზე. როგორც უკვე აღინიშნა, ორივე მოდელი (პორტერის ხუთი ძალის მოდელი და რესურსული) ეყრდნობა იმ ფუნდამენტურ დებულებას, რომ დარგები სტაბილურები არიან. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ კონკურენტული უპირატესობის მოდელებში აქცენტი გადატანილი იყო ფირმის ქმედებაზე, თუმცა აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ფირმის სტრატეგიისა და შედეგების კავშირურთიერთობაზე გავლენას ახდენს როგორც ფირმის ქმედება, ასევე მისი კონკურენტების ქმედება ან მეტოქეობის დონე დარგში.

ნებისმიერი კონცეფცია სტრატეგიულ მენეჯმენტში, იქნებოდა ის აგებული დარგობრივ მახასიათებლებსა თუ რესურსებზე, ითვალისწინებდა გარკვეულ სტაბილურობას, სტაბილურობის ფაქტორის გაქრობა ან მინიმუმ – შემცირება, ცვლის მთლიანად სტრატეგიული მენეჯმენტის ველს. ამდენად, აუცილებელია განვიხილოთ კონკურენტული უპირატესობის, კონკურენტული ქმედების ახალი

მოდელები. წარმოდგენილია ახალი მოდელები, რომლებიც ხსნიან დინამიკურ, სწრაფად ცვლად გარემოში ფირმების მიერ კონკურენტული უპირატესობის მოპოვებას და ზოგადად ფასეულობის შექმნის პროცესს. ერთ-ერთი ასეთი მოდელია სამეწარმეო მოქმედების მოდელი [7], რომლის ავტორები არიან სმიტი და ჩაო. ეს მოდელი ეფუძნება ოთხ განცალკევებულ პროცესს. პირველი, მენეჯერები ეძებენ იმ გარემოს, სადაც შესაძლებელი იქნება ახალი ქმედებების განხორციელება. მეორე, ისინი იწყებენ ახალი სამეწარმეო აქტივობას,რაც იწვევს ბაზრის ცვლილებას სიახლის გამო. მესამე, ახალი სამეწარმეო ქმედება იწვევს ბაზარზე ახალ დისკურსს, როდესაც ახალი ქმედება ბაზარზე ფასდება პოტენციური მომხმარებლების და სხვა დაინტერესებული ჯგუფების მიერ. მეოთხე, ქმედება იწვევს გარკვეულ შედეგებს, რაც უნდა შედარდეს მიზნებთან. აღსანიშნავია ამ მოდელის საინტერესო თავისებურება, ქმედება არ იწვევს შედეგის დაუყოვნებლივ დადგომას, არამედ ჯერ ხდება მისი შეფასება და მხოლოდ ამის შემდეგ დგება პოზიტიური ან ნეგატიური შედეგი. ორგანიზაციების მეტოქეები არიან პროცესის აქტიური მონაწილეები, რომლებიც სწავლობენ ერთმანეთის მოქმედებიდან, ახდენენ ბაზრის უკუკავშირის შეფასებას და ამის გათვალისწინებით მოქმედების კორექტივები შეაქვთ მოქმედებებში.

## სტრატეგიული მენეჯმენტი არამდგრადი კონკურენტული უპირატესობის პირობებში

დავუბრუნდეთ ფუნდამენტურ საკითხს: რა ხდება სტრატეგიული მენეჯმენტის ველში, თუ აღარ არსებობს მდგრადი კონკურენტული უპირატესობა, როგორ მოვიპოვოთ დარგში შესაბამისი პოზიციები, როგორ დავიცვათ ის და როგორ შევინარჩუნოთ მდგრადობა. ალბათ, ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ სტრატეგიების ველმა ნელა, მაგრამ აღიარა ცვალებადი ფაქტორების მნიშვნელობა და ამდენად აღინიშნა, რომ მდგრადი ფაქტორების მნიშვნელობა შემცირდა, მიუხედავად იმისა, ისინი წარმოადგენს რესურსულ თუ ინდუსტრიული ორგანიზაციის მოდელების საფუძველს.

ალბათ, მნიშვნელოვანია განვიხილოთ კონკურენტული უპირატესობის არამდგრადი ფაქტორები. ამდენადვე, აუცილებელი ხდება არამდგრადი ფაქტორების გამოვლენა და მათი სწორი მენეჯმენტი. დინამიკურ გარემოში სტრატეგია უფრო წააგავს დინამიკურ მანევრებს, როდესაც ორგანიზაციები ანხორციელებენ გარკვეულ სვლებს და შემდეგ კონკურენტები მათ პასუხობენ, ამდენად შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ სტრატეგიები დაემსგავსა გარკვეულ სვლებსა და კონტრსვლებს, და არა სტატიკურ პოზიციონირებას რესურსების, შესაძლებლობების, დარგების სრტუქტურის და ა.შ. ფაქტორების მიხედვით. მიზანშეწონილია განვიხილოთ შუმპეტერის მიერ შემოთავაზებული კრეატიული დესტრუქციის თეორია [8], რომელიც აღწერს კონკურენტულ ბრძოლას დარგში. მუდმივი სურვილი – იყო წინ ქმნის გარემოს, სადაც ყველა ცდილობს და-

ნერგოს ახალი მეთოდები, რაც ანგრევს დარგის ლიდერების კონკურენტულ უპირატესობას. ამ თეორიის ყველაზე ნათელი დადასტურებაა ჰიპერკონკურენტული ბაზრები. ალბათ, ასევე ყურადღება უნდა მიექცეს ე.წ. წარმატების პარადოქს, ანუ იმ ვითარებას, როდესაც დღევანდელი წარმატება წარმოადგენს სამომავლო წარუმატებლობის საფუძველს. საქმე ისაა, რომ ფირმა ძნელად ცვლის იმ მიდგომებს, რამაც მას მოაპოვებინა წარმატება. ამდენად ის ობიექტურად ზღუდავს ახალი მეთოდების ძიებას, მეტოქეები კი პირიქით – ეძებენ ახალ მეთოდებს, პოულობენ და აქტიურად იყენებენ. შესაბამისად, გარკვეული პერიოდის შემდეგ, წარმატება იცვლება წარუმატებლობით და აუცილებელი ხდება ახალი მეთოდების ძიება. ცხადია ფირმამ თავიდან უნდა აიცილოს წარუმატებლობა და ამდენად მუდმივად ეძებოს ახალი მეთოდები, ახალი ფორმები, პრობლემების გადაწყვეტის ახალი გზები. აქედან გამომდინარე, კონკურენტული უპირატესობა დროებითია და ის იცვლება გარემოსთან ერთად. რამდენად შეიძლება იწინასწარმეტყველო ეს ცვლილებები აუცილებელია ძიება თუ უნდა გქონდეს იღბალი? ამ პრობლემების გასაანალიზებლად განვიხილოთ კონკურენტული უპირატესობის დროებითი ფაქტორების თავისებურებები. ანალიზი დავიწყოთ სიტუაციური ფაქტორებიდან.

სიტუაციურია კონკურენტუნარიანობა, რომელიც ეფუძნება გარკვეულ დარგში სპონტანურად ჩამოყალიბებულ მოვლენებს. მაგალითად, განვიხილოთ ორ სახელმწიფოს შორის პოლიტიკური ურთიერთობების გამწვავება, რაც აისახება სავაჭრო სანქციებში. ამდენად ერთ ბაზარზე წარმოიშვება გარკვეული ვაკუუმი და ის მომწოდებლები, რომლებიც სწრაფად აითვისებენ ამ დროებით შესაძლებლობას, ისარგებლებენ სიტუაციური კონკურენტუნარიანობით. ამის მაგალითებია საქართველოდან მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი; რუსეთ-თურქეთის ეკონომიკური სანქციები და შესაბამისად თურქული კომპანიების ჩანაცვლება რუსეთის ბაზარზე. ამ ტიპის კონკურენტუნარიანობაზე ავტორი წერდა ამავე ჟურნალის 2013 წლის №ე-4 ნომერში[9]. ასეთი კონკურენტუნარიანობა თავისი არსით დროებითია, მისი კოპირება ან შეცვლა საკმაოდ მარტივია და ამდენად მასზე დაყრდნობა ხანგრძლივვადიან პერსპექტივაში შეუძლებელია. ასეთი კონკურეტუნარიანობის ჩამოყალიბება შეუძლებელია გახდეს სტაბილური განვითარების საფუძველი.

ამდენად, ლოგიკურია დავასკვნათ, რომ სტრატეგიები უნდა დაეფუძნოს კონკურენტული უპირატესობის მოკლევადიან ფაქტორებს, მაშინ როგორ შეიძლება ეს სტრატეგიები გავხადოთ ეფექტიანი? რამდენად შესაძლებელია წინასწარ გაითვალოს კონკურენტული უპირატესობის არამდგრადი, მოკლევადიანი ფაქტორების სასიცოცხლო ციკლი, რამდენად სწრაფად უნდა შეცვალონ ფირმებმა თავიანთი სტრატეგია ან სტრატეგიები, რამდენად სწარაფად უნდა მოხდეს საკუთარი უპირატესობის დესტრუქცია, რომ სამომავლოდ ისევ მიიღო უპირატესობა? ამ კითხვებზე პასუხები, ცხადია, არ იქნება ერთმნიშვნელოვანი. ჰიპერკონკურენტულ, მაღალი სიჩქარით ცვალებად ბაზრებზე, ცხადია, უფრო

დიდ მნიშვნელობას იძენს კონკურენტული უპირატესობის დროებითი ფაქტორები. შესაძლებელია თუ არა იგივე ბაზრები აღვწეროთ პორტერის ხუთი ძალის მოდელის მიხედვით? აღმოჩნდა, რომ ეს სავსებით შესაძლებელია, ვინაიდან ეს იქნება შესვლის დაბალი ბარიერების მქონე ბაზრები, სადაც ძალიან მაღალია მეტოქეობა, დიდია მყიდველთა და მომწოდებელთა ძალა, ადვილია გამოიყენო შემცვლელები. რატომ შევა ფირმა ასეთი მახასიათებლების მქონე ბაზარზე? ეს კითხვა ლოგიკურია, მაგრამ აქვე უნდა დავუშვათ, რომ ეს ბაზარი ასეთი კი არ იყო, არამედ ასეთი გახდა, შესაბამისად, ამ ბაზრიდან არ გავიდნენ ძველი მოთამაშეები, ხოლო დაემატათ ახალი მეტოქეები. რამდენად მართებულია ფირმის საქმიანობა მოვიაზროთ ერთი სტრატეგიის ქვეშ? მსჯელობა ეხება არა სხვადასხვა ბაზრებზე გამოყენებულ სტრატეგიებს, რაც უკვე არ ახალია, მაგალითად, განსხვავებული სტრატეგიები შიგა ბაზარსა და საექსპორტო ბაზრებზე გაყიდვისას, არამედ, ერთდროულად სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება ერთ ბაზარზე. ამ მიმართულებით ძალიან საინტერესოა უახლესი კვლევები, სადაც ხაზგასმულია, რომ ფირმა იყენებს ერთ სტრაtეგიას ერთი მეტოქის წინააღმდეგ, რაც ნიშნავს, რომ რამდენიმე მეტოქის პირობებში მას აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს რამდენიმე სტრატეგია ერთდროულად.

***

დასკვნების სახით შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ შემდეგი მოსაზრებები:

ა) კონკურენტული უპირატესობის ცვალებადი ფაქტორების გამოყენება სტრატეგიებში ცვლის სტრატეგიების შემუშავების მეთოდოლოგიას;

ბ) სტრატეგიები ხდება უფრო მოქნილი და მოკლევადიანი;

გ) აუცილებელია სტრატეგიებში რეალიზებული იქნეს განვითარების ინვარიანტული სცენარები;

დ) ორგანიზაციები (პირველ რიგში, ბიზნესსტრუქტურები) გადადიან ერთდროულად რამდენიმე სტრატეგიის გამოყენების მოდელზე.

## ლიტერატურა:


1. Schumpeter J.A. The Theory of economic development. An inquiry into profits, capital, credit, interest, and the business cycle. Cambridge, MA:Harvard University Press.
2. Gottschlag O., Zollo M. 2007 The Academy of Management Review Vol. 32. No.2,pp. 418-437.
3. Thomas LG, D'Aveni R. 2009. The changing nature of competition in the U.S. manufacturing sector, 1950 to 2002. Strategic Organization 7(4):387-431.
4. D'Aveni RA, 1994,Hypercompetition:managing the Dynamics of Strategic Maneuvering. Free Press: New York Derfus PJ, Maggitti PG, Grimm CM, Smith KG. 2008. The red queen effect:competitive actions and firm performance. Academy of Management Journal 51(1):61-80.

5. გ. ღაღანიძე, საექსპორტო პოტენციალი და კონკურენტული უპირატესობა, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი VIII, N3,2015.
6. Eisenhardt KM, Martin JA. 2000. Dynamic capabilities what are they? Strategic Management Journal 21(10-11):1105-1121.
7. Smith KG, Cao Q. 2007. An entrepreneurial perspective on the firm-environment relationship. Strategis Entrepreneurship Journal 1(3-4):329-344.
8. Schumpeter J.A. 1942, Capitalism, socialism and democracy. Harvard University Press: Cambridge, MA.
9. გ. ღაღანიძე, კონკურენტუნარიანობისა და სტრატეგიის ურთიერთკავშირის საკითხები, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, N4, 2013.

## The Role of Sustainable and Temporary Factors of Competitive Advantage in the Strategic Management

***G.Gaganidze***

*Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*E-mail:giorgi.gaganidze@tsu.ge*

In the article, the author presents the research of the sustainable and temporary factors of the competitive advantage and their roles in the strategies. The author reviewed the classic and modern models of the competitive advantage, reviews the new tendencies in the creation of the strategies.

**Keywords**: competitive advantage, sustainable and temporary factors of the competitive advantage, models of competitive advantage, situation competitiveness.
**JEL Codes:** M10, M16, M20, M21

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 2, გვ. 108-122
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 2, pp. 108-122

# არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმში გამოყენების მართვის სრულყოფისათვის

*მირონ ტუღუში,*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის*
*თსუ-ის მოწვეული პროფესორი*
*tugushim@gmail.com*

*მაია ღვინჯილია,*

*საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო*
*უნივერსიტეტის დოქტორანტი*
*maiagvinjilia@yahoo.de*

არამატერიალური და მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუშების ტურიზმში ჩართვას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ამ სახეობის კულტურული მემკვიდრეობის, ასევე, კულტურული ტურიზმის განვითარებისათვის. საქართველოში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმში გამოყენების მართვის საკითხები დღემდე შეუსწავლელია, რაც ხელს უშლის კულტურული ტურიზმის განვითარებას. აღნიშნულ პრობლემას სიმწვავეს ისიც მატებს, რომ იგი სხვადასხვა სამინისტროს (უპირველესად კი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროების, ასევე, მათი სამსახურების: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს) გამგებლობაშია და ამ ნაწილში მათი საქმიანობის ეფექტიან კოორდინაციას საჭიროებს. ამასთან, აუცილებელია ამგვარი კოორდინაცია განხორციელდეს მართვის ყველა დონეზე - მუნიციპალურ, რეგიონულ და უმაღლეს (სახელმწიფო) დონეზე. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმში გამოყენების ეფექტიანი მართვისათვის საჭიროა მოქნილი ორგანიზაციული სტრუქტურის შემუშავება, მისი მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება და ქვეყნაში ამ მიმართულებით განსახორციელებელი საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა.

**საკვანძო სიტყვები:** არამატერიალური და მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა; კულტურული ტურიზმი; კულტურული მემკვიდრეობის მართვა; კულტურის პოლიტიკა; მართვის დეცენტრალიზაცია.

## არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის არსი, მისი ტურიზმში გამოყენების მართვის თავისებურებანი

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობაში იგულისხმება „ზეპირსიტყვიერების ტრადიციები და გამოხატვის ფორმები, ენის როგორც მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მატარებლის ჩათვლით, საშემსრულებლო ხელოვნება, ადათ-წესები, ჩვეულებები, ტრადიციულ ხელოვნებასთან დაკავშირებული ცოდნა და უნარ-ჩვევები, ასევე მათთან დაკავშირებული ინსტრუმენტები, საგნები, არტეფაქტები და კულტურული სივრცეები, რომლებიც საზოგადოების, ჯგუფებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, ცალკეული პირების მიერ აღიარებულია მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად“ [3, მუხლი 3].

არამატერიალური კულტურა ადამიანისგან განყენებულად, შემოქმედის გარეშე არ არსებობს. ამიტომ, მის მატარებლად ითვლება ერი, საზოგადოება, თემი, ადამიანთა ჯგუფი, ცალკეული პიროვნება. არამატერიალური კულტურა მისი მატარებლისათვის იდენტობის განმსაზღვრელია. ამასთან, მას რამდენიმე სპეციფიკური მახასიათებელი აქვს. კერძოდ: ის განახლებადია, ზეპირი ფორმით (ოჯახში, თემში, საზოგადოებაში, უშუალოდ პირიდან პირზე) გადაეცემა თაობიდან თაობას, ყოველ ახალ ჯერზე კვლავწარმოებადი და შემოქმედებითია.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა არსებობს ხალხში გავრცელებული ადათ-წესების, ჩვეულებების, ზეპირი გადმოცემის, სიმღერის, თამაშობისა და სხვა სახით. ასევე, დოკუმენტირებულია კერძო და სახელმწიფო არქივებში, მუზეუმებში, სამეცნიერო და კვლევით ინსტიტუტებში, სხვა დაწესებულებებში. თუ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის თაობიდან თაობაზე გადაცემის პროცესი სწორად არის ორგანიზებული, მაშინ იგი გამუდმებით ვითარდება, აყალიბებს იდენტობისა და მემკვიდრეობითობის გრძნობას, ხელს უწყობს კულტურის მრავალფეროვნებასა და ადამიანთა შემოქმედების გაფართოება-განვითარებას.

მსოფლიოო გამოცდილებით, როგორც მატერიალურის, ასევე არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-პოპულარიზაციის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტურიზმი, განსაკუთრებით – კულტურული ტურიზმი. საყოველთაოდ ცნობილია თუ რაოდენ დიდია მისი წვლილი ქვეყნის ისტორიის, ეკონომიკის, ტრადიციების და კულტურის ურთიერთგაზიარებასა და გამდიდრებაში, ერებს შორის ურთიერთპატივისცემის, დახმარებისა და მეგობრობის ჰუმანური გრძნობების გაღვივებასა და დამკვიდრებაში. ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარებაში ტურიზმის როლისა და

მნიშვნელობის ზრდის გამო სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება მისი დაჩქარებული ზრდის რეზერვების გამოვლენისა და ამოქმედების საკითხები. ამჟამად, საქართველოში ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეზერვი სწორედ ქვეყნის მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კომპლექსური შესწავლა და ამ, მართლაცდა შეუფასებელი საგანძურის, ტურისტულ პროდუქტში უფრო მეტი მოცულობით ჩართვაა (მემკვიდრეობისათვის ზიანის მიუყენებლად). აქედან გამომდინარე, აუცილებელია, ზემოაღნიშნული პროცესის, კერძოდ კი – კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმში გამოყენების მართვის მექანიზმის სრულყოფა.

ამ მხრივ არსებული მდიდარი საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის საფუძველზე შეიძლება დასკვნების სახით ჩამოვაყალიბოთ ტურიზმში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გამოყენების მართვის მთავარი თავისებურებანი:

• კულტურა და ტურიზმი ქვეყნების ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ორი დამოუკიდებელი დარგია, მაგრამ კულტურული მემკვიდრეობის (მოცემულ შემთხვევაში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის) კულტურული ტურიზმში ორგანულად ჩართვის შედეგად, მათი მართვა ერთმანეთზე დამოკიდებული და ურთიერთგანმაპირობებელი ხდება. ქვეყანაში კულტურის განვითარებისათვის, სხვა პირობებთან ერთად, აუცილებელია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, აღორძინება-პოპულარიზაცია, რაშიც კულტურული ტურიზმის როლი და მნიშვნელობა ძალზე დიდია. თავის მხრივ კი, კულტურული ტურიზმის განვითარება-გაფართოება დიდად არის დამოკიდებული კულტურული მემკვიდრეობის, მათ შორის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის აღორძინებაზე, რომლის მიმართ მთელი საზოგადოების, მათ შორის ტურისტების ინტერესი, სწრაფად იზრდება. ყოველივე ზემოაღნიშნული ამ დარგების მართვის ეფექტიანი კოორდინაციის აუცილებლობაზე მიუთითებს. მრავალი ქვეყანა, ხელისუფლების სხვადასხვა შტოს გაერთიანებული ძალისხმევით, ამას ახერხებს და შედეგებიც კარგი აქვს: სწრაფი ტემპით ვითარდება არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობაც და კულტურული ტურიზმიც, რასაც საზოგადოების განვითარებისათვის (როგორც ამ მემკვიდრეობის მფლობელისათვის, ასევე მათთვის ვინც მას გაეცნობა) დიდი მნიშვნელობა აქვს;

• საყურადღებოა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის განვითარების როგორც სოციალური, ასევე ეკონომიკური ასპექტები. საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ამ საფუძველზე მუნიციპალიტეტებში, რეგიონებში, მთლიანად ქვეყანაში ფართოვდება დასაქმების შესაძლებლობები, იზრდება შემოსავლები, რაც მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაზე დადებითად მოქმედებს. ამასთან, კულტურული მემკვიდრეობის ნუსხის გაფართოება, მისი პოპულარიზაცია ფართო საზოგადოებისათვის გაცნობით ზრდის ქვეყნის იმიჯს,

ამაღლებულ განწყობილებას ქმნის ადგილობრივ მოსახლეობაში. ამიტომ, მართვის ადგილობრივმა ორგანოებმა ყველა რესურსი (სახელმწიფო დაფინანსება, ბიზნესიდან თუ კერძო პირებიდან მოზიდული თანხები და ა.შ.) უნდა გამოიყენონ არსებული არამატერიალური კულტურული რესურსების ეფექტიანად და საზოგადოების საკეთილდღეოდ გამოსაყენებლად;

• საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ ქვეყნების მიხედვით არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვის პროცესი, მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა, ფუნქციები, მეთოდები, მართვისადმი მიდგომები და ზოგადად მართვის ეკონომიკური მექანიზმი, რამდენადმე განსხვავებულია. ყველა ქვეყანა თავისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაციების ფინანსური თუ სხვა სახის (მაგალითად, მეთოდოლოგიურ-საკონსულტაციო) დახმარების გათვალისწინებით აყალიბებს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის განვითარების მიზნებსა და ამოცანებს და შედეგებიც შესაბამისია. ზოგიერთი ქვეყანა ახერხებს მეტნაკლებად სრულად აამოქმედოს ამ სახეობის კულტურული მემკვიდრეობა და გააცნოს იგი ფართო საზოგადოებას. რიგ შემთხვევაში კი, უფრო მეტად ფინანსური რესურსების უკმარისობის გამო, ეს ვერ ხერხდება და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუშებიც კი, მათი მფლობელების გარდა, არავისთვის არაა ცნობილი, რაც მიუღებელია.

## არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმში გამოყენების მართვის მდგომარეობა საქართველოში

ჩვენს ქვეყანაში, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმში გამოყენების მართვის მდგომარეობა, შეიძლება ითქვას, რომ არადამაკმაყოფილებელია. მართალია, საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის (პირველ რიგში, მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის) მართვის პროცესისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზა ძირითადად არსებობს, ამ მხრივ აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი, რეგიონული და ადგილობრივი ორგანოების ფუნქციები და უფლებამოსილებანი განსაზღვრულია, თუმცა, სხვადასხვა მიზეზის გამო, მემკვიდრეობის მართვის პროცესი მაინც შორსაა სრულყოფისაგან. სამწუხაროდ, ქვეყანაში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვის სფეროში კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა გვაქვს:

1. არ არსებობს კანონი „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“. მართალია, ამჟამად, საქართველოში მუშავდება „საქართველოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის“ კოდექსის პროექტი, თუმცა, ნაკლებადსავარაუდოა, რომ მასში ასახულ იქნება არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმში გამოყენების მარეგულირებელი ნორმები. ასეთი კანონი, მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან ერთად, განვითარებად ქვეყნებსაც აქვთ (მაგალითად, მოლდოვას, ყირგიზეთს და სხვებს);

2. სახელმწიფო მართვის სხვადასხვა (უმაღლეს, რეგიონულ და მუნიციპალურ) დონეზე უშუალოდ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნაწილში დასაზუსტებელია სახელმწიფო ორგანოების ფუნქციები, უფლებამოსილებანი, ფინანსური უზრუნველყოფის წყაროები და ა.შ. მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც კულტურული მემკვიდრეობის მართვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების ჩამოთვლის დროს, „მატერიალურთან" ერთად „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობაც" მოიხსენიება, მაგრამ საქართველოში, ხელისუფლების მიერ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-პოპულარიზაციისადმი სისტემური მიდგომა ვერ ხორციელდება;

3. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოზე დელეგირებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის მართვისა და ადმინისტრირების აბსოლუტური უფლებამოსილება, კერძოდ: მემკვიდრეობის აღნუსხვა, სამუშაოების დაგეგმვა, სახელმწიფო შესყიდვების მართვა, მონიტორინგი, კვლევითი სამუშაოების ჩატარება, საერთაშორისო ურთიერთობები, ნებართვების გაცემა და ა. შ., მაგრამ სააგენტოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნაწილში დელეგირებული ფუნქციების შესასრულებლად საკმარისი რესურსები (ფინანსური, მატერიალურ- ადმინისტრაციული, ადამიანური და სხვ.) არა აქვს;

4. მსოფლიო გამოცდილებით, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სრულფასოვანი მართვა შეუძლებელია ადგილობრივ თვითმმართველობებში შესაბამისი პირობების (იგულისხმება ამ მიმართებით მათი უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის ამაღლება, შესაბამისად, მატერიალური, ფინანსური, ადამიანური, ინფორმაციული რესურსებით უზრუნველყოფა და ა.შ.) შექმნის გარეშე. სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობები უნდა წარმოადგენდნენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვის, დაცვა-შენახვისა და პოპულარიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლს, რადგან მათ ყველაზე კარგად იციან (უნდა იცოდნენ) დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ამ მხრივ არსებული მდგომარეობა, მათ შორის პრობლემები. სამწუხაროდ, საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის, განსაკუთრებით კი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-პოპულარიზაციის საქმეში ადგილობრივი თვითმმართველობების ამჟამინდელი წვლილი სრულიად არასაკმარისია, რაც არც არის გასაკვირი, რადგან მათ უფლებამოსილებებში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-პოპულარიცაციის ფუნქცია ცალკე გამოყოფილი არც არის (ის, უკეთეს შემთხვევაში, კულტურულ მემკვიდრეობაში იგულისხმება). საქართველოში მემკვიდრეობის რეგისტრაციის საქმეში ადგილობრივი თვითმმართველობა ან ვერ მონაწილეობს, ან კი მისი წვლილი მინიმალურია უფლებამოსილების ან შესაბამისი რესურსების უქონლობის გამო.

საქართველოში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვის სფეროში, არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, უმაღლეს-ცენტრალურ რგოლში (მთავრობის ადმინისტრაცია, საქართველოს კულტური-

სა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო) საჭიროა:

- ნათლად განისაზღვროს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის განვითარების მიზნით განსახორციელებელი ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა : დარგის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიისა და პროგრამის შემუშავება; დარგის მართვის სტრატეგიის შემუშავება; დარგის განვითარების ასახვა ქვეყნის კულტურის პოლიტიკაში; საინფორმაციო ელექტრონული ბაზისა და ვებგვერდის შექმნა; საერთაშორისო კონტაქტების გაძლიერება და თანამშრომლობის გააქტიურება; დარგის შესახებ პერიოდული ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო დისკუსიების, შეხვედრების, მრგვალი მაგიდის, კონფერენციების ჩატარება; დარგის განვითარების რეგიონული ინფრასტრუქტურის შექმნა;

- სრულად იქნეს რეალიზებული საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტის უფლებამოსილება საქართველოში არსებული მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის, შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის ღონისძიებათა განხორციელების, ძეგლებისა და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების აღრიცხვის, ექსპერტიზის, პასპორტიზაციის, კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნის მიმართულებით;

- შეიქმნას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვის სხვადასხვა დონეზე განსახორციელებელი საქმიანობის კოორდინაციის მოქნილი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს ცენტრალური, რეგიონული და მუნიციპალური რგოლების შეთანხმებულ საქმიანობას, ზემოდან ქვემოთ და უკუკავშირის მეშვეობით – ქვემოდან ზემოთ, ინფორმაციის დროულად გადაცემასა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას;

-არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით, აღნიშნული მემკვიდრეობის მართვის ყველა დონეზე გამოიკვეთოს კულტურულ ტურიზმში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის რაც შეიძლება სრულად ჩართვის შესაძლებლობები. აქედან გამომდინარე, აუცილებელია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობისა და კულტურული ტურიზმის საკითხებით დაინტერესებული სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია.

კარგია, რომ ზემოაღნიშნული ღონისძიებების რეალიზების პროცესი მიმდინარე წელს დაიწყება, რასაც ადასტურებს ის, რომ მათი ნაწილი გათვალისწინებულია „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, რეალობისა და პერსპექტივის 2016 წლის სამოქმედო გეგმაში“.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეფექტიანი მართვა სახელმწიფო მართვის ყველა დონეზე ფინანსური პრობლემის გადაწყვეტის გარეშე წარმოუდგენელია.

საქართველოში, ამჟამად, მემკვიდრეობის დაცვის ფულადი სახსრების ძირითადი წყარო კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან მიღებული მცირე დაფინანსებაა, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მეშვეობით ხმარდება სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებს.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, საქართველოში, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების დაახლოებით 1 %-ია (94900,0 ათასი ლარი) გამოყოფილი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დასაფინანსებლად, რაც ძალიან მცირეა. ასეა წლების განმავლობაში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კულტურა ხელისუფლებისათვის პრიორიტეტს არ წარმოადგენს. სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სისტემის დაფინანსების სიმცირის გამო, ბუნებრივია, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-პოპულარიზაციის ხარჯებიც მცირეა და მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მასზე მოთხოვნილებას. უკანასკნელი წლებში იგი დაახლოებით 6,5-7,0 მლნ ლარის ფარგლებშია (კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაფინანსების საერთო მოცულობის დაახლოებით 8,5% (2013 წ.) და 6,8% (2015წ), რაც სრულიად არასაკმარისია იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რაც კულტურული მემკვიდრეობის წინაშე დგას.

ეს საკითხი უახლოეს მომავალში სისტემურად უნდა იქნეს შესწავლილი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად, პირველ ეტაპზე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მინიმუმ 3 – ჯერ მეტი თანხა მაინც უნდა გამოეყოს.

## მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმში გამოყენების სახელმწიფო მართვის ზოგიერთი საკითხი

მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვაში ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ორგანოების მონაწილეობის აუცილებლობაზე ყურადღება გამახვილებულია საქართველოს კულტურის სტრატეგიაში- „კულტურის სტრატეგია 2025“, რომელშიც აღნიშნულია, რომ „მნიშვნელოვანია, კულტურის სტრატეგია და კულტურის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა მოიცავდეს საკითხებს, როგორც ადგილობრივ, ასევე რეგიონულ და ცენტრალურ დონეზე“ [1, გვ. 8.]. ასეთივე მიდგომაა საჭირო მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კულტურულ ტურიზმში ჩართვის პროცესის ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად. როგორც ცენტრალურ, ანუ უმაღლეს (საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის, მ.შ. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და მათდამი დაქვემდებარებული ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული სა-

აგენტოს, აგრეთვე საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს), ასევე რეგიონულ (აჭარისა და აფხაზეთის ა/რ მთავრობებისა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს რეგიონული სამსახურების) და მუნიციპალურ (შესაბამისი მუნიციპალური სამსახურების, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს რეგიონული სამსახურების) დონეებზე აუცილებელია აღნიშნული სამინისტროებისა და სამსახურების საქმიანობის სრული კოორდინაცია. მაკოორდინირებელი როლი კი, მართვის დონეების მიხედვით, უნდა დაეკისროს საქართველოს მთავრობას, აჭარისა და აფხაზეთის ა/რ მთავრობებს და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს (გამგეობა/მერიას).

სახელმწიფო მართვის უმაღლეს (ცენტრალურ) დონეზე განსახორციელებელ ღონისძიებათა შორის ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია:

- დროულად დასრულდეს „კულტურისა და ბუნებრივი მემკვიდრეობის" კოდექსზე მუშაობა, რომელშიც, ალბათ, აისახება არამატერიალური მემკვიდრეობის რეგულირების საკითხები. როგორც აღვნიშნეთ ამ კოდექსში, სხვა ქვეყნების მიერ მიღებული ანალოგიური კანონებისგან განსხვავებით, ყურადღება უნდა გამახვილდეს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის (მისი ფართო გაგებით), მათ შორის ამ სახეობის მემკვიდრეობის პოპულარიზაციის საკითხებზე, რომელიც სწორედ მისი კულტურულ ტურიზმში ფართოდ ჩართვით მიიღწევა;

- იმის გათვალისწინებთ, რომ კულტურული მემკვიდრეობის (როგორც მატერიალურის, ასევე არამატერიალურის) საუკეთესო ნიმუშების კულტურულ ტურიზმში ჩართვა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროების, ასევე მათი სამსახურების (საქართველოს ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის) ერთობლივად გადასაწყვეტი საკითხია, იგი, როგორც აღვნიშნეთ, ამ ნაწილში მათი საქმიანობის ეფექტიან კოორდინაციას საჭიროებს. მსოფლიოს რიგ ქვეყანაში სწორედ ამგვარი კოორდინაციის აუცილებლობამ კულტურისა და ტურიზმის ერთ სამინისტროში გაერთიანებაც კი განაპირობა (მაგალითად, აზერბაიჯანში, თურქეთში, ბრაზილიაში, ბულგარეთში, ინდოეთში და სხვაგან ფუნქციონირებს „კულტურისა და ტურიზმის სამინისტრო", სამხრეთ კორეაში – „კულტურის, სპორტისა და ტურიზმის სამინისტროო, იტალიაში – „კულტურული მემკვიდრეობის, აქტივობებისა და ტურიზმის სამინისტრო", გაერთიანებულ სამეფოში – „ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის სამინისტრო" და ა.შ.), რითაც ზემოაღნიშნული კოორდინაციის პრობლემა ერთი და იმავე სამინისტროს ფარგლებში შედარებით მარტივად წყდება. საქართველოში კი, როგორც აღვნიშნეთ, ამ მიზნის მისაღწევად სხვადასხვა სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სამსახურების საქმიანობის კოორდინაციის აუცილებლობა მწვავედ დგას და გადაწყვეტას საჭიროებს.

მართვის უმაღლეს დონეზე აღნიშნული კოორდინაციის საკითხის გადაწყვეტის რამდენიმე ვარიანტი შეიძლება განვიხილოთ, მაგრამ საქართველოს მთავრობის ამჟამინდელი სტრუქტურის პირობებში, ვფიქრობთ, მართებული იქნება თუ ის პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციის შესაბამისი ფუნქციებით აღჭურვის საფუძველზე განხორციელდება. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ადმინისტრაციის სტრუქტურა (20-მდე დეპარტამენტი, ცენტრი თუ სამსახური) და პერსონალი (260 თანამშრომელზე მეტი), საკმაოდ დიდია და მცირე რეორგანიზაციის შემთხვევაში შეიძლება „კულტურული მემკვიდრეობის (როგორც მატერიალურის, ასევე არამატერიალურის) ტურიზმში გამოყენების მართვის" განყოფილების შექმნა, ან ამ ფუნქციების ზემოხსენებულ ადმინისტრაციაში ამჟამად არსებულ „რეგიონებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტსა" და სხვა დეპარტამენტებში გადანაწილება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციაში „კულტურული მემკვიდრეობის (როგორც მატერიალურის, ასევე არამატერიალურის) ტურიზმში გამოყენების მართვის" განყოფილების შექმნის (რომელიც უკეთეს ვარიანტად გვესახება) შემთხვევაში საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სამსახურები ტურიზმის, მათ შორის კულტურული ტურიზმის განვითარების გეგმებს მხოლოდ მათ უშუალო ხელმძღვანელობასთან – ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან აღარ შეათანხმებენ (როგორც ამჟამად ხდება), ისინი, ამ მხრივ ანგარიშვალდებულნი პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციის მიმართაც გახდებიან. იგივე შეიძლება ითქვას, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს მიმართაც, რომლებსაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენახვასა და პოპულარიზაციასთან დაკავშირებული საკითხების სამთავრობო დონეზე წარმოჩენა გაუადვილდებათ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შემოთავაზებული განყოფილების ფუნქცია უნდა იყოს კულტურული მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუშების ტურიზმში ჩართვის მიზნით განსახორციელებელი საქმიანობის ხელშეწყობა, მისი ეფექტიანი კოორდინაცია და არა ამჟამად არსებული სამსახურების ფუნქციების დუბლირება.

იმის გათვალისწინებით, რომ ტურიზმში კულტურული მემკვიდრეობის ჩართვის მიზნით საქმიანობის გააქტიურება ორივე სამინისტროსა და მათდამი დაქვემდებარებული ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინტერესებს სრულად შეესაბამება, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების თანხმობის შემთხვევაში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციის ზემოაღნიშნული მაკოორდინირებელი განყოფილების ფუნქციების დაკონკრეტება მათ არ გაუჭირდებათ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციის პირობითად „კულტურული მემკვიდრეობის (როგორც მატერიალურის, ასევე არამატერიალურის) ტურიზმში გამოყენების მართვის" განყოფილების უმთავრესი საზრუნავი უნდა იყოს:

• მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმში ჩართვასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემის (ორგანიზაციული, ფინანსური, საგანმანთლებლო თუ სხვა) სისტემური შესწავლა და მათ გადასაწყვეტად ადეკვატური ღონისძიებების გატარება;

• ქვეყნის მასშტაბით აღნიშნული პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი;

• აღნიშნული პროცესის მართვის ქვედა დონეებისადმი დახმარების (ორგანიზაციული, ფინანსური, საგანმანთლებლო თუ სხვა) აღმოჩენა. მათსა და საქართველოს მთავრობას შორის ბიუროკრატიული ბარიერების გარეშე ურთიერთობის უზრუნველყოფა და ა.შ. კერძოდ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ადგილობრივი თვითმმართველობის გამგეობებისა და მერიებისადმი ფინანსური მხარდაჭერისათვის ზრუნვა ისეთი ღონისძიებების განსახორციელებლად როგორიცაა:

- რეგიონებსა თუ დედაქალაქში სხვადასხვა სახის ფესტივალებისა (მაგალითად, სიმღერისა და ცეკვის, ხალხური ზეპირსიტყვიერების, ღვინის და ა.შ.) თუ ხალხური ტრადიციული რეწვის საუკეთესო ნიმუშების გამოფენა-გაყიდვების არა ერთხელ, არამედ პერიოდულად ორგანიზება. ფესტივალების თუ ტრადიციული რეწვის საუკეთესო ნიმუშების გამოფენა-გაყიდვების ჩატარების ინიციატორები რეგიონების გამგეობები და თვითმმართველი ქალაქების მერიები უნდა იყვნენ. მაგალითად, ყველა მუნიციპალიტეტში ნებისმიერ დროს შეიძლება ჩატარდეს ხალხური მუსიკის, ცეკვისა და ზეპირსიტყვიერების ფესტივალი, სეზონურად, კერძოდ, შემოდგომაზე – ღვინის ფესტივალი და ა.შ. ბუნებრივია, თბილისსა და რეგიონებშიც უნდა გაგრძელდეს ეროვნული და საერთაშორისო ფესტივალების ჩატარების პრაქტიკა. მნიშვნელოვანია ფესტივალების ორგანიზების პროცესში მაქსიმალურად ჩაერთოს ადგილობრივი საზოგადოება, განსაკუთრებით კი ახალგაზრდები.

- რეგიონებში მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-პოპულარიზაციისა და მათი საუკეთესო ნიმუშების კულტურულ ტურიზმში ჩართვის პროცესის ეფექტიანად განხორციელების მთავარი გარანტის – მუნიციპალური კადრების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სპეციალური სახელმწიფო პროგრამის შემუშავებაში აქტიური მხარდაჭერა და ა.შ.

# მუნიციპალიტეტებში არამატერიალური და მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმში გამოყენების მართვის სრულყოფის მიმართულებები

მუნიციპალიტეტების დონეზე კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვა-დაცვა (მ.შ. პოპულარიზაცია) და მათი კულტურულ ტურიზმში ჩართვა საკმაოდ რთული პროცესია, რომელშიც ადგილობრივი თვითმმართველობების როლი განსაკუთრებულია. „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" 2003 წლის 17 ოქტომბერს პარიზში მიღებული საერთაშორისო კონვენციის (რომელსაც საქართველო 2007 წელს მიუერთდა) მიხედვით, მათ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის იდენტიფიკაციის, დოკუმენტირების, კვლევების, შენარჩუნების, პოპულარიზაციის მიმართულებებით[2, მუხლი 2, პ.3]. გარდა ამისა, ადგილობრივმა თვითმმართველობებმა ამ მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუშების კულტურულ ტურიზმში ჩართვის მიზნითაც, უნდა გაააქტიურონ საქმიანობა. მუნიციპალიტეტები (გამგეობები/მერიები) სრულად უნდა ფლობდნენ ინფორმაციას დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ და დაინტერესებულნი უნდა იყვნენ მათი პოპულარიზაციით (ტურისტულ პროდუქტში ჩართვით), რომელიც მნიშვნელოვანია ტერიტორიული ერთეულის იდენტობისა და მისი შემოსავლების ზრდისათვის. აქედან გამომდინარე, ქვეყნის რაიონული გამგეობები თუ თვითმმართველი ქალაქების მერიები ამ ნაწილში კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის სამსახურების საქმიანობის კოორდინაციით დაინტერესებულნი უნდა იყვნენ. ამასთან, მათ ქვეყნის მთავრობასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კერძო სექტორთან, საზოგადოებასთან ქმედითად უნდა იმუშაონ, რათა მოიზიდონ რაც შეიძლება მეტი სახსრები, რომელიც საჭიროა დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის (როგორც მატერიალურის, ასევე არამატერიალურის) პოტენციალის გამოსავლენად და დაცვა-პოპულარიზაციისათვის.

მუნიციპალიტეტების (ადგილობრივ) დონეზე მართვის საკითხების წინა პლანზე წამოწევას ისიც უწყობს ხელს, რომ ამჟამად, მსოფლიოში, ისევე როგორც ზოგადად სახელმწიფო მართვის, ასევე კულტურული მემკვიდრეობის (მატერიალურისა და არამატერიალურის) მართვის დეცენტრალიზაციის პრობლემა მწვავედ დგას. უცხოური გამოცდილებით, სახელმწიფო მართვის ის საკითხები, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას განეკუთვნება ადგილზევე უნდა გადაწყდეს. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი კულტურული მემკვიდრეობის (მათ შორის არამატერიალურის) მართვის დეცენტრალიზაციაა. სახელმწიფომ ამისათვის ყველა პირობა (პირველ რიგში, იგულისხმება მუნიციპალური მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის მოწესრიგება, ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით სწორი საბიუჯეტო, მ.შ. მოქ-

ნილი სატრანსფერო პოლიტიკის განხორციელება, შესაბამისი პროფესიისა და კვალიფიკაციის კადრების მომზადება-გადამზადება და ა.შ.) უნდა შექმნას.

„საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ პოლიტიკაში" აღნიშნულია, რომ კულტურული მემკვიდრეობის მართვის დეცენტრალიზაცია მნიშვნელოვანია, მაგრამ პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს უფლებამოსილებების იმდაგვარად დელეგირება, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების პასუხისმგებლობას არ შეამცირებს, რადგან ადგილებზე ჯერ კიდევ არ არსებობს საკმარისი პრაქტიკა და გამოცდილება, დასამკვიდრებელია მემკვიდრეობის მართვის ტრადიციები. „უფლებამოსილების დელეგირებას წინ უნდა უსწრებდეს ძეგლთა დაცვითი რეგლამენტების შექმნა, მკაფიო პროცედურების განსაზღვრა, ძეგლებზე ჩარევის მეთოდოლოგიის მარეგულირებელი დოკუმენტების შექმნა, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე ინსტიტუციების დაარსება/გაძლიერება ჴ შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა" [4, გვ.20-21].

აღნიშნულ დოკუმენტში ასახულ ამ მოთხოვნებს სრულად ვეთანხმებით და ვაფიქსირებთ, რომ ის თანაბრად ეხება როგორც მატერიალურ, ასევე არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში „კულტურულ მემკვიდრეობაში" ტრადიციულად მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა იგულისხმება, აუცილებელია ეს დეფინიცია დაზუსტდეს – „კულტურული მემკვიდრეობა: როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური", ან „მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა". საქმე ისაა, რომ მარამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა ჩვენს მატერიალურ კულტურული მემკვიდრეობაზე ნაკლები მნიშვნელობის სულაც არ არის და ამ ხარვეზის (რომ საქართველოში, წლების განმავლობაში, არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა) გამოსწორება, მასზე მეტი ყურადღების გამახვილება აუცილებელია.

იმისათვის, რომ ადგილობრივმა თვითმართველობებმა, ერთი მხრივ, მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა (მ.შ. პოპულარიზაციის) და განვითარების, მეორე მხრივ კი, მათი საუკეთესო ნიმუშების კულტურულ ტურიზმში ჩართვის ამოცანები წარმატებით გადაჭრან, აუცილებელია:

ა) მუნიციპალიტეტების გამგეობებსა და თვითმმართველი ქალაქების მერიებში განხორციელდეს მათი ორგანიზაციული სტრუქტურების მცირედი ცვლილება და შეიქმნას მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა- განვითარებისა და მათი კულტურულ ტურიზმში ჩართვის სპეციალური სამსახური. ეს შეიძლება განხორციელდეს გამგეობებსა და მერიებში არსებული ადამიანთა რესურსების ბაზაზე (საჭიროების შემთხვევაში კადრების გადამზადების) ან რამდენიმე კვალიფიციური სპეციალისტის მოწვევის საფუძველზე;

ბ) გადასინჯულ იქნეს გამგეობებისა და მერიების დებულებები, რათა ზემოაღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, სწორად ჩამოყალიბდეს მათი ფუნქცი-

ები. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ რეგიონების გამგეობებისა და მერიების დებულებების უმრავლესობაში (გავეცანით 30-მდე დებულებას) საერთოდ არ არის გათვალისწინებული ისეთი მუხლები, რომლებიც დაავალდებულებს მათ განახორციელონ კულტურული მემკვიდრეობის (მ.შ. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის) დაცვისა (პოპულარიზაციის) და განვითარების და მათი კულტურულ ტურიზმში ჩართვის ღონისძიებანი. ამ მხრივ, სხვებთან შედარებით, უკეთესი მდგომარეობაა ზუგდიდის, მცხეთის, თელავის გამგეობასა და მერიაში.

ჩვენი აზრით, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე და ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევის გარეშე, მათთან შეთანხმებით, სრულიად შესაძლებელია ადგილობრივი თვითმმართველობის გამგეობებისა და მერიების დებულებებში გათვალისწინებულ იქნეს ზემოაღნიშნული სამსახურის ისეთი უნიფიცირებული უფლებამოსილებანი და ფუნქციები, რომელთა რეალიზება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის რეგიონების მიხედვით მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა (პოპულარიზაციის) და განვითარების, აგრეთვე, მისი კულტურულ ტურიზმში ჩართვის მდგომარეობის შესწავლასა და შეფასებას. ვფიქრობთ, აღნიშნული მიმართულებით საქმიანობის ორგანიზება უნდა განახორციელოს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციაში ჩვენ მიერ შემოთავაზებულმა განყოფილებამ;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიური და დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ფინანსური უზრუნველყოფის საკითხი. ფაქტია, რომ საქართველოს რეგიონების უმრავლესობას ფინანსურად უჭირს, ზოგიერთს კი ძალიან უჭირს და ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ ტრანსფერებზეა დამოკიდებული. ასეთ პირობებში მყოფი მუნიციპალიტეტების გამგეობებისათვის ან თვითმმართველი ქალაქების მერიებისათვის ახალი ვალდებულებების დაკისრება, ბუნებრივია, ბადებს კითხვას, საიდან დაფარონ მათ ეს ხარჯები? პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდა მოსალოდნელი არ იქნება, თუ გამგეობები და მერიები კრიტიკულად გადახედავენ მათ ორგანიზაციულ სტრუქტურას, იქ დასაქმებული პერსონალის უფლებამოსილებებს, დატვირთვის მდგომარეობას და შეძლებენ პერსონალის გარკვეული ნაწილის გამოთავისუფლებას. გარდა ამისა, რეგიონულმა გამგეობებმა და მერიებმა ზემოაღნიშნული სპეციალური სამსახურის მეშვეობით უნდა უზრუნველყონ მუნიციპალიტეტების სახელოვნებო საგანმანათლებლო ცენტრების, საერთაშორისო ფონდებთან ურთიერთობის, ტურიზმის სამსახურების, კულტურის სხვა სფეროში დასაქმებულთა საქმიანობის ეფექტიანი კოორდინაცია. ამის შემდეგ კი, მათ კარგად უნდა გაიანგარიშონ კადრებზე დამატებითი მოთხოვნისა და ხარჯების ოდენობა. რა თქმა უნდა, გათვალისწინებული უნდა იქნეს, აგრეთვე,

ოფისის, სპეციალური კვლევებისა (განსაკუთრებით არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვის ნაწილში) და სხვა ხარჯებიც.

ბუნებრივია, პირველ ეტაპზე, ზემოაღნიშნული მიზნების განსახორციელებლად საჭირო ხარჯების დიდი ნაწილი, სახელმწიფო ბიუჯეტმა უნდა დაფაროს. ეს შეიძლება მოხდეს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის მიზნობრივი ტრანსფერის გამოყოფით (როგორც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ასევე ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან), ან სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამის პროგრამის დაფინანსების საფუძველზე. გარდა ამისა, რეგიონულმა გამგეობებმა და მერიებმა უნდა იზრუნონ სხვადასხვა ფონდებიდან ან დონორი ორგანიზაციებიდან თანხების მოზიდვისათვის.

***

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ კულტურული მემკვიდრეობის, მათ შორის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუშების კულტურული ტურიზმის პროგრამებში სრულად ჩართვის მიზნით, აუცილებელია საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის ეროვნულ სააგენტოს შესაბამისი სამსახურების საქმიანობის ეფექტიანი კოორდინაცია, როგორც უმაღლეს, ასევე რეგიონულ და მუნიციპალურ დონეებზე.

სახელმწიფო მართვის უმაღლეს (ცენტრალურ) დონეზე განსახორციელებელ ღონისძიებათა შორის უნდა გამოიყოს შემდეგი: „კულტურისა და ბუნებრივი მემკვიდრეობის" კოდექსზე მუშაობის დროულად დასრულება; მართვის უმაღლეს დონეზე ზემოაღნიშნული კოორდინაციის განხორციელება საქართველოს პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციის შესაბამისი ფუნქციებით აღჭურვის საფუძველზე, ამ მიზნით, იქ, „კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმში გამოყენების" განყოფილების შექმნა და მისი შესაბამისი ფუნქციებით აღჭურვა; გარდა ამისა, მუნიციპალიტეტების გამგეობებსა და თვითმმართველი ქალაქების მერიებში უნდა განხორციელდეს მათი ორგანიზაციული სტრუქტურების მცირედი ცვლილება და შეიქმნას მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-განვითარებისა და კულტურულ ტურიზმში ჩართვის სპეციალური სამსახური; გადასინჯულ იქნეს გამგეობებისა და მერიების დებულებები, რათა ზემოაღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, სწორად ჩამოყალიბდეს მათი ფუნქციები.

## ლიტერატურა:


1. საქართველოს კულტურის სტრატეგია – „კულტურა 2025“, თბ., 2016.
2. საერთაშორისო კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ, პარიზი, 2003 წ. 17 ოქტომბერი, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2007 წლის 4 დეკემბერის N 5535 – II-ს დადგენილებით.
3. საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, თბ., 2007.
4. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკა, თბ., 2014.


# For Improvement of the Management of the Use of Intangible Cultural Heritage in Tourism


***Miron Tughushi***

*Visiting Professor of Ivane Javakhishvili*
*Tbilisi State University*
*tugushim@gmail.com*

***Maya Gvinjilia***

*PhD student of Shota Rustaveli*
*Theatre and Film Georgian State University*
*maiagvinjilia@yahoo.de*



The protection and promotion of tangible and intangible cultural heritage is considerably depended on the development of cultural tourism and contrary; it is impossible to expand the scope/ geography of cultural tourism without offering the best samples of cultural heritage to tourists. The management process of the involvement of the best samples of the intangible (tangible) cultural heritage in cultural tourism in Georgia is complicated due to the fact that, first of all, the structural units of the Ministry of Economy and Sustainable Development and the Ministry of Culture and Monument Protection of Georgia – the National Tourism Administration and the National Agency for Cultural Heritage Preservation requires effective coordination of their activity. In addition, the coordination of the above-mentioned activities must be carried out at the highest, regional and municipal (local) levels.

In the article, there are proposed the improving measures of the management mechanisms of the use of intangible cultural heritage in tourism by managing the aforementioned levels.



**Keywords:** intangible cultural heritage, tangible cultural heritage, cultural tourism, cultural policy, decentralization of management, management of the use of intangible cultural heritage in tourism.

**JEL Codes:** L80, L83, Z10

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 2, გვ. 123-131
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 2, pp. 123-131

# მარკეტინგული კომუნიკაცია და გლობალიზაცია

***ანა წულაია***

*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო
პროგრამის დოქტორანტი*
*a.tsulaia@mail.ru*

სტატიაში განხილულია მარკეტინგული კომუნიკაციის და გლობალიზაციის თავისებურებები. ცალკეულ მკვლევართა შეხედულებების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია ავტორისეული მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ბიზნესის წარმატებას, თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას და ზოგადად საზოგადოების ცხოვრების დონის ამაღლებას უზრუნველყოფს მომხმარებელთან ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარება, ამ თვალსაზრისით დასაბუთებულია მარკეტინგული კომუნიკაციის როლი, რაც იძლევა არაჩვეულებრივ შესაძლებლობას ადამიანების წარმოდგენების, ინტერესების შესასწავლად და გათვალისწინებისათვის, და უზრუნველყოფს მომხმარებელთა მოთხოვნილების უკეთ დაკმაყოფილებას. სტატიაში ასევე განხილულია გლობალიზაციის პოზიტიური და ნეგატიური მხარეები მარკეტოლოგის თვალთახედვით. განხილულია გლობალიზაციის თავისებურება – არცერთ სახელმწიფოს, მწარმოებლურობის მაღალი დონის მიუხედავად, არ შეუძლია ჯეროვანი ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევა და განვითარება ჩაკეტილი ეკონომიკის პირობებში. ამდენად, საზღვრები უფრო გამჭვირვალე ხდება არა მხოლოდ პოლიტიკური კონიუნქტიურად გამომდინარე, არამედ თანამედროვე კვლავწარმოების პროცესის ლოგიკის შესაბამისად.

**საკვანძო სიტყვები:** მარკეტინგი. მარკეტინგული კომუნიკაცია, გლობალიზაცია, გლობალური მარკეტინგი.

# მარკეტინგული კომუნიკაციის ზოგიერთი თავისებურება, ელექტრონული მარკეტინგი

ბიზნესის განვითარებისთვის მეტად მნიშვნელოვანია მომხმარებლებთან ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარება, რაც უზრუნველყოფს ბიზნესის წარმატებას, თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას და ზოგადად, საზოგადოების ცხოვრების დონის ამაღლებას. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ, არსებითად შეცვალა კომუნიკაციის გარემო. მომხმარებლებთან მაქსიმალური დაახლოებისათვის შეიქმნა ახალი მკვეთრად მიზანმიმართული საკომუნიკაციო მაგისტრალები და გაამრავალფეროვანა მარკეტინგული კომუნიკაციები.

მარკეტინგულ კომუნიკაციებს მიეკუთვნება ფირმის ყველა სახის კავშირი მომხმარებლებთან, მიმწოდებლებთან და ა.შ. ბაზრის ყველა მონაწილესთან, რომლებიც დაინტერესებული არიან ფირმის საქმიანობითა და მასში მონაწილეობის მიღებით. მარკეტინგული კომუნიკაციების დამახასიათებელი თავისებურებებია: გავრცელების მიზანმიმართულება, კომპლექსური ხასიათი, ზემოქმედების გამეორება, სისტემური მარკეტინგული კვლევებისა და ინტერნეტის აქტიური გამოყენება.

მარკეტინგული კომუნიკაციების კომპლექსს ბაზარზე საქონლის წინწაწევის კომპლექსსაც უწოდებენ და მოიცავს რეკლამას, გასაღების სტიმულირებას საზოგადოებასთან ურთიერთობას და პერსონალურ გაყიდვას. [1 გვ.317]

განსხვავებულია ფირმის მიერ გამოყენებული მარკეტინგული კომუნიკაციები იმის მიხედვით: თუ ბაზარზე საქონლის გატანის და რეალიზაციის პროცესში რომელ სტრატეგიას იყენებს საწარმო, როგორია საქონლის საყიდლად მყიდველის მზადყოფნის ხარისხი, სასიცოცხლო ციკლის რომელი ეტაპზე იმყოფება საქონელი.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს კომუნიკაციის თანამედროვე ფორმის ელექტრონული მარკეტინგის შესწავლა და პრაქტიკული გამოყენება. ელექტრონული მარკეტინგი განიხილება, როგორც თანამედროვე ეკონომიკის ერთი-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი და მამოძრავებელი ინსტრუმენტი, რამაც მწარმოებელს საშუალება მისცა გასულიყო ახალ ბაზარზე ზემოქმედების ახალი საშუალებით, როგორიცაა ინტრანეტი, ექსტრანეტი და ინტერნეტი. დღეისათვის ელექტრონული ბიზნესის შემდეგ სექტორებს გამოყოფენ: ბი-თუ-ბი (B2B), ბი-თუ-სი (B2C), სი-თუ-სი (C2C), სი-თუ-ბი (C2B).

ონლაინმარკეტინგი ეხმარება მომხმარებელს მიიღოს უფრო ვრცელი ინფორმაცია გამყიდველის შესახებ, რაც საბოლოოდ ახდენს დადებით ან უარყოფით ზეგავლენას მასზე. თავის მხრივ კომპანიამ უნდა უზრუნველყოს ის, რომ მისი პერსონალი, შენობა და მის მიერ შესრულებული სამუშაო ჰარმონიულად შეესაბამებოდეს ერთმანეთს, კომპანიის მისიას, პოზიტიურად აისახოს ბრენდში

და რაც მთავარია, პასუხობდეს პოტენციურ მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფის მოთხოვნებს.

მომხმარებელი კომპანიის შესახებ ინფორმაციას ინტერნეტის მეშვეობით – ვებგვერდიდან ან კომპანიის ფეისბუკიდან ღებულობს. ონლაინ სივრცე ის ადგილია, სადაც ადამიანს შეუძლია დროისა და თანხის მინიმალური დანახარჯებით მიიღოს მისთვის სასურველი ინფორმაცია ან მომსახურება, გაუზიაროს მოსაზრებები და შთაბეჭდილებები დაინტერესებულ პირებსა და კომპანიებს, თვალყური ადევნოს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს პერსონალური კომპიუტერიდან. ჩვენმა კომპანიებმა უნდა გაითავისონ, რომ სოცილური ქსელი ორმხრივ კომუნიკაციას გულისხმობს და მზად უნდა იყვნენ, თუნდაც არცთუ ისე სასიამოვნო მოსაზრების მოსმენისთვის. სოციალური ქსელი ერთგვარად ელექტრონული მაღაზიის როლს ასრულებს – მისი მეშვეობით შესაძლებელია გაყიდვების სტიმულირება და ახალი პროდუქციის წარდგენა საზოგადოებისათვის.

ჩვენ – ადამიანებმა გამოვიმუშავეთ საინფორმაციო გადატვირთვისგან თავდაცვის მეთოდი – „არ ვკითხულობთ“, ვაგდებთ „ნაგვის ურნაში“ არასასურველ წერილებს, თუ სარეკლამო განცხადებებს, არ ვუსმენთ სარეკლამო რგოლებს და ა. შ. თომას დევენპორტისა და ჯონ ბეკინის აზრით [2, გვ.165]. ჭარბი ინფორმაცია ადამიანში იწვევს „ყურადღების დეფიციტის სინდრომს“ (attention deficit discorder ADD) – რაც ართულებს ადამიანის ყურადღების გადმოტანას სასურველ ობიექტსა თუ პროცესზე. დღესდღეობით „ყურადღების დეფიციტი“ – იმდენად მკაფიოა, რომ კომპანიებს უხდებათ უფრო მეტი დახარჯონ მარკეტინგზე, ვიდრე უშუალოდ წარმოებაზე. ამის ნათელი მაგალითია ახალი სუნამოების თუ ფილმების ძვირადღირებული რეკლამები.

ამრიგად, მარკეტინგის სპეციალისტი კარგად უნდა იცნობდეს საკუთარ მიზნობრივ აუდიტორიას, იცოდეს თუ როგორ ხდება მათი ყურადღების გადანაწილება, შესაბამისად, უნდა ცდილობდეს ამ ყურადღების მისკენ მიპყრობას. მარკეტინგული კომუნიკაცია თავის მხრივ უნდა 1. აერთიანებდეს და კოორდიინირებას უწევდეს ყველა საკომუნიკაციო არხებს; 2. ახდენდეს მიზნობრივი აუდიტორიის იდენტიფიცირებას; 3. უზრუნველყოს ისეთი მასტიმულებელ პროგრამის ფორმირება, რომელიც გამოიწვევს აუდიტორიის სასურველ რეაქციას.

მართალია, ქართული კომპანიების ნაწილი თვლის, რომ ტრადიციული მედიასაშუალება ბრენდიგის საუკეთესო ინსტრუმენტია და ნაკლებად ფიქრობენ სოციალურ მედიაში ინვესტირებას, მაგრამ ახალი ტექნოლოგიის მომხმარებელთა ზრდა სხვა რეალობის წინაშე გვაყენებს, რის გამოც ქართული რეალობისთვის უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ სოციალურ მედიას ადექვატური დატვირთვა უნდა გააჩნდეს. ინტერნეტსივრცე კი იძლევა არაჩვეულებრივ შესაძლებლობას ადამიანების წარმოდგენების, ინტერესების შესასწავლად და გათვალისწინებისათვის.

# გლობალიზაციის პოზიტიური და ნეგატიური მხარეების მიმოხილვა

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გლობალურმა კონკურენციამ მოითხოვა მარკეტინგული საქმიანობის ინტეგრაცია და სტანდარტიზაცია, რამაც საფუძველი ჩაუყარა გლობალური მარკეტინგის გამოყენებას. საერთაშორისო ბაზრებზე გასვლამდე საწარმოთა მენეჯერებმა, სწორედ გლობალური მარკეტინგის გონივრული გამოყენებით, უნდა მიიღონ გარკვეული გადაწყვეტილებები, რაც შეამცირებს რისკის დონეს და აამაღლებს ეფექტიანად ფუნქციონირების შესაძლებლობას.

გლობალიზაციის პროცესის და ეროვნულ ეკონომიკათა ინტერესების ურთიერთმიმართებისა და თავსებადობის პრობლემა ერთ-ერთი ურთულესია. მისი კვლევისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი მიზნების გამოკვეთა, როგორიცაა: გლობალიზაციის თავისებურებებისა და კანონზომიერების დადგენა, მისი მამოძრავებელი ძალებისა და წინააღმდეგობების (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ორგანიზაციულ-მმართველობითი და ა.შ) გამოვლენა, მსოფლიო კრიზისის და მისგან გამომდინარე, ტრანსფორმაციის აუცილებლობის პირობებში, საერთაშორისო სამეურნეო სისტემაში, ეროვნულ ეკონომიკათა შესაბამისად ეროვნულ ფირმების ადგილის და განვითარების პირობების განსაზღვრის, სოციალურჴეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემის შესწავლა. [3, ჯვ.118].

მართალია, გლობალიზაციამ გააიოლა ხალხთაშორისი ურთიერთობები, თუმცა, ის გახდა სისტემური პრობლემის მიზეზი როგორიცაა: ხალხთა შორის სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ ფაქტორთა განსხვავებულობა და ხშირად შეუთავსებლობაც კი. სწორედ ამ განსხვავების დანახვა ერთერთი მნიშვნელოვანია მარკეტოლოგისათვის.

აღსანიშნავია, რომ გლობალიზაციის ცნებამ ფართო გამოყენება პოვა 1983 წლიდან, თ.ლევიტის სტატიის „ბაზრების გლობალიზაცია“ გამოქვეყნების შემდეგ [4 გვ.20 ]. მკვლევარი აღნიშნავდა, რომ ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, სოციალურმა, ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა მოვლენებმა უკანასკნელ ათწლეულებში მსოფლიო მიიყვანა მდგომარეობამდე, რომელსაც შეიძლება გლობალური ვუწოდოთ. ესაა ერთგვაროვანი, სამომხმარებლო გემოვნებისა და მოთხოვნილებების თვალსაზრისით უნიფიცირებული ბაზარი. თ. ლევიტის მიხედვით, ძირითადად, ბაზრების კონვერგენციით სარგებლობენ გლობალური ორგანიზაციები (ფირმები), რომლებიც გლობალური დონეზე აწარმოებენ სტანდარტიზებულ საქონელსა და მომსახურებას მასშტაბის ეკონომიის მიღწევის მიზნით, რის შედეგადაც მათ შეუძლიათ შეინარჩუნონ უფრო დაბალი ფასები მხოლოდ ეროვნულ დონეზე ორიენტირებულ კონკურენტებთან შედარებით. მისი დასკვნით, გლობალური სტრატეგია უნდა

ეფუძნებოდეს საქონლის, ბრენდინგისა და სარეკლამო პოლიტიკის სტანდარტიზაციას.

მ. პორტერი მოსაზრებით ბაზრის სეგმენტები ნაკლებად ეფუძნება ქვეყნებს შორის განსხვავებას და მეტად – მომხმარებელთა შორის განსხვავებას, რაც ქვეყნების საზღვრებს შეღწევადს ხდის. გაყიდვების გლობალური ქსელების საშუალებით, შესაბამისად კორპორაციები ბიზნესს აწარმოებენ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, რისთვისაც თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს იყენებენ [5 ჯვ133].

ფაქტობრივად, თ. ლევიტმა გამოკვეთა ახალი რეალობა ბიზნესში – სტანდარტიზებული პროდუქტების გლობალური ბაზრის წარმოშობა, რომ მომავალი ეკუთვნით გლობალურ კორპორაციებს. გლობალური კორპორაცია არ პასუხობს ბიზნესის ადგილობრივ გარემოში არსებულ და მომხმარებელთა გემოვნების მხრივ არსებულ განსხვავებებს. თ. ლევიტი, ამავე დროს, აღნიშნავდა, რომ ამ ტენდენციიდან არ არსებობს გამონაკლისი არც მომსახურების, არც სხვადასხვა სამომხმარებლო საქონლის ბაზრების სახით.

გლობალიზაციის შედეგად მსოფლიო ბაზარი თანდათანობით გარდაიქმნება ერთიან ეკონომიკურ სივრცედ, სადაც შესაძლებელია კაპიტალის, საქონლის, მომსახურების, სამუშაო ძალისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების თავისუფალი გადაადგილება. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია იწვევს წარმოების ინოვაციური განვითარების გაძლიერებას, საბაზრო ურთიერთობების სრულყოფას, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაციას. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში გლობალიზაციის ძირითადი ტენდენციები განსაზღვრავენ მსოფლიო მეურნეობის სამომავლო სტრუქტურას. [6. გვ.34]

შეიძლება ითქვას, რომ მარკეტინგმა კარგად უნდა დაინახოს ის დადებითი და უარყოფითი ტენდენცია, რაც მოაქვს გლობალიზაციას და მხოლოდ ამის შემდგომ, დაკვირვებით და დიდი სიფრთხილით შეიმუშაოს მოქმედების სტრატეგია. გლობალიზაცია მოიცავს: მსოფლიოს სხვადასხვა ეკონომიკის ინტეგრაციას სავაჭრო და ფინანსური არხების მეშვეობით, სწრაფად განვითარებად ეკონომიკურ პროცესებს, ხელს უწყობს ადამიანების (შრომის), ცოდნის (ტექნოლოგიის) გადაადგილებას საერთაშორისო საზღვრებზე. აქვე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ გლობალიზაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაზედაც მარკეტინგმა ყურადღება უნდა გაამახვილოს:

**<u>დადებითი:</u>**

**- გლობალიზაცია არის ეკონომიკური ზრდის წინაპირობა,** როგორც ეკონომიკურად განვითარებული, ასევე ეკონომიკურად განვითარებადი ქვეყნებისათვის ეფექტიან მარკეტინგს აქვს სასიცოცხლო მნიშვნელობა ეკონომიკური ზრდისათვის. პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია რომ სწორედ ტრანსნაციონალური კომპანიების, საერთაშორისო ორგანიზაციების მარკეტინგის ეფქტიანობამ, განაპირობა გლობალიზაციის ტემპის დაჩქარება. ამრიგად, მარკეტინგი და გლობალიზაცია იკვეთება. ინტერნეტის ეპოქაში ტრანსნაციონალური კომპანიები, მთავრობები და დაწესებულებები ეძებენ ახალ-ახალ გზას ეფექტიანი მარ-

კეტინგული ღონისძიებებისათვის. პროფესორი დენის პირიგასი (ოქსფორდი) წერს, რომ გლობალიზაციის დადებითი მხარეა შრომის სწორი ჯანაწილება, საერთაშორისო ბაზრები, გამოფენები, სადაც ხდება ხალხთაშორის იდეების გაცვლა, დაახლოება, მეცნიერული თანამშრომლობა. [7. ვვ.165].

- **ტექნოლოგიების ტრანსფერი** – ქვეყნებს შორის ტექნოლოგიების სწრაფი გაცვლა აჩქარებს გლობალიზაციას. მართვასა და ლოჯისტიკაში ნოუ-ჰაუს გადაცემა ხელს უწყობს ეფექტიანობას და დანახარჯების შემცირებას საქონელსა და მომსახურებაზე მთელს მსოფლიოში. ასევე, მოგებული რჩებიან ის ქვეყნები, რომლებსაც აქვთ მკაფიოდ განსაზღვრული მიზანი და ტექნოლოგიური სიახლეები. განსაკუთრებულ როლს თამაშობს კომპიუტერი და ინტერნეტი. მადამიანური რესურსების – ინჟინრების, განსაკუთრებით პროგრამისტების გამოყენებით ქვეყნები წინ მიიწევენ.

- **ქვეყნების უმრავლესობა ხდება დემოკრატიული** – გლობალიზაციისკენ სწრაფვა უფრო მეტად თვალსაჩინოა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, რომლებიც წლების განმავლობაში იმყოფებოდნენ შეზღუდული ინფორმაციულ სისტემაში.

- **თავისუფალი მეწარმეობის სწრაფი გავრცელება** – თანამედროვე ეკონომიკურ სისტემებში თავისუფალი მეწარმეობას უჭირავს ცენტრალური ადგილი (აშშ და დასავლეთის ქვეყნები). ქვეყნების უმრავლესობა ცდილობს შექმნას მართვის ასეთივე წარმატებული მოდელი.

- **კულტურათა, ნორმების და ეთიკის უნიფიკაცია** – ძალიან საინტერესოა სხვადასხვა რასის, კულტურის, ხალხთა ჩვევების, ტრადიციების კვეთა. გლობალიზაციით უფრო ეფექტიანად სარგებლობენ ტრანსნაციონალური კომპანიები. ხშირად მათ სხვადასხვა ქვეყნაში უწევთ მანევრირებადი მარკეტინგული საქმიანობის განხორციელება ხშირია სასარგებლო ჩვევების გაზიარების შემთხვევაც.

- **ინტერნეტი** – გლობალიზაციის ერთერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია. (თუმცა სადავოა გლობალიზაციამ შეუწყო ხელი ინტერნეტის განვითარებას თუ პირიქით.) როგორც კომუნიკაციის ყველაზე ეფექტიანი ფორმა, რომელმაც მნიშვნელოვნად დააჩქარა გლობალიზაციის პროცესი. ხელი შეუწყო ფირმების, მათი საქონლის/მომსახურების ცნობადობას.

- **სიახლის მომენტალური გავრცელება** თითქმის მთელ მსოფლიოში – თანამგზავრული და ინტერნეტ-კომუნიკაციით ინფორმაცია ვრცელდება სწრაფად, სატელევიზო არხები როგორიცაა CNN და MSNBC ტრანსლირებენ ფართო აუდიტორიის წინაშე. ამგვარად, ქვეყნებს შორის დაშორება არ არის დამაბრკოლებელი.

- **საცხოვრებელი პირობების და ჯანმრთელობის გაუმჯობესება** – სამედიცინო ცოდნა და სიახლეები უფრო გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია. შესაბამისად, ადამიანები ცოცხლობენ უფრო მეტ ხანს. ეს გამოიწვია ახალი სახეობის სამკურნალო პრეპარატების შექმნამ და გავრცელებამ, ადამიანთა ჯანმრთელი ცხოვრების სტილის პროპაგანდამ და დანერგვამ (მაგ., იოგის ვარჯიშების ფართო გავრცელება).

ამრიგად, გლობალიზაცია რთული პროცესია, რომლის ბუნება და შედეგები ღრმა შესწავლას მოითხოვს. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სპეციალისტი სკეპტიკურად უდგება ცნება „გლობალიზაციას" და უარყოფს ამ პროცესის ობიექტურობას [8, გვ.247]. ანტიგლობალისტები ამტკიცებენ, რომ ადამიანთა გარკვეულ ჯგუფებს, რომლებიც ფლობენ რესურსებს, არ შეუძლიათ წარმატებით იარსებონ მზარდი კონკურენციის პირობებში, რადგან გლობალიზაცია სულ უფრო მეტ ზეწოლას ახდენს მათ დოვლათზე, ვინაიდან მათი ეკონომიკები სულ უფრო და უფრო უკავშირდება მსოფლიო ეკონომიკას. ყველაზე მნიშვნელოვანი ანტიგლობალისტური ძალები წარმოდგენილია ეკოლოგიური ჯგუფებით: „დედამიწის მეგობრები" და „გრინფისი" ორგანიზაციები, რომლებიც საერთაშორისო დახმარებას ეწევიან (მაგალითად „ოქსფამი"), „მესამე მსოფლიოს" ქვეყნების სამთავრობო ორგანიზაციები (მაგალითად ჯგუფი 77), იმ დარგთა საქმიანი და პროფესიული კავშირები, რომელთა კონკურენტუნარიანობა საფრთხის ქვეშ დგება გლობალიზაციის პირობებში [9, გვ.129]."
დადებითი მხარის გარდა შესაძლებელია ვიმსჯელოთ გლობალიზაციის უარყოფითი მხარეზე კერძოდ, მარკეტინგის პოზიციიდან:

**- განვითარებულ ქვეყნებში: უმუშევრობის და სვაჭრო დისბალანსის ზრდა, ასევე კონკურენტუნარიანობის ვარდნა** – გლობალიზაციამ გამოიწვია აუთსიორსინგის ზრდა – იაფი მუშახელის მოძიებით კომპანიები ღებულობენ დიდ ეკონომიას; მოწინავე ტექნოლოგიების გადაცემით განვითარებულმა ქვეყნებმა გააკეთეს დიდი ნახტომი ტრადიციული წარმოებიდან თანამედროვე საწარმოებისაკენ;

**- განვითარებად ქვეყნებში მიაჩნიათ**, რომ:

- განვითარებული ქვეყნები მათ იყენებენ. ჩარლზ კერი [10]. (გლობალური განვითარების ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი) მიიჩნევს, რომ ჩამორჩენილი ქვეყნების მოსახლეობა აწყდება სერიოზულ შეზღუდვას ჯანდაცვაში და საინჟინრო განათლების მიღების დროს, რაც იწვევს იმას რომ ისინი კვლავინდებურად რჩებიან ღარიბ ფენად [11];
- მათი მოსახლეობა უფრო მეტად უბედურად გრძნობს თავს. სატელიტური მაუწყებლობით, ინტერნეტით ხედავენ თუ როგორი ცხოვრებენ მდიდარ ქვეყნებში, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობაც უფრო მეტია ყოველივე ეს კი არის გარკვეული უკმაყოფილების საფუძველი, ჩნდება ტერორისტული ორგანიზაციები [12];
- მზრდადმა გლობალიზაციამ უფრო მეტად მოიტანა უცხოური საქონელი და მათი მოსახლეობის კონტროლი მათსავე ტერიტორიაზე. მდიდარი ქვეყნები იყენებენ იაფფასიან სამუშაო ძალას, ხდებიან უფრო მეტად მდიდრები და არ იწუხებენ თავს ჩქმორჩშნილი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე. ყოველივე ცღნიშნული მჭტ-ნჭკლჭჲჭჴ აჩენს უფსკრულს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის;

**- ტერორიზმი** – გლობალიზაციამ გამოიწვია აზიიდან და ახლო აღმოსავლეთიდან ტერორიზმის გადმონაცვლება აშშ-სჴ და ევროპის ქვეყნებში;

- „მაკდონალდიზაცია“ და „კოკაკოლიზაცია“- ამ ტერმინებს აქტიურად იყენებენ გლობალიზაციის კრიტიკოსები და თვლიან, რომ ამ ეროვნული პროდუქტით აშშ-მა მოახდინა დომინანტური მდგომარეობის გამყარება მრავალ ქვეყანაში. განვითარებული ქვეყნები განვითარებადი ქვეყნების მომხმარებლებს იზიდავენ ეფექტიანი სასაქონლო მარკით და აქტიური მარკეტინგული ღონისძიებებით, რის შედეგადაც ადგილობრივი ფირმები იძულებით ტოვებენ ბაზარს. ანტიგლობალისტების მოსაზრებით, ასეთი მოქმედება საფრთხეს უქმნის ქვეყნის სუვერენიტეტს;

- ტრადიცია და რელიგია – განვითარებული ქვეყნები ფიქრობენ, რომ გლობალიზაციით მათი ნორმები და რელიგიური წესები ირღვევა;

- გარემოს დაბინძურება – რასაც იწვევს ტრანსპორტის, საწარმოო პროცესების, სატრანსპორტო გადაზიდვების ზრდა და სხვადასხვა გაუთვალისწინებელი გარემოება;

- **სხვადასხვა დაავადების სწრაფი გავრცელება (შიდსი, ვირუსი).**

* * *

გლობალიზაციის პროცესის კვალდაკვალ უნდა აღვნიშნო, რომ ნებისმიერი კულტურული თუ არაკულტურული პროდუქტი ადგილობრივი მოთხოვნილებების, ტრადიციებისა და შეხედულებების შესაბამისად „იფუთება“ და ხდება ადგილობრივ კულტურასთან მისი ადაპტირება, რადგან მარკეტოლოგებმა კარგად იციან, რომ კულტურული ნორმების უცოდინარობამ და არგათვალისწინებამ – 1. მწარმოებელს შეიძლება დიდი ზარალი მიაყენოს; 2. უცხოურ კულტურას, თუნდაც სახეშეცვლილს, შეუძლია სხვა კულტურის განადგურება, მაგრამ ეს არ შეიძლება იყოს არგუმენტი გლობალიზაციის საფრხეების წინააღმდეგ, რაც უნდა გაითვალისწინოს მარკეტინგის სპეციალისტმა და მარკეტინგული ღონისძიებები ძალიან ფრთხილად, გონივრულად განახორციელოს.

* * *

ამრიგად, სტატიაში განხილული, გლობალიზაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები შესწავლილია მარკეტინგის პრიზმით. თითოეული მათგანი წარმოადგენს ერთი მოვლენის განშტოებას, რომელსაც საერთო ძირი აქვს. ასევე უდავოა, რომ გლობალიზაციის პროცესს დანახულს მარკეტინგის თვალთახედვით, ვერ შევაფასებთ ცალსახად დადებითად ან უარყოფითად, რადგან იგი მოიცავს როგორც პოზიტიურ, ასევე ნეგატიურ მხარეებს. მარკეტინვის სტრატეგიის დამუშავების დროს გლობალურმა ფირმებმა უნდა გაითვალისწინონ მოსალოდნელი შედეგების მასშტაბები გლობალურად, მიმაჩნია, რომ გლობალიზაცია უნდა შეერწყას კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას და ის მინუსები, რასაც ხედავენ მარკეტოლოგები თუ ანტიგლობალისტები, საგრძნობლად შემცირდება და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი მსჯელობა გლობალიზაციაზე, როგორც თანამედროვეობის ახალ რეალობასა და მის პოზიტივებზე.

## ლიტერატურა:


1. ნ.თოდუა, ბ. მღებრიშვილი მარკეტინგის საფუძვლები, თბ.,2009
2. Hirst p., Thompson G. Globalization in Question: the international Economy and the Possibilities of Governance. Cambredge: Polity Press, 2009.
3. აბრალავა ა. ეკონომიკის გლობალურ რჯინოვაციური პრობლემები, თბ., 2012.
4. Levitt Th. The Globalization of Markets, Harvard Business Review, May-June, 1983, Reprinted by McKynsey Quarterly, Summer 1984.
5. Porter M. E. Competition in Global Industries,Harvard Business Press, 1993
6. თოდუა ნ. საერთაშორისო მარკეტინგი, თბ., 2012
7. Denis Clark Piriges, Teresa Manley DeGeest ~Ecological Securety" copyright Oxford, 2004.
8. Hirst p., Thompson G. Globalization in Question: the international Economy and the Possibilities of Governance. Cambredge: Polity Press, 2009.
9. ი.ვუროვა, მსოფლიოეკონომიკა, სახელმძღვანელო, თბ.,2014.
10. http://www.cgdev.org/expert/charles-kenny
11. http://charleskenny.blogs.com/weblog/files/oxdevstudspap.pdf
12. http://www.un.org/ru/development/globalization/hr.shtml


## Marketing Communication and Globalization


***Ann Tsulaia***

*Doctoral student of the Business Administration Program*
*Caucasus International University*
*a.tsulaia@mail.ru*



The given work considers the peculiarities of marketing communications and globalization. The author's opinion is based on the views of various researchers, according to which, the effective communication with customers determines success in business, free market relations and community living standards. Marketing-communication gives us a great opportunity to study people's views on the interests that better satisfy customers requirements and needs. The article also discusses the positive and negative aspects of globalization as seen through the eyes of marketing. The paper discusses the features of globalization. It is impossible to achieve high productivity of state in the closed economy. Today borders are more transparent, and is based on the political conjuncture and modern reproduction process.



**Keywords:** Marketing, marketing communication, globalization, global marketing
**JEL Codes:** M30, M31, 39

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 2, გვ. 132-144
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 2, pp. 132-144

# საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა: მიღწევები და ნაკლოვანებები

*მანანა ხარხელი,*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი*

*ოთარ კიკვაძე,*

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

სტატიაში შეფასებულია საქართველოს სახელმწიფო შესყიდვებში გატარებული რეფორმები, რისთვისაც მიმოხილულია რეფორმების შეფასებებიც. ასევე, გაანალიზებულია საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების მოცულობა და დინამიკა 2013-2014 წლებში. აგრეთვე, შესყიდვების სტრუქტურა სახეობების მიხედვით, ასევე შეფასებულია ტენდერების შედეგებიც. სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სახელმწიფო შესყიდვებში წარმოქმნილ დავებს, რომელთა რიცხვი 2011-2014 წლებში 8,4-ჯერ გაიზარდა.

დაბოლოს, გამოკვლეულია საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში არსებული ზოგიერთი ნაკლოვანება და ჩამოყალიბებულია მისი აღმოფხვრის რეკომენდაციები.

**საკვანძო სიტყვები:** სახელმწიფო შესყიდვა; ტენდერი; ელექტრონული შესყიდვა; გამარტივებული შესყიდვა; შესყიდვის სააგენტო; შემსყიდველი.

სახელმწიფო შესყიდვების სისტემა საჯარო ფინანსების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. სწორედ ამიტომ, ამ სისტემის მუშაობა ქვეყანაში საჯარო ფინანსების გამართულობის შესაფასებლად კარგ საფუძველს იძლევა.

მსოფლიოს მრავალ ქვეყნაში, სახელმწიფო შესყიდვებზე დანახარჯებს, მთლიანი შიდა პროდუქტის 15% უკავია [1, გვ. 149]. საქართველოში ეს მაჩვენებელი 10%-ია [2, გვ. 1], რაც ბიუჯეტის 30%-ს შეადგენს.

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სისტემის სრულყოფისათვის მრავალი რეფორმა გატარდა, რომლის წარმატებას ადასტურებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის შეფასება. ბანკმა იგი მოიხსენია, როგორც "საუკუნის საერთაშორისო პრაქტიკის მიერ რეკომენდებული შესყიდვების ეფექტიანობისა და სამართლიანობის დაცვის ინსტრუმენტი" [3]. განხორციელებულ რეფორმას დადებითად აფასებს ევროპარლამენტიც, რომელიც პირდაპირ მიუთითებს, რომ მიესალმება საქართველოს ახალი შესყიდვების სისტემას და მიიჩნევს, რომ „ამ სფეროში საჭიროა საქართველო წარმოადგენდეს მაგალითს ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის" [2, გვ. 1]. ყოველივე ამის მიუხედავად, მიგვაჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფოს შესყიდვების სისტემა კვლავაც საჭიროებს სრულყოფას. ამის დასტურია, თუნდაც სახელმწიფო აუდიტის მიერ მის მუშაობაში აღმოჩენილი ხარვეზები.

## 1. სახელმწიფო შესყიდვები: არსი, პრინციპები, დაფინანსები და საკანონმდებლო ბაზა

სახელმწიფო შესყიდვები, შინაარსობრივად, სახელმწიფო დაწესებულებების მიერ საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შეძენას წარმოადგენს. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ძირითადი პრინციპებია:

- შესყიდვების საჯაროობა და გამჭვირვალობა;
- არადისკრიმინაციული და კონკურენტული გარემოს შექმნა;
- საჯარო ფინანსების რაციონალური და მიზანშეწონილი ხარჯვა.

სახელმწიფო შესყიდვების პროცესს ეროვნულ დონეზე კოორდინაციას უწევს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, რომელიც დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირია. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო შესყიდვების სისტემა დეცენტრალიზებულია და შესყიდვების განხორციელებაზე უფლებამოსილია კონკრეტული შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მართლზომიერებაზე.

მოქმედი კანონმდებლობით, სახელმწიფო შესყიდვა ეს არის: შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული, სახელმწიფო შესყიდვის საშუალებების გამოყენებით, ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა [4, გვ. 4-5]:

- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო ბიუჯეტში კონ-სოლიდირებული სახსრებით;
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების სახსრებით;

- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით;
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სახსრებით;
- საბიუჯეტო ორგანიზაციების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ვ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდის, ასევე სახელმწიფო შესყიდვის განმახორციელებელი საწარმოების (იგულისხმება იმ საწარმოს სახსრებით, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო) მიერ უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, აგრეთვე, სხვა სახელმწიფოს რეზიდენტი პირებისაგან გრანტისა და კრედიტის სახით მიღებული სახსრებით, გარდა კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისებისა;
- სახელმწიფო გრანტით მიღებული საკრედიტო და საინვესტიციო სახსრებით;
- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდის, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირის (გარდა წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისა) სახსრებით, ამ სახსრების წარმოშობის წყაროს მიუხედავად, გარდა ამ კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისებისა;
- იმ საწარმოს სახსრებით, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული საწარმო თავისი საქმიანობის სპეციფიკასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების შესყიდვისას ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის მიერ ამ საქონლის ან მომსახურების შესყიდვისათვის დადგენილი სპეციალური წესით, რომლის მოქმედების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 2 წელს. საქართველოს მთავრობის მიერ დასადგენ სპეციალურ წესს შეიმუშავებს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო შესაბამისი საწარმოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წინადადებათა საფუძველზე.

შემსყიდველი ორგანიზაციები კი, ზემოთ ჩამოთვლილი სახსრებით სახელმწიფო შესყიდვის განმახორციელებელ იურიდიული პირებია – სამინისტროები, უწყებები და სხვა ორგანიზაციები.

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემას არაერთი სამართლებრივ-ნორმატიული აქტი არეგულირებს, თუმცა, ძირითად სამართლებრივ ბაზას – „კანონი „საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება – „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" წარმოადგენს.

საქართველოში კანონი – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", 1998 წელს იქნა მიღებული, მანამდე სახელმწიფო შესყიდვები სხვადასხვა ნორმატიული აქტით რეგულირდებოდა. საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით 2006 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის ახალი ვარიანტ, რითაც სისტემის სერიოზული სრულყოფა იყო გათვალისწინებული 2006 წლიდან მოყოლებული კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" პერიოდულად განიცდიდა ცვლილებებს, რის შედეგადაც ამ ეტაპისთვის არსებული კანონი შინაარსობრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განსხვავდება პირვანულისაგან სახისაგან.

აღნიშნული ცვლილებების საფუძველი, სხვა გარემოებებთან ერთად, იყო სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის დანერგვა, რომელიც 2010 წლის 1 აგვისტოდან ამოქმედდა და რითაც შეიქმნა სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი სამართლებრივი ბაზა.

„კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", შედგება 7 თავისა და 26 მუხ-ლისგან. აღსანიშნავია, რომ კანონში სტრუქტურული თვალსაზრისით (თავებისა და მუხლების რაოდენობა) ცვლილება არ არის, რაც შეეხება მის შინაარსობრივ მხარეს, რადიკალური ცვლილებებია.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედება ვრცელდება, ყველა სახის სახელმწიფო შესყიდვაზე გარდა ამავე კანონით განსაზღვრული გამონაკლისებისა. აღსანიშნავია, რომ 2008 წლის დეკემბრიდან დღემდე კანონში შეტანილი ცვლილების შესაბამისად I თავის 1 მუხლის მე-3 პუნქტს დამატებული აქვს მთელი რიგი ქვეპუნქტები, სადაც დაკონკრეტებულია ის შემთხვევები, რომლებზეც არ ვრცელდება აღნიშნული კანონის მოქმედება. 2008 წლამდე კანონით დადგენილი წესი არ ვრცელდებოდა მხოლოდ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებულ განსაზღვრულ სახელმწიფო შესყიდვებზე, რელიგიური ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებზე და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფულად საკრედიტო

და სავალუტო პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებულ შესყიდვებზე, ხოლო 2008 წლის 15 დეკემბრიდან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის გავრცელება, გარდა აღნიშნულისა, შეიზღუდა შემდეგ სფეროებზე:

- საბიუჯეტო კლასიფიკაციის „საქონელი და მომსახურების" მუხლით გათვალისწინებულ შტატგარეშე მომუშავეთა მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და ასევე მივლინების დროს განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვაზე;
- უძრავი ქონების სახელმწიფო შესყიდვასა და მისი სარგებლობის უფლებით მიღებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე.

ასევე, 2009 წლიდან სახელმწიფო „შესყიდვების შესახებ" კანონი აღარ ვრცელდება ვაუჩერის გამოყენებით განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის შესაბამისი მომსახურების ან საქონლის დაფინანსებაზე, ასევე ვაუჩერის განაღდებასა და მასთან დაკავშირებულ ოპერაციებზე.

კანონის მოქმედებისგან ასევე გათავისუფლდა საქართველოს „საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ არარეზიდენტი პირისგან ტელე-რადიო პროდუქციის ან მასთან დაკავშირებული მომსახურებისა და სატელიტური თანამგზავრის საშუალებით ტელე-რადიო პროდუქციის გავრცელებასთან ან მიღებასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა.

2010 წლიდან კი კანონი არ ვრცელდება:

- ბუნებრივი მონოპოლიების პროდუქციის (ელექტროენერგია, ბუნებრივი გაზი და წყალმომარაგება) სახელმწიფო შესყიდვაზე;
- საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულებისათვის, თავდაცვის ატაშესათვის, აგრეთვე საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებისთვის ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო შესყიდვაზე;
- საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს მინისტრის, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ასევე თბილისის მერის შეხვედრებისა და ვიზიტების, საქართველოს პარლამენტში დელეგაციების მიღებისა და საქართველოს პარლამენტის დელეგაციების საზღვარგარეთ ვიზიტების ორგანიზების უზრუნველსაყოფად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დელეგაციების მიღებისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაციების საზღვარგარეთ ვიზიტების ორგანიზების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და ქ. თბილისის მერიის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხებით განხორციელებულ შესყიდვებზე;

- საექსპერტო მომსახურების შესყიდვაზე თუ აღნიშნული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე-147-ე მუხლების შესაბამისად;
- ტელერადიოეთერის დროის შესყიდვასთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით რეკლამის გავრცელებასთან და შეხვედრების ჩასატარებლად შესაბამისი ფართობის დაქირავებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე;
- სუვერენული საკრედიტო – სარეიტინგო მომსახურებისა და სახელმწიფო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული საკრედიტო-სარეიტინგო მომსახუ-რების შესყიდვებზე, აგრეთვე აღნიშნული მომსახურების მიმწოდებლისათვის საკრედიტო-სარეიტინგო მომსახურების თანმდევი ხარჯების ანაზღაურებაზე.

აღნიშნული ცვლილებების საჭიროება ძირითადად დადგა მას შემდეგ, რაც შეიქმნა შესყიდვების ახალი (ელექტრონული) სისტემა და აღნიშნული სფეროები დაექვემდებარა გამარტივებული შესყიდვის წესს, რაც გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის შემთხვევაში, ამ სფეროების სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია შექმნილიყო მთელი რიგი პრაქტიკულ-ტექნიკური ხასიათის პრობლემები.

სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, კანონის მიზანს საჯარო ფინანსების რაციონალური და მიზანშეწონილი ხარჯვა, მიმწოდებლებისთვის არადისკრიმინაციული და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნა, პროცესის მაქსიმალური გამჭვირვალობა და „სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა და საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება" წარმოადგენს. როგორც აღვნიშნეთ, ელექტრონული სისტემა 2010 წლიდან ამოქმედდა და ამ ეტაპისთვის წარმატებით ფუნქციონირებს.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვებს შემსყიდველი ორგანიზაციები ახორციელებენ წინასწარ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად. ამჟამად შემსყიდველი ორგანიზაციები გეგმის წარდგენას ახორციელებენ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. გეგმაში მითითებული უნდა იყოს წლის განმავლობაში ერთგვაროვან შესყიდვის ობიექტზე რა ოდენობის თანხის დახარჯვას აპირებს შემსყიდველი ორგანიზაცია შესაბამისი შესყიდვის საშუალების გამოყენებით. ელექტრონულ სისტემაში მომდევნო წლის სახელმწიფო შესყიდვების წარდგენის ვადაა არაუგვიანეს მიმდინარე წლის 20 ნოემბერი.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის „დ"1 ქვეპუნქტი და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 20 სექტემბრის N ბრძანება: „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ" ადგენს შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების ცნებას, იგი განსაზღვრულია სახელმწიფო შესყიდვების საერთაშორისო კლასიფიკატორის შესაბამისად, რომელიც, თავის მხრივ,

შემუშავებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება განისაზღვრება კლასიფიკატორის პირველი სამი ციფრით. შესყიდვის ობიექტის იდენტიფიცირების /აღწერისა და ერთგვაროვნების დადგენის მიზნით გათვალისწინებულია კლასიფიკატორის 8-ნიშნა კოდი, რომელსაც CPV კოდი ეწოდება. აღსანიშნავია, რომ კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ე" ქვეპუნქტი 2010 წლის 1 დეკემბრიდან იქნა ამოღებული, რომელიც განსაზღვრავდა ლოტის ცნებას, რაც გულისხმობდა ერთ ტენდერში განსხვავებული სასაქონლო ჯგუფების სხვადასხვა ლოტებად დაყოფას, სადაც სხვადასხვა მიმწოდებელს შეეძლო ცალკეულ ლოტზე გამარჯვება. შესაბამისად აღნიშნული წესით შესაძლებელი იყო შემსყიდველ ორგანიზაციას ყოლოდა რამდენიმე მიმწოდებელი ერთ ტენდერში (სხვადასხვა ლოტზე). დღეს არსებული სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა არ ცნობს ლოტის ცნებას, ამ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია, როგორც წესი, ტენდერს აცხადებს ერთგვაროვან სასაქონლო ჯგუფებზე, სადაც გამარჯვებული შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი მიმწოდებელი. აღსანიშნავია, რომ ერთგვაროვანი შესყიდვის ობიექტის ჯგუფი რიგ შემთხვევებში საკმაოდ დიდი რაოდენობის ქვეჯგუფებისგან შედგება, რაც ხშირად ხდება მიმწოდებელთა უკმაყოფილების მიზეზი, რადგან რთულია ერთ მიმწოდებელს გააჩნდეს ერთგვაროვნების მქონე საქონლის, მომსახურებისა თუ სამუშაოს ერთიანად მიწოდების რესურსი, აღნიშნული კი ხშირ შემთხვევაში, არშემდგარი ტენდერების საფუძველი ხდება.

„სახელმწიფო შესყიდვების კანონის შესახებ" მე-3 მუხლით ასევე განსაზღვრულია შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრი – „შავი სია", რომელსაც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ელექტრონულად აწარმოებს და განათავსებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე. რეესტრში აღირიცხებიან ის მიმწოდებლები, რომლებიც დაარღვევენ შემსყიდველთან დადებულ ხელშეკრულების პირობებს ან ხელშეკრულების დადებამდე გამოვლინდება მათი არაკეთილსინდისიერი ქმედება. ამასთან არსებობს კვალიფიციურ მიმწოდებელთა რეესტრი – „თეთრი სია", რომელსაც ასევე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აწარმოებს და განათავსებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე. „თეთრ სიაში" მიმწოდებელთა მოხვედრის პირობები განსაზღვრულია ცალკე კანონქვემდებარე აქტით. აღსანიშნავია, რომ „თეთრ სიაში" მყოფი მიმწოდებლები სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში სარგებლობენ გარკვეული პრივილეგიებით.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვის საშუალებებია:

1. ელექტრონული ტენდერი;
2. გამარტივებული ელექტრონული ტენდერი;
3. გამარტივებული შესყიდვა;
4. კონსოლიდირებული ტენდერი;
5. კონკურსი.

ამ ჩამონათვალში ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ გამარტივებულ შესყიდვაზე, რადგანაც ეს არის სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ის ფორმა, რომელიც ხშირად შეიცავს კორუფციის და არაკეთილსინდისიერი გარიგებების ელემენტებს.

გამარტივებული შესყიდვა – "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს1" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ხორციელდება ელექტრონული სისტემის გამოყენებით ან მის გარეშე. მოცემული შესყიდვის ფორმა გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში:

• როდესაც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად, ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში შესასყიდი ერთგვაროვანი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს ღირებულება 5000 ლარზე ნაკლებია;

• საქონლის ან მომსახურების მიწოდება მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა;

• როდესაც არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა;

• მიმწოდებლისგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია შესყიდვა განხორციელდეს იმავე მიმწოდებლისაგან;

• სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, პრეზიდენტის ან მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე;

• თუ ხორციელდება ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალების, კომპიუტერული ტექნიკის, ასევე შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრული ელექტროდანადგარის, ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით, კომპიუტერული ტექნიკით ან/და ელექტრო დანადგარით ჩანაცვლება;

• თუ ხორციელდება წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვა.

## 2013-2014 წლებში სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ფუნქციონირების ანალიზი

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სფეროს გამართული მუშაობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სახელმწიფო ორგანიზაციების, არამედ ბიზნესსექტორისთვისაც, რადგანაც შესყიდვებში ხდება ბიზნესსუბიექტების

ჩართვა საქონლის მიმწოდებლების როლში, რაც იწვევს მათი შემოსავლების სტაბილურ ზრდას. ასე რომ, სახელმწიფო შესყიდვების ნორმალური ფუნქციონირებით მარტო საბიუჯეტო ორგანიზაციები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები კი არ უნდა იყვნენ დაინტერესებულნი, არამედ, კერძო სამართლის იურიდიული პირებიც.

იქიდან გამომდინარე, რომ დღეისათვის საქართველოში უმუშევრობა და სიღარიბე დომინირებს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფომ შესყიდვების სააგენტოს მეშვეობით ბიზნესის მიმართ გამართულად შეასრულოს პროდუქციის, მომსახურების და სამუშაოების დამკვეთის როლი. საქმე ისაა, რომ თუ იზრდება შესყიდვების მოცულობა, ფართოვდება ბიზნესიც და გამომდინარე აქედან – დასაქმებაც, ხოლო თუ მცირდება შესყიდვები, მაშინ პირიქით. მაგრამ, ამ პროცესს აქვს უარყოფითი მხარეც. საქმე ისაა, რომ სახელმწიფო შესყიდვები ძირითადად ბიუჯეტის ხარჯზე მიმდინარეობს, ამ ხარჯების ზრდა კი იწვევს სხვა პოზიციებით ბიუჯეტის ხარჯების შემცირებას. ასე რომ, ეს საკითხი გონივრულ გადაწყვეტას მოითხოვს.

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი ნაწილი ელექტრონული წესით ხორციელდება, დარჩენი კი – გამარტივებული წესით. 2013 წელს სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ჯამურმა თანხამად 2791085439 ლარი შეადგინა. აქედან ელექტრონულად განხორციელდა – 61%. 2014 წელს სახელმწიფო შესყიდვები 55856818 ლარით, ანუ 2%-ით გაიზარდა. შესყიდვების 68% ელექტრონული წესით განხორციელდა (იხ. ცხრილი და ნახაზი 1). ელექტრონული შესყიდვების წილის ზრდა დადებით ტენდენცია, რადგან ეს სისტემა შემსყიდველ ორგანიზაციებს უქმნის ფართო შესაძლებლობას მოიძიონ მნიშვნელოვანი ინფორმაცია რელევანტური ბაზრების შესახებ, იხილონ სხვა შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული ტენდერების შედეგები და სხვა. იგივე ეხება მიმწოდებლებსაც რომელთაც საშუალება ეძლევათ სახლიდან გაუსვლელად, კომპიუტერის მეშვეობით, გაიგონ სახელმწიფო სექტორის მოთხოვნა საქონელსა და მომსახურებაზე, გაეცნონ შესყიდვების მარეგულირებელ წესებს და ა. შ. ეს ადასტურებს იმას, რომ სახელმწიფო შესყიდვებში ელექტრონული სისტემის დანერგვა უდავოდ წინ გადადგმული, პროგრესული ნაბიჯია.

ელექტრონულად განხორციელებული შესყიდვები მოიცავს ელექტრონულ ტენდერებს, გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერებს, კონსოლიდირებულ ტენდერებს და კონკურსებს. ჩვენი ინფორმაციით, 2013 წელს მთელი ელექტრონული შესყიდვების 83% მოდიოდა მის პირველ ორ სახეზე. მათი სავარაუდო ჯამური ღირებულება 1658893441 ლარს შეადგენდა, სახელშეკრულებო თანხა კი, მასთან შედარებით, 230.000.000 ლარით ნაკლები აღმოჩნდა. ეს იყო სავარაუდო თანხის 14%. მაშასადამე, ელექტრონული ტენდერების ჩატარებით 2013 წელს სახელმწიფო შესყიდვებში 230.000.000 ლარი დაიზოგა. იგივე მოხდა 2014 წელსა, ხოლო დაზოგილი იქნა 241132563 ლარი.

პროდუქციის, მომსახურების და სამუშაოების სახელმწიფო
შესყიდვები საქართველოში 2013-2014 წლებში [5, გვ. 10; 6, გვ. 8]

| | 2013 | 2014 | ცვლილება 2013-2014 წლების პერიოდში |
|---|---|---|---|
| სახელმწიფო შესყიდვები – სულ (ლარი) | 2791085439 | 2846942257 | +55856818 |
| მათ შორის:<br>ა) ელექტრონული წესით:<br>- ლარი<br>- ხვ. წონა (%) | 1710643763<br>61 | 1931200046<br>68 | +220556283<br>+7% |
| ბ) გამარტივებული წესით:<br>- ლარი<br>- ხვ. წონა (%) | 1098441672<br>39 | 915742211<br>32 | -164699461<br>-7% |

სახელმწიფო შესყიდვების მოცულობა და სტრუქტურა საქართველოში
2013-2014 წლებში
ნახ. 1




ჩატარებული ტენდერები პროდუქციასა, მომსახურებასა და სამუშაოებს შორის სხვადასხვანაირად განაწილდა. 2013 წელს ტენდერების 55% მოდიოდა პროდუქციაზე, 26% – მომსახურებაზე და 18% – სამშენებლო სამუშაოებზე. 2014 წელს შესაბამისად იყო 54, 25 და 21 %. ტენდერებზე დადებული ხელშეკრულე-ბების ღირებულების თვალსაზრისით კი, როგორც 2013, ისე 2014 წელს, ლიდე-რობს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვები. 2013 წელს მისი მოცულობა 5-ჯერ, ხოლო 2014 წელს 2-ჯერ აღემატებოდა პროდუქციის შესყიდვის მოცულობას.

მოსაწონია ის ფაქტი, რომ ელექტრონული ტენდერების თითქმის 80% მცირე მოცულობის შესყიდვებია (50.000 ლარზე ნაკლები), რაც საქართველოს

მცირე საწარმოებს ტენდერებში მონაწილეობის დიდ შესაძლებლობებს აძლევს, რაც იქიდან ჩანს, რომ თუ სისტემაში 2013 წელს რეგისტრირებული იყო 3742 ინდმეწარმე, 2014 წელს მათი რიცხვი 4578-მდე, ანუ 22%-ით გაიზარდა. მთლიანობაში, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვებში რეგისტრირებულ მიმწოდებელთა 23% – ამჟამად ინდმეწარმეებია.

მოსაწონია ისიც, რომ 2014 წელს 30910 სტატუსმინიჭებული ტენდერიდან, 71%-ზე გაფორმდა ხელშეკრულება, მაშინ როდესაც 2012 წელს მხოლოლდ 64%-მა მიიღო იგი (ნახ. 2). ეს იმას მოწმობს, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციებმა კვალიფიციურად წარმართეს შესყიდვების წინასწარი დაგეგმვაც და მისი განხორციელების პროცესიც.

ტენდერების განაწილება შედეგების მიხედვით
ნახ. 2




საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში რეგისტრირებულ მიმწოდებელთა რაოდენობა იზრდება. 2014 წელს სისტემას მიემატა 4285 ახალი პოტენციური მიმწოდებელი, რის შედეგადაც მიმწოდებელთა საერთო რიცხვმა 19911 ერთეული შეადგინა. ეს არის აქტიური ბიზნესის დაახლოებით 18,5% [5, გვ. 15]. თუ მას საზღვარგარეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებს შევადარებთ, მართალია, ეს არც თუ მაღალი პროცენტი და ბიზნესერთეულების დიდი მომცველობაა, მაგრამ, საქართველო ახლადშემდგარი დამოუკიდებელი სახელმწიფოა და ეს დონე გარკვეული მიღწევაა. ეს იმას ნიშნავს, რომ თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ, სულ უფერო მეტი ბიზნესმენი ერთვება სახელმწიფო შესყიდვებში და იღებს იქიდან სარგებელს, რაც ზოგადად, ქვეყნის სარგებელიცაა.

უდავოდ მისასალმებელია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) შეთანხმებაზე მუშაობაც2014 წლის 27 ივნისს ქ. ბრიუსელში, ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას. შეთანხმების მე-4 კარი ეხება ვაჭრობას და მასთან დაკავ-

შირებულ საკითხებს. მასში სპეციალური თავი ითვალისწინებს საქართველოს და ევროკავშირის საჯარო შესყიდვების ბაზრების ორმხრივ და თანმიმდევრულ გახსნას. ეს შესაძლებლობას მისცემს საქართველოს კომპანიებს მონაწილეობა მიიღონ ევროკავშირის ქვეყნების სახელმწიფო შესყიდვებზე გამართულ ტენდერებში. ასეთივე შესაძლებლობა ეძლევა ევროპის კომპანიებს. კარგია ეს თუ ცუდი?- კარგია იმით, რომ ქართულ კომპანიებს ევროპის ბაზარზე გასასვლელად მოუწევთ კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ცუდი კი იმითაა, რომ ამ ეტაპზე, როდესაც საქართველო საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ეტაპზეა, მისი კომპანიები ჯერჯერობით არათუ ევროპის ბაზარზე, არამედ აქაც, საქართველოს ბაზარზეც ვერ გაუწევენ ევროპულ კომპანიებს სათანადო კონკურენციას და სახელმწიფო შესყიდვებში ქართველი ბიზნესსუბიექტების ის ჩართულობა, რაც დღეს გვაქვს, აღარ გვექნება. ევროპელები ყველა კრიტერიუმით მოუგებენ ქართულ კომპანიებს, კერძოდ:

1. ყველა სფეროში მათ აქვთ დიდი გამოცდილება;
2. ჰყავთ მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალი კადრები;
3. არიან კანონმორჩილნი და აღიარებენ კანონის უზენაესობას;
4. ჩვენგან განსხვავებით ისინი ორიენტირებული არიან ხანგრძლივვადიან სტაბილურ ურთიერთობაზე და არა მოკლევადიან შემოსავლებზე;
5. ისინი საკუთარი ქვეყნის წარმომადგენლები არიან სხვა ქვეყანაში და იციან, რომ უნდა გაუფრთხილდნენ მის სახელს.

ამ ყველაფრით იმის თქმა გვინდა, რომ ვიდრე ეს ბაზარი მთლიანად გაიხსნება, რაც მოხდება მხოლოდ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ მიღებული შეთანხმების ძალაში შესვლიდან 8 წელიწადში ე. ი. 2022 წელს, ჩვენმა კომპანიებმა მთელი ძალისხმევა უნდა მოახმარონ აღნიშნულ პოზიციებზე დამკვიდრებას, რათა 8 წლის შემდეგ მაინც შეძლონ მათთვის სათანადო კონკურენციის გაწევა. ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათ ეს შეძლონ, მაგრამ აუცილებლად უნდა შეეცადონ.

## სახელმწიფო შესყიდვების სფეროში წარმოქმნილი დავების შესახებ

შესყიდვების სფეროში წარმოშობილ დავას იხილავს დავების საბჭო, ხოლო თუ მისით მომჩივანი არ დაკმაყოფილდა – სასამართლო. მომჩივანს პირდაპირაც შეუძლია მიმართოს სასამართლოს [7, გვ. 233].

2011-2014 წლებში სახელმწიფო შესყიდვების სფეროში შემოსულ გასაჩივრებულ საქმეთა რაოდენობა 68-დან 572-მდე, ანუ 8,4-ჯერ გაიზარდა. ეს კარგიცაა და ცუდიც. კარგი იმითაა, რომ იგი გვიჩვენებს მომჩივანთა განათლებულობის და ინფორმირებულობის დონის ამაღლებას ამ საკითხებში და მათ მიერ საკუთარი უფლებების დაცვის სადარაჯოზე მტკიცედ დგომას, ხოლო ცუდია იმით, რომ იგი გვიჩვენებს სახელმწიფო შესყიდვებში მიღებული გადაწყვეტილებების არასანდოობის დონის ზრდას.

## ლიტერატურა:


1. Organization of Economic Cooperation & Development of Glance – Size of Publik Procurement Market, 2011.
2. დავების სისტემაში: გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და განვითარების თანამედროვე მიდგომები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2014.
3. EBRD-ის სახელმწიფო შესყიდვების რეგიონული კანონმდებლობის თვითშეფასება, 2012 – http://seamed.ppl.ebrd.com./?id=1
4. საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, თბ., 2005 (20 აპრილი).
5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2014 წლის საქმიანობის ანგარიში, თბ., 2015.
6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2013 წლის საქმიანობის ანგარიში, თბ., 2014.
7. ზარნაძე ნ., ნარმანია დ. საზოგადოებრივი ადმინისტრირების საფუძვლები და საზოგადოებრივი ადმინისტრირება საქართველოში, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2009.


## State Procurement System in Georgia: Successes, Shortcomings


***Manana Kharkheli***

*Assistant Professor*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

***Otar Kikvadze***

*Doctoral Student*

*Georgian Technical University*



The article examines the state procurement system in Georgia, its successes and shortcomings. In particular, there is an assessment of state procurement reforms made in Georgia, and these reforms assessments given by experts.

The article analyzes the volume and dynamics of the state procurement in the years 2013-2014. Also, according to the types of the structure of procurement there are evaluated the results of the tenders.

The special attention in the article is paid to the state procurement disputes, whose number in 2011-2014 increased 8.4 times.

The article discusses the shortcomings existing in state procurement and recommendations for their correction.



**Keywords:** State procurement, tender, e-procurement, simplified procurement, procurement agency, procurer

**JEL Codes:** H50, H57, H59, H72

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 2, გვ. 145-160
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 2, pp. 145-160

# სტრატეგიული მართვის პროცესის კვლევის ძირითადი მიმდინარეობები

*თორნიკე ხოშტარია*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თსუ-ის დოქტორანტი*
*Tkhoshtaria@ibsu.edu.ge*

სტატიაში განხილულია სტრატეგიული მართვის პროცესის არსი, გაანალიზებულია ტრატეგიული მართვის კონცეფცია, სტრატეგიული მართვის პროცესის კვლევის მიმართულებები და გამოვლენილია სტრატეგიული მართვის პროცესის განზომილებათა კომპლექსურობა.

საკვანძო სიტყვები: სტრატეგია; სტრატეგიის არსი; სტრატეგიული მენეჯმენტი; სტრატეგიული მართვის პროცესი.

## სტრატეგიული მართვის პროცესის არსი

ავტორთა უმრავლესობა სტრატეგიის სამ ძირითადი განზომილებას აღიარებს [1, გვ.337-348], [2, გვ.182-205], ესენია: სტრატეგიის პროცესი, სტრატეგიის შინაარსი და სტრატეგიის კონტექსტი. ეს განზომილებები ხასიათდება ურთიერთდამოკიდებულებით. სტრატეგიის რეალურ შინაარსზე დიდ გავლენას ახდენს მისი პროცესი და კონტექსტი.

სტრატეგიის პროცესი სტრატეგიის მიზნების მიღწევის საშუალებაა და განმარტავს თუ ვინ, როგორ და როდის ახორციელებს მოცემულ სტრატეგიას. მან ასევე პასუხი გუნდა გასცეს კითხვებს: როგორ უნდა დაიგეგმოს, გაანალიზდეს, ჩამოყალიბდეს, განხორციელდეს, შეიცვალოს და გაკონტროლდეს სტრატეგია და ვინ არიან ამ პროცესის მთავარი მონაწილეები. სტრატეგიული პროცესების განხორციელების შედეგად მიიღება სტრატეგიის შინაარსი, რომელიც განსაზღვრავს თუ რას მოიცავს ეს სტრატეგია. ის ასევე ხსნის თუ რა არის

და რა უნდა იყოს სტრატეგია, როგორც მთელი კომპანიის, ასევე მისი თითოეული შემადგენელი ერთეულისათვის[3, გვ.56-60].

სტრატეგიის პროცესსა და შინაარსს, თავის მხრივ, განსაზღვრავს სტრატეგიის კონტექსტი, რაც დეტალურად განმარტავს თუ სად უნდა განხორციელდეს მოცემული სტრატეგია. ჩაკრავართისა და უაითის მიხედვით, კომპანიის საქმიანობის კონტექსტი კონცენტრირებულია შიგა და გარე ფაქტორებზე (გარემო) [2, გვ.182-205]. გარე ფაქტორებში იგულისხმება ის სოციალური, ეკონომიკური, კონკურენტული და საბაზრო ძალები, რომლებიც უშუალო ზეგავლენას ახდენენ კომპანიაზე. შიგა ფაქტორებში კი იგულისხმება კომპანიის ის შესაძლებლობები, რომლებიც განსაზღვრავს მას, როგორც ბიზნეს ერთეულს [4, გვ.64-71]. ბუნებრივია კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე ორივე – შიგა და გარე გარემო თანაბარ გავლენას ახდენს.

სტრატეგიული მართვის პროცესის გაანალიზებამდე აუცილებელია თვით სტრატეგიის არსის გააზრება. სტრატეგიის ფენომენის შესახებ უამრავ ავტორს დაუწერია, თუმცა კონსენსუსი ამ საკითხზე ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. ქვემოთ მოყვანილია სტრატეგიის რამდენიმე განმარტება:

- ჩენდლერი (1962) – საწარმოს გრძელვადიანი მიზნებისაკენ სწრაფვა, ამ მიზნების შესასრულებლად საჭირო რესურსების მოძიება და შესაბამისი ქმედებების განხორციელება [5, გვ.12];
- პეტიგრიუ (1977) – სტრატეგია ვითარდება გარემოებრივი და შიგაორგანიზაციული სირთულეების ნაწილობრივი გადაჭრის შედეგად. თავის მხრივ ეს სირთულეები განპირობებულია ორგანიზაციული, კულტურული, ფუნქციური, მმართველობითი და შიგაპოლიტიკური ფაქტორებით [6, გვ.78-87];
- ჰოფერი და შენდელი (1978) – სტრატეგიის ფუნქციას წარმოადგენს კომპანიის გარე გარემოში არსებული რისკებისა და შესაძლებლობების საუკეთესო შეხამება და ორგანიზაციის უნარებისა და რესურსების სწორად მობილიზება ამ შესაძლებლობების გამოსაყენებლად [7, გვ.27-33];
- ენდრიუსი (1980) – კორპორატიული სტრატეგია არის გადაწყვეტილებების თანამიმდევრობა, რომელიც წარმოაჩენს და განსაზღვრავს კომპანიის არსს, მიზნებს და კურსს. შეიმუშავებს იმ ტაქტიკასა და გეგმებს, რომლებიც საჭიროა მიზნების მისაღწევად. აგრეთვე, განსაზღვრავს მისი საქმიანობის (ბიზნესის) დიაპაზონს [8, გვ.63];
- ქუინი (1981) – სტრატეგია არის მოდელი ან გეგმა, რომელიც აერთიანებს ორგანიზაციის ძირითად მიზნებს, კურსს, პოლიტიკას, და საქმიანობათა თანმიმდევრობას, როგორც ერთ მთლიანს [9, გვ.42-63];
- ომაე (1982) – სტრატეგია არის გზა, რომელსაც კომპანია მიყვება, რათა დადებითად წარმოაჩინოს საკუთარი თავი კონკურენტებთან

შედარებით, რისთვისაც ის იყენებს თავის ძლიერ მხარეებს მომხმარებლების უკეთ დასაკმაყოფილებლად [10, გვ.42-48];

- ვან კაუვენბერგი და ქული (1982) – სტრატეგია არის გათვლილი ქცევა ქაოტურ სიტუაციებში [11, გვ.245-266];
- მინცბერგი (1987):
- გეგმა სტრატეგია, როგორც გეგმა არის გაცნობიერებული მოქმედებების ერთგვარი მსვლელობა ან მითითებების კომპლექტი, რომელიც ეხმარება კომპანიას გაუმკლავდეს ამა თუ იმ სიტუაციას და მიაღწიოს სასურველ მდგომარეობას;
- მანევრი (Ploy): სტრატეგია, როგორც მანევრი არის კომპანიის მიერ გადადგმული ნაბიჯები, რაც მიმართულია კონკურენტის მოსატყუებლად და კონკურენტული ვითარების თავის სასარგებლოდ შემოსაბრუნებლად;
- მოდელი (Pattern): სტრატეგია, როგორც მოდელი ითვალისწინებს ერთი სტრუქტურის გამოყენებას. ამ განმარტების მიხედვით სტრატეგია ყოველთვის მიყვება ერთ კონკრეტულ მოდელს;
- პოზიცია (Position): სტრატეგია არის კომპანიის გარემოში დასამკვიდრებელი საშუალება, რითაც ის გვევლინება დამაკავშირებელ ძალად კომპანიასა და გარემოს შორის;
- პერსპექტივა (Perspective): სტრატეგია როგორც პერსპექტივა, აღნიშნავს, თუ როგორ აღიქვამს კომპანია სამყაროს. ეს მიდგომა სტრატეგიას მიიჩნევს როგორც თეორიულ ცნებას [12, გვ.11-24];
- ბარნი და ჰესტერლი (2006) – კომპანიის სტრატეგია განიმარტება, როგორც მისი თეორიული ხედვა იმის შესახებ თუ როგორ უნდა მოიპოვოს კომპანიამ კონკურენტული უპირატესობა [13, გვ. 152];
- ჩაჰარბაგი (2007) – მრავალგანზომილებიანი, დინამიკური მოსაზრება (კონსტრაქტი), რომელიც ეხმარება ორგანიზაციას ეფექტიანად დაალაგოს კორპორაციული, ბიზნესის და ფუნქციური განზომილებები ისე, რომ უზრუნველყოს მისი წინსვლა და მიზნების სწრაფი მიღწევა [14, გვ.327-339];
- ჰიტი, აირლანდი და ჰოსკინსონი (2007) – სტრატეგია არის მოვალეობებისა და მოქმედებების ინტეგრირებული და კოორდინირებული წყება მიმართული იმისკენ, რომ კომპანიამ ბოლომდე გამოიყენოს თავის შესაძლებლობები და მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა [15, გვ.183-187];
- გრანტი (2008) – სტრატეგია არის საშუალება, რომლის მეშვეობით ადამიანები და ორგანიზაციები აღწევენ თავიანთ მიზნებს. კორპორაციული სტრატეგია განსაზღვრავს კომპანიის შესაძლებლობებს ბაზრისა და ინდუსტრიის ფარგლებში. ბიზნესსტრატეგია კი ზრუნავს

იმაზე, თუ როგორ უნდა იმოქმედოს კომპანიამ კონკრეტულ ბაზარზე თუ ინდუსტრიაში [16, გვ.75-79];

- ჯონსონი, სქოულსი და უიტინგტონი (2008) – სტრატეგია არის გრძელ ვადაზე გათვლილი ორგანიზაციის ხედვა და თვალსაწიერი, რომელიც ეხმარება მას მიაღწიოს კონკურენტულ უპირატესობას მუდმივად ცვალებად გარემოში, რესურსებისა და კომპეტენციების სწორედ მართვის მეშვეობით თითოეული დაინტერესებული პირის (Stakeholder) დაკმაყოფილების მიზნით [17, გვ.201-206].

სტრატეგიის კლასიკურ განმარტებას გვთავაზობენ ჩენდლერი და ენდრიუსი. ენდრიუსის თანახმად, კორპორაციულ სტრატეგიას იყენებს კომპანიის ყველა განყოფილება და ეს სტრატეგია განსაზღვრავს თუ რა საქმიანობას ეწევა კომპანია და როგორ იყენებს თავის უნიკალურ შესაძლებლობებს კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად. ბიზნესსტრატეგია შედარებით მარტივია და განმარტავს თუ რა პროდუქტსა და სერვისს აწარმოებს კომპანია მოცემულ ბაზარზე. ის ასევე მიუთითებს, თუ როგორ უნდა გაუწიოს კონკურენცია მეტოქე კომპანიებს და დაიკავოს თავისი ადგილი გარემოში. ჰოფერი და შენდელი (1978) სტრატეგიის განმარტებაში განიხილავენ გარემოს მნიშვნელობას, პეტიგრიუ (1977) კი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფაქტორებს, როგორიცაა ლიდერობა, კულტურა და პოლიტიკა. გასათვალისწინებელია ფაქტი, რომ პეტიგრიუ ხშირად იყენებს სიტყვას „ვითარდება“, რაც იმის მანიშნებელია, რომ სტრატეგია არ შეიძლება იყოს მთლიანად წინასწარ დაგეგმილი. ქუინის (1981) მიხედვით, კარგად ფორმულირებული სტრატეგია ეხმარება ორგანიზაციას მოაწესრიგოს და გაანაწილოს რესურსები საკუთარი შესაძლებლობებისა და ნაკლოვანებების მიხედვით, გაითვალისწინოს გარემოს სამომავლო ცვლილებები და კონკურენტების ტაქტიკური სვლები. ქუინი (1981) ასევე ხაზს უსვამს ორგანიზაციის მიზნებისა და ქმედებების ურთიერთშეთანხმებას. ომაეს (1982) მიხედვით, კომპანიის სტრატეგიაზე დიდ გავლენას ახდენენ მეტოქე კომპანიები და სტრატეგიული დაგეგმვის უპირველესი ფუნქცია კომპანიისთვის კონკურენტული უპირატესობის მოპოვებაა. ვან კაუვენბერგი და ქული (1982) დაობენ, რომ რეალობა ორგანიზაციაში ბოლომდე გასაგები არასდროს არ არის და რომ სტრატეგია არა მხოლოდ დირექტორებს, არამედ კომპანიის ყველა წარმომადგენელს ეხება. მათი აზრით, შესაფერისი სტრატეგიული ქცევის მისაღწევად უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, არის მოტივაცია და არა ინფორმაცია. სტრატეგიულ ქმედებებში მთელი ორგანიზაციის მონაწილეობა კი გამომდინარეობს სტრატეგიის მუდმივად „ამოტივტივების“ პერსპექტივიდან.

მინცბერგის (1987) მიერ შემოთავაზებული განმარტება წარმოაჩენს სტრატეგიის რთულ და კომპლექსურ ბუნებას. მაგალითად, მისი ხედვის (პერსპექტივის) თეორია ითვალისწინებს, რომ ყველა სტრატეგია მხოლოდ განზოგადებული, აბსტრაქტული ცნებაა დაინტერესებულ პირთა გონებაში. ამის

გამო მისი აბსტრაქტული ცნების ორგანიზაციის შიგნით გავრცელება, სხვა ადამიანებისთვის გადაცემა და მისი იმპლემენტაცია ძალიან რთულია. ამ ლოგიკის მიხედვით, როგორც ხასიათია ინდივიდისთვის უნიკალური, ისევე ორგანიზაციისთვის სტრატეგიაა. ბარნისა და ჰესტერლის (2006), ჩაჰარბაგის (2007), ჰიტის, აირლენდისა და ჰოსკინსონის (2007), გრანტის (2008) და ჯონსონის, სქოულზისა და უიტინგტონის (2008) მიერ შემოთავაზებული შედარებით ახალი განმარტება უფრო ამომწურავია. მათ განმარტებებში ფიგურირებენ ფაქტორები, როგორებიცაა: კომპანიის შესაძლებლობები, კონკურენტული უპირატესობა, რესურსებისა და შესაძლებლობების კონფიგურაცია და მონაწილე პირების მოლოდინის გამართლება. ეს შედარება აჩვენებს თუ როგორ განვითარდა ეს სფერო უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში.

ზემოთ მოყვანილი სტრატეგიის განმარტებების ანალიზი წარმოაჩენს უამრავ ფაქტორს, რომლებიც სტრატეგიაზე ახდენენ გავლენას, აჩვენებს, თუ რამდენად რთულია ყველა ამ ფაქტორის ერთი განმარტების ჩარჩოში მოქცევა. სტრატეგიის ცნების განმარტების სირთულე თვით სტრატეგიის ბუნების კომპლექსურობიდან გამომდინარეობს. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესი კომპლექსური ფენომენია და მისი საფუძვლიანი შეცნობა ძალიან რთულია.

## სტრატეგიული მართვის კონცეფცია

ამ კონცეფციასთან დაკავშირებით არსებობს უამრავი მოსაზრება. ამ პროცესის სხვადასხვა ასპექტის გამოსაკვლევად აუცილებელია გავერკვეთ სტრატეგიული პროცესის მნიშვნელობაში. შრივასტავას (1983) და ვან დე ვენის (1992) განმარტებები მნიშვნელოვნად ამარტივებს სტრატეგიული პროცესის აღქმას [18, გვ.177-189],[19, გვ.169-188].

შრივასტავას (1983) მიერ შემოთავაზებული განმარტება კარგად შეესატყვისება სტრატეგიის ფორმულირების კლასიკურ მოდელს, რაშიც რაციონალური პროცესების არსებობა იკითხება. მისი თქმით, სტრატეგიული პროცესები წარმოადგენს იმ მეთოდებსა და საშუალებებს, რომლის წყალობითაც ორგანიზაციები ითვალისწინებენ ხელსაყრელ და სახიფათო სიტუაციებს და შესაბამისად იყენებენ თავიანთ შესაძლებლობებსა და რესურსებს. გარემოში მიმდინარე ცვლილებები და ორგანიზაციის რესურსები არის ის ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს სტრატეგიული პროცესის წარმატებას [18, გვ.177-189]. შრივასტავას (1983) განმარტებით, სტრატეგიის ფორმულირება საკმაოდ პირდაპირი და უბრალო პროცესია და მისი თითოეული ნაბიჯი კარგადაა განსაზღვრული. სტრატეგიის პროცესის ეს განმარტება კარგად შეესატყვისება ჩენდლერის (1962), ენდრიუსის (1980) და ჰოფერისა და შენდელის მოსაზრებებს (1978).

ვან დე ვენი (1992) კიდევ უფრო სიღრმისეულად ცდილობს სტრატეგიის კონცეფციის ახსნას სამი სხვადასხვა მიმართულებით (გზით):

1. ლოგიკა, რომელიც ხსნის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს შეუსაბამობის თეორიაში;
2. ინდივიდუალური ან ორგანიზაციული ქმედებების კონცეფციების ან ცვლადების თანრიგი, როგორიცაა: კომუნიკაციის სიხშირე, სამუშაო ტემპი, გადაწყვეტილების მიღების ხერხები, სტრატეგიის ფორმულირება, განხორციელება და კორპორაციული რისკები;
3. ის შეიძლება იყოს მოვლენების და ქმედებების თანმიმდევრობა, რომელიც წარმოაჩენს თუ როგორ იცვლებოდა ფენომენი მოცემული დროის განმავლობაში [19, გვ.169-188].

ვან დე ვენმა (1992) დაასკვნა, რომ ეს უკანასკნელი მიდგომა იყო ერთადერთი, რომელიც წარმოაჩენდა შემავალი და გამომავალი ელემენტების ურთიერთკავშირს და პირდაპირ ამჟღავნებდა ცვლადების დინამიკას დროში. ის ასევე თვლიდა, რომ ეს იყო სტრატეგიის ფორმულირების პროცესის ერთ-ერთი ყველაზე რთული და ნაკლებად გაგებული განმარტება. ვან დე ვენის (1992) განმარტებები მიანიშნებს ბევრი ელემენტის მონაწილეობას სტრატეგიის შედგენის პროცესში [19, გვ.169-188].

მინცბერგის და სხვა (1998) მიერ წარმოდგენილი სტრატეგიის ფორმირების ათი სკოლა იძლევა საერთო წარმოდგენას სტრატეგიული მართვის პროცესის სფეროს განვითარების შესახებ და ხაზს უსვამს მის კომპლექსურობას:

1. დიზაინის (მოდელირების) სკოლა, კონცეფციის პროცესი – ამ მიდგომის მიხედვით სტრატეგიული პროცესი არის კომპანიის ძლიერ და სისუსტ მხარეებს და შესაძლებლობებსა და საფრთხეებს შორის მიღებული იდეალური შესაბამისობა. ამ სკოლის მიმდევარი მენეჯერები ქმნიან მარტივ, გასაგებ და უნიკალურ სტრატეგიებს კარგად გააზრებული და ნაკლები რისკის შემცველი პროცესით;
2. დაგეგმვის სკოლა, ფორმალური პროცესი – დაგეგმვის სკოლა ჩამოყალიბდა დიზაინის სკოლის პარალელურად. ის იზიარებს დიზაინის სკოლის მოსაზრებებს და ამატებს, რომ სტრატეგიული პროცესი არ არის, მხოლოდ „ცერებრალური", არამედ, ამასთან ერთად იგი არის ფორმალური, მრავალი ეტაპისგან შემდგარი პროცესი, რომელიც დამოკიდებულია დაგეგმვის ტექნიკაზე განსაკუთრებით მიზნების, ბიუჯეტის, პროგრამების და სამოქმედო გეგმების შემთხვევებში;
3. პოზიციონირების სკოლა, ანალიტიკური პროცესი – მაიკლ პორტერის მიერ შექმნილმა სტრატეგიის ფორმირების ამ მიდგომამ ფეხი მოიკიდა XX-ს 80-იან წლებში. ამ სკოლის მიხედვით სტრატეგია დაყვანილია გვაროვნულ პოზიციებზე ინდუსტრიის ანალიზის მიხედვით. პოზიციონირების სკოლა განვითარდა ანალიტიკური მიმართულებით და მოიცავს სტრატეგიულ ჯგუფებს, ღირებულებათა ჯაჭვებს და

თამაშის თეორიებს. პრაქტიკოსთა ხედვით, ამ თეორიის მიხედვით მგეგმავები ხდებიან ანალიტიკოსები;

4. სამეწარმეო (ანტრეპრენიორული) სკოლა, წარმოსახვითი პროცესი – როგორც დიზაინის სკოლა, ეს მიდგომაც დიდ ფუნქციას ანიჭებს აღმასრულებელ დირექტორს სტრატეგიის ფორმირების პროცესში. თუმცა, დიზაინის სკოლისგან განსხვავებით და დაგეგმვის სკოლის საპირისპიროდ, პროცესზე დიდ გავლენას ახდენს ინტუიცია. ამ სკოლის მიხედვითაც, მთავარი მოქმედი პირი სტრატეგიის განხორციელებაში არის კომპანიის დირექტორი. გეგმური მიდგომა, რომელიც ძალიან პოპულარული იყო წინა სკოლებში, ამ მიდგომაში მინიმუმამდეა დაყვანილი;
5. შემეცნებითი სკოლა, გონებრივი პროცესი – ამ სკოლის მიხედვით, სტრატეგიის პროცესი ითვლება, როგორც სუბიექტურად ინტერპრეტირებადი ან კონსტრუქტივისტული ხედვა, სადაც შემეცნება გამოიყენება, როგორც სტრატეგიის შექმნის შემოქმედებითი წყარო და არ ცდილობს რეალობის ობიექტურად დანახვას;
6. სწავლების სკოლა, გაუთვალისწინებელი (emergent) პროცესი – ამ თეორიის მიხედვით სტრატეგია შეიძლება „ამოტივტივდეს“ კომპანიის მასშტაბით ნებისმიერ იერარქიულ საფეხურზე. სტრატეგიის ფორმულირების და განხორციელების პროცესებმა კი შეიძლოა ერთმანეთი ნაწილობრივ გადაფარონ კიდეც;
7. ძალაუფლების სკოლა, მოლაპარაკების პროცესი – ეს სკოლა სტრატეგიის შექმნას უკავშირებს ძალაუფლებას და ჰყოფს მას ორ ნაწილად მიკრო და მაკროძალებად. მიკროძალა აღიქვამს სტრატეგიის ჩამოყალიბებას, როგორც პოლიტიკურ პროცესს მმართველ პირებს შორის, რომლებიც ერთმანეთში ვაჭრობას, დაყოლიებას და დაპირისპირებასაც კი არ ერიდებიან. ხოლო, მაკროძალა შეეხება ძალაუფლების გამოყენებას კორპორატიულ დონეზე მეტოქეებთან, შვილობილ კომპანიებსა და მოკავშირე ორგანიზაციებთან მიმართებით, რისი წყალობითაც ყალიბდება „საერთო“ სტრატეგია დომინანტი კომპანიის ინტერესებით;
8. კულტურის სკოლა, კოლექტიური პროცესი – ძალაუფლების სკოლა ყურადღებას აქცევს პიროვნულ ინტერესს და ფრაგმენტაციას, ხოლო კულტურული სკოლა ზრუნავს საერთო ინტერესსა და ინტეგრაციაზე. ამ სკოლის მიხედვით, სტრატეგია არის კულტურაში განივთებული სოციალური პროცესი;
9. გარემოებრივი სკოლა, რეაქტიული (რეაქციული) პროცესი – გარემოებრივი მიდგომა იკვლევს თუ რა რეაგირებას უნდა ახდენდეს კომპანია თავის გარემოში მომხდარ ცვლილებებზე. ამ თეორიის მიხედვით სტრატეგიულ არჩევანზე დიდი გავლენას ახდენს მოსახლეობის ეკოლოგიური კეთილდღეობა. ინსტიტუციონალური თეორია,

რომელიც ძალაუფლებისა და შემეცნებითი სკოლების ნაჯვარია, იკვლევს ორგანიზაციულ წნეხს გამოწვეულს სხვა ორგანიზაციებისაგან;

10. კონფიგურაციის სკოლა, ტრანსფორმაციის პროცესი – ეს მიდგომა სტრატეგიას აღიქვამს, როგორც ორგანიზაციის გარდაქმნის პროცესს. თითოეული ტიპის სტრატეგიას გააჩნია განსხვავებული სტრუქტურა და კონტექსტი. ერთ კონკრეტული სტრატეგია რელევანტურია კონკრეტულ კონფიგურაციასთან მიმართებით.

კითხვაზე, წარმოადგენენ თუ არა ზემოაღნიშნული სკოლები სტრატეგიის შექმნის სხვადასხვა პროცესს, თუ ერთი და იმავე პროცესის შემადგენელ სხვადასხვა ნაწილებს? – პასუხი დღემდე ბუნდოვანია, თუმცა, ზოგიერთი სკოლა ნამდვილად წარმოადგენს სტრატეგიის ფორმირების პროცესის საფეხურს/ასპექტს, როგორც ნაჩვენებია სქემაზე (1).

სქემა 1. სტრატეგიის ფორმირება როგორც ერთი პროცესი [20, გვ.152-170]




მინცბერგისა და ლამპელის მიხედვით (1999), „შემეცნებითი სკოლა სტრატეგისტის გონების ცენტრში იკავებს ადგილს. პოზიციონირების სკოლა დამტკიცებული მონაცემების მიღმა იხედება, რომელიც, გაანალიზების შემდეგ, სტრატეგიის ე.წ. „შავ ყუთს" მიეწოდება. დაგეგმვის სკოლა სტრატეგიის სხვადასხვა გზით დაპროგრამებაზე აკეთებს აქცენტს. დიზაინის სკოლა აანალიზებს სტრატეგიის პერსპექტივას დროის შედარებით გრძელ მონაკვეთზე. სამეწარმეო სკოლა იხედება კიდევ უფრო შორს, მომავლის უნიკალური განჭვრეტისკენ. სწავლების და ძალაუფლების სკოლები გამოირჩევა დეტალებისადმი დიდი ყურადღებით. სწავლების სკოლა განიხილავს ყველაზე ზედაპირულ, მთავარ პრობლემებს, ძალაუფლების სკოლა კი ეძებს მათ ორგანიზაციის სიღრმეებში. კულტურის სკოლა შენიღბულია თავის მრწამსში. კულტურის სკოლის „ზემოთ" მდებარეობს გარემოებრივი სკოლა. კონფიგურაციის სკოლა გარედან უყურებს სტრატეგიის პროცესს, ხოლო შემეცნების სკოლა ცდილობს ჩაიხედოს სტრატეგიის პროცესის სიღრმეებში". მინცბერგისა და ლამპელის (1999) მიხედვით სტრატეგიის ფორმირება არის „მიზანმიმართული დიზაინი, ინტუიცი-

ური ხედვა და განვითარებადი სწავლება; ის ზრუნავს როგორც ტრანსფორმაციაზე, ასევე განმტკიცებაზე; ის უნდა შეიცავდეს ინდივიდუალურ შემეცნებასაც და სოციალურ ურთიერთქმედებასაც, როგორც შეთანხმებულს, ასევე ურთიერთსაპირისპიროსაც; ის უნდა გაანალიზდეს წინასწარ, დაპროგრამდეს განხორციელების შემდეგ და განიხილებოდეს მოქმედების პროცესში; და ეს ყველაფერი უნდა მოერგოს რთულსა და მომთხოვნ გარემოს“ [21, გვ.21-30]. შრივასტავას (1983), ვან დე ვენისა (1992) და მინცბერგის (1998) მიერ შემოთავაზებული სტრატეგიული მართვის პროცესის კონცეფციები მოყვანილია სქემაზე (2).

**სქემა 2.** სტრატეგიული მართვის პროცესის სამი სხვადასხვანაირი კონცეფცია [18, გვ.177-189],[19, გვ. 169-188]




სტრატეგიული მართვის პროცესის კვლევის ნაკლოვანებებზე ყურადღება ბევრ ავტორს აქვს გამახვილებული [21, გვ.21-30], [22, გვ.97]. დესი და ლამპკინი (2001) აღნიშნავენ, რომ სტრატეგიული მართვის პროცესის თეორიულ და ემპერიულ კვლევებს ახასიათებთ შეუთანხმებლობა [22, გვ.97]. ლეხნერი და მიულერ-სტივენსი (2000) სტრატეგიული მართვის პროცესის კვლევასთან დაკავშირებით სვამენ ძალიან საინტერესო შეკითხვებს. ეს კითხვები ძირითადად იყოფა სამ განყოფილებად: (ა) ძირეული კითხვები, (ბ) კონკრეტული ფაზასთან (საფეხურთან) მიმართებაში არსებული კითხვები და (გ) სეგმენტთშორისი კითხვები. ძირეული კითხვები ეხება სტრატეგიის არსებობა/არ არსებობას, კონკრეტული ფაზის კითხვები კი სტრატეგიული პროცესის სხვადასხვა ეტაპზე ნაწილდება. სეგმენტთშორისი კითხვები მოიცავენ სტრატეგიული მართვის პროცესის ზოგიერთ ან ყველა ეტაპს. სტრატეგიული მართვის პროცესის კვლევის მთავარი მიზანი ამ კითხვებზე პასუხების პოვნაა. კითხვების განხილვის მეშვეობით კი შესაძლებელი გახდებაა ორგანიზაციების მიერ გამოყენებული სტრატეგიების ბუნების განსაზღვრა [23, გვ.1863-1893]. სტრატეგიის შექმნის რაციონალური მოდელები იზიარებს ოთხ ფაზას: ორგანიზაციის დღის წესრიგის შექმნას, გადაწყვეტილების მიღებას, განხორციელებასა და კონტროლს [24, გვ.127-144]. თუმცა, ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ პროცესი ყოველთვის არ მიჰყვება ერთსა და იმავე თანმიმდევრობას და სავსებით შესაძლებელია, რომ სეგმენტთშორისი კითხვების საშუალებით განისაზღვროს სტრატეგიის ფორმულირების პროცესის ხარისხი.

სტრატეგიული მართვის პროცესის კონცეფციის გასაგებად, ძალიან მნიშვნელოვანია ვიპოვოთ განსხვავება სტრატეგიის შინაარსისა და მისი მართვის

პროცესის კვლევას შორის. ჩაკრავარტისა და დოზის (1992) მიხედვით, სტრატეგიული მართვის პროცესი ზრუნავს იმაზე, თუ რამდენად ეფექტიანად არის განსაზღვრული სტრატეგია კომპანიაში, აგრეთვე, რამდენად კარგად არის ის განხორციელებული. ეს ავტორები განასხვავებენ სტრატეგიის პროცესისა და შინაარსის კვლევას იმით, რომ ამ უკანასკნელს უწოდებენ ქვე-სფეროს, რომელიც კონცენტრირებულია მხოლოდ კომპანიის სტრატეგიის პოზიციების ამოცნობაზე, რასაც კომპანია მიჰყავს ოპტიმალურ მდგომარეობამდე ცვალებადი გარემოებრივი კონტექსტით. სტრატეგიის პროცესის კვლევა კი შეისწავლის იმას, თუ როგორ გავლენას ახდენს კომპანიის ადმინისტრაციული სისტემები და გადაწყვეტილების პროცესები მის სტრატეგიულ პოზიციებზე [25, გვ.5-14]. ჩაკრავარტისა და დოზის (1992) თანახმად, სტრატეგიული მართვის პროცესის კვლევა შეიძლება განვასხვაოთ სტრატეგიის შინაარსის კვლევისაგან მინიმუმ სამი ასპექტის მიხედვით: ფოკუსი, სადისციპლინო ბაზისები და მეთოდოლოგიები.

ამ სამი ასპექტის მოკლე განმარტება ასეთია:

(1) ფოკუსი: სტრატეგიის შინაარსის კვლევა მოიცავს კომპანიის შესაძლებლობისა და კონკრეტულ ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის გზების დადგენას. კომპანიის შესაძლებლობა იზომება იმ ბაზრების კომბინაციით, რომლებზეც ეს კომპანია საქმიანობს [26, გვ.189-197];

(2) სადისციპლინო ბაზისები: სტრატეგიული მართვის პროცესის კვლევაზე გავლენას ახდენს მრავალი დისციპლინა. რისი მეოხებითაც სტრატეგიული მართვის პროცესი იძენს ერთგვარ სასიცოცხლო ძალას [25, გვ.5-14];

(3) მეთოდოლოგიები: სტრატეგიის შინაარსის კვლევა შეიძლება გაკეთდეს კომპანიაზე გამოქვეყნებული მეორადი მონაცემების მიხედვით, მაგრამ მართვის პროცესის კვლევა საჭიროებს უფრო დეტალურ მეთოდებს, როგორიცაა კითხვარები, შესწავლა რეალურ პირობებში და პრაქტიკული კვლევა [25, გვ.5-14].

მიუხედავად იმისა, რომ პროცესისა და შინაარსის კვლევებს შორის სხვაობა ნათელია, მათი ზედმიწევნით ზუსტი დალაგება მაინც შეუძლებელია. თუ დავეყრდნობით არსებულ ლიტერატურას, სტრატეგიული პროცესის კვლევა ავსებს მინი შინაარსის კვლევას [27, გვ.128-131].

## სტრატეგიული მართვის პროცესის განზომილებები

ჰაფისა და რეგერის (1987) მიხედვით, სტრატეგიული მართვის პროცესის კვლევა კონცენტრირებულია იმ მოქმედებებზე, რომლებსაც მივყავართ სტრატეგიის ფორმულირებამდე, განსხვავებით კონტენტის კვლევისაგან, რომელიც ფოკუსირებულია ეკონომიკური გადაწყვეტილებებსა და კომპანიის შედეგებს შორის კავშირის დადგენაზე. ამ მეცნიერებმა, სტრატეგიული მართვის პროცესის კვლევას მიანიჭეს „ნორმატიული“ და „აღწერილობითი“ მიდგომის კლასიფიკაცია [28, გვ.211-236]. ნორმატიული მიდგომა იკვლევს იმას, თუ როგორ

უნდა კეთდებოდეს საქმე, ხოლო აღწერილობითი კი იმას, თუ როგორ კეთდება ის რეალურად. მათ ასევე დაჰყვეს პროცესის კვლევა რაციონალობის ვარაუდის, კერძოდ კი რაციონალური, ანალიტიკური და პოლიტიკური პროცესების მიხედვით. ზემოთ მოყვანილი ორი განზომილებისა და ენდრიუსის (1971) მიერ გამოყენებული ამ დაყოფის (ფორმულირება და იმპლემენტაცია) წყალობით, ჰაფმა და რეგერმა (1987) შეადგინეს რვა ალტერნატივა სტრატეგიული მართვის პროცესის კვლევაში. ამ ყველაფერს დაემატა მეცხრე ინტეგრაციული ალტერნატივა, რომელიც დანარჩენი რვა განზომილების გარკვეულ მახასიათებლებს აერთიანებს. სქემა 3 წარმოადგენს ამ ავტორების მიერ შემოთავაზებულ სტრატეგიული მართვის პროცესის კვლევის მიდგომას.

**სქემა 3.** სტრატგიული მართვის პროცესის კვლევის განზომილებები [28, გვ.211-236]




პირველი ოთხი განზომილება – დაგეგმვის რეცეპტი, სისტემური იმპლემენტაცია, გადაწყვეტილების ხელშეწყობა და ევოლუციური დანიშნულება, თავსდება ნორმატიული მიდგომის ჯგუფში. კვლევები, რომლებიც მოხვდება დაგეგმვის რეცეპტის სვეტში, იძლევა ნორმატიულ დანიშნულებას თუ როგორ უნდა იყოს სტრატეგია ფორმულირებული. ამ სფეროში კვლევას ახასიათებს მუდმივი რაციონალურობა და ლოგიკა და დასაბუთებულია პრაქტიკული მაგალითებით [29, გვ.11-26], [30, გვ.74-76], [31, გვ.357-363]. სისტემატური განხორციელების ქვეშ ჩამოთვლილი განზომილებები კონცენტრირებულა სტრატეგიის ფორმულირების შემდეგ მის სისტემატურ იმპლემენტაციაზე [32, გვ.345-352], [33, გვ.213-245]. ნაშრომები, რომლებშიც გამოკვლეულია თუ რა ხერხები უნდა

გამოიყენებოდეს გადაწყვეტილების მიღებისას, მიეკუთვნება „გადაწყვეტილების ხელშეწყობის" კატეგორიას. ამ სფეროში მომუშავე მკვლევარები თვლიან, რომ სტრატეგიის ფორმულირება კონცეპტუალურად პრობლემურია [34, გვ.298-310], [35, გვ.868–880]. გადაწყვეტილების მიმღებები პირები ისარგებლებენ სტრუქტურირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესითა და სხვა ხელისშემწყობი ფაქტორებით, რათა სტრატეგიული ალტერნატივების ორგანიზება და გაანალიზება შეძლონ. ზოგ მეცნიერს ეჭვი ეპარებოდა, რომ სტრატეგიის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია და ამის გამო ისინი ემხრობოდნენ სტრატეგიის პროცესში ეტაპობრივი ცვლილებების შეტანის იდეას და აღნიშნული ცვლილებების შედეგებზე შემდგომ რეაგირებას. მათი ნაშრომები მიეკუთვნება „ევოლუციური დანიშნულების" კატეგორიას [36, გვ.336-349],[37, გვ.276-286]. ჰაფისა და რეგერის (1987) აზრით ეს ნაშრომები ყველაზე რეალურია სხვა „რეცეპტული" პროცესის შესახებ გამოქვეყნებულ ლიტერატურასთან შედარებით, იმის გამო, რომ ისინი აღიარებენ ფორმულირებისა და განხორციელების ურთიერთდამოკიდებულებას.

განზომილებების მეორე ოთხეული თავსდება აღწერილობითი მიდგომის ჯგუფში, რომელთა მიზანია იმის გარკვევა, თუ როგორ ხორციელდება პროცესი. დაგეგმვის პრაქტიკაში მოქცეულ ნაშრომებში ძირითადად გამოკვლეულია სტრატეგიის ფორმულირების პროცესები. ამ სფეროში განხორციელებულ კვლევები ფოკუსირებულია იმის დადგენა, თუ რამდენად აუმჯობესებს კომპანიის შედეგებს დაგეგმვის მეთოდების გამოყენება [38, გვ.43-60], [39, გვ.184-200],[40, გვ.69-89]. სტრუქტურებზე, სისტემებსა და ორგანიზაციულ შედეგებზე შესრულებულ ნაშრომებში გამოკვლეულია მათ შორის არსებული ურთიერთობები [41, გვ.39 – 54], [42, გვ.19-33]. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული მართვის თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსების (მკვლევარები) კვლევის სფეროს წარმოადგენს ორგანიზაციული სტრუქტურები და სისტემები, ისინი მაინც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არჩევენ მუშაობას. სტრუქტურის განსაზღვრისას სტრატეგიის მკვლევარები უპირატესობას ანიჭებენ სტრატეგიას, ხოლო თეორეტიკოსები კი უფრო ემხრობიან ტექნოლოგიის მნიშვნელობას. ჰაფისა და რეგერის (1987) აზრით დიდად უფრო სასარგებლო იქნება თუ მკვლევართა აღნიშნული ჯგუფები ერთობლივად იმუშავებენ. „დღის წესრიგისა და ყურადღების" კატეგორიის ნაშრომებში დიდი მნიშნველობა ენიჭება შემეცნებით, ანუ ფსიქოლოგიურ, ბიუროკრატიულ და პოლიტიკურ ზეგავლენას სტრატეგიულ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე [43, გვ.325-332], [44, გვ.280-295]. სხვა დანარჩენი კვლევები და ნაშრომები კლასიფიცირებულია „კონტექსტური ზეგავლენის" კატეგორიაში[45, გვ.777-786], [46, გვ.1231-1240]. ინტეგრაციული თეორია კი ცდილობს ყველა ზემოთ მოყვანილი კონცეფციის თავმოყრას ერთ სივრცეში [47, გვ.145-163], [48, გვ.103-114].

* * *

ჩვენ მიერ სტატიაში განხორციელებული სტრატეგიისა და სტრატეგიული მართვის პროცესის კონცეპტუალიზაცია სხვადასხვა ავტორის კვლევებზე დაყრდნობით, ხელს შეუწყობს ამ ცნების უკეთ აღქმას. ასევე, იმას, რომ კარგად გამოჩნდეს სტრატეგიული მართვის პროცესში მონაწილე განზომილებების კომპლექსურობა და ამ განზომილებების ნათლად განმარტება, სტრატეგიის ფორმულირებისა და იმპლემენტაციის შესასწავლად.

## ლიტერატურა:


1. Pettigrew, A. M. (1997). ‘What IS a processual analysis?’. Scandinavian Journal of Management, 13: pp. 337-348.
2. Chakravarthy, B.S., & White, R. (2001). Strategy process: forming, implementing and changing strategies. In A. Pettigrew, H. Thomas, & R Whittington (Eds.), Handbook of strategy and management, London: Sage; pp. 182-205.
3. De Wit, B., & Meyer, R. (2004). Strategy Process, Content, Context – An International Perspective (3 ed.). London: Thomson Learning; pp. 56-60.
4. Hamel, G., & Prahalad, C. K. (1994). Competing for the Future. Boston: Harvard Business School; pp. 64-71.
5. Chandler. D., (1962), “Strategy and Structure”, Cambridge, Mass, MIT Press; pp. 12.
6. Pettigrew, A. M. (1977), “Strategy formulation as a political process”, International Studies of Management and Organization, 7(2): pp. 78-87.
7. Hofer C. and Schendel D., (1978) “Strategy formulation: Analytical concepts”, pp. 27-33.
8. Andrews, KL. R. (1980). The Concept of Corporate Strategy. Homewood, IL: Dow Jones-Irwin; pp. 63.
9. Quinn, J. B. (1981). Formulating strategy one step at a time. Journal of Business Strategy, 1(3): pp. 42-63.
10. Ohmae, K. (1982), “The Mind of the Strategist” Business Planning for Competitive Advantage., McGraw-Hill, New York; pp.42-48.
11. Van Cauwenbergh, A., & Cool, K. (1982). Strategic management in a new framework. strategic Management Journal, 3: pp. 245-266.
12. Mintzberg, H. (1987). ‘The strategy concept I Five Ps for strategy’. California Management Review, 30(3): pp. 11-24.
13. Barney, J. B. & Hesterly (2006). Strategic Management and Competitive Advantage – Concepts and Cases. New Jersey: Pearson Prentice Hall; pp. 152.
14. Chaharbaghi, K. (2007). ‘The problematic of strategy: a way of seeing is also a way of not seeing’. Management Decision, 45(3), pp. 327-339.
15. Hitt, M. A., Ireland, R. D. & Hoskisson, R. E. (2007). Strategic Management –Competitiveness and Globalisation, (7 ed.). Ohio: Thomson South-Western; pp. 183-187.
16. Grant, R. M. (2008). Contemporary Strategy Analysis, (6 ed.). Oxford: Blackwell Publish; pp. 75-79.

17. Johnson, G., Scholes, K. & Whittington, R. (2008). Exploring Corporate Strategy (8 ed.). Essex: Prentice Hall Financial Times; pp. 201-206.
18. Shrivastava, P. (1983). Variations in strategic decision-making processes. In R. Lamb (Ed.), Advances in Strategic Management, Vol. 2: Greenwich, CT: JAI Press; pp. 177-189.
19. Van de Ven, A. H. (1992). 'Suggestions for studying strategy process: A research note'. Strategic Management Journal, 13(5): pp. 169-188.
20. Mintzberg, H., Ahlstrand, B. & Lampel, J.B. (1998). Strategy Safari: A Guided Tour through the Wilds of Strategic Management. Prentice Hall: Essex; pp. 152-170.
21. Mintzberg, H., & Lampel, J. (1999). 'Reelecting on the strategy process'. Shan Management Review (Spring): pp. 21-30.
22. Dess, G. G., & Lumpkin, G. T. (2001). Emerging issues in strategy process research. In M. A. Hitt, R. E. Freeman, & J. S. Harrison (Eds.). The Blackwell Handbook of Strategic Management. Oxford: Blackwell Publishers; pp. 97.
23. Lechner, C, & Mueller-Stewens, G. (2000). Strategy process research: what do we know, what should we know? In S. B. Dahiya (Ed.). The current state of business disciplines Management – I, Vol. 4: Rohtak: Spellbound; pp. 1863-1893.
24. Dutton, J. E. (1988). Understanding strategic agenda building and its implications for managing change. In L. Pondy, R. Boland, & H. Thomas (Eds.), Managing ambiguity and change: Chichester, England: Wiley; pp. 127-144.
25. Chakravarthy, B. S. and Doz, Y. (1992). 'Strategy Process Research: Focusing on Corporate Self-RenewaF. Strategic Management Journal, 13(5), pp. 5-14.
26. Montgomery, C. A., Wernerfeit, B., & Balakrishnan, S. (1989). 'Strategy content and research process: A critique and commentary'. Strategic Management Journal, 10: pp. 189-197.
27. Chakravarthy, B., Mueller-Stewens, G., Lorange, P., & Lechner, C. (2003). Defining the contours of the strategy process field. In B. Chakravarthy, G. Mueller-Stewens, P. Lorange, & C. Lechner (Eds.), Strategy Process – Shaping the Contours of the Field. Oxford: Blackwell Publishing; pp. 128-131.
28. Huff, A. S., & Reger, K. R. (1987). 'A review of strategic process research'. Journal of Management, 13: pp. 211-236.
29. Leontiades, M. (1983). 'A Diagnostic Framework for Planning'. Strategic Management Journal, 4(1), pp. 11-26.
30. King, W. R. (1981). The Importance of Strategic Issues. Journal of Business Strategy, 1(3), pp. 74-76.
31. Dutta, B. K. & King, W. R. (1980). 'Management Analysis of Competitive Strategy'. Strategic Management Journal, 1(4), pp.357-363.
32. Stonich, P. J. (1981). 'Using Rewards in Implementing Strategy'. strategic Management Journal, 2(4), pp.345-352.
33. Nutt, P.C. (1998). 'Leverage, Resistance and the Success of Implementation Approaches'. Journal of Management Studies, 35(2), pp.213-245.
34. Schwenk, C. H. (1986). 'Information, Cognitive Biases, and Commitment to a Course of Action'. Academy of Management Review, 11(2), pp.298-310.
35. Boland, R. J. (1984). 'Sense-making of accounting data as a technique of organizational diagnosis'. Management Science, 30, pp. 868 – 880.

36. Hrebiniak, L. G. & Joyce, W. F. (1985). 'Organizational Adaptation: strategic Choice and Environmental Determinism'. Administrative Science Quarterly, 30, pp. 336-349.
37. Ring, P. S. and Perry, J. L. (1985). Strategic Management in Public and Private Organizations: Implications of Distinctive Contexts and Constraints. Academy of Management Review, 10, pp. 276-286.
38. Robinson Jr. R. B. and Pearce II, J. A. (1988). 'Planned Patterns of strategic Behavior and their Relationship to Business-Unit Performance'. strategic Management Journal, 9(1), pp. 43-60.
39. Andersen (2000). 'Strategic Planning, Autonomous Actions and Corporate Performance'. Long Range Planning, 33, pp. 184-200.
40. Lenz, R. T. & Engledow, J. L. (1986). 'Environmental Analysis Units and Strategic Decision-making: a Field Study of Selected 'Leading-edge' Corporations'. Strategic Management Journal, 7(1), pp. 69-89.
41. Burgelman, R. A. (1985). 'Managing the New Venture Division: Research Findings and Implications for Strategic Management'. Strategic Management Journal, 6, pp. 39 – 54.
42. Horovitz, J. (1984). 'New Perspectives on strategic Management'. Journal of Business Strategy, 4(4), pp. 19-33.
43. Walsh, J. P. & Fahey, L. (1986). The Role of Negotiated Belief Structures in Strategy Making. Journal of Management, 12, pp. 325-332.
44. Fredrickson, J. W. (1986). 'The strategic decision process and organizational structure'. Academy of Management Review, 11(2): pp. 280-295.
45. Jauch, L. R. & Kraft, K. L. (1986). 'Strategic Management of Uncertainty'. Academy of Management Review, 11, pp. 777-786.
46. Barney, J. B. (1986). 'Strategic Factor Markets: Expectations, Luck and Business Strategy'. Management Science, 10, pp. 1231-1240.
47. Jemison, D. B. & Sitkin, S. S. (1986). 'Corporate Acquisitions: A Process Perspective'. Academy of Management Review, 11, pp. 145-163.
48. Pondy, L. R. & Huff, A. S. (1985). Achieving Routine in Organizational Change. Journal of Management, 11, pp. 103-114.

## The Main Streams of Strategic Management Process Research

***Tornike Khoshtaria***

*Doctoral student,*
*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

Following article aims to analyze strategic management process research streams. Firstly, the essence of strategy is explained, following with the definitions provided by different strategy authors. Also, strategic process and ten schools of thoughts are defined. Secondly, the directions of strategic management process provided by Huff and Reger (1987) are provided.

Process, content and context. There are generally three main dimensions of strategy acknowledged by a majority of authors, which are strategy process, strategy content and strategy context. These three dimensions are inter-dependent. Therefore, the strategy content will be influenced by the process and context.

According to Huff & Reger (1987) strategy process research has been defined as a research primarily concentrated on the actions that lead to and support strategy unlike content research which focuses on linking specific decisions and broader economic structures to performance outcomes.

Huff & Reger (1987) identified eight alternatives in the research of strategic management process. Additionally, ninth alternative was identified, which combines some of the characteristics of aforementioned eighth alternatives

The article conceptualized the process of strategy and strategic management based on the researches of variety of authors for better understanding mentioned phenomenon. The complex nature of strategic management process dimensions has been revealed. Also, the need for clear definition of those dimensions has been highlighted for the understanding of strategy formulation and implementation processes. Additionally, the main streams of strategic management process research have been investigated and its dimensions were reviewed.

Keywords: Strategy, essence of the strategy, strategic management, strategic management process.
**JEL Codes:** M50, M54, M59

*ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 2, გვ. 161-167*
*ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 2, pp. 161-167*



# ციფრული ევოლუცია ფინანსურ სექტორში: ფინტექი

***რატი აბულაძე***

*ეკონომიკის დოქტორი,*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის*
*ასოცირებული პროფესორი*

***მაია ვეშაგური***

*ეკონომიკის დოქტორი,*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თსუ-ის მოწვეული პროფესორი*

XX საუკუნის 90-იანი წლების შემდგომი პერიოდი წარმოდგენილია ინტერნეტ-ტექნოლოგიების განვითარებით, ფინანსური სფეროს ბიზნეს-მოდელების ტრასფორმაციითა და ინოვაციის პოტენციალით. ტექნოლოგიების განვითარებამ გავლენა მოახდინა საფინანსო „ლანდშაფტზე“. საფინანსო სექტორში ინტერნეტტექნოლოგიებმა შეცვალა ბიზნესპროცესები, ხელი შეუწყო ბიზნესსა და მომხმარებელს შორის ურთიერთქმედების ბალანსს. დღეს, ფინანსური კომპანიები წარმატებისათვის იყენებენ ინტერნეტ-ტექნოლოგიებს, web-ს, სიცოცხლისუნარიან ბიზნეს-მოდელებსა და გრძელვადიან ციფრულ სტრატეგიებს.

თანამედროვე ციფრულ სამყაროში, ფინანსურ-ტექნოლოგიური რევოლუციის ტალღა „ახალგაზრდაა“, თუმცა, უკვე ფართო გავლენისაა. ფინანსური მომსახურების ინდუსტრიის აღნიშნულ ტალღას წარმოადგენს ფინთექი (FinTech).

სტატია აგებულია ახალი ფინანსური ტექნოლოგიის – ფინთექის კვლევისა და ანალიზის შედეგებზე, ნაჩვენებია ფინთექის ფასეულობა და სარგებელი, მოცემულია მისი გლობალური და ლოკალური გავლენა.

**საკვანძო სიტყვები:** ფინტექი; ელექტრონული კომერცია; ბანკი; დაკრედიტება

## ფინანსური ტექნოლოგია – ფინტექის (FinTech) არსი

ტერმინი ფინტექი (FinTech) წარმოდგენილია „ფინანსებისა“ და „ტექნოლოგიების“ შერწყმით[1]. იგი გულისხმობს ფინანსური მომსახურების სფეროში ტექნოლოგიებისა და ბიზნესმოდელების გამოყენებას.

2007-2008 წლების მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა, მაღალი რეგულირებისა და კაპიტალდანახარჯების ფონზე, კიდევ უფრო გაართულა ბიზნესსექტორის დაფინანსების პროცესი. ამ ფონზე, ფინტექის სფეროში, საფინანსო სექტორი წარმოდგა სხვადასხვა უპირატესობით, ინოვაციური გზების წარმოქმნით, ბიზნესის ზრდის შესაძლებლობებით, საკრედიტო რისკების შეფასებისა და ბიზნესის დაკრედიტების უზრუნველყოფის ალტერნატიული გზებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ფინტექს როგორც ფინანსურ ტექნოლოგიას, აღწერენ როგორც საფინანსო მომსახურების გადამტვირთველ ტექნოლოგიას. ფინტექმა გარდაქმნა ფულის მართვის გზები. იგი გავლენას ახდენს პრაქტიკულად ყველა ფინანსურ აქტივობაზე, საბანკო ანგარიშსწორებიდან დაწყებული კაპიტალის მართვის ჩათვლით[2].

ფინანსური სერვისი არის ეკონომიკის სასიცოცხლო წყარო[3] და განვითარების ფუნდამენტი. მსოფლიოში, საფინანსო მომსახურების სექტორი უმსხვილესია შემოსავლების თვალსაზრისით, მოიცავს ფართო სპექტრის ბიზნესორგანიზაციებს, კომერციულ ბანკებს, საკრედიტო კომპანიებს, საბროკერო და სადაზღვევო კომპანიებს და სხვა[4]. ბოლო პერიოდში, FinTech-მა ციფრულ ეკოსისტემაში კლასიკური საბანკო სისტემის გადატვირთვა გამოიწვია[5].

ფინანსურ სფეროში განსაზღვრულია ინოვაციაზე დაფუძნებული საკვანძო კლასტერები, რომელიც გავლენას ახდენს ფინანსური სერვისის ფუნქციებზე. მათ შორის შეიძლება გამოიყოს[6]: უნაღდო ანგარიშსწორება, ანგარიშსწორების ახალი არხები, ახალი საბაზრო პლატფორმები, სამომხმარებლო პრეფერენციები, ექსტერნალიზაციის პროცესი, Crowdfunding, ალტერნატიული დაკრედიტება , დეზაგრეგაციისა და კავშირის დაზღვევა.

ციფრულმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა გამოიწვია კლასიკურ საბანკო სისტემაზე ზემოქმედება. ბანკებმა მყისიერად დაინახეს ციფრული პროცესების სტრატეგიული სარგებელი და ფასეულობა. ფინთექის წარმატების რეცეპტი ეფუძნება აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ჰარმონიულ ურთიერთქმედებას[7].

დღეს, ბანკები იმყოფებიან ციფრული ინოვაციების ცენტრში. ისინი განიხილავენ ელექტრონული კომერციის ბიზნესმოდელებს, მომხმარებელს სთავაზობენ ინოვაციურ პროდუქტებსა და მომსახურებას, მონაწილეობენ ფინთექის პარტნიორულ ურთიერთობებსა და ინოვაციური სტარტაპების დაფინანსებაში, ხელს უწყობენ ციფრული ბაზრის განვითარებას (მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნებში), სამართლიანი კუნკურენტუნარიანი სივრცის ფორმირებას, ინტერნეტ-მოხმარებლების უფლებების დაცვას, ნდობისა და კიბერუსაფრთხოების ზრდას[7].

FinTech ინოვაციას მოძრაობაში მოჰყავს ბანკები, რომლებიც აგებენ სამომხმარებლო პლატფორმებს[8]. ინოვაციები და ტექნოლოგიები ტრადიციული ინტეგრირებული საბანკო ბიზნესმოდელების ფუნდამენტს „ძირს უთხრის“[9].

ფაქტობრივად, ინოვაციური და ტექნოლოგიური ფასეულობებიდან გამომდინარე, ბუნებრივი იქნება ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ბიზნესმოდელების მონოპოლისტობა და კლასიკური საბანკო სისტემის ჰეგემონობის წარსულში დარჩენა.

## FinTech-ის ეკოსისტემა

აღსანიშნავია, რომ საფინანსო ინდუსტრიამ სწრაფად გაითავისა ტექნოლოგიების სარგებელი და უპირატესობა, ის ხდება პლატფორმის ბაზაზე მონაცემთა ინტენსიური დამუშავების, კაპიტალის მოზიდვის, აქტივების მართვის, კონკურენტული უპირატესობის მოპოვების, მომხმარებლის მოზიდვის, აქტივების ეფექტიანად გამოყენების მძლავრი ფაქტორი.

ფინთექის გლობალური ეკოსისტემიდან გამომდინარე, მისი ინოვაციურობა სისწრაფითა და ენერგიით, გავლენას ახდენს ფინანსური სერვისის ზრდა-განვითარებაზე.

FinTech-ის წარმატებული კომპანიებიდან შეიძლება აღინიშნოს: ZhongAn, Oscar, Calu, BIOCATCH, Credorax, Wealthfront, Bitpay, Qufenqi, Currencyfair, Atom Bank, FIS, Kantox, Klarna, microcred, Landdo, Telmex, iZettle, auxmoney, cashflower, Rakuten, Zencap, Bondara, NCR Corp, marketinvoice, FARCENT, DWOLLA, Tata Consultancy Services, SEEDRS, Fiserv Inc, Misys, Klarna, RocketInternet, Kreditech, TradeRiver, ACI Worldwide Inc, OurCrowd.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის შეფასებით, FinTech წარმოადგენს მძლავრ მიმართულებას, რომლის ძირითადი ბენეფიციარებია მცირე და საშუალო ბიზნესი. მისი ბაზარი მოიცავს დაკრედიტებას, ვაჭრობას, საფინანსო სფეროს ელექტრონულ კომერციას, საფინანსო სფეროს ონლაინ ვაჭრობას, საფინანსო სფეროს ონლაინ მიწოდების ქსელის მართვას. მსოფლიოში, FinTech-ის კომპანიების საინვესტიციო კაპიტალი 1 წელიწადში 12 მლრდ დოლარით გაიზარდა (2014წ)[10], ხოლო 2015 წელს 20 მლრდ-ს მიაღწია[11]. მაგალითად, FinTech-ზე ფოკუსირებულმა ერთმა საინვესტიციო ბანკმა Financial Technology Partners-მა, 2016 წლის პირველ თვეს, 112 გარიგება განახორციელა[12].

მსოფლიოში, მცირე და საშუალო ბიზნესორგანიზაციების რაოდენობა მერყეობს 365-445 მლნ-ს შორის. მათ შორის: განვითარებად ბაზრებზე არის 25-30 მლნ ფორმალური ორგანიზაციები, 55-70 მლნ ფორმალური მიკრო ორგანიზაცია და 285-345 მლნ არაფორმალური ორგანიზაცია. მათი დაკრედიტება მერყეობს 2,1- 2,6 ტრლნ დოლარამდე[13]. რაც შეეხება მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების ბაზარს, საბანკო სექტორის დაკრედიტება 18 ტრლნ დოლარია, ხოლო ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა – 70 მლრდ დოლარი.

აღსანიშნავია, რომ ფინტექი ფლობს დიდ პოტენციალსა და სარგებელს, როგორც ბიზნესისათვის, ასევე მთლიანად ეკონომიკისათვის. აღნიშნულ მიმართულებას მნიშვნელოვანი სარგებელი მოაქვს ნაციონალური მთავრობის, ფინანსური ინსტიტუტების, მეწარმეებისა და ინვესტორებისათვის.

ფინტექის გლობალური და ლოკალური გავლენის პოტენციალშია ახალი ბიზნესმოდელებისა და მიმართულებების წარმოქმნა, ახალი პროდუქტებისა და მომსახურების ფორმირება, რისკების პროფილის ცვლილება, საფინანსო ინსტიტუტების მიერ მომსახურების წარდგენის გზების ფორმირება და ცვლილება. ამასთან, აღნიშნული მიმართულება, შესაძლოა ტრადიციული ფინანსური პროცესების ერთგვარი „სასაფლაოც“ კი გახდეს.

## ფინანსური ტექნოლოგიები საქართველოში

ხაზგასასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართული საბანკო სექტორი, ერთ-ერთი მოწინავე სექტორია ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ათვისების პროცესში, რაც გამოიხატება დისტანციური საბანკო მომსახურების არხების განვითარებით, საბანკო ტექნოლოგიების განვითარებაში ინვესტირებით, მრავალფეროვანო საბანკო პროდუქტების წარდგენით, უსაფრთხოებითა და მოქნილობით.

ციფრული პროცესების ფონზე, საქართველოს საბანკო სისტემა შეიძლება წარმოდგენილი იქნეს: ციფრული არხებით (ონლაინ და მობილური არხები), ახალი პროდუქტებითა და მომსახურებით, სამომხმარებლო სერვისებით, სისტემებითა და პროცესებით, რაც ტექნოლოგიებზეა დაფუძნებული.

ქართული ბანკების „ციფრული პოტენციალი“ წარმოდგენილია მრავალფეროვანი სარგებლით, კლიენტორიენტირებული მიდგომებით, მრავალფეროვან საბანკო ტექნოლოგიებთან მრავალმხრივი მოწყობილობის წვდომის შესაძლებლობით, კომპლექსური მიდგომებითა და ციფრულ პროცესებზე ორიენტირებით.

დღეისათვის, საქართველოში მოქმედი შვიდი კომერციული ბანკი ფლობს საერთაშორისო საგადახდო სისტემების ინტერნეტექვაირინგის ლიცენზიას და წარმატებით ემსახურება სავაჭრო და მომსახურების (მათ შორის სახელმწიფო) სფეროებს. მათი ელექტრონული სისტემები მუშაობს მსოფლიოში აღიარებული Verified by Visa და MasterCard Secure Code ტექნოლოგიების მეშვეობით[14].

დომინირებადი საბანკო ორგანიზაციები ახდენენ საქმიანობის ოპტიმიზებას, მომსახურების კლასიკური მეთოდების ჩანაცვლებას ტექნოლოგიებით შექმნილი პროდუქტებით. ასევე, მოსახლეობას უქმნიან ხელსაყრელ პირობებს, რომ ისარგებლოს თვითმომსახურების კიოსკით – ე.წ. „აპარატებით“, რაც სწრაფად და მოქნილად გადახდების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა.

ტრადიციული ფილიალების ტრანსფორმაციის პროცესი შეიძლება განხილული იქნეს გერმანიის ბანკის (Deutsche Bank) მაგალითზე. ჯერ კიდევ XXI საუკუნის დასაწყისში, Deutsche Bank-მა დაიწყო რეალური ფილიალების ცვლი-

ლება ვირტუალურ სისტემებზე. შედეგად, მისი საინვესტიციო გეგმები შეფასდა 1 მლრდ დოლარად[15]. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესს წინ უძღოდა საზოგადოების ფართომასშტაბიანი კომპიუტერიზაცია და ინტერნეტიზაცია, ინტერნეტწიგნიერების ამაღლების ღონისძიებები, ინტერნეტბაზრისა და ელექტრონული კომერციის განვითარების ხელშემწყობი პროგრამები.

პროცესი, რომელზედაც ვმსჯელობთ, შეიძლება განხილული იქნეს, როგორც ციფრული ბანკინგი. დასავლეთ ევროპაში, პროგნოზით 2018 წლისათვის, შემოსავლების 50% იქნება ციფრული საბანკო პროდუქტების წილი. დღეს, ევროპაში 5-დამ 4 კაცი (79%), მობაილ ბანკინგის მოიხმარებელია[7].

სამწუხაროდ, საქართველოს ინტერნეტგარემოს განვითარებას საკმაოდ დააგვიანდა. შესაბამისად, ინტერნეტბაზრისა და ელექტრონული კომერციის „რეალური სურათის" ასახვა კი შესაძლებელი იქნება 3 წლის შემდეგ, როდესაც ბიძინა ივანიშვილისა და ფონდი „ქართუს" დაფინანსებით (150 მლნ დოლარის ოდენობით) დასრულდება სახელმწიფოს ინტერნეტიზაციისა და კომპიუტერიზაციის პროცესი [16], შემუშავდება საქართველოს ციფრული პოლიტიკა და სტრატეგია, მოხდება ციფრული გარემოს ნორმატიულ სამართლებრივი სივრცის სრულყოფა, აღარ იქნება IT სპეციალისტების დეფიციტი.

საქართველოში, რთულია გააანალიზო (გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო უწყებები მხოლოდ ფრაგმენტულ კვლევებს ატარებს) ელექტრონული კომერციის ბიზნესმოდელები, ინტერნეტბაზრის განვითარების პერსპექტივები, საფინანსო სექტორის ელექტრონული კომერცია, სოციალური ელექტრონული კომერცია თუ ფინტექი (FinTech).

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ ეტაპზე, საქართველოს საბანკო სისტემაში ჩვენ მიერ განხილული ტენდენციების ფონზე, ნაღდი ფულისა და საბანკო ფილიალების ჩანაცვლება ელექტრონული ფულითა და ფილიალებით, შეიძლება განხილული იქნეს, როგორც „პარალელური სტრატეგიული მიმართულება".

* * *

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ბანკები და საფინანსო ორგანიზაციები გლობალურ ფინანსურ გამოწვევებს გადაჭრიან ინოვაციური გადაწყვეტილებებითა და ახალ ტექნოლოგიებში ინვესტირებით. ამასთან, ფინტექის ეკოსისტემის ზრდა საჭიროებს პოლიტიკურ ინსტრუმენტებს, ხოლო ციფრული ტრანსფორმაციის ცენტრში განხილული უნდა იქნეს მომხმარებელი. მთავრობამ კი უნდა დაადგინოს სტიმულები და ხელი შეუწყოს ნაციონალური FinTech-ის ინდუსტრიის განვითარებას.

საქართველოში, ფინანსური ტექნოლოგიების განვითარებისათვის საჭიროა FinTech-ის ბიზნესორგანიზაციების სისტემის აგება და გაძლიერება. ფინთექის მიმართულება (ანგარიშსწორება, მონაცემთა ანალიზი, დაკრედიტება, blockchain და სხვა) საჭიროებს ახალი პლატფორმის აგებას, პროგრამულ ინ-

ტერფეისს, პარტნიორულ პლატფორმებს, ფართო სპექტრის პროდუქტებსა და მომსახურებას.

ფინტექი ცვლის მცირე ბიზნესის დაფინანსების გზებს და მეთოდებს, ქმნის უპირატესობებსა და სარგებელს. შესაბამისად, სახელმწიფომ აქცენტები უნდა გააკეთოს ინოვაციური ტექნოლოგიებსა და პროცესებზე, შექმნას მაღალი სტანდარტები, გამოყოს რესურსები, ხელი შეუწყოს ფინტექის რეგიონული განვითარების რეგულირებას.

## ლიტერატურა:


1 Government Office for Science. FinTech Futures. The UK as a World Leader in Financial Technologies . A report by the UK Government Chief Scientific Adviser, 2015. www.gov.uk/go-science

2 Business Insider. How technology will affect the entire financial services industry. January 6, 2016.

3 http://www.businessinsider.com/the-fintech-ecosystem-explained-measuring-the-effects-of-technology-on-the-entire-financial-services-industry-2015-12

4 http://www.tagonline.org/files/documents/FinTech/tag-fintech-ecosystem-report-2016.pdf

5 Sutton Ch.N., Jenkins B. The Role of the Financial Services Sector in Expanding Economic Opportunity. Economic Opportunity Series. 2007. http://www.hks.harvard.edu/m-rcbg/CSRI/publications/report_19_EO%20Finance%20Final.pdf

6 https://www.dbresearch.com/PROD/DBR_INTERNET_EN-PROD/PROD0000000000356835.pdf

7 World Economic Forum. The Future of Financial Services How disruptive innovations are reshaping the way financial services are structured, provisioned and consumed. An Industry Project of the Financial Services Community | Prepared in collaboration with Deloitte. Final Report, June 2015.

8 European Banking Federation. The digital transformation of banks and the Digital Single Market. June 2015. http://www.ebf-fbe.eu/wp-content/uploads/2015/06/EBF-Discussion-paper_Digital-transformation-of-banks-and-the-DSM_June-2015-2.pdf

9 Accenture, Fintech New York: Partnerships, Platforms and Open Innovation. 2015.

10 Deloitte. Banking disrupted. How technology is threatening the traditional European retail banking model. 2014. http://www2.deloitte.com/content/dam/Deloitte/pt/Documents/financial-services/dttl-fsi-uk-Banking-Disrupted-2014-06.pdf

11 World Economic Forum. The Future of FinTech A Paradigm Shift in Small Business Finance. October 2015.

12 KPMG, 'Fintech 100'-Announcing the world's leading fintech innovators for 2015. 14 December 2015. https://home.kpmg.com/xx/en/home/media/press-releases/2015/12/fintech-announcing-the-world-leading.html

13 http://www.ftpartners.com/

14 The World Bank. Small and Medium Enterprises (SMEs) Finance. September 1, 2015.http://www.worldbank.org/en/topic/ /smes-finance

15 https://www.nbg.gov.ge/index.php?m=605

თოდუა ნ., აბულაძე რ. ინტერნეტმარკეტინგი. სახელმძღვანელო. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2011.

16 IPN. ირაკლი ქაშიბაძე – „საქართველოს საყოველთაო ინტერნეტიზაციის» პროექტის დასრულების შემდეგ, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტით დაფარვა 91% იქნება. 10:45 16-11-2015. http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/354416-irakli-qashibadze-qsaqarthvelos-sayovelthao-internetizaciisq-proeqtis-dasrulebis-shemdeg-optikur-botckovani-internetith-dafarva-91-iqneba.html?ar=A

## Digital Evolution in the Financial Sector: Financial Technology (FinTech)

***Rati Abuladze***

*Doctor of Economics, Associate Professor*
*Georgian Technical University*

***Maia Veshaguri***

*Doctor of Economics, Associate Professor*
*Tbilisi State University*

The digital financial eco-system is characterized by a rapid development of financial technologies, transformation of the business models in the financial field and potential for innovations. The development of technologies influenced the “financial landscape”. The e-technologies in the financial sector substituted the business processes and supported the balance between the business and the consumers. At present, the financial companies use different e-technologies, web, viable business models and long-term digital strategies on their way to success.

The wave of the financial-technological revolution in modern digital world is still “young”, though quite influential. FinTech is one such wave in the financial service industry.

Today, the country has not thoroughly benefited from the potential of digital financial technologies or advantages and value of e-commerce in the field of finances.

The article is based on the results of the study and analysis of new financial technology FinTech. The paper demonstrates the value and advantages of FinTech and its global and local influence.

The study paper presents FinTech eco-system, considers the financial technologies in Georgia and describes the challenges and prospects of the development of financial technologies.

**Keywords:** FinTech, e-commerce, bank, lending bank
**JEL Codes:** O33, L810, G210, F340

*ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 2, გვ. 168-175*
*ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 2, pp. 168-175*

# აგრარული სექტორის სუბსიდირების შესაძლო შედეგები და მეურნეობებისა და ბაზრის საპასუხო ქცევა

***თენგიზ თაქთაქიშვილი***

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის*
*თსუ-ის დოქტორანტი*

დარგის როლიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა ახორციელებს აგრარული სექტორის მხარდამჭერ ღონისძიებებს, რასაც აქვს სხვადასხვა ფორმა – დაწყებული სოფლად ინფრასტრუქტურის გამართვით და დამთავრებული – აგრარული პროდუქციის მწარმოებლებისთვის გარკვეული სუბსიდიების გამოყოფით.

სტატიაში მიმოხილულია სუბსიდირების ყველაზე გავრცელებული ფორმები და მათზე მეურნეობების სავარაუდო საპასუხო რეაქციები. განხილულია ის გზები, რომელთა საშუალებითაც სუბსიდირების პოლიტიკა გავლენას ახდენს მეურნეობათა საწარმოო გადაწყვეტილებებსა და მათ მიერ საჭირო ფინანსური რესურსების მიღებაზე.

**საკვანძო სიტყვები:** აგრარული სექტორი; სუბსიდია; სუბსიდირების პოლიტიკა; ფასის მხარდაჭერა.

## აგრარული სფეროს სუბსიდირება და მისი ეფექტები

აგრარული სუბსიდიების გავლენა ფერმერულ მეურნეობებზე სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია.

ამა თუ იმ მხარდამჭერი პროგრამის განხორციელებისას სოფლის მეურნეობაში, სახელმწიფოს მთავარი საფიქრალია ის, თუ როგორი იქნება მწარმოებლების პასუხი სტიმულებზე და როგორ შეიცვლება მიწოდება. სწორედ მწარმოებლების საპასუხო რეაქცია განსაზღვრავს დარგის მომავალი განვითარების ტემპებს და მიმართულებებს და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების შედეგიანობას [1].

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის კვალობაზე ადგილობრივ მწარმოებლებს უწევთ კონკურენციის გაწევა უცხოელ მწარმოებლებთან ან ადგილობრივ იმპორტიორებთან. უამრავ განვითარებად ქვეყანაში არსებობს ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ ადგილობრივ მწარმოებლებს სახელმწიფოს დახმარების გარეშე გაუჭირდებათ იმპორტთან კონკურენცია. სახელმწიფოს მიერ აგრარული სფეროს სუბსიდირების ერთ-ერთი შესაძლო შედეგი სწორედ ადგილობრივი წარმოებისა და მწარმოებლების კონკურენტუნარიანობის ზრდაა.

აგრარული სფეროს სუბსიდირებას გარდა ეკონომიკურისა, შესაძლოა ჰქონდეს სოციალური შინაარსიც. სახელმწიფო ცდილობს წაახალისოს აგროწარმოება და სოფლად მცხოვრებთათვის შექმნას შემოსავლის მიღების წყაროები, რათა მათ არ მიატოვონ საკუთარი სახლები და არ გადავიდნენ ქალაქში საცხოვრებლად და სამუშაოდ.

ლიტერატურაში არსებობს საპირისპირო მოსაზრებები სახელმწიფოს მხარდამჭერ პოლიტიკაზე მიწოდების საპასუხო რეაქციის შესახებ. ორთოდოქსული ეკონომიკური თეორიის საპირისპიროდ, რომელიც მიიჩნევს, რომ მიწოდების პასუხი სტიმულებზე იქნება დადებითი, არსებობს ზოგიერთი მოსაზრება, რომლის თანახმადაც მიწოდების პასუხი შეიძლება იყოს საპირისპირო, ანუ მაღალმა ფასმა განაპირობოს დაბალი წარმოება. მარტივად რომ ვთქვათ, ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში ფერმერებს აქვთ გარკვეული „მიზნობრივი“ შემოსავლები, რომელთა მიღებაც სურთ და თუ მათ შესთავაზებენ უფრო მაღალ ფასს მათ მიერ წარმოებულ პროდუქციაზე, ისინი გადაწყვეტენ მიიღონ მათთვის სასურველი „მიზნობრივი“ შემოსავალი მიწოდების შემცირების გზით. განიხილება უფრო რთული ქცევითი მოდელებიც, სადაც შემოდის რისკის და გაურკვევლობის ცნებები და რომლებიც განიხილავენ „შებრუნებულ“ პასუხს ფასების ცვლილებებზე [1].

ჩვენი აზრით სუბსიდირების უმთავრესი დადებითი ეფექტები შეიძლება იყოს აგრარულ სფეროში მწარმოებლურობისა და ნათესი/ნარგავი ფართობების ზრდა.

თეორიული კვლევები აჩვენებს, რომ არსებობს სხვადასხვა გზა, რომლითაც სუბსიდიები გავლენას ახდენს მწარმოებლურობაზე. სუბსიდიებმა მწარმოებლურობაზე შეიძლება მოახდინოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გავლენა. მწარმოებლურობაზე სუბსიდიების უარყოფითი გავლენა შეიძლება გამომდინარეობდეს ალოკაციური ეფექტიანობის დანაკარგებიდან, რაც გამოწვეულია ცვლილებებით საწარმოო სტრუქტურასა და საწარმოო ფაქტორების გამოყენებაში. დადებითი გავლენა დაკავშირებულია ინვესტიციების წახალისებასთან, კრედიტზე ხელმისაწვდომობის ზრდასა და რისკის შემცირებასთან [2].

ალოკაციურ არაეფექტიანობას შესაძლოა მაშინ ჰქონდეს ადგილი, როდესაც სუბსიდირებული პროდუქციის წარმოება იზრდება იმ პროდუქტის ხარჯზე, რომლის წარმოებაც ეფექტიანია, მაგრამ მისთვის სუბსიდიები არაა გათვალისწი-

ნებული. მაგალითად, ალოკაციურ ეფექტიანობას ადგილი ექნება იმ შემთხვევაში თუ დავუშვათ, მარწყვის მოყვანა უფრო ეფექტიანია მეურნეობისთვის, თუმცა, მეურნეობა გაზრდის ყურძნის წარმოებას მარწყვის ხარჯზე, იმის გამო, რომ ხდება ყურძნის ფასის სუბსიდირება.

თეორიული მიკროეკონომიკური მოდელები და პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ წარმოების მოცულობაზე მიბმული სუბსიდიები გავლენას ახდენს წარმოების ფაქტორების გამოყენებაზე [3].

ეფექტიანობის დანაკარგი უფრო ძლიერია წარმოებაზე მიბმული სუბსიდიების შემთხვევაში, წარმოებისგან დამოუკიდებელ სუბსიდიებთან შედარებით, რადგან პირველ შემთხვევაში სუბსიდიების მოცულობა პირდაპირაა დამოკიდებული წარმოების მოცულობისა და წარმოების ფაქტორების შესახები ფირმის გადაწყვეტილებებთან, რაც იწვევს უფრო დიდ ალოკაციურ არაეფექტიანობას. ეს კავშირი შედარებით სუსტია წარმოების მოცულობისგან დამოუკიდებელი სუბსიდიების შემთხვევაში [4].

წარმოების მოცულობაზე მიბმული სუბსიდიების შემთხვევაში უფრო მაღალია სუბსიდიების მიღების რისკი და უფრო რთულია კრედიტის მიღება, ვიდრე წარმოების მოცულობისგან დამოუკიდებელი სუბსიდიების პირობებში. სხვადასხვა მიზეზით განპირობებული დაბალი მოსავლიანობა ქმნის იმის საშიშროებას, რომ ფერმერის მიერ მიღებული სუბსიდიების მოცულობა იქნება მცირე. ფინანსური ინსტიტუტის გადმოსახედიდანაც გაცილებით უკეთესია თუ ფერმერულ მეურნეობა იღებს სტაბილურ სუბსიდიას ყოველწლიურად და არ არის დამოკიდებული წარმოების მოცულობაზე.

იმ შემთხვევაში, თუ მეურნეობის მოსავალი სრულად განადგურდება ის საერთოდ ვერ მიიღებს სუბსიდიას. ამისგან განსხვავებით, თუ ფიქსირებული სუბსიდია იქნება გათვალისწინებული დავუშვათ ერთ ჰა-ზე, ნებისმიერი სტიქიური უბედურების თუ სხვა ფორსმაჟორული სიტუაციის შემთხვევაში მეურნეობა მაინც მიიღებს სუბსიდიის თანხას, შესაბამისად საკრედიტო ინსტიტუტისთვის უფრო ხელსაყრელია იმ მეურნეობის დაფინანსება, რომელიც სტაბილურად იღებს გარკვეული ოდენობის სუბსიდიას.

ლიტერატურა კრედიტზე ხელმისაწვდომობის შეზღუდულობასა და რისკთან დაკავშირებულ ქცევაზე დადებით კავშირს პოულობს სუბსიდიებსა და მწარმოებლურობას შორის. თუ ფერმერული მეურნეობების წვდომა კრედიტზე შეზღუდულია, მაშინ სუბსიდიები მათთვის უზრუნველყოფს დაფინანსების დამატებით წყაროებს. ეს შეიძლება მოხდეს როგორც პირდაპირი (ფირმების ფინანსური რესურსების გაზრდით), ასევე არაპირდაპირი (კრედიტზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებით) გზით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ იმ ფერმერული მეურნეობებისთვის, რომელთა წვდომაც კრედიტზე შეზღუდულია, სუბსიდიები ასრულებს კრედიტის შემცვლელის როლს. კრედიტზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის მქონე მეურნეობები, როგორც წესი, ახორციელებენ მცირე ინვესტიციებს და გააჩნიათ

შედარებით დაბალი ალოკაციური ეფექტიანობა, რაც შეიძლება გაუმჯობესდეს სუბსიდიების საშუალებით. იაფი კრედიტი მოახდენს ინვესტიციების და საწარმოო ფაქტორების გამოყენების სტიმულირებას და შესაბამისად, გააუმჯობესებს ფერმერული მეურნეობის ეფექტიანობას. სუბსიდიები ასევე გავლენას ახდენს ფერმერთა კეთილდღეობასა და რისკისადმი მათ დამოკიდებულებაზე. მაგალითად, სუბსიდირების პირობებში ფერმერები სავარაუდოდ გაზრდიან წარმოების მოცულობას ან გამოიყენებენ დამატებით ფაქტორებს, რასაც რისკიანად მიიჩნევდნენ სუბსიდიების არარსებობის შემთხვევაში [2, გვ. 3].

## აგრარული სუბსიდიები და მეურნეობათა საპასუხო ქცევა

ზოგადად, სუბსიდიები სტიმულს აძლევს ფერმერებს აწარმოონ იმაზე მეტი, ვიდრე აწარმოებდნენ სუბსიდიების არარსებობის შემთხვევაში. ამ დროს ითვლება, რომ სუბსიდიები დაკავშირებულია წარმოებასთან ჴ რაც უფრო მეტს აწარმოებს ფერმერი, მით უფრო მეტ დახმარებას იღებს ის. ივარაუდება, რომ ასეთმა მხარდაჭერამ უნდა უზრუნველყოს სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის რაოდენობის ზრდა და გაზარდოს მისი მიწოდება შიგა ბაზარზე (ან საერთაშორისო ბაზარზეც).

მოლოდინის ეფექტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს გრძელვადიან პერიოდში. ფერმერის მოლოდინმა სოფლის მეურენობის მომავალი მხარდაჭერის შესახებ შეიძლება გავლენა მოახდინოს მის საწარმოო გადაწყვეტილებებზე. ფერმერი, რომელიც იღებს წარმოების მოცულობისგან დამოუკიდებელ სტაბილურ სუბსიდიას და ელის, რომ იმავე ოდენობის სუბსიდია შენარჩუნდება მომდევნო 10 წლის განმავლობაში, იფიქრებს და იმოქმედებს სხვაგვარად, ვიდრე ფერმერი, რომელიც ელის გამოყოფილი სუბსიდიების შემცირებას იმავე პერიოდში. რთულია მოლოდინების გაზომვა ემპირიულად და შესაბამისად, ლიტერატურაში არსებობს ამ ეფექტების შეფასების ნაკლებობა.

ინვესტიციის ეფექტს ადგილი აქვს იმდენად, რამდენადაც სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიებით განპირობებული მაღალი შემოსავალი ხელს უწყობს ინვესტიციების ზრდას სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფაქტორებში, რაც თავის მხრივ, ზრდის წარმოებული პროდუქციის მოცულობას. იმოქმედებს თუ არა სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიები ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილებებზე, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იწვევს ცვლილებებს სუბსიდიის თანხა ინვესტირებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაში [5, გვ. 4].

ფასის მხარდაჭერა ზოგადად ითვლება წარმოების მოცულობასთან ყველაზე მეტად დაკავშირებულ სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიად, რადგან ფერმერი იღებს სუბსიდიას მის მიერ წარმოებული პროდუქციის მთლიანი რაოდენობიდან გამომდინარე. საფასო მხარდაჭერა ხშირად ხელს უწყობს ჭარბწარმოებას, რადგან გაზრდილი წარმოება განაპირობებს მიღებული სუბსიდიის ზრდას.

ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით, წარმოების მოცულობისგან დამოუკიდებელ სუბსიდიებს აქვს გაცილებით უფრო მცირე გავლენა წარმოებაზე, ვიდრე წარმოებაზე მიბმულ სუბსიდიებს და ეკონომიკური თვალსაზრისით წარმოებისგან გამოყოფილი სუბსიდიები უფრო სასურველია [5, გვ. 5].

კ. ნიუმენმა და ჯ. სეუერმა გამოიკვლიეს ჰქონდა თუ არა სუბსიდიების გამოყოფას წარმოების მოცულობისგან გავლენა მწარმოებლურობის ზრდაზე სოფლის მეურნეობაში. ანალიზისთვის საჭირო მონაცემები აღებულია ირლანდიური, დანიური და ჰოლანდიური ფერმერული მეურნეობების შესახებ. ნაშრომის ზოგიერთი შედეგი აჩვენებს, რომ აღნიშნულ პოლიტიკას მნიშვნელოვანი დადებითი ეფექტი ჰქონდა ფერმერული მეურნეობის მწარმოებლურობაზე [6].

მ. რიზოვი და სხვ. აანალიზებენ სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკის გავლენას ფაქტორების მთლიან მწარმოებლურობაზე. ემპირიული კვლევა, რომელიც მოიცავს ევროკავშირის 15 ქვეყნიდან აღებულ მონაცემებს აჩვენებს, რომ სუბსიდიები უარყოფით გავლენას ახდენდა ფერმერული მეურნეობების მწარმოებლურობაზე მანამ, სანამ წარმოების მოცულობისგან დამოუკიდებელი გახდებოდა. მას შემდგ, რაც სუბსიდიები გამოეყო წარმოების მოცულობას, ზოგიერთ ქვეყანაში ფიქსირდება მისი დადებითი გავლენა მწარმოებლურობაზე [7].

მაღალი ფასი წარმოადგენს მხარდაჭერას ფერმერისთვის და აძლევს მას სტიმულს რომ გაზარდოს წარმოება. საფასო მხარდაჭერა ხშირად გამოიყენება ტარიფებთან ერთად, რომელიც მიმართულია უცხოური კომპანიებისგან ადგილობრივი მეურნეობების დაცვისკენ. ადმინისტრაციული თვალსაზრისით ფასის მხარდამჭერი პოლიტიკა განსახორციელებლად ადვილი და იაფია, რადგან მისი მართვა შესაძლებელია სურსათის გადამამუშავებელი ინდუსტრიის საშუალებით. მაგალითად, ყურძნის ფასის მხარდამჭერი პოლიტიკის განხორციელება უფრო მარტივია, როდესაც სუბსიდიის თანხა ერიცხება ყურძნის ჩამბარებელ ღვინის კომპანიას და ის ყურძნის გამყიდველს უხდის ერთიან ფასს (ღვინის ქარხნის ფასი + სუბსიდიის თანხა).

ზოგადად, წარმოების მოცულობასთან მიბმული პროგრამები, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული ფერმერის მიერ წარმოებული კონკრეტული პროდუქტის წარმოებასთან, გავლენას ახდენს მიწის გამოყენებასა და ნარგავების სტრუქტურაზე. ასეთი სახის პროგრამები იძლევა კონკრეტული პროდუქციის წარმოების სტიმულს. შედეგად, გადაწყვეტილებები ამ პროდუქციის წარმოების შესახებ ეფუძნება როგორც საბაზრო, ასევე სახელმწიფოსგან მისაღებ მოსალოდნელ შემოსავალს. ასეთი პროგრამები, როგორც წესი, გავლენას ახდენს არამარტო იმ კონკრეტული პროდუქტის წარმოებაზე, რაზეც არიან მიმართული, არამედ გადაწყვეტილებებზე სხვა პროდუქტის წარმოების შესახებ. კონკრეტული პროდუქტისგან მოსალოდნელი მაღალი შემოსავალი იძლევა სხვა პროდუქტების წარმოების შემცირების და ამ კონკრეტული პროდუქტის წარმოების გაზრდის სტიმულს [8].

ფ. იავუზი და სხვ. ნაშრომში აღნიშნავენ, რომ წლების განმავლობაში არსებულმა ფასის მხარდამჭერმა პოლიტიკამ განაპირობა თხილის პლანტაციების ფართობების ზრდა და თხილის ჭარბი მიწოდება თურქეთში [9].

ამ დროს შესაძლოა სხვადასხვა სცენარი განვიხილოთ: ერთ შემთხვევაში, მეურნეობა გაზრდის მის ხელთ არსებულ მიწის ფართობს, რათა დამატებით დარგას/დათესოს სუბსიდირებული კულტურა. იმ შემთხვევაში თუ მეურნეობა ვერ აერხებს ნაკვეთის გაფართოებას ის არსებულ ნაკვეთზე მოახდენს სუბსიდირებული კულტურის ნათესების/ნარგავების გაფართოებას სხვა კულტურების ხარჯზე. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა ორივე ამ სცენარის კომბინაციას ჰქონდეს ადგილი.

წარმოების მოცულობისგან დამოუკიდებელი პროგრამებიდან მიღებული სარგებელი არაა დაკავშირებული წარმოების მიმდინარე დონესთან. წარმოებისგან დამოუკიდებელი პროგრამები პირდაპირ გავლენას არ ახდენს საწარმოო გადაწყვეტილებებზე, რადგან წმინდა უკუგება ერთეულზე უცვლელი რჩება. თუმცა, ასეთი პროგრამები შედარებით ნაკლებ, მაგრამ გავლენას მაინც ახდენს წარმოებაზე. ზოგადად, რადგან წარმოებისგან გამოყოფილი სუბსიდიები არ არის დაკავშირებული კონკრეტულ პროდუქტთან, იგი გავლენას ახდენს უფრო საერთო დონეზე, როგორიცაა მიწის მთლიანი გამოყენება ან მთლიანი მწარმოებლურობის ზრდა. წარმოებაზე მიბმულ სუბსიდიებთან შედარებით, მისგან გამოყოფილი სუბსიდიები ნაკლებ ეფექტს ახდენს წარმოებული პროდუქტების კომბინაციაზე.

